საქართველოს ისტორია 11

მასწავლებლის წიგნი

Don't copy

Don't copy

სარჩევი

ზოგადი ინფორმაცია სახელმძღვანელოს შესახებ 5
სახელმძღვანელოს სწავლების მიზნები 6
მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის უკეთ გასააზრებლად 14
სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები 24

თემა 1. განვითარებული შუა საუკუნეები საქართველოში 27
კომლექსური დავალება 1. საქართველო 1014-1223 32
კომპლექსური დავალება 2. საქართველო XIII ს.-ის 20-იანი წლებიდან XV ს.-ის 50-იან წლებამდე 47
კომპლექსური დავალება 3. მმართველობა და საზოგადოება განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოში 59

თემა 2. საქართველო XV–XVIII საუკუნეებში 69
კომლექსური დავალება 1. რა ტერიტორიული ცვლილებები განიცადა საქართველომ XV-XVIII საუკუნეებში? 75
კომპლექსური დავალება 2. XVII-XVIII საუკუნეების საქართველოში განვითარებული ისტორიული პროცესები 88
კომპლექსური დავალება 3. როგორ შეიცვალა საზოგადოება და მმართველობის ფორმები XVI-XVIII საუკუნეების საქართველოში 102

თემა 3. საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში 111
კომლექსური დავალება 1. როგორ განვითარდა ისტორიული პროცესი და მმართველობის როგორი სისტემა დამყარდა საქართველოში რუსეთთან შეერთების შემდეგ 117
კომპლექსური დავალება 2. რა ტერიტორიული ცვლილებები მოხდა სამხრეთ კავკასიაში XIX საუკუნეში რუსეთ-ირანისა და რუსეთ-ოსმალეთის ომების შედეგად 130
კომპლექსური დავალება 3. რა ცვლილება განიცადა საქართველოს საზოგადოებამ XIX საუკუნის მეორე ნახევარში? 138

სოლოტაქსონომია 152
განმსაზღვრელი შეფასება 166
მასწავლებლის წიგნის მიმოხილვა და მისი გამოყენების წესი 178
მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომების სპეციფიკა საგნის სწავლების პროცესში 178
მეთოდიკური ორიენტირები 180
მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ძირითადი სტრატეგიები 183
რეკომენდაციები სასწავლო-საგანმანათლებლო რესურსების შესახებ სწავლების მიზნის მიღწევის ეფექტიანობისათვის 185
მოსწავლის შეფასების პრინციპები 186
აქტივობების, ღონისძიებების, პროექტების, პრაქტიკული სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები 187
ინფორმაცია მოსწავლის წიგნის/რვეულის შესახებ 192
გამოყენებული ლიტერატურა 193

Don't copy

Don't copy

ზოგადი ინფორმაცია სახელმძღვანელოს შესახებ

XI კლასის სახელმძღვანელო „საქართველოს ისტორია“ ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის იმ სტანდარტს, რომელიც შეიმუშავა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ. ეროვნული სასწავლო გეგმა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა. ეროვნული სასწავლო გეგმის მთავარი ამოცანაა, შექმნას ეროვნული მიზნების მისაღწევი საგანმანათლებლო გარემო და რესურსები. ამ მიზნიდან გამომდინარე, იგი ირჩევს პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო კონცეფციას. ეს კონცეფცია გულისხმობს, ფაქტობრივი ცოდნის გარდა, მოსწავლეს განუვითაროს ზოგადი და სპეციფიკური უნარ-ჩვევები და მაღალზნეობრივი ღირებულებები. საშუალო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმა პირდაპირ მიუთითებს, რომ ისტორიის სწავლა-სწავლება მიზნად ისახავს:

- ხელი შეუწყოს მოსწავლის ჰუმანურ, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, პატრიოტ მოქალაქედ ჩამოყალიბებას;
- მოსწავლეს გაუღვივოს ინტერესი საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის შესწავლის მიმართ;
- მოსწავლეს განუვითაროს ისტორიული (პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, რელიგიური) პროცესების ანალიზისა და მათი თანამედროვეობასთან შედარების უნარი; ისტორიული პიროვნებებისა და მოვლენების მრავალმხრივად შეფასების უნარი;
- დაეხმაროს მოსწავლეს ისტორიული ეპოქების აღქმასა და მათი მახასიათებლების ერთმანეთთან/თანამედროვეობასთან შედარებაში;
- მოსწავლეს განუვითაროს ისტორიის კვლევისთვის საჭირო უნარები;
- მოსწავლეს შესძინოს ისტორიის დარგობრივი ენით ოპერირების უნარი.

Don't copy

საგნის სწავლების მიზნები

ისტორია (საგანი „ისტორია“)

შესავალი

სტანდარტი განკუთვნილია საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის. მის საფუძველზე უნდა მომზადდეს ორი კურსი: (1) პირველი მათგანი – „ისტორია“ გულისხმობს მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის მქონე მოვლენების/პროცესების შესწავლას და მათთან საქართველოს ისტორიის საკითხების დაკავშირებას; (2) მეორე კურსის – **„საქართველოს ისტორიის“** ფარგლებში კი აქცენტი კეთდება ქართული ისტორიოგრაფიის აქტუალური პრობლემების კვლევაზე/სიღრმისეულ გააზრებაზე.

სტანდარტში შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით განსაზღვრულია გრძელვადიანი მიზნები. შინაარსი აღიწერება თემების (ქვეთემების), საკითხებისა და ქვეცნებების სახით. ეროვნული სასწავლო გეგმა განსაზღვრავს სავალდებულო თემებს. თემების შესაბამის საკითხებს კი სკოლები თავად ირჩევენ. თითოეულ თემას ახლავს შედეგების მიღწევის ინდიკატორები. ისინი განსაზღვრავს, რა უნდა შეფასდეს სწავლა-სწავლების პროცესში. ინდიკატორები დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით.

საფეხურის შედეგები

საშუალო საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., ისტ. საშ.1:

„ისტ.“ – მიუთითებს საგანს ისტორია;

„საშ.“ – მიუთითებს საშუალო საფეხურს;

„1“ – მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

Don't copy

ისტორიის სტანდარტის შედეგები საშუალო საფეხურზე		
შედეგების ინდექსი	**შედეგები**	**სამიზნე ცნებები**
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	
ისტ.საშ.1.	ისტორიული წყაროს გამოყენება საკუთარი მოსაზრების/პოზიციის დასაბუთებისთვის; ისტორიოგრაფიის განვითარების კანონზომიერებების დაკავშირება იმის გაცნობიერებასთან, რომ ახალი წყაროების/მტკიცებულებების აღმოჩენის შემთხვევაში შესაძლებელია ნებისმიერი მოვლენის ახლებურად გააზრება/გადაფასება;	ისტორიული წყარო (ისტ.საშ.1,2,4,5) დრო (ისტორიული პერიოდი) (ისტ.საშ. 1,2,3,4,5,6) სივრცე (გარემო, ტერიტორია) (ისტ. საშ.1,2,3,4,5,6) საზოგადოება (ისტ.საშ.1,2,3,4,5,6) ძალაუფლება (ისტ. საშ.3,4,5,6,7,8) ისტორიული მოვლენა/ პროცესი (ისტ. საშ.3,4,5,6)
ისტ.საშ.2	ისტორიული მოვლენების ანალიზისას ქრონოლოგიისა და ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების ადეკვატური გამოყენება; ისტორიულ პროცესებზე სივრცე-დროითი ასპექტების კვლევა ცვალებადობის ფენომენის გასააზრებლად;	
ისტ.საშ.3	ისტორიული მოვლენის/პროცესების კლასიფიცირება და ტიპოლოგიური დაჯგუფება (პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და ა.შ. ნიშნით) სხვადასხვა ისტორიულ ეპოქასა და თანამედროვეობაში არსებული ტიპურად მსგავსი მოვლენებისა და პროცესების ურთიერთდაკავშირებულად განსახილველად;	
ისტ.საშ.4	ერთი და იმავე ისტორიული მოვლენის/პროცესის/ პიროვნების მოღვაწეობის განსხვავებულად ინტერპრეტირება, გაანალიზება და შეფასება მულტიპერსპექტიული მიდგომების უპირატესობის გასააზრებლად.	
ისტ.საშ.5	ისტორიული მოვლენების და პროცესების დანახვა/ შეფასება, როგორც კონკრეტულ ეპოქაში მცხოვრები ადამიანების თვალით, ასევე ეპოქისგან დისტანცირებით, ერთი მხრივ, ეპოქის უნიკალურობის, მეორე მხრივ კი უნივერსალურ იდეათა განვითარების კანონზომიერებების გასააზრებლად.	
ისტ.საშ.6	ქვეყნის წარსულის, აწმყოსა და მომავლის ერთიან კონტექსტში გააზრება; ისტორიულ მაგალითებზე დაყრდნობით დემოკრატიის პრინციპების (კულტურული, ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება, თანასწორობა, სამშვიდობო პროცესები) დაკავშირება სახელმწიფოებრიობასა და პატრიოტიზმთან.	

Draft copy

სავალდებულო თემები:

„ისტორიისა“ და „საქართველოს ისტორიის“ კურსის სწავლა-სწავლება წარიმართება პარალელურად. ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს, თუ რომელი სავალდებულო თემები უნდა ისწავლებოდეს ურთიერთდაკავშირებულად.

ისტორია	**საქართველოს ისტორია**
X კლასი	**X კლასი**
პრეისტორია და ძველი აღმოსავლეთი	საქართველო ქვისა და ბრინჯაოს ხანაში
ანტიკური ხანა (ახ. წ. III საუკუნემდე)	საქართველო ანტიკურ ხანაში (ახ. წ. III საუ-კუნემდე)
გვიანანტიკური ხანა და ადრეული შუა საუ-კუნეები (1014 წლამდე)	საქართველო გვიანანტიკურ და ადრეული შუა საუკუნეების პერიოდში (1014 წლამდე)
XI კლასი	**XI კლასი**
შუა საუკუნეები	განვითარებული შუა საუკუნეები საქართვე-ლოში
გვიანი შუა საუკუნეები და ადრეული ახალი დრო	საქართველო XV-XVIII საუკუნეებში
„ხანგრძლივი XIX საუკუნე“	საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენ-ლობაში
XII კლასი	**XII კლასი**
„ხანმოკლე XX საუკუნე“	საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა
	საქართველო საბჭოთა კავშირში
მსოფლიო ათასწლეულების მიჯნაზე	საქართველო და თანამედროვე მსოფლიო

სწავლა-სწავლების პროცესში სკოლებმა უნდა დაიცვან თემების ზემოთ შემოთავაზებული თანამიმდევრობა (X კლასში შესაძლებელია, თემები განაწილდეს შემდეგნაირად: პირველ სემესტრში – ორი თემა, მეორე სემესტრში – ერთი თემა; XI კლასში: პირველ სემესტრში – ერთი თემა, მეორე სემესტრში – ორი თემა; XII კლასში: პირველ სემესტრში – „ისტორია“ – ერთი თემა, „საქართველოს ისტორია“ – ორი თემა, მეორე სემესტრში – ერთი თემა).

„საქართველოს ისტორიის“ XI კლასის სახელმძღვანელო ეფუძნება ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის საშუალო საფეხურის ისტორიის სტანდარტს.

Don't copy

ა. ბ) საქართველოს ისტორია

სავალდებულო თემებისა და შეფასების ინდიკატორების დამაკავშირებელი ცხრილები:

თითოეულ ცხრილში მოცემულია შეფასების ინდიკატორები, რომლებიც წარმოაჩენს, როგორ რეალიზდება შედეგები კონკრეტულ თემაში.

თემა: განვითარებული შუა საუკუნეები საქართველოში
თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები **წყარო** – მოსწავლემ უნდა შეძლოს: სხვადასხვა ტიპის წყაროებზე *(არქეოლოგიური მონაცემები, წერილობითი წყაროები, ნუმიზმატიკური მასალა)* დაყრდნობით განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიული მოვლენების/პროცესების გაანალიზება. **დრო** – მოსწავლემ უნდა შეძლოს: • განვითარებულ შუა საუკუნეებთან დაკავშირებული ისტორიული მოვლენების/პროცესების დაკავშირება პერიოდიზაციის სხვადასხვა სისტემასთან (მაგალითად, ისტორიულ პერიოდიზაციასთან, რელიგიურ პერიოდიზაციასთან); • მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის სქემების დაკავშირება საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის სისტემასთან; • ფაქტორების გაანალიზება, რომლებიც შუა საუკუნეებში ცვალებადობის/დროის ფენომენის სპეციფიკურად აღქმას განაპირობებდა. **სივრცე** – მოსწავლემ უნდა შეძლოს: • განვითარებული შუა საუკუნეებთან დაკავშირებულ მოვლენებზე/პროცესებზე მსჯელობისას მართებული ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების გამოყენება; • განვითარებული შუა საუკუნეებისთვის საკვანძო მნიშვნელობის ისტორიულ-გეოგრაფიული სივრცეების (მათ შორის კავკასიის) მნიშვნელობის დახასიათება; • განვითარებული შუა საუკუნეებში გეოგრაფიული ცოდნის განვითარებაზე მსჯელობა. **საზოგადოება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს: განვითარებული შუა საუკუნეების პერიოდის საზოგადოების თავისებურებების *(იდენტობის საშუალებები, „კულტურული სხვის“ ფენომენი, სოციალური ფენები, ყოველდღიურობა)* გამოკვეთა და სხვა ისტორიული პერიოდების საზოგადოებებთან შედარება. **ძალაუფლება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს: ძალაუფლების ფენომენთან დაკავშირებული საკითხების *(სიმბოლოები, სახელისუფლებო სტრუქტურები, ძალაუფლების დანაწილება, ძალაუფლებისათვის ბრძოლის ფორმები, ძალაუფლების ფენომენისადმი დამოკიდებულება)* გაანალიზება განვითარებულ შუა საუკუნეების საქართველოს, ახლო აღმოსავლეთისა და ევროპის ქვეყნების მაგალითებზე დაყრდნობით. **ისტორიული მოვლენა/პროცესი** – მოსწავლემ უნდა შეძლოს: განვითარებული შუა საუკუნეებთან დაკავშირებული სოციალური და პოლიტიკური მოვლენების/პროცესების გაანალიზება *(საკვლევ თემასთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების ტიპოლოგიურად დაჯგუფება; სხვადასხვა პერსპექტივიდან გაანალიზება; მათ შორის მიზეზშედეგობრივი კავშირების დადგენა; საკვლევი თემის ისტორიული მნიშვნელობის გააზრება; მისი ინტერპრეტირება მოვლენის თანამედროვის თვალით);* მათი დაკავშირება/შედარება შესაბამისი პერიოდის მსოფლიოს ისტორიის საკითხებთან.

Draft copy

თემა: საქართველო XV-XVIII საუკუნეებში
თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები **წყარო** – მოსწავლემ უნდა შეძლოს: სხვადასხვა ტიპის წყაროებზე *(მაგალითად, წერილობითი წყაროები)* დაყრდნობით XV-XVIII საუკუნეებში საქართველოში მიმდინარე ისტორიული მოვლენების/პროცესების გაანალიზება. **დრო** – მოსწავლემ უნდა შეძლოს: • XV-XVIII საუკუნეების საქართველოში ისტორიული მოვლენების/პროცესების დაკავშირება პერიოდიზაციის სხვადასხვა სისტემასთან (მაგალითად, ისტორიულ პერიოდიზაციასთან, რელიგიურ პერიოდიზაციასთან); • საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის სქემების დაკავშირება მსოფლიოს იტორიის პერიოდიზაციის სისტემასთან; • ფაქტორების გაანალიზება, რომლებიც XV-XVIII საუკუნეების საქართველოში ცვალებადობის/დროის ფენომენის ახლებურად გააზრებას განაპირობებდა. **სივრცე** – მოსწავლემ უნდა შეძლოს: • XV-XVIII საუკუნეების საქართველოთან დაკავშირებულ მოვლენებზე/პროცესებზე მსჯელობისას მართებული ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების გამოყენება; • XV-XVIII საუკუნეების საქართველოსთვის საკვანძო მნიშვნელობის ისტორიულ-გეოგრაფიული სივრცეების (მათ შორის კავკასიის) მნიშვნელობის დახასიათება; • XV-XVIII საუკუნეების საქართველოში გეოგრაფიული ცოდნის განვითარებაზე მსჯელობა. **საზოგადოება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს: XV-XVIII საუკუნეების საქართველოში საზოგადოების თავისებურებების *(იდენტობის საშუალებები, „კულტურული სხვის“ ფენომენი, სოციალური ფენები, ყოველდღიურობა)* გამოკვეთა და სხვა ისტორიული პერიოდების საზოგადოებებთან შედარება. **ძალაუფლება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს: • XV-XVIII საუკუნეების საქართველოში ძალაუფლების ფენომენთან დაკავშირებული საკითხების *(სიმბოლოები, სახელისუფლებო სტრუქტურები, ძალაუფლების დანაწილება, ძალაუფლებისათვის ბრძოლის ფორმები, ძალაუფლების ფენომენისადმი დამოკიდებულება)* გაანალიზება გვიანი შუა საუკუნეებისა და ადრეული ახალი დროის ახლო აღმოსავლეთისა და ევროპის ქვეყნების მაგალითებზე დაყრდნობით. **ისტორიული მოვლენა/პროცესი** – მოსწავლემ უნდა შეძლოს: XV-XVIII საუკუნეების საქართველოში სოციალური და პოლიტიკური მოვლენების/პროცესების გაანალიზება *(საკვლევ თემასთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების ტიპოლოგიურად დაჯგუფება; სხვადასხვა პერსპექტივიდან გაანალიზება; მათ შორის მიზეზშედეგობრივი კავშირების დადგენა; საკვლევი თემის ისტორიული მნიშვნელობის გააზრება; მისი ინტერპრეტირება მოვლენის თანამედროვის თვალით);* მათი დაკავშირება/შედარება შესაბამისი პერიოდის მსოფლიოს ისტორიის საკითხებთან.

Draft copy

თემა: საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში
თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები **წყარო** – მოსწავლემ უნდა შეძლოს: სხვადასხვა ტიპის წყაროებზე დაყრდნობით XIX საუკუნის საქართველოსთან (იგულისხმება „ხანგრძლივი XIX საუკუნე“) დაკავშირებული ისტორიული მოვლენების/პროცესების გაანალიზება. **დრო** – მოსწავლემ უნდა შეძლოს: • XIX საუკუნის საქართველოსთან (იგულისხმება „ხანგრძლივი XIX საუკუნე“) დაკავშირებული ისტორიული მოვლენების/პროცესების დაკავშირება პერიოდიზაციის სხვადასხვა სისტემასთან; • საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის სქემების დაკავშირება მსოფლიოს ისტორიის პერიოდიზაციის სისტემასთან; • ფაქტორების გაანალიზება, რომლებიც XIX საუკუნის საქართველოში (იგულისხმება „ხანგრძლივი XIX საუკუნე“) ცვალებადობის/დროის ფენომენის გააზრებაზე ახდენდა გავლენას. **სივრცე** – მოსწავლემ უნდა შეძლოს: • XIX საუკუნის საქართველოსთან (იგულისხმება „ხანგრძლივიXIX საუკუნე“)დაკავშირებულ მოვლენებზე/პროცესებზე მსჯელობისას მართებული ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების გამოყენება; • XIX საუკუნის საქართველოსთვის (იგულისხმება „ხანგრძლივი XIX საუკუნე“) საკვანძო მნიშვნელობის ისტორიულ-გეოგრაფიული სივრცეების (მათ შორის კავკასიის) მნიშვნელობის დახასიათება; • XIX საუკუნის საქართველოში (იგულისხმება „ხანგრძლივი XIX საუკუნე“) გეოგრაფიული ცოდნის განვითარებაზე მსჯელობა. **საზოგადოება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს: XIX საუკუნის საქართველოს (იგულისხმება „ხანგრძლივი XIX საუკუნე“) საზოგადოების თავისებურებების *(იდენტობის საშუალებები, „კულტურული სხვის“ ფენომენი, სოციალური ფენები, ყოველდღიურობა)* გამოკვეთა და სხვა ისტორიული პერიოდების საზოგადოებებთან შედარება. **ძალაუფლება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს: XIX საუკუნის საქართველოში ძალაუფლების ფენომენთან დაკავშირებული საკითხების *(სიმბოლოები, სახელისუფლებო სტრუქტურები, ძალაუფლების დანაწილება, ძალაუფლებისათვის ბრძოლის ფორმები, ძალაუფლების ფენომენისადმი დამოკიდებულება)* გაანალიზება XIX საუკუნის (იგულისხმება „ხანგრძლივი XIX საუკუნე“) რუსეთისა და ევროპის ქვეყნების მაგალითებზე დაყრდნობით. **ისტორიული მოვლენა/პროცესი** – მოსწავლემ უნდა შეძლოს: XIX საუკუნის საქართველოსთან (იგულისხმება „ხანგრძლივი XIX საუკუნე“) დაკავშირებული სოციალური და პოლიტიკური მოვლენების/პროცესების გაანალიზება *(საკვლევ თემასთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების ტიპოლოგიურად დაჯგუფება; სხვადასხვა პერსპექტივიდან გაანალიზება; მათ შორის მიზეზშედეგობრივი კავშირების დადგენა; საკვლევი თემის ისტორიული მნიშვნელობის გააზრება; მისი ინტერპრეტირება მოვლენის თანამედროვის თვალით);* მათი დაკავშირება/შედარება შესაბამისი პერიოდის მსოფლიოს ისტორიის საკითხებთან..

XI კლასის სახელმძღვანელო ისტორიის კონკრეტული პერიოდის ცოდნის გარდა, მოსწავლეს შესძენს ზოგად და საზოგადოებრივ მეცნიერებებისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ უნარ-ჩვევებს.

Don't copy

ზოგადი უნარ-ჩვევებია:

- პრობლემის გააზრება და კავშირების დადგენა;
- ინფორმაციის მოპოვება და ამ ინფორმაციის გაანალიზება;
- კვლევა;
- კომუნიკაციის და თანამშრომლობის უნარი;
- შემოქმედებითი უნარი

სპეციფიკური უნარ-ჩვევებია:

- ისტორიული დროის გაგება და ეპოქის განცდა;
- ისტორიული რუკების, ვიზუალური წყაროების (პლაკატი, ფოტო, ნახატი, კარიკატურა და ა. შ.) ანალიზის უნარი;
- ქრონოლიგიური და ტიპოლოგიური დიაგრამების, ცხრილების შექმნის უნარი
- საკუთარი ქვეყნის კულტურულ მემკვიდრეობაზე პასუხისმგებლობის და ზრუნვისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები.

ჩვენ მიერ შექმნილი სახელმძღვანელო თავის წვლილს შეიტანს ეროვნული სასწავლო გეგმის მისიისა და მიზნებით გათვალისწინებული უნარებისა და ღირებულებების განვითარებასა და ჩამოყალიბებაში. ის გადის იმ შედეგებზე, რომლებსაც ესგ-ს საშუალო საფეხურის ისტორიის სტანდარტი მოითხოვს. სახელმძღვანელოს პარაგრაფები ისეა აგებული, რომ გაკვეთილი ჩატარდეს ინტერაქტიულად. ის ითვალისწინებს მრავალფეროვან მეთოდიკურ ორიენტირებს. ცნობილია, რომ ისტორიის სწავლა-სწავლება უნდა წარიმართოს შემდეგი პრინციპების დაცვით: სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა მოტივირებასა და შინაგანი ძალების გააქტიურებას, ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებას, სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლას); სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს. როგორ ზემოთ აღვნიშნეთ, სასწავლო თემის ასაგებად უმთავრესი ორიენტირებია სტანდარტის შედეგები. ისინი სტანდარტში სავალდებულო სახითაა განსაზღვრული. ცნებებსა და შედეგებზე დაყრდნობით განისაზღვრება მკვიდრი წარმოდგენები, საკვანძო კითხვები და შეფასების ინდიკატორები. სასწავლო თემის სწავლა-სწავლების მიზნით განსაზღვრულია საგნობრივი საკითხები, რესურსები, დავალებების ტიპები/ნიმუშები გაგების, გააზრების, განმტკიცებისა და შეჯამების მიზნით. თითოეული თემის პარაგრაფები ისეა აგებული, რომ უპასუხოს საკვანძო შეკითხვებს:

ა) საიდან ვიცით, რომ წარსულში ყველაფერი მართლაც ისე ხდებოდა, როგორც ამას ისტორიკოსები გადმოგვცემენ?

ბ) როგორ უნდა გავარკვიოთ, რა მოხდა სინამდვილეში, როდესაც სხვადასხვა წყარო ერთმანეთისგან განსხვავებულ ინფორმაციას გვაწვდის? რომელი ისტორიული წყარო იმსახურებს ნდობას?

გ) რატომ იცვლება ყველაფერი (ყოფა-ცხოვრება, ტექნოლოგიები, ტრადიციები, ღირებულება/დამოკიდებულებები) ჩვენ გარშემო?

Don't copy

დ) რატომ არის ცვალებადობა ისტორიის განუყოფელი ნაწილი? რატომ განსხვავდება ისტორიული ეპოქები ერთმანეთისგან?

ე) რატომ უნდა გავითვალისწინო ფაქტების, მოვლენებისა და პროცესების შეფასებისას ისტორიული გარემო (კონტექსტი), რომელსაც ისინი უკავშირდება?

ვ) როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები საქართველოში სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში (როგორი იყო მათი ყოფა, ყოველდღიური ცხოვრება, მსოფლმხედველობა)?

ზ) რატომ უნდა ვსწავლობდე საკუთარი ქვეყნისა და მსოფლიოს ისტორიას?

თ) როგორ ვისწავლო ისტორია?

ასევე მნიშვნელოვანია, რომ ყოველ თემას თან ახლავს შემაჯამებელი კომპლექსური დავალებები, რადგან მხოლოდ კომპლექსური დავალებების საშუალებით შეიძლება გამოვლინდეს, რამდენად დაეუფლა მოსწავლე თემის ფარგლებში ასათვისებელ ცოდნა-უნართა ერთობლიობას და რამდენად ახერხებს მათ ფუნქციურად გამოყენებას. ყველაფერ ზემოთ თქმულთან ერთად, უნდა აღვნიშნოთ, რომ მასაწვლებლის წიგნში შეძლებისდაგვარად განმარტებულია სწავლების სხვადასხვა მეთოდები და სტრატეგიები. ჩვენი სახელმძღვანელოს, ასევე, მოსწავლის და მასწავლებლის წიგნების ძირითად კონცეპტუალურ მიმართულებად სწორედ ის მიგვაჩნია, რომ ნებისმიერ მასწავლებელს საშუალებას მისცემს, სწავლების დროს ჩაატაროს ინტერაქტიული გაკვეთილი და იმავდროულად, მეთოდიკის შერჩევისას თავისუფალი იყოს არჩევანში.

Don't copy

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის უკეთ გასააზრებლად

სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვისა და წარმართვისათვის მასწავლებელს ოთხ შეკითხვაზე სჭირდება მკაფიო პასუხი:

1. რა მიზნით ვასწავლი? (სწავლა-სწავლების მიზნები)
2. რა მასალაზე დაყრდნობით ვასწავლი? (სასწავლო საკითხები და რესურსები)
3. როგორ ვასწავლი? (სწავლა-სწავლების მეთოდები და სტრატეგიები)
4. როგორ ვაფასებ მოსწავლეების მიღწევებს? (შეფასება)

ამ კითხვებზე პასუხისთვის, მნიშვნელოვნია, გავეცნოთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების საფუძველზე ჩამოყალიბებულ სასწავლო კურიკულუმს და მასში ასახულ თემატურ მატრიცებს.

რა არის სასწავლო კურიკულუმი?

სასწავლო კურიკულუმი არის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს, რა საგნობრივ საკითხებს, დავალებებს, თემებს, ფორმალური და არაფორმალური განათლების აქტივობებს, ძირითად და დამატებით რესურსებს, შეფასების ინსტრუმენტებს სთავაზობს საგანმანათლებლო დაწესებულება საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის/ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. მასწავლებლის წიგნში მოცემულია სასწავლო კურიკულუმის ნიმუში, რომელიც დახმარებას გაუწევს პედაგოგებს.

ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში სასწავლო კურიკულუმი განიხილება მთავარ საშუალებად:

- სწავლა-სწავლების ხარისხის ასამაღლებლად;
- სასკოლო საზოგადოების ერთიან გუნდად ჩამოსაყალიბებლად;
- სასკოლო კულტურის გარდასაქმნელად;
- ტექნოლოგიების დასანერგად.

სასწავლო კურიკულუმები შედგება თემატური მატრიცებისგან. თემატური მატრიცა სახელმძღვანელოში არსებული თემების მიხედვით განაწილებულ დავალებათა ერთობლიობაა. XI კლასის სახელმძღვანელოში წარმოდგენილია თემები:

თემა I – განვითარებული შუა საუკუნეები საქართველოში
თემა II – საქართველო XV-XVIII საუკუნეებში
თემა III – საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში

ამ თემებზე მომზადებული დავალებების ერთობლიობა ქმნის თემატურ მატრიცებს, ხოლო თემების მიხედვით შექმნილი თემატური მატრიცა – სასწავლო კურიკულუმს.

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების საფუძველზე სასწავლო კურიკულუმის ასაგებად და განსავითარებლად საჭიროა 4 ძირითადი კომპონენტის გააზრება.

1. გრძელვადიანი მიზნების საფუძველზე შუალედური სასწავლო მიზნების (ანუ კომპლექსური დავალების პირობის) ჩამოყალიბება;
2. კომპლექსურ დავალებაზე ორიენტირებით სწავლა-სწავლების მიღწევების შეფასება;
3. კომპლექსურ დავალებაზე ორიენტირებით სწავლა-სწავლების პროცესის წარმართვა;
4. სასწავლო კურიკულუმის სსსმ მოსწავლეებისათვის ადაპტირება.

Don't copy

გრძელვადიანი მიზნების საფუძველზე შუალედური სასწავლო მიზნების (კომპლექსური დავალებების) ჩამოყალიბება.

კურიკულუმი თავისი ბუნებით მიზანზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამაა. შესაბამისად, მისი აგებისა და განვითარებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების იერარქიაში გარკვევას.

ა) გრძელვადიანი მიზნები;

ბ) მოკლევადიანი/ შუალედური მიზნები.

გრძელვადიანი მიზნები

გრძელვადიან მიზნებზე მსჯელობისას, მნიშვნელოვანია, ერთმანეთისგან გაიმიჯნოს ოთხი კომპონენტი:

1) ეროვნული სასწავლო გეგმის მისია და მიზნები;

2) საფეხურის შედეგები და სამიზნე ცნებები;

3) სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები და შეფასების კრიტერიუმები;

4) ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტული თემები.

- **ეროვნული სასწავლო გეგმის მისია და მიზნები** – ეროვნული სასწავლო გეგმა განსაზღვრავს ზოგად უნარებსა და ღირებულებებს, რომელთა შეძენა-განვითარებასაც ემსახურება საგანი. მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაში, რომელიც ცნებების პედაგოგიკას ეყრდნობა, ეს ზოგადი კომპონენტები გარდაქმნილია მაკროცნებებად.
- **საფეხურის შედეგები და სამიზნე ცნებები** – მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ზოგადი კომპეტენციები/მაკროცნებები არ მუშავდება საგნობრივი კონტექსტებისაგან იზოლირებულად, სწავლა-სწავლების პროცესში ყველაზე მეტად ხელშესახებ სიმიზნე ორიენტირად მოიაზრება საფეხურის საგნობრივი შედეგები და სამიზნე ცნებები.
- **სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები და შეფასების კრიტერიუმები** – ეროვნულ სასწავლო გეგმაში განსაზღვრული საფეხურის შედეგები და სამიზნე ცნებები ზოგადი ორიენტირებია. კურიკულუმის ასაგებად მათი კიდევ უფრო მეტად დაკონკრეტებაა საჭირო. დაკონკრეტებისათვის გამოიყენება ორი ინსტრუმენტი – მკვიდრი წარმოდგენები და შეფასების ზოგადი კრიტერიუმები, რომლებიც ერთმანეთთან მკაცრ თანხვედრაში უნდა იყოს.
- **მკვიდრი წარმოდგენა** – არის სტრუქტურული ერთეული, რომელიც შემოსაზღვრავს ცნების მოცულობას და აზუსტებს, რა უნდა ჰქონდეს მოსწავლეს გაცნობიერებული ამ ცნებასთან მიმართებით საფეხურის ბოლოს. ისინი ფორმულირდება სათაურის ქვეშ: „მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ...“.

Don't copy

მაგალითი თვალსაჩინოებისთვის:

სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები **სამიზნე ცნება:** ისტორიული წყარო (ისტ.საშ.1,2,4,5)
მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:
• ინფორმაციას წარსულის შესახებ ისტორიკოსები წყაროებიდან იღებენ; • წარსულის შესწავლისას ისტორიკოსები სხვადასხვა ტიპის წყაროებს (ნივთიერს, ეთნოგრაფიულს, წერილობითს, ლინგვისტურს, კინო-, ფოტო-, ფონოდოკუმენტებს) ეყრდნობიან; • ყველა წყარო ერთნაირად სანდო არ არის; • წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია არაერთმნიშვნელოვანია, ამიტომ მათი ინტერპრეტაცია ისტორიკოსებს შორის დისკუსიის საგანია.
სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები **სამიზნე ცნება**: დრო (ისტორიული პერიოდი) (ისტ.საშ. 1,2,3,4,5,6)
მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:
• ისტორია დროში მიმდინარე ცვალებადობის შემსწავლელი დარგია; • კაცობრიობის მიერ განვლილი გზა სხვადასხვა ისტორიულ ეპოქად და პერიოდად იყოფა; • სხვადასხვა ხალხს დროის აღრიცხვის განსხვავებული სისტემები ჰქონდა.

შეფასების კრიტერიუმები – არის სტრუქტურული ერთეული, რომელიც განსაზღვრავს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ სამიზნე ცნებასთან მიმართებით. იგი ფორმულირდება სათაურის ქვეშ: „ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე“. მკვიდრი წარმოდგენები და შეფასების კრიტერიუმები ზუსტად თანხვდება ერთმანეთს.

სამიზნე ცნება „დრო“ და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	**კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები**
მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:	**კომპლექსურ დავალებაში/დავალების პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:**
• ინფორმაციას წარსულის შესახებ ისტორიკოსები წყაროებიდან იღებენ;	• რამდენად მრავალფეროვანია ეპოქის ამსახველი წყაროები და რა ინფორმაციას გვაწვდის ისინი? **(წყარო: მ. წ. 1,2.)**
• წარსულის შესწავლისას ისტორიკოსები სხვადასხვა ტიპის წყაროებს (ნივთიერს, ეთნოგრაფიულს, წერილობითს, ლინგვისტურს, კინო-, ფოტო-, ფონოდოკუმენტებს) ეყრდნობიან;	
• ყველა წყარო ერთნაირად სანდო არ არის;	• როგორ იცვლებოდა ქართველი მონარქების პოლიტიკა საუკუნეების განმავლობაში და რამდენად სანდო ან წინააღმდეგობრივია მათ შესახებ არსებული ცნობები? **(დრო: მ. წ. 1. წყარო: მ. წ. 3,4)**
• წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია არაერთმნიშვნელოვანია, ამიტომ მათი ინტერპრეტაცია ისტორიკოსებს შორის დისკუსიის საგანია;	
• ისტორია დროში მიმდინარე ცვალებადობის შემსწავლელი დარგია;	
• კაცობრიობის მიერ განვლილი გზა სხვადასხვა ისტორიულ ეპოქებად და პერიოდებად იყოფა;	• საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით, რა ეტაპებად შეიძლება დაიყოს ამ პერიოდის საქართველოს ისტორია? **(დრო: მ. წ. 2)**
• სხვადასხვა ხალხს დროის აღრიცხვის განსხვავებული სისტემები ჰქონდა.	• რა იყო დროის აღრიცხვა ქრონიკონით და როგორ გამოიყენებოდა ის? **(დრო: მ. წ. 3)**

Don't copy

მოკლევადიანი მიზნები

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, შუალედური სასწავლო მიზნის სტატუსი კომპლექსურ დავალებას აქვს მინიჭებული. კომპლექსური დავალება შემოქმედებითი პროდუქტია (მაგალითად: კომიქსი, მოთხრობა, ვიდეორგოლი, პლაკატი და სხვ.), რომელსაც ქმნის მოსწავლე და რომლის საშუალებითაც საკუთარ ცოდნას ადასტურებს საგნობრივ საკითხებთან/შესასწავლ მასალასთან მიმართებით (მაგალითად, ადასტურებს, როგორ გაიგო ტექსტის შინაარსი, ამა თუ იმ ბუნებრივი მოვლენის არსი და სხვ.).

რა არის საჭირო იმისთვის, რომ კომპლექსურმა დავალებამ შუალედური სასწავლო მიზნის როლი შეასრულოს?

- მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული კონკრეტული (და არა ზოგადი) საკითხი, რომლის შესწავლასაც კომპლექსური დავალება ემსახურება;
- მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც მოსწავლემ კომპლექსური დავალების ფარგლებში უნდა შექმნას;
- კომპლექსურ დავალებას უნდა ახლდეს შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც მას სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებისკენ (ანუ გრძელვადიანი მიზნობრივი ორიენტირებისკენ) მიმართავს.

ამ ნიუანსების ასახსნელად გამოვიყენებთ ცხრილს, რომელიც გზადაგზა ივსება და მაგალითების სახით წარმოაჩენს კომპლექსური დავალების პირობის შექმნის პროცესს. როგორც აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანია, მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული კონკრეტული საკითხი, რომლის შესწავლასაც კომპლექსური დავალება ემსახურება. მაგალითად, კონკრეტულ საკითხად შეგვიძლია მოვიაზროთ „მმართველობა და საზოგადოება განვითარებული შუა საუკუნეების საუკუნეების საქართველოში“.

კონკრეტული საგნობრივი საკითხი

თემა – **სამიზნე ცნება –** **ქვეცნება** **სამიზნე ცნება –** **ქვეცნება –**
საკითხი –საქართველო 1014-1223 წლებში **საკვანძო შეკითხვა** – **კომპლექსური დავალება**

თუმცა ამ ტიპის კონკრეტული საკითხების გამოყოფა ადვილი არ არის. პრაქტიკაში ტიპური 2 სახის შეცდომაა:

1) ქვეცნებებისა და საკითხის ერთმანეთში არევა;
2) ზოგადი და კონკრეტული საკითხების ერთმანეთში არევა.

Don't copy

სამიზნე ცნება	**ქვეცნება**	**საკითხი**
წყარო		
დრო		

პირველ სვეტში მოცემულია სამიზნე ცნება, რომლის გასააქტიურებლადაც უნდა შეირჩეს საგნობრივი საკითხი. მეორე სვეტში წარმოდგენილია ქვეცნებები, რომლებიც უფრო მეტად აკონკრეტებს სამიზნე ცნებას და რომელთა გამოყენებითაც უნდა მოხდეს სამიზნე ცნების აქტუალიზება (ანუ მოსწავლემ გაკვეთილზე უნდა იმსჯელოს წყაროების ტიპზე და მათში წარმოდგენილ სხვადასხვა თვალსაზრისზე და არა ზოგადად ცნება „წყაროს“ ფენომენზე). მესამე სვეტში მოცემულია ცხრილი, რომელშიც წარმოდგენილია სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების შესაბამისი საკითხების ნიმუში, რომლებზე დაყრდნობითაც მასწავლებელმა უნდა შექმნას კომპლექსური დავალება. ეს ცხრილი მასწავლებელს იმის აღქმაში დაეხმარება, თუ საიდან გამომდინარეობს საგნობრივი საკითხი. აღსანიშნავია, რომ პირველი და მეორე სვეტები მყარი მოცემულობაა, მესამე სვეტში კი საკითხი მხოლოდ მაგალითის სახით არის დასახელებული.

ეროვნული სასწავლო გეგმის სავალდებულო მოთხოვნაა სასწავლო პროცესის დაგეგმვა თემების მიხედვით.

სავალდებულო თემა

თემა – განვითარებული შუა საუკუნეები საქართველოში **სამიზნე ცნება** – **ქვეცნება** **სამიზნე ცნება** – **ქვეცნება** –
საკითხი – **საკვანძო შეკითხვა** – **კომპლექსური დავალება**

Don't copy

კომპლექსური დავალების ფარგლებში მოსწავლემ უნდა შექმნას კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომლის საშუალებითაც იგი ცხოვრებისეულ კონტექსტში ცოდნის ტრანსფერს გააკეთებს და შესასწავლ საკითხთან მიმართებით საკუთარ ცოდნას წარმოაჩენს. მაგალითად, ქვემოთ მოცემული კომპლექსური დავალების შემთხვევაში შემოქმედებითი პროდუქტია მატიანე.

კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი

თემა – განვითარებული შუა საუკუნეები საქართველოში **სამიზნე ცნება –** **ქვეცნება** **სამიზნე ცნება –** **ქვეცნება –**
საკითხი – საქართველო 1014-1223 წლებში **საკვანძო შეკითხვა** – **კომპლექსური დავალება** წარმოიდგინე, რომ XIII საუკუნის ისტორიკოსი ხარ, რომელიც იკვლევს საქართველოს ისტორიას მე-11 საუკუნის დამდეგიდან მე-13 საუკუნის პირველი მეოთხედის ჩათვლით. გადაწყვიტე, რომ დაწერო ისტორიული მატიანე, რომელშიც ამ ეპოქის ისტორიულ რეალობას ასახავ.

კომპლექსური დავალება ორიენტირებული უნდა იყოს გრძელვადიან მიზნებზე – მკაფიოდ უნდა განსაზღვროს გრძელვადიანი მიზანი, რომლის დაძლევა/გააზრებასაც მოსწავლის მხრიდან საგნობრივი საკითხის შესწავლა ემსახურება (ანუ პასუხი უნდა გაეცეს შეკითხვას: რატომ ვასწავლით ამ საკითხის შესახებ მოსწავლეს?). ეროვნულ სასწავლო გეგმაში გრძელვადიანი მიზნები საფეხურის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახითაა ჩამოყალიბებული. ცნების მკვიდრი წარმოდგენები კომპლექსურ დავალებაში ასახულია კრიტერიუმების სახით.

სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები **<u>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:</u>**	**შეფასების კრიტერიუმი** **<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>**	**<u>ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:</u>**

Don't copy

სამიზნე ცნება – ისტორიული წყარო (ისტ.საშ.1,2,4,5) • ინფორმაციას წარსულის შესახებ ისტორიკოსები წყაროებიდან იღებენ; • წარსულის შესწავლისას ისტორიკოსები სხვადასხვა ტიპის წყაროებს (ნივთიერს, ეთნოგრაფიულს, წერილობითს, ლინგვისტურს, კინო-, ფოტო-, ფონოდოკუმენტებს) ეყრდნობიან; • ყველა წყარო ერთნაირად სანდო არ არის; • წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია არაერთმნიშვნელოვანია, ამიტომ მათი ინტერპრეტაცია ისტორიკოსებს შორის დისკუსიის საგანია. **სამიზნე ცნება – დრო (ისტორიული პერიოდი) (ისტ. საშ. 1,2,3,4,5,6)** • ისტორია დროში მიმდინარე ცვალებადობის შემსწავლელი დარგია; • კაცობრიობის მიერ განვლილი გზა სხვადასხვა ისტორიულ ეპოქად და პერიოდად იყოფა; • სხვადასხვა ხალხს დროის აღრიცხვის განსხვავებული სისტემები ჰქონდა.		**მატიანეში ხაზგასმით წარმოაჩინე:** • რამდენად მრავალფეროვანია ეპოქის ამსახველი წყაროები და რა ინფორმაციას გვაწვდის ისინი? (წყარო: მ. წ. 1,2) • როგორ იცვლებოდა ქართველი მონარქების პოლიტიკა საუკუნეების განმავლობაში და რამდენად სანდო ან წინააღმდეგობრივია მათ შესახებ არსებული ცნობები? (დრო: მ. წ. 1. წყარო: მ. წ. 3,4) • საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით, რა ეტაპებად შეიძლება დაიყოს ამ პერიოდის საქართველოს ისტორია? (დრო: მ. წ. 2) • რა იყო დროის აღრიცხვა ქორონიკონით და როგორ გამოიყენებოდა ის? (დრო: მ. წ. 3)

შეფასების კრიტერიუმები

მატრიცის არსის უკეთ გასააზრებელად

თემატური მატრიცა შედგება ორი ჰორიზონტალური და სამი ვერტიკალური სვეტისგან. პირველ ჰორიზონტალურ სვეტში ვწერთ თემას, სამიზნე ცნებას, ცნების შედეგებსა და ქვეცნებებს.

- **ქვეცნება** – სამიზნე ცნების დაკონკრეტებაა თემასთან/საკითხთან მიმართებით. მაგ., მოსწავლემ უნდა იმსჯელოს შუა საუკუნეებზე და არა მხოლოდ წყაროებიდან (მაგალითად, წერილი, ქრონიკა) მიღებულ ინფორმაციაზე.

თემა –
სამიზნე ცნება – ისტორიული წყარო (ისტ.საშ.1,2,4,5)
ქვეცნება – მატიანე, წერილი, ქრონიკა, ისტორიული თხზულება
სამიზნე ცნება – დრო (ისტორიული პერიოდი) (ისტ.საშ. 1,2,3,4,5,6)
ქვეცნება – ქორონიკონი, „დასაბამითგან“, ქრისტეშობით

Don't copy

თემატური მატრიცის შემდეგი ჰორიზონტალურ სვეტში წარმოდგენილია საკითხი, საკვანძო შეკითხვა და კომპლექსური დავალების პირობა.

- **საგნობრივი საკითხი/საკითხები** – თემის ფარგლებში სამიზნე ცნების გასააქტიურებლად გამოიყენება;
- **ქვესაკითხი** – საკითხების დამუშავებისას მნიშვნელოვანია, დამუშავდეს ქვესაკითხებიც. ქვესაკითხები, შეგვიძლია, მოვიაზროთ ნაწილების ერთობლიობად, რომელიც ერთ რომელიმე კონკრეტულ საკითხს შეადგენს. მაგ., პირველი კომპლექსური დავალების საკითხია „საქართველო 1014-1223 წლებში“, რომლის ქვესაკითხებად შეგვიძლია წარმოვადგინოთ: „დავით აღმაშენებლის რეფორმები. ბრძოლა თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ“, „დავით აღმაშენებლის მემკვიდრეები: დემეტრე I, გიორგი II“, „თამარი თანამოსაყდრეობიდან ერთპიროვნულ ძალაუფლებამდე“. ეს საკითხები სახელმძღვანელოში განხილულია კონკრეტულ პარაგრაფებში. თითოეული ქვესაკითხი კურიკულუმის განსხვავებულად დაგეგმვის შემთხვევაში შეიძლება თავად იყოს მთავარი საკითხი.
- **საკვანძო კითხვა** – იძლევა საკითხის გააზრების შემდეგ ცოდნის შემოწმების საშუალებას. კითხვაში უნდა ჩანდეს საგნობრივი საკითხი, ცნება და საგნობრივი საკითხის დამუშავების პროცესში შექმნილი პროდუქტი.

საკითხი – საქართველო 1014-1223 წლებში

საკვანძო შეკითხვა – „როგორ წარმოვაჩინოთ ისტორიული მატიანის საშუალებით 1014-1223 წწ. საქართველოს მონარქების პოლიტიკის ცვალებადობა, საგარეო პოლიტიკური ვითარების კონტექსტში და ის ისტორიული წყაროები, რომლებიც ამ ამბების შესახებ მოგვითხრობს?“

კომპლექსური დავალება

წარმოიდგინე, რომ XIII საუკუნის ისტორიკოსი ხარ, რომელიც იკვლევს საქართველოს ისტორიას მე-11 საუკუნის დამდეგიდან მე-13 საუკუნის პირველი მეოთხედის ჩათვლით. გადაწყვიტე, რომ დაწერო ისტორიული მატიანე, რომელშიც ამ ეპოქის ისტორიულ რეალობას ასახავ.

მატრიცის შემდეგი ბლოკი იყოფა სამ ჰორიზონტალურ სვეტად, რომლებშიც წარმოდგენილია: სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები, ზოგადი შეფასების კრიტერიუმები, თუ რა ცოდნა შეიძინა მოსწავლემ ცნებასთან მიმართებით და როგორ ფლობს მას და ნაშრომში წარმოსაჩენი კრიტერიუმები, რომლებიც ზუსტად თანხვდება ცნების მკვიდრ წარმოდგენებს.

სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	**შეფასების რიტერიუმი**	**ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:**
მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:	**მოსწავლეს შეუძლია:**	

Don't copy

კომპლექსური დავალების შესრულების ეტაპები

თემატური მატრიცის შემდეგი ნაწილი ეთმობა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას და პასუხობს შეკითხვას: რას ვაკეთებ მე, როგორც მასწავლებელი, იმისთვის, რომ ჩემმა მოსწავლეებმა კომპლექსური დავალება შეასრულონ. აქ გამოიყოფა ორი ეტაპი.

პირველი ეტაპი – მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა: იწერება აქტივობები, რომლებიც მასწავლებელმა განახორციელა ან უნდა განახორციელოს იმისთვის, რომ მოსწავლეებს გაეგოთ/გაიგონ, რა ევალებათ კომპლექსური დავალების ფარგლებში (მოსწავლემ ეს თუ მკაფიოდ ვერ გაიგო, მისი ჩართულობა სასწავლო პროცესში სათანადო ვერ იქნება).

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 6-114

კომპლექსური დავალების შესრულების ეტაპები

ეტაპი I. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა
კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები

სარეკომენდაციო აქტივობა:
მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს რესურსს და დაფაზე წერს: „ისტორიული მატიანე“. მოსწავლეები აყალიბებენ მოსაზრებებს პროდუქტთან დაკავშირებით, რის შემდეგაც მასწავლებელი ჯერ კითხვა-პასუხის, ხოლო შემდეგ მინილექციის მეთოდით აცნობს მოსწავლეებს ინფორმაციას მატიანის შესახებ.

რესურსი: ისტორია, X კლასი - ისტორიული თხზულება #ტელესკოლა - YouTube
მატიანე - ვიკიპედია (wikipedia.org)

მატიანე – საისტორიო ჩანაწერთა კრებულის სახელწოდება ძველ საქართველოში. არსებობდა საეკლესიო მატიანეები. გვიან შუა საუკუნეებში მრავალფეროვანი დანიშნულებით იყენებდნენ და ყოველი სახის საისტორიო თხზულებას უწოდებდნენ.

შეკითხვები:
- რა არის მატიანე?
- რა მახასიათებლები აქვს მატიანეს?
- როდის და რატომ იქმნებოდა მატიანე?
- რა განასახვავებს მატიანეს სხვა ტიპის ისტორიული შრომებისაგან, მაგალითად, ქრონიკებისგან?
- როგორია მატიანის სტრუქტურა?
- გაქვთ თუ მსგავსი ტიპის ისტორიულ ნაშრომთან/ნაშრომზე მუშაობის გამოცდილება?
- როგორ დავწეროთ მატიანე?
- რა ეტაპები უნდა გაიარო მატიანის შესაქმნელად?

კომპლექსური დავალება
- თქვენი სიტყვებით ჩამოაყალიბეთ, რას შეეხება დღეს მოცემული დავალება, რომელზეც რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში უნდა იმუშაოთ.
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?

Don't copy

მეორე ეტაპი – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა: იწერება კრიტერიუმები, შეკითხვები და რესურსები, რომლებიც შეიძლება მასწავლებელმა გამოიყენოს შესასწავლი საკითხის დამუშავების პროცესში. კომპლექსური დავალების თითოეული კრიტერიუმის დასამუშავებლად მეორე ეტაპზე მასწავლებელი ახორციელებს აქტივობებს ცოდნის სამი კატეგორიის მიხედვით. ეს ხელს შეუწყობს მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირების პროცესს. საკითხის გააზრებას, რის მიხედვითაც ცოდნას ასახავს შემოქმედებითი პროდუქტის ფორმაში.

ეტაპი II. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ქვესაკითხი:

- გიორგი I-ის დაპირისპირება ბიზანტიასთან;
- ბაგრატ IV-ისა და ლიპარიტ ბაღვაშის დაპირისპირება.

ქვეცნება: მატიანე, ქრონიკა, ისტორიული თხზულება, ქრისტეშობიდან.

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 6-16

ნაბიჯი 1

- რამდენად მრავალფეროვანია ეპოქის ამსახველი წყაროები და რა ინფორმაციას გვაწვდის ისინი? (წყარო: მ. წ. 1,2)
- როგორ იცვლებოდა ქართველი მონარქების პოლიტიკა საუკუნეების განმავლობაში და რამდენად სანდო ან წინააღმდეგობრივია მათ შესახებ არსებული ცნობები? (დრო: მ. წ. 1. წყარო: მ. წ. 3,4)
- საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით, რა ეტაპებად შეიძლება დაიყოს ამ პერიოდის საქართველოს ისტორია? (დრო: მ. წ. 2)

სასწავლო სტრატეგიები/მეთოდები, რომლებიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:
შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, ტექსტის ანალიზი, დისკუსია.

სარეკომენდაციო აქტივობა:

ამ კრიტერიუმების დამუშავების პროცესში მასწავლებელს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს საკითხზე მუშაობა (გვ. 6-7). მოსწავლეები იმუშავებენ ტექსტსა და წყაროებზე, გაეცნობიან და გააანალიზებენ საქართველო-ბიზანტიის დაპირისპირების მიზეზებს გიორგი I-ს მმართველობის პერიოდში, დააკვირდებიან რუკებზე გადმოცემულ ინფორმაციას სადავო ტერიტორიულ პრობლემებთან დაკავშირებით, უპასუხებენ შეკითხვებს.

- გაიხსენე წინა წელს გავლილი მასალა. რატომ უანდერძა დავით III კურაპალატმა ბიზანტიას თავისი საგამგებლო ტერიტორია და რატომ ვერ მოახერხა მისმა მემკვიდრემ, ბაგრატ III-მ, ამ მიწების დაბრუნება?
- რატომ იმოქმედა ახლო აღმოსავლეთში ვითარების შეცვლამ საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე და მისი საზღვრების ცვლილებაზე: დააკვირდი რუკა 1-ს – რამდენი პოლიტიკური ერთეულია საქართველოს ტერიტორიაზე?
- შენი აზრით, ბიზანტია-ბულგარეთის ომის რომელი ეპიზოდებია გამოსახული მინიატიურაზე? (სურ. 1)
- როგორ წარმოვაჩინო მატიანეში ბიზანტია-საქართველოს დაპირისპირების მიზეზები XI საუკუნის I მეოთხედში?

Don't copy

ცნებები და მათი მკვდირი წარმოდგენები

სამიზნე ცნება	სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული შეფასების კრიტერიუმები
ისტორიული წყარო **(ისტ. საბ.1,2,4,5)**	ინფორმაციას წარსულის შესახებ ისტორიკოსები წყაროებიდან იღებენ; წარსულის შესწავლისას ისტორიკოსები სხვადასხვა ტიპის წყაროებს (ნივთიერი, ეთნოგრაფიული, წერილობითი, ლინგვისტური, კინო-ფოტო-ფონოდოკუმენტები) ეყრდნობიან; ყველა წყარო ერთნაირად სანდო არ არის. წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია არაერთმნიშვნელოვანია, ამიტომ მათი ინტერპრეტაცია ისტორიკოსებს შორის დისკუსიის საგანია.	**მოსწავლეს შეუძლია:** • იმსჯელოს რა ტიპის წყაროებიდან გვაქვს ინფორმაცია ამა თუ იმ ისტორიული ფაქტის/მოვლენის/პროცესის შესახებ; • შეაფასოს რამდენად სანდოა მოცემული წყარო / წყაროები? • გაანალიზოს რა საკითხებთან დაკავშირებით შეიძლება არსებობდეს აზრთა სხვადასხვაობა მოცემული წყაროს ინტერპრეტაციისას.
დრო **(ისტორიული პერიოდი) (ისტ. საბ.1,2,3,4,5,6)**	ისტორია დროში მიმდინარე ცვალებადობის შემსწავლელი დარგია; კაცობრიობის მიერ განვლილი გზა სხვადასხვა ისტორიულ ეპოქებად და პერიოდებად იყოფა; სხვადასხვა ხალხებს დროის აღრიცხვის განსხვავებული სისტემები ჰქონდათ.	**მოსწავლეს შეუძლია:** • შესწავლის ობიექტად შერჩეული ისტორიული პერიოდის მახასიათებლების გამოკვეთა და სხვა ისტორიულ ეპოქებთან/პერიოდებთან მიმართების ჩვენება; • აღწეროს როგორ აღრიცხავდნენ დროს და იმსჯელოს, როგორ აღიქვამდნენ საკუთარ ეპოქას შესწავლის ობიექტად შერჩეულ დროში მცხოვრები ადამიანები.
სივრცე **(გარემო, ტერიტორია) (ისტ. საბ.1,2,3,4,5,6)**	გეოგრაფიული გარემო და გეოგრაფიული ცოდნა გავლენას ახდენს ადამიანთა საზოგადოების განვითარებაზე; კომუნიკაციის სიხშირე დიდი/მცირე ზომის სოციალურ-კულტურული სივრცეების ჩამოყალიბებას განაპირობებს; კონკრეტულ ისტორიულ-გეოგრაფიულ არეალებს გარკვეული ეკონომიკური, სტრატეგიული და კულტურული მნიშვნელობა აქვთ.	**მოსწავლეს შეუძლია:** • მსჯელობა გეოგრაფიული გარემოსა და გეოგრაფიული ცოდნის გავლენის შესახებ ადამიანთა საზოგადოების განვითარებაზე • დიდი და მცირე სოციალურ-კულტურული სივრცეების ჩამოყალიბების მიზეზების ანალიზი • კონკრეტული ისტორიულ-გეოგრაფიული არეალების და მათი ეკონომიკური, სტრატეგიული და კულტურული მნიშვნელობის განსაზღვრ

Do not copy

საზოგადოება **(ისტ.საბ..1,2,3, 4,5,6)**	ისტორიულად მრავალი საზოგადოება არსებობდა, მაგრამ თითოეულ მათგანს ახასიათებდა საერთო ნიშნები: მათ წევრებს ჰქონდათ საერთო იდენტობა, ინტერესი, საზრუნავი და თანხმდებოდნენ ქცევის წესებსა და ღირებულებებზე;	**მოსწავლეს შეუძლია:** • გააანალიზოს, შესწავლის ობიექტად შერჩეული პერიოდის ადამიანების იდენტობის საშუალებები, საერთო ინტერესები და საზრუნავი • იმსჯელოს რომელი სოციალური ფენებისგან შედგებოდა შესწავლის ობიექტად შერჩეული პერიოდის საზოგადოება • გააანალიზოს როგორი დამოკიდებულება ჰქონდა შესწავლის ობიექტად შერჩეულ საზოგადოების წევრებს სხვა საზოგადოებების მიმართ
	საზოგადოება იყოფა უფრო მცირე საზოგადოებრივ ჯგუფებად;	
	პატარა საზოგადოებები უმეტესად უფრო დიდი საზოგადოების ნაწილს წარმოადგენენ;	
	საზოგადოების წევრებს აქვთ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება მრავალფეროვნების მიმართ.	
ძალაუფლება **(ისტ. საბ.3,4,5,6,7,8)**	ძალაუფლებისთვის ბრძოლა ისტორიის განუყოფელი ნაწილია;	**მოსწავლეს შეუძლია:** • იმსჯელოს, როგორი იყო შესწავლის ობიექტად შერჩეულ პერიოდში მმართველობის ფორმები და სტრუქტურები; • გაანალიზოს ვინ და როგორ /რა საშუალებებით იბრძოდა ძალაუფლებისთვის შესწავლის ობიექტად შერჩეულ პერიოდში.
	ძალაუფლებისთვის ბრძოლა მიმდინარეობს როგორც პიროვნებებს, ისე საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის. ბრძოლისას ისინი იყენებენ ქვეყანაში არსებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სტრუქტურებს;	
	ძალაუფლების მოპოვებისა და შენარჩუნებისთვის აუცილებელი საშუალებებია რესურსების (ფინანსები, ადამიანური რესურსები) ფლობა, სიმბოლოები იდეოლოგია;	
	ზოგან კი იგი დანაწილებულია ადამიანებს/საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის;	
	დემოკრატიულ სახელმწიფოში ძალაუფლების წყაროა ხალხი.	

Draft copy

ისტორიული მოვლენა/ პროცესი **(ისტ.საბ.3,4,5,6)**	ყველა ისტორიულ მოვლენას აქვს საკუთარი მიზეზი/მიზეზებიდა შედეგი/ შედეგები;	**მოსწავლეს შეუძლია:** • იმსჯელოს შესწავლის ობიექტად შერჩეული ისტორიული მოვლენის/პროცესის მიზეზებსა და შედეგებზე; • შეაფასოს შესწავლის ობიექტად შერჩეული ისტორიული მოვლენის/პროცესის მნიშვნელობა; • გაანალიზოს, რა გავლენა ჰქონდა შესწავლის ობიექტად შერჩეულ ისტორიულ მოვლენას შესაბამისი ეპოქის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ისტორიაზე.
	ისტორიკოსები ხშირად კამათობენ ისტორიული მოვლენების მიზეზებისა და შედეგების შესახებ;	
	ზოგიერთ ისტორიულ მოვლენას ლოკალური, ზოგს კი გლობალური მნიშვნელობა აქვს;	
	ისტორიული ფაქტები და მოვლენები ტიპოლოგიურად შეიძლება დაჯგუფდეს პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული ნიშნით.	

Don't copy

თემა 1. განვითარებული შუა საუკუნეები საქართველოში

სამიზნე ცნება	მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს რომ
დრო	• განვითარებული შუა საუკუნეები საქართველოში ერთის მხრივ ქრისტიანობისა და ისლამის დაპირისპირების, მეორეს მხრივ კი მათი ურთიერთზემოქმედების ხანაა. • საქართველოს ისტორიის პერიოდიზაცია ახლოს მიუყვება აღნიშნული ეპოქის ქრისტიანულ სამყაროში აღიარებულ ნიშნულებს, რადგან განვითარებული შუა საუკუნეების ზოგადი მახასიათებლები (სოციალურ-ეკონომიკური, მსოფლმხედველობრივი) საერთო ქრისტიანული სივრცისათვის მეტ-ნაკლებად მსგავსია. • შუა საუკუნეების პერიოდიზაცია საქართველოში ქრისტიანული მსოფლმხედველობით იყო განსაზღვრული: ადამიანები წელთაღრიცხვას „დასაბამითგან“ (უფლის მიერ სამყაროს გაჩენიდან) და ქორონიკონით ითვლიდნენ. • შუა საუკუნეების საქართველოში დღე-ღამის მონაცვლეობა მეტწილად, სამეურნეო ცხოვრებასთან იყო დაკავშირებული. • შუა საუკუნეების საქართველოში, თანამედროვე გაგებით, სააათები არ არსებობდა.
სივრცე	• განვითარებულ შუა საუკუნეებში საქართველო ერთიან, ცენტრალიზებულ სახელმწიფოს წარმოადგენდა. • განვითარებულ შუა საუკუნეებში, თურქ-სელჩუკთა და ბიზანტიური იმპერიების დაპირისპირება მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა საქართველოს პოლიტიკურ ბედზე. • თბილისის საამირო საუკუნების განმავლობაში რჩებოდა გარეშე ძალების პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული გავლენის ქვეშ. • არაბთა სახალიფოს დასუსტებამ და დაშლამ, ადრეული და განვითარებული შუა საუკუნეების მიჯნაზე ხელი შეუწყო კავკასიაში და კერძოდ, საქართველოში ბიზანტიის იმპერიის გავლენის გაზრდას. • საქართველოს სივრცე არაერთმა დამპყრობელმა დაარღვია (ბიზანტიელები თურქ-სელჩუკები, მონღოლები...), რაც პოლიტიკური სისტემის და საზღვრების ცვლილების მიზეზი გახდა. • კავკასია და საქართველო, არა მხოლოდ ქრისტიანული და მუსლიმური ცივილიზაციების არეალების გზაჯვარედინზე, არამედ ბინადარი და მომთაბარე ხალხების შეჯახების ეპიცენტრში მდებარეობდა, რაც დასტურდება როგორც პოლიტიკურ-ეკონომიკური კონტაქტებით, ასევე ისტორიოგრაფიული, არქეოლოგიური და ეპიგრაფიკული წყაროებით. • შუა საუკუნეებში „აბრეშუმის გზა“ ევროპასა და აზიას ერთმენეთთან აკავშირებდა.ამ დიდი სატრანზიტო ქსელის ზოგიერთი მარშრუტი და მონაკვეთი საქართველოზეც გადიოდა. • განვითარებულ შუა საუკუნეებში სხვა ქვეყნებთან არსებულმა სავაჭრო და პოლიტიკურმა ურთიერთობებმა საქართველოში გეოგრაფიული ცოდნა გაზარდა.

Draft copy

წყარო	• განვითარებულ შუა საუკუნეებში, საქართველოში ისტორიულ წყაროთა ძირითადი ტიპები – წერილობითი (საკანონმდებლო, მატიანე, ისტორიული თხზულება..) ეპიგრაფიკული, ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური, რელიგიური ხასიათისაა. • შუა საუკუნების საქართველოდან შემორჩენილი ქრისტიანული არტეფაქტები ეპოქის კომპლექსური რეკონსტრუქციისათვის ძვირფასი მასალა. • შუა საუკუნეების საქართველო ისტორიის რეკონსტრუქციისათვის მნიშვნელოვანია ბერძნულენოვანი (ბიზნატიიური სივრცისა) და არაბული და სომხური წყაროები, თუმცა იქმნება ორიგინალური ქართული მატიანეები, ნაშრომები და კრებულები, ასევე სამართლის ძეგლები. • შუა საუკუნეების წყაროების სანდოობის ხარისხს განაპირობებს წყაროს ტიპი დ ა ჟანრული თავისებურებები და მათი შექმნის ადგილი (სასულიერო დანიშნულების სივრცე, საერო ხელისუფლების კარი...).
საზოგადოება	• შუა საუკუნეების საქართველოს საზოგადოება სოციალურ იერარიქიას ემყარებოდა ; მაღალი სასულიერო და საერო პირები განსაკუთრებული უფლებრივი პრივილეგიებით სარგებლობდნენ. • განვითრებული შუა საუკუნეების საქართველოში ჩამოყალიბდა პატრონყმური საზოგადოება, რაც მიწის მსხვილი მესაკუთრის პოლიტიკური უფლებებით აღჭურვას გულისხმობდა. • შუა საუკუნეები საქართველოში ციხე-სიმაგრების, ციხექალაქების, ფეოდალური ომების ეპოქაა. მიუხედავად იმისა, რომ იმდროინდელ ლიტარტურაში ქალის თანასწორობა მამაკაცთან ხაზგასმულია, მისი სამართლებრივი სტატუსი და სოციალური როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში მამაკაცისას ჩამოუვარდებოდა. • განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოში საქალაქო ცხოვრება განვითარდა; პოლიტიკურმა სტაბილურობამ და ერთიანობამ, სამეურნეო-ეკონომიკურ აღმავლობას შეუწყო ხელი. • განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოში ეკონომიკურმა აღმავლობამ ფულად-სასქონლო ურთიერთობების გაძლიერება გამოიწვია. • დასავლურ და აღმოსავლურ ქრისტიანულ ეკლესიებს შორის მომხდარი დიდი საეკლესიო განხეთქილების შემდეგ („დიდი სქიზმა“), საქართველო ბიზანტიის რელიგიური გავლენის არეალში დარჩა. • განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოში იყო მონარქის ერთპიროვნული ძალაუფლების შეზღუდვის მცდელობა. • შუა საუკუნეების საქართველოში ეკონომიკის საფუძველი მიწის კერძო მფლობელსა და მიწაზე დოვლათის შემქმნელის არათანაბარ ურთიერთობებს ემყარებოდა, რაც ბატონყმური სისტემის ჩამოყალიბების საფუძველი გახდა. • ბიზანტიაში განვითარებულმა ბერძნულენოვანმა ელინურ-ელინისტურმა ცივილიზაციამ დიდი გავლენა მოახდინა განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოს კულტურულ განვითარებაზე.

Don't copy

ძალაუფლება	• განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოში მეფის ინსტიტუტმა შეძლო, რომ საერო და სასულიერო ხელისუფლება მტკიცე ერთპიროვნული ძალაუფლების ქვეშ გააერთიანებინა და საერთო ქართული მიზნებისათვის წარემართა. • საქართველოს მეზობელ ქვეყნებში გაბატონებულმა მმართველობითმა ასპექტებმა და გამოცდილებამ საქართველოს პოლიტიკურ სისტემაზეც მოახდინა გავლენა. • საქართველოს მმართველობითი აპარატის ჩამოყალიბება ხანგრძლივი პროცესი იყო, მასზე, სოციალური-კულტურულ თავისებურებებთან ერთად საგარეო პოლიტიკური ფაქტორებიც ახდენდა გავლენას. • განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოში სამეფო ძალაუფლება მამიდან შვილზე გადადიოდა. ამ წესის ცვლილება ან დარღვევა დინასტიური დაპირისპირებების და ამბოხის მიზეზი ხდებოდა. • განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოში სამეფო ხელისუფლების საყრდენის როლს ქრისტიანული რელიგია თამაშობდა, რომელიც მეფის ღვთაებრივი წარმოშობის თეორიას განამტკიცებდა • დამპყრობელი ხალხების რელიგიური პოლიტიკა (თურქ-სელჩუკები, მონღოლები...) მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ამ იმპერიების დაქვემდებარებაში მყოფი ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრებაზე.
ისტორიული მოვლენა/პროცესი	• ქართველი მეფეების პოლიტიკამ და საგარეო პოლიტიკურ არენაზე მომხდარმა ცვლილეევევმა შესაძლებელი გახადა საქართველოს ერთიან ფეოდალურ მონარქიად ჩამოყალიბება. • განვითარებული შუა საუკუნეების განმავლობაში საქართველოს მეზობლად იქმნებოდა და იშლებდოდა ძლიერი იმპერიები, რომლებიც საქართველოს ბედზე ახდენდნენ გავლენას. • ბიზანტიური „თანამეგობრობა“ აღმოსავლეთის ქრისტიან ხალხებს, მათ შორის ქართველებს, ავტორიტარი იმპერატორის დროშის ქვეშ აქცევდა. • შუა საუკუნეებში კავკასიის რეგიონი ცივილიზაციათა (მომთაბარე და ბინადარი) შეჯახების გზაჯვარედინს წარმოადგენდა, საქართველოს კულტურული ნიშა ბიზანტიურ სამყაროსთან მჭიდრო კავშირით განისაზღვრა, თუმცა XII საუკუნე პოლიტიკური და კულტურული თვალსაზრისით საქართველოს ძლიერების ხანაა, რამაც მას დამოუკიდებლად პოზიციონირების საშუალება მისცა. • განვითარებული შუა საუკუნეების პერიოდში საქართველოში შემუშავებულმა სამართლის დოკუმენტებმა სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბებას და სოციალური ურთიერთობების მოწესრიგებას შეუწყო ხელი. • საქართველოს “ოქროს ხანა” ძლიერი მტკიცე ხელისუფლებით და წარმატებული საგარეო თუ საშინაო პოლიტიკით ხასითდება, საქართველო კავკასიის რეგიონში პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული პროცესების წარმმართველ ძალად იქცა და მისი გავლენა მეზობელ რეგიონებშიც საგრძნობი იყო.

Draft copy

კლასი: XI **თემის განვითარებული შუა საუკუნეები საქართველოში** **საათების სავარაუდო რაოდენობა** **ძირითადი რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 6-113**			
სამიზნე ცნება	**საკითხი 1** საქართველო 1014-1223 წლებში	**საკითხი 2** საქართველო XIII ს.-ის 20-იანი წლებიდან XV ს.-ის 50-იან წლებამდე	**საკითხი 3** მმართველობა და საზოგადოება განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოში
ისტორიული წყარო (ისტ. საშ. 1.2.3.4.5) **დრო (ისტ. საშ. 1.2.3.4.5.6)**	**ქვესაკითხი** • ქართველი მეფეები ბიზანტიის იმპერიისა და შინააშლილობის წინააღმდეგ (გიორგი I, ბაგრატ IV); • საქართველო თურქ-სელჩუკთა შემოსევების დასაწყისიდან დასასრულამდე (ბაგრატ IV, გიორგი II, დავით აღმაშენებელი); • საქართველო დავით აღმაშენებლის მემკვიდრეების დროს (დემეტრე I-იდან თამარის გამეფებამდე); • საქართველოს „ოქროს ხანა“. კრიზისის პირველი ნიშნები (თამარი, ლაშა-გიორგი). **ქვეცნება** **სამიზნე ცნება „დრო“:** მატიანე, წერილი, ქრონიკა, ისტორიული თხზულება **სამზნე ცნება „წყარო“:** ქორონიკონი, „დასაბამითგან“, ქრისტეშობიდან		

Don't copy

ისტორიული მოვ-ლენა/პროცესი **(შედეგი: 3,4,5,6)** **სივრცე (შედეგი: 1,2,3,4,5,6)**		**ქვესაკითხი:** • საქართველოს სამეფოს დასუსტება. ორმეფობის ხანა; • საქართველო ილხანთა ბატონობის ქვეშ; • გიორგი ბრწყინვალის მიერ სახელმწიფოს ცენტრალიზაცია; • თემურლენგის შემოსევები და მისი შედეგები. **ქვეცნება:** **ისტორიული მოვლენა/პროცესი:** ორმეფობა, ზავი, ანტიმონღოლური ავჯანყება, ცენტრალიზაცია. **სივრცე:** ილხანთა საყაენო, ოქროს ურდო, ულუსი, დუმანი.	
ძალაუფლება (შე-დეგი: 3,4,5,6) **საზოგადოება (შე-დეგი: 1,2,3,4,5,6)**			**ქვესაკითხი:** • სამეფო ხელისუფლება და მმართვე-ლობის ინსტიტუტები; • საზოგადოებრივი ფენები და სწავ-ლა-განათლება; • ქალების როლი შუა საუკუნეების საქართველოში. **ქვეცნება:** **ძალაუფლება**: მონარქია, საერის-თავოები, ყმადნაფიცობა, დარბაზი **საზოგადოება:** დიდაზნაურები, აზ-ნაურები, გლეხები, რინდები, მოქა-ლაქეები, გენდერული როლი
კომპლექსური დავალება	ისტორიული მატიანის მომზადება 1014-1223 წწ. საქართველოს მონარქების საშინ-აო და საგარეო პოლიტიკის ცვალებადო-ბისა და წყაროების შესახებ, რომლებიც ამ ცვალებადობაზე მოგვითხრობენ.	ინტერვიუს მომზადება მონღოლებისა და თემურლენგის ბატონობის შედეგად საქართველოსა და კავკასიის რეგიონში გამოწვეული სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებების შესახ-ებ.	ანგარიშის მომზადება შუა საუკუ-ნეების საქართველოს სამეფო კარის, მმართველობის ინსტიტუტებისა და სოციალური ფენების შესახებ.

Don't copy

სამიზნე ცნება – ისტორიული წყარო (ისტ. საშ. 1.2.3.4.5)
ქვეცნება: მატიანე, წერილი, ქრონიკა, ისტორიული თხზულება
სამიზნე ცნება – დრო (ისტ. საშ. 1.2.3.4.5.6)
ქვეცნება: ქორონიკონი, „დასაბამითგან“, ქრისტეშობიდან

საკითხი – საქართველო 1014-1223 წლებში
საკვანძო შეკითხვა – როგორ წარმოვაჩინოთ ისტორიული მატიანის საშუალებით 1014-1223 წწ. საქართველოს მონარქების პოლიტიკის ცვალებადობა საგარეო პოლიტიკური ვითარების კონტექსტში და ის ისტორიული წყაროები, რომლებიც ამ ამბების შესახებ მოგვითხრობენ?
კომპლექსური დავალება
წარმოიდგინე, რომ XIII საუკუნის ისტორიკოსი ხარ, რომელიც იკვლევს საქართველოს ისტორიას მე-11 საუკუნის დამდეგიდან მე-13 საუკუნის პირველი მეოთხედამდე. გადაწყვიტე, რომ დაწერო ისტორიული მატიანე, რომელშიც ამ ეპოქის ისტორიულ რეალობას ასახავ.

სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები **<u>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:</u>**	**შეფასების კრიტერიუმი** **<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>**	**<u>ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:</u>**
წყარო/ინტერპრეტაცია (შედეგები: 1, 2, 4, 5,) • ინფორმაციას წარსულის შესახებ ისტორიკოსები წყაროებიდან იღებენ; • წარსულის შესწავლისას ისტორიკოსები სხვადასხვა ტიპის წყაროებს (ნივთიერს, ეთნოგრაფიულს, წერილობითს, ლინგვისტურს, კინო-, ფოტო-, ფონოდოკუმენტებს) ეყრდნობიან; • ყველა წყარო ერთნაირად სანდო არ არის; • წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია არაერთმნიშვნელოვანია, ამიტომ მათი ინტერპრეტაცია ისტორიკოსებს შორის დისკუსიის საგანია. **დრო (შედეგი: 1,2,3,4,5,6)** • ისტორია დროში მიმდინარე ცვალებადობის შემსწავლელი დარგია; • კაცობრიობის მიერ განვლილი გზა სხვადასხვა ისტორიულ ეპოქად და პერიოდად იყოფა; • სხვადასხვა ხალხს დროის აღრიცხვის განსხვავებული სისტემები ჰქონდა.	**წყარო** ï იმსჯელოს, რა ტიპის წყაროებიდან გვაქვს ინფორმაცია ამა თუ იმ ისტორიული ფაქტის/მოვლენის/პროცესის შესახებ; ï იმსჯელოს, რამდენად სანდოა მოცემული წყარო/წყაროები; ï იმსჯელოს, რა საკითხებთან დაკავშირებით შეიძლება არსებობდეს აზრთა სხვადასხვაობა მოცემული წყაროს ინტერპრეტაციისას. **დრო** • აღწეროს შესწავლის ობიექტად შერჩეული ისტორიული პერიოდის მახასიათებლები და მათი მიმართება სხვა ისტორიულ ეპოქებთან/პერიოდებთან; • იმსჯელოს, როგორ აღრიცხავდნენ დროს და აღიქვამდნენ საკუთარ ეპოქას შესწავლის ობიექტად შერჩეულ დროში მცხოვრები ადამიანები.	• რამდენად მრავალფეროვანია ეპოქის ამსახველი წყაროები და რა ინფორმაციას გვაწვდის ისინი? **(წყარო: მ. წ. 1.2.)** • როგორ იცვლებოდა ქართველი მონარქების პოლიტიკა საუკუნეების განმავლობაში და რამდენად სანდო ან წინააღმდეგობრივია მათ შესახებ არსებული ცნობები? **(დრო: მ. წ. 1. წყარო: მ. წ. 3,4)** • საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით, რა ეტაპებად შეიძლება დაიყოს ამ პერიოდის **საქართველოს ისტორია? (დრო: 2)** • რა იყო დროის აღრიცხვა ქორონიკონით და როგორ გამოიყენებოდა ის? **(დრო: მ. წ. 3)**

Don't copy

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 7-65

კომპლექსური დავალების შესრულების ეტაპები
ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს რესურსს და დაფაზე წერს: „ისტორიული მატიანე“. მოსწავლეები აყალიბებენ მოსაზრებებს პროდუქტთან დაკავშირებით, რის შემდეგაც მასწავლებელი ჯერ კითხვა-პასუხის, ხოლო შემდეგ მინილექციის მეთოდით მოსწავლეებს აცნობს ინფორმაციას მატიანის შესახებ.

მატიანე – საისტორიო ჩანაწერთა კრებულის სახელწოდება ძველ საქართველოში. არსებობდა საეკლესიო მატიანეები. გვიან შუა საუკუნეებში მრავალფეროვანი დანიშნულებით იყენებდნენ და ყოველი სახის საისტორიო თხზულებას უწოდებდნენ.

რესურსი
ტელესკოლა – ისტორიული თხზულება https://www.youtube.com/watch?v=WFJEzssEfaE
მატიანე (wikipedia)

შეკითხვები:
- რა არის მატიანე?
- რა მახასიათებლები აქვს მატიანეს?
- როდის და რატომ იქმნებოდა მატიანე?
- რა განასხვავებს მატიანეს სხვა ტიპის ისტორიული შრომებისაგან, მაგალითად, ქრონიკებისგან?
- როგორია მატიანის სტრუქტურა?
- გაქვს თუ არა მსგავსი ტიპის ისტორიულ ნაშრომთან/ნაშრომზე მუშაობის გამოცდილება?
- როგორ დავწეროთ მატიანე?
- რა ეტაპები უნდა გაიარო მატიანის შესაქმნელად?

კომპლექსური დავალება
- შენი სიტყვებით ჩამოაყალიბე, რას შეეხება დღეს მოცემული დავალება, რომელზეც რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში უნდა იმუშაოთ.
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?

ეტაპი II. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა
ქვესაკითხი:
- ქართველი მეფეები ბიზანტიის იმპერიის და შინააშლილობის წინააღმდეგ (გიორგი I, ბაგრატ IV)

ქვეცნება: მატიანე, ქრონიკა, ისტორიული თხზულება, ქრისტეშობიდან.

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 7-17

ნაბიჯი 1
- რამდენად მრავალფეროვანია ეპოქის ამსახველი წყაროები და რა ინფორმაციას გვაწვდის ისინი? **(წყარო: 1,2.)**
- როგორ იცვლებოდა ქართველი მონარქების პოლიტიკა საუკუნეების განმავლობაში და რამდენად სანდო ან წინააღმდეგობრივია მათ შესახებ არსებული ცნობები? **(დრო: 1. წყარო: 3,4)**

- საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით, რა ეტაპებად შეიძლება დაიყოს ამ პერიოდის საქართველოს ისტორია? **(დრო: 2)**

Don't copy

სასწავლო სტრატეგიები/მეთოდები, რომლებიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:
შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, ტექსტის ანალიზი, დისკუსია.

სარეკომენდაციო აქტივობა:
ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს საკითხზე მუშაობა (გვ. 7-12). მოსწავლეები იმუშავებენ ტექსტსა და წყაროებზე, გაეცნობიან და გააანალიზებენ საქართველო-ბიზანტიის დაპირისპირების მიზეზებს გიორგი I-ის მმართველობის პერიოდში, დააკვირდებიან რუკებზე გადმოცემულ ინფორმაციას სადავო ტერიტორიულ პრობლემებთან დაკავშირებით, უპასუხებენ შეკითხვებს.

- პედაგოგი მინილექციის საშუალებით გადასცემს მოსწავლეებს მოკლე ინფორმაციას ბიზანტიისა და საქართველოს სამხედრო დაპირისპირებაზე გიორგი I-ის მმართველობის პერიოდში. მოსწავლეები დაამუშავებენ ქართულ და უცხოურ (სომხურ, ბიზანტიურ...) წყაროებს საკითხთან დაკავშირებით.
- გაეცანი წყარო ა-ს, მოსწავლის რვეულში მოტანილ დამატებით მასალას (ბაგრატ IV-ისა და ლიპარიტ ბაღვაშის დაპირისპირების მიზეზი, ვიკინგები და სასირეთის ბრძოლა) და იმსჯელე, რა გახდა ბაგრატსა და ლიპარიტს შორის დაპირისპირების მიზეზი? შენ რომელ მოსაზრებას ემხრობი? რატომ?
- დააკვირდი რუკა 1-ს და გამოთქვი ვარაუდი, რატომ გადაწყვიტა გიორგი I-მა ალ-ჰაქიმთან კავშირის დამყარება და რამდენად ხელსაყრელი იყო საქართველოსა და ეგვიპტისთვის ეს კავშირი?
- ა, ბ და გ წყაროებისა და რუკა 2-ის მიხედვით აღადგინე ბიზანტია-საქართველოს ომის მსვლელობა. შენი აზრით, ბიზანტია-საქართველოს ომის რომელი ეპიზოდია სურ. 2-ზე გამოსახული? პასუხი დაასაბუთე.
- დათარიღების რა ფორმას იყენებენ არაბი და ქართველი მემატიანეები? გაიხსენე, პერიოდიზაციის კიდევ რომელ სისტემას იყენებდნენ ქართველი მემატიანეები?
- შენი აზრით, რომელი წყარო გამოხატავს ბიზანტიისა და რომელი საქართველოს პოზიციას?
- მიუხედავად ბიზანტიასთან განცდილი მარცხისა, შენი აზრით, რატომ ახასიათებს ასე დადებითად „მატიანე ქართლისა“ გიორგი I-ს? რომელი წყაროს ავტორია უფრო სანდო, ობიექტური?
- შენი აზრით, რამდენად გამართლებული იყო გიორგი I-ის დაპირისპირება ბიზანტიასთან?
- როგორ წარმოვაჩინო მატიანეში ბიზანტია-საქართველოს სამხედრო დაპირისპირების პროცესი XI საუკუნის I მეოთხედში?

კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები
სარეკომენდაციო აქტივობა:
პედაგოგის ორგანიზებით კლასში ეწყობა დისკუსია: წარმოიდგინეთ თავი იმ დროში. გიორგი I-ისა და ბასილი II-ის ელჩები ერთმანეთს ხვდებიან. ორივე მხარემ უნდა წარმოადგინოს საკუთარი არგუმენტები თავ-თავისი შეხედულების დასადასტურებლად.

მოსწავლის რვეული – დავალება 1, 2

დავალებების დასრულების შემდეგ პედაგოგი განაგრძობს სამუშაო პროცესს. მოსწავლეებს აცნობს წყაროებსა და ტექსტს ლიპარიტ ბაღვაშისა და ბაგრატ IV-ის დაპირისპირების შესახებ (გვ. 14-17). მოსწავლეები პასუხს სცემენ შეკითხვებს:

- შენი აზრით, ლიპარტის ბრძოლა ბიზანტიელების წინააღმდეგ საკუთარი ინტერესებით იყო განპირობებული თუ ერთიანი ქართული სამეფოს დაცვის მოტივით? რატომ ფიქრობ ასე?
- შენი აზრით, რა მნიშვნელობა ჰქონდა კათალიკოსისა და დედა-დედოფლის ელჩობას ბიზანტიაში?
- რას ნიშნავდა საქართველოს მეფისთვის კურაპალატობის მინიჭება?
- მეფესთან დაპირისპირებამდე როგორ შეაფასებ ლიპარიტის ქმედებას?
- გაეცანი წყარო ა-ს, მოსწავლის რვეულში მოტანილ დამატებით მასალას (ბაგრატ IV-ისა და ლიპარიტ ბაღვაშის დაპირისპირების მიზეზი, ვიკინგები და სასირეთის ბრძოლა) და

Don't copy

იმსჯელე, რა გახდა ბაგრატსა და ლიპარიტს შორის დაპირისპირების მიზეზი? შენ რომელ მოსაზრებას ემხრობი? რატომ?
- როგორ ფიქრობ, რა საფრთხე შეიძლებოდა შეჰქმნოდა ბაგრატს ლიპარიტის გაძლიერების შემთხვევაში?
- შენი აზრით, როგორ მოახერხა ბიზანტიასთან ურთიერთობის დათბობა ლიპარიტმა და რატომ ვერ შეძლო ეს ბაგრატმა?
- წყარო ბ-ს მიხედვით, როგორ მოპყრობას ითხოვს ლიპარიტი სულთნისგან და შენი აზრით, რატომ?
- რატომ გამოისყიდა ბიზანტიის იმპერატორმა ლიპარიტი?

მოსწავლის რვეული – დავალება 3

- გაიხსენე წინა წლის მასალა. წელთარღიცხვის რომელ სისტემას იყენებს იბნ ალ-ასირი? რატომ?
- შეადარე წყარო ბიზანტიურ მატიანეებს და ივარაუდე, ვინ უნდა იყოს აფხაზთა მეფე კარიტი. შენი აზრით, რატომ უწოდებს მემატიანე მას აფხაზთა მეფეს?
- შენი აზრით, რომელი წყარო უფრო სანდო ინფორმაციას გადმოგვცემს? რატომ?
- როგორ ფიქრობ, ლიპარიტის გათავისუფლების შემდეგ რა პრობლემა შეიძლებოდა შეჰქმნოდა ბაგრატს?
- როგორ წარმოვაჩინო მატიანის საშუალებით ბაგრატ IV-ისა და ლიპარიტ ბაღვაშის დაპირისპირების პროცესი?

კითხვების დამუშავების შემდეგ პედაგოგს შეუძლია, განგრძოს საკითხის დამუშავება და მოსწავლეებს გააცნოს ინფორმაცია ბიზანტიურ ფაქტორზე ქართველი მეფისა და ფეოდალის დაპირისპირების პროცესში; მოსწავლეები დაამუშავებენ წყაროებს (გვ. 15-17). საკითხის განხილვის პროცესში პედაგოგს შესაძლებლობა აქვს, გამოიყენოს სახელმძღვანელოში მოცემული კითხვები.
- გააანალიზე წყარო ე და იმსჯელე ქართულ-ბიზანტიური ურთიერთობის ხასიათზე.
- გამოთქვი ვარაუდი, რატომ დასჭირდა ბაგრატს იმპერატორისგან ნებართვა კონსტანტინოპოლში ჩასასვლელად?
- შენი აზრით, რატომ გახდა ლიპარიტი ტახტის მემკვიდრის აღმზრდელი?
- წყაროს მიხედვით, როგორ მოიხსენიებს ბაგრატი ლიპარიტს და რას უსვამს ამით ხაზს?
- როგორ ფიქრობ, სხვადასხვა ეტაპზე ქვეყნის შიგნით ვის უფრო მეტი გავლენა აქვს: ლიპარიტს თუ ბაგრატს? რატომ?
- როგორ ფიქრობ, წყაროში მოცემული ზავი დააკმაყოფილებდა თუ არა დაპირისპირებულ მხარეებს? რატომ?
- რამდენად მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ქვეყნისთვის ბიზანტიის ტახტზე ქართველი მეფის ასულის ყოფნა?
- სახელმძღვანელოს ტექსტისა და **გ** და **დ** წყაროების მიხედვით აღადგინე და დროის ხაზზე გადაიტანე ბაგრატისა და ლიპარიტის დაპირისპირების ეტაპები.
- შენი აზრით, ბიზანტიისთვის რამდენად ხელსაყრელი პირობებით დაზავდნენ ბაგრატ IV და ლიპარიტ ბაღვაში?
- როგორ გესმის მემატიანის სიტყვები, რომ უფლისწული გიორგი „მცირე მეფე“ იყო, ხოლო ბაგრატ IV მხოლოდ დასავლეთ საქართველოს ფლობდა?
- შენი აზრით, რატომ გადაწყვიტეს ქართველმა დიდაზნაურებმა ლიპარიტის დატყვევება?
- რა მეთოდებს იყენებს მეფე კლდეკარის ხელში ჩასაგდებად და შეასრულა თუ არა კლდეკარის დამცველთა მოთხოვნა?
- წარმოიდგინე, რომ გიორგი უფლისწული ხარ და ესწრები სამეფო კრებას, სადაც ლიპარიტისა და მისი ვაჟის ბედი უნდა გადაწყდეს. რას შესთავაზებდი მამას, ბაგრატ IV-ს?
- რა საფრთხე შეიძლებოდა შეჰქმნოდა ივანესგან ბაგრატიონთა საგვარეულოს და რამდენად მართებულად მიგაჩნია ბაგრატის გადაწყვეტილება?

Do not copy

- შესწავლილი წყაროების მიხედვით დაახასიათე ლიპარატის პიროვნება.
- შენი აზრით, ლიპარიტის მოღვაწეობა როგორ იქნებოდა აღწერილი საქართველოს სამეფო კარის მატიანეებში? რატომ ფიქრობ ასე?
- როგორ წარმოვაჩინო მატიანის საშუალებით საგარეო პოლიტიკური ძალის როლი ლიპარიტ ბაღვაშისა და ქართველი მონარქის დაპირისპირების პროცესში?

მოსწავლის რვეული – დავალება 4, 5.

ქვეცნება: ქორონიკონი, მატიანე, წერილი, ქრონიკა, ისტორიული თხზულება, დასაბამითგან.

ქვესაკითხი:
- საქართველო თურქ-სელჩუკთა შემოსევების დასაწყისიდან დასასრულამდე (ბაგრატ IV, გიორგი II, დავით აღმაშენებელი)

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 18-42

ნაბიჯი 2
- რამდენად მრავალფეროვანია ეპოქის ამსახველი წყაროები და რა ინფორმაციას გვაწვდის ისინი? **(წყარო: 1,2)**
- როგორ იცვლებოდა ქართველი მონარქების პოლიტიკა საუკუნეების განმავლობაში და რამდენად სანდო ან წინააღმდეგობრივია მათ შესახებ არსებული ცნობები? **(დრო: 1. წყარო: 3,4)**
- საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით, რა ეტაპებად შეიძლება დაიყოს ამ პერიოდის საქართველოს ისტორია? **(დრო: 2)**
- რა იყო დროის აღრიცხვა ქორონიკონით და როგორ გამოიყენებოდა ის? **(დრო: 3)**

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:
შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, ტექსტის ანალიზი, დისკუსია.

სარეკომენდაციო აქტივობა:
ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს საკითხზე მუშაობა (გვ. 18-21). ტექსტისა და წყაროების გამოყენებით მოსწავლეები გაეცნობიან თურქ-სელჩუკთა მიგრაციისა და საქართველოზე თავდასხმის საკითხს. მოსწავლეები პასუხობენ შეკითხვებს:
- ერთ-ერთი თურქი მემატიანე წერდა: „ქართველების ქვეყანა ბიზანტიელთა სათარეშოდ და ურწმუნოებისა და ტირანიის საძოვრად გადაქცეულიყო“. როგორ გესმის ეს ფრაზა? რამდენად სანდოა ეს ინფორმაცია?
- შენი აზრით, ამჯერად რატომ ცდილობდნენ ქართველები ფატიმიანებთან დაკავშირებას?
- როგორ ფიქრობ, რამდენად სანდოა **ზ** წყარო? გამოთქვი ვარაუდი, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ქართველ მეფეთა ვაჟები, როდესაც ბაგრატ IV-ის ვაჟი, გიორგი, ამ დროს არასრულწლოვანი იყო?

შენი აზრით, ჰერი დიდებულები საკუთარ მეფეს, აღსართანს, რატომ არ უჭერენ მხარს?

- შენი აზრით, როგორ ავსებს ერთმანეთს წყარო თ და ი. მათ მოწოდებულ ინფორმაციაში, გამოყავი განსხვავება. მოვლენების აღწერისას რომელი უფრო სანდოა: სადრ ად-დინ ალ-ჰუსეინისა თუ „მატიანე ქართლისას“ მონაცემები.

მოსწავლის რვეული – დავალება 6 , 7

ამ კითხვების დამუშავების შემდეგ პედაგოგს შეუძლია, განგრძოს საკითხის დამუშავება და მოსწავლეებს მიაწოდოს მასალა გიორგი II-ის დროს საქართველოში არსებული რთული ვითარების

Don't copy

შესახებ. საკითხის განხილვისას პედაგოგს შესაძლებლობა აქვს, გამოიყენოს სახელმძღვანელო-ში მოცემული კითხვები.

- დააკვირდი ბაგრატის მონეტასა და წყარო თ)-ს და იმსჯელე, რა ცვლილებები მოხდა საქა-რთველო-ბიზანტიის ურთიერთობებში და რა იყო ამის მიზეზი?
- გამოიყენე მოსწავლის რვეულში მოცემული მასალა ქართული წელთაღრიცხვის სისტემების შესახებ და გამოთვალე, რომელ წელს გარდაიცვალა ბაგრატ IV.
- დაახასიათე საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობა ბაგრატ IV-ის მეფობის
- დროს. დაახასიათე ბაგრატ IV, როგორც მეფე და პოლიტიკოსი.
- რაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ გიორგი შიდა დაპირისპირების დროს კახეთის მეფეს
- სთხოვს დახმარებას?
- გაიხსენე წინა წლის მასალა. როგორი იყო ბაგრატ III-ის გადაწყვეტილებები განდგომილი დიდებულების მიმართ
- როგორ ფიქრობ, განსხვავდება თუ არა ამ პრობლემისადმი მისი და გიორგი II-ის მიდგომა და შენი აზრით, რა არის ამის მიზეზი?
- გაიხსენე, ვის მფლობელობაში იყო ანაკოფიის, კლარჯეთის, შავშეთისა და არტაანის ციხეს-იმაგრეები და როდის და რა პირობებში დაკარგეს ისინი ქართველმა მეფეებმა?
- დააკვირდი რუკა 4-ს და იმსჯელე, რატომ გადასცა ბიზანტიის იმპერატორმა გიორგი II-ს ციხეები? ეს მათი ახლო ნათესაობის შედეგი იყო თუ ამას სხვა მიზეზიც ჰქონდა?
- წინა კითხვაზე პასუხიდან და გიორგი II-ის მონეტებიდან მიღებული ინფორმაციიდან გამომ-დინარე, ივარაუდე, ასე ხშირად რატომ იცვლებოდა მისი ბიზანტიური ტიტული?
- რომელი ბიზანტიური ტიტულები ჰქონდათ ბაგრატ III-ს, ბაგრატ IV-სა და გიორგი II-ს? შენი აზრით, რა იყო ამ განსხვავების მიზეზი?
- XI საუკუნეში მოღვაწე რომელ მეფეს არ ჰქონდა ბიზანტიური ტიტული და რატომ?
- შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 8. კონტურულ რუკაზე აღნიშნე: ა) მალიქ-შაჰის ლაშქრობის მარშრუტი; ბ) გიორგი II-ის მიერ დაკავებული ტერიტორიები.
- დააკვირდი რუკა 4-ს და იმსჯელე, რატომ გადასცა ბიზანტიის იმპერატორმა გიორგი II-ს ციხეები? ეს მათი ახლო ნათესაობის შედეგი იყო თუ ამას სხვა მიზეზიც ჰქონდა?

წინა კითხვაზე პასუხიდან და გიორგი II-ის მონეტებიდან მიღებული ინფორმაციიდან გამომდინარე, ივარაუდე, ასე ხშირად რატომ იცვლებოდა მისი ბიზანტიური ტიტული?
- რომელი ბიზანტიური ტიტულები ჰქონდათ ბაგრატ III-ს, ბაგრატ IV-სა და გიორგი II-ს? შენი აზრით, რა იყო ამ განსხვავების მიზეზი?
- XI საუკუნეში მოღვაწე რომელ მეფეს არ ჰქონდა ბიზანტიური ტიტული და რატომ?

მოსწავლის რვეული – დავალებები 8

- გამართეთ დისკუსია კითხვაზე: ქართულ ისტორიოგრაფიაში რატომაა სხვადასხვაგვარად ახსნილი ვეჟინის ციხის ალყის დროს გიორგი II-ის საქციელი? შენ რომელ მოსაზრებას უჭერ მხარს? რატომ?
- როგორ წარმოვაჩინო მატიანის საშუალებით გიორგი II-ის პერიოდის საქართველოში არსებული პოლიტიკური კრიზისი?

აღნიშნული კითხვებიდა და დავალებებზე მუშაობის შემდეგ პედაგოგს შეუძლია განგრძოს საკითხის დამუშავება და მოსწავლეებს გააცნოს გვ. 25-26 არსებული მასალა, საკითხის სიღმისეულად გასააზ-რებლად მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს პარგარფში მოცემული კითხვები და დავალებები.

- შეადარე წყაროები ერთმანეთს და იმსჯელე, რატომ იყო შეუთავსებელი საქართველოს ეკონომიკისთვის თურქულ-მომთაბარული მეურნეობა?

მოსწავლის რევეული – დავალებები 9-10

Don't copy

- იმსჯელე, მალიქ-შაჰთან წასვლის და ხარკის გადახდის პირობის დადების გარდა, ჰქონდა თუ არა გიორგი II-ს სხვა გამოსავალი?
- როგორ შეიცვლა საქართველოს საგარეო პოლიტიკა გიორგის მეფობის მიწურულს და რა არის ამის მიზეზი?
- შენი აზრით, რა მდგომარეობაა ბიზანტიაში და რატომ ვერ ახერხებს ის გავლენის შენარჩუნებას რეგიონში?
- მიუხედავად იმისა, რომ მისმა ჯარებმა საქართველო ააოხრეს, ქართველი მემატიანე მალიქ-შაჰს აქებს და მას „სახითა სიტკბოებისათა და სახიერებითა აღმატებულ ყოველთა კაცთა უწოდებს“. შენი აზრით, რა არის ამის მიზეზი?
- იმსჯელე, რამდენად გულწრფელი იყო თურქ-სელჩუკთა სულთანი, როდესაც გიორგი II-ს კახეთ-ჰერეთი უწყალობა და რამდენად შედიოდა თურქების ინტერესებში საქართველოს გაერთიანება?
- გამართეთ დისკუსია კითხვაზე: ქართულ ისტორიოგრაფიაში რატომაა სხვადასხვაგვარად ახსნილი ვეჟინის ციხის ალყის დროს გიორგი II-ის საქციელი? შენ რომელ მოსაზრებას უჭერ მხარს? რატომ?

მოსწავლის რვეული – დავალებები 11-12

შეკითხვებისა და დავალებების ამოწურვის შემდეგ სამუშაო პროცესი ახალ ეტაპზე გადადის. პედაგოგი მოსწავლეებს მიაწვდის ტექსტურ მასალასა და წყაროებს დავით აღმაშენებლის გამეფებისა და მისი რეფორმების შესახებ (გვ. 26-32). საკითხის განხილვისას პედაგოგს შესაძლებლობა აქვს, გამოიყენოს სახელმძღვანელოში მოცემული კითხვები.
- როგორ აღწერს დავითის ისტორიკოსი საქართველოში შექმნილ ვითარებას?
- წყაროს მიხედვით, გამეფების დროისთვის საქართველოს რომელ ტერიტორიას აკონტროლებდა დავით IV?
- ისტორიიდან გაიხსენე ანალოგიები, როდესაც დიდი იმპერიები უფრო მცირე პოლიტიკურ ერთეულებად დაიშალა.
- როგორ წარმოვაჩინო მატიანის საშუალებით დავით აღმაშენებლის გამეფება და მისი რეფორმები?

მოსწავლის რვეული – დავალებები 13-14

აღნიშნული დავალებებსა და კიტხვებზე მუშაობის შემდეგ პედაგოგს შეუძლია განგრძოს საკიტხის დამუშავაბე და მოსწავლეებს განსახილველად შესთავაზოს გვ. 29-33-ზე წარმოდგენილი მასალა, რომელიც შეეხება დავით აღმაშენებლის რეფორმებს. საკითხის განხილვის პროცესში მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს პარაფში მოცემული კითხვები და დავალებები.
- რატომ გადაწყვიტა მეფემ პირველ რიგში დიდებულთა თვითნებობის წინააღმდეგ ბრძოლა?
- დავითის ისტორიკოსი ბაღვაშთა საგვარეულოს შემდეგნაირად მოიხსენიებს: „სახლი გამამწარებელთა“. როგორ ფიქრობ, რატომ გაგრძელდა დავითის ეპოქამდე მათი დაუმორჩილებლობა?
- შენი აზრით, რა უპირატესობა ჰქონდათ მონაპირე საერისთავოებს სხვა საერისთავოებთან შედარებით?

მოსწავლის რვეული დავალება – 15-16

- იმსჯელე, რამდენად მნიშვნელოვანია სასამართლო წარმოების ქვეყნის მართვა-გამგეობიდან გამოყოფა?
- როგორ იცვლება დავითის დროს სამეფო კარის პოლიტიკა დიდებულების მიმართ? როგორ ფიქრობ, რა გაითვალიწინა დავითმა გიორგი II-ისა და ბაგრატ IV-ის მოღვაწეობიდან?

Don't copy

- როგორ ფიქრობ, რატომ წერს უცნობი ავტორი: „ნუ იძიებ, მკითხველო, როგორ ახერხებდა ამას“?
- შენი აზრით, რა შეიძლება ეწოდოს დავით აღმაშენებლის მმართველობის სტილს და რამდენად მართებულად მიგაჩნია სახელმწიფოს მართვის პროცესში ამგვარი ხერხების გამოყენება? განაპირობებს თუ არა დრო და ეპოქა მმართველობის სტილს და რატომ?
- შენი აზრით, რამდენად ობიექტურია დავითის ისტორიკოსი? რა ფაქტორებმა შეიძლება შეუშალოს ხელი რეალობის ობიექტურად ასახვაში?
- რატომ იყო ქართული ფეოდალური ლაშქრისთვის უცხო მოვლენა მუდმივი ჯარი? როგორ ფიქრობ, ვის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა მუდმივი ჯარის არსებობა?
- შენი აზრით, როგორ შეუწყობდა ხელს ქვეყნის გაძლიერებას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შექმნა?

მოსწავლის რვეული – დავალება 17

- შენი აზრით, პანეგირიკში რატომაა დასახელებული მხოლოდ ორი მონარქი – ბიზანტიის იმპერატორი და საქართველოს მეფე?
- თუ ინსიგნიებში მოწინააღმდეგისთვის წართმეულ დროშებს ვიგულისხმებთ, შენი აზრით, რატომ უგზავნიდა დავით IV მათ იერუსალიმის მეფეს?
- გააანალიზე ვ) და ზ) წყაროები და იმსჯელე საქართველოსა და იერუსალიმის ჯვაროსნული სამეფოს ურთიერთობის ხასიათზე.

კითხებისა და დავალების დამუშავების მასწავლებელს შეუძლია განაგრძოს საკითხის დამუშავება და მოსწავლეებს შესთავაზოს გვ. 33-38-ზე მოცემული მასალა, რომელშიც წარმოდგენილია ინფორმაცია დავითის მიერ წარმოებული ომების შესახებ, საკითხის სიღმისეულად გასააზრებლად მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს შესთვაზოს ისტორიული წყაროები, რუკა და ბრძოლის სქემა, აღნიშნული რესურსების დამუშავებისას პედაგოგს შეუძლია გამოიყენოს პარაგფში მოცემული კითხვები და დავალებები.

- როგორ ფიქრობ, მოწინააღმდეგის ჯარის რაოდენობასთან დაკავშირებით რამდენად სანდოა წყაროების ინფორმაცია?
- როგორ ფიქრობ, რატომ აარჩია დავითმა ბრძოლისთვის დიდგორი?
- რით ჰგავს და რით განსხვავდება ერთმანეთისგან თ, ი და კ წყაროებში მოცემული ინფორმაცია?
- რამდენად მნიშვნელოვანია, ერთი ისტორიული ფაქტის შესწავლისას გამოვიყენოთ სხვადასხვა ავტორის წყარო? რატომ ფიქრობ ასე?
- შეადარე ჯვაროსანი, ყივჩაყი და ქართველი მეომრების აღჭურვილობა და გამოყავი მსგავსება-განსხვავებები. იმსჯელე ამ განსხვავებების მიზეზის შესახებ.

მოსწავლის რვეული – დავალება 18

- რაზე მიუთითებს დავითის ლაშქარში ჯვაროსანი რაინდების მონაწილეობა?
- გამოთქვი ვარაუდი, რატომ მიმართეს თბილისელმა, დმანისელმა და განჯელმა ვაჭრებმა სულთანს დახმარებისთვის?
- თ) ი) და კ) წყაროებისა და ბრძოლის სქემის მიხედვით აღადგინე დიდგორის ბრძოლის მიმდინარეობა.
- რატომ იყო ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი თბილისის აღება?
- გამოთქვი ვარაუდი, რატომ მისცა დავით IV-მ ასეთი პრივილეგიები თბილისში მცხოვრებ ებრაელებსა და მუსლიმებს? იმსჯელე, მისი ტოლერანტობის შესახებ
- გააანალიზე რუკა 8 და იმსჯელე, რატომ იყო მნიშვნელოვანი საქართველოსთვის სომხეთის, შირვანისა და დარუბანდის შემოერთება.
- რა სახის წყაროა წარმოდგენილი სურათი 6 და 7-ზე? რაზე მიუთითებს დავითამდე, ბაგრატ IV და გიორგი II-ის და დავითის დროს მოჭრილ მონეტებზე მოცემული ინფორმაცია?

Don't copy

- შეადარე დავითის მონეტები და იმსჯელე, რატომ თქვა უარი დავითმა ბიზანტიურ ტიტულზე.
- გამოთქვი ვარაუდი, რომელ წლებში შეიძლებოდა მოეჭრა დავითს სურ. 7-ზე წარმოდგენილი მონეტა.

მოსწავლის რვეული – დავალება 19

დავალება: წარმოიდგინე, რომ დიდგორის ბრძოლის მონაწილე ქართველი უფლისწული, დემეტრე ან მუსლიმთა ჯარის მეთაური, ილ-ღაზი ხარ. პარაგრაფის ტექსტის, ნაწყვეტებისა და წყაროების გამოყენებით შეადგინე „დიდგორის ბრძოლის“ შენეული ვარიანტი (მიზეზები, მიმდინარეობა, შედეგი). შესრულებული დავალება წარმოადგინეთ კლასის წინაშე, მოაწყვეთ პრეზენტაცია და შეადარეთ ისინი. აირჩიეთ საუკეთესო. კრიტერიუმები: ფაქტების სიზუსტე, სანდოობა, სუბიექტურობა/ობიექტურობა.

აღნიშნული კითხვებისა და დავალებების დამუშავების შემდეგ პედაგოგს შეუძლია განაგრძოს საკითხის დამუშავება და მოსწავლეებს შესათავაზოს ისტორიული წყაროები დავიტ აღმაშნებლის შესახებ, რომლიდ დამუშავბისას მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეები გააქტიუროს პარაგრაფში მოცემული კითხვებისა და დავალებების გამოყენებით. გვ. 39-42

- ვინ არის, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიხედვით, მეფის მეუღლე და შენი აზრით, რატომ დუმს ის პირველ ქორწინებაზე?
- რა ცნობას გვაწვდის იმავე საკითხზე მათე ურჰაელი?
- შენი აზრით, რით შეიძლება იყოს განპირობებული დავით IV-ის პირად ცხოვრებაზე სხვა-დასხვა ინფორმაციის არსებობა? დავით მეფის ისტორიკოსი მეფის პირველ ქორწინებაზე დუმს. გამოთქვი მოსაზრება, რატომ?
- როგორ შეაფასებ დავით აღმაშენებლის ქორწინებას ყივჩაღთა მთავრის ასულთან?
- იგრძნობა თუ არა ზემოთ მოყვანილ წყაროებში ავტორისეული პოზიცია? დადებითი პასუხის შემთხვევაში, როგორ ახსნიდი ამ დამოკიდებულებებს?
- როგორ ხსნის წყაროს ავტორი დავით აღმაშენებლის მეუღლის იერუსალიმში გამგზავრებას?
- როგორ გესმის ფრაზა: „უფრო სიწმინდის, ვიდრე გვარიშვილობისათვის სათაყვანომ“?
- რატომ დაინტერესდა ფრანგი სასულიერო პირი ქართველი დედოფლის ბედით? რა მოვლენამ გააღვივა ევროპელების ცნობისმოყვარეობა ქართული სამეფოს ამბების მიმართ?
- გამოთქვი ვარაუდი, იერუსალიმის დედათა მონასტერში მყოფი ქალი გურანდუხტ დედოფალია თუ მათე ურჰაელის მიერ მოხსენიებული დავითის პირველი მეუღლე?
- რა მოსაზრებას გამოთქვამს ზ. ავალიშვილი იერუსალიმში მყოფ დავით აღმაშენებლის მეუღლესთან დაკავშირებით? ვისთან აიგივებს?
- რატომ აყენებს ზ. ავალიშვილი ეჭვქვეშ ანსელუსის წყაროში გადმოცემულ მოსაზრებას?ʒʒ
- მკვლევრების მიერ წერილის დათარიღების გათვალისწინებით, რა ქრონოლოგიურ უზუსტობას იწვევს ცნობა იმის შესახებ, რომ დედოფალი დავითის ქვრივი იყო?
- რა არგუმენტაციით ამყარებს თავის მოსაზრებას ისტორიკოსი?
- რა არგუმენტაციას ემყარება შ. მესხიას მოსაზრება? როგორ ხსნის შოთა მესხია ქრონოლოგიურ წინააღმდეგობას? საკმარისია თუ არა შენთვის წყაროსა და ტექსტში მოცემული ინფორმაცია ავტორის პოზიციის გასაზიარებლად?
- რომელი ისტორიკოსის მოსაზრებას ეთანხმები: ზ. ავალიშვილისა თუ შ. მესხიასი? პასუხი დაასაბუთე.
- დააკვირდი სურ. 1-ს და გამოთქვი ვარაუდი, დავით აღმაშენებელს ხელში რატომ უჭირავს ეკლესიის მაკეტი. შენი აზრით, რომელი ეკლესიის მოდელი უნდა იყოს ის?
- შეადარე დავითის ჩაცმულობა ბიზანტიიის იმპერატორის ჩაცმულობას. გამოყავი მსგავსება-განსხვავებები.
- როგორ აფასებს მეფე საკუთარ შვილს? 21. შენი აზრით, რა თვისებებით უნდა ყოფილიყო დაჯილდოებული მეფე?

Draft copy

- როგორ ფიქრობ, თუ ანდერძი ნამდვილია, მეფის გადაწყვეტილება, ტახტის მემკვიდრეობის წესის ცვლილების შესახებ, ქვეყნაში შიდა არეულობას ხო მარ გამოიწვევდა?
- კლასში მოაწყვეთ დისკუსია და იმსჯელეთ, არის თუ არა ეს ანდერძი ნამდვილი, თუ ნაყალბევია?

მოსწავლის რვეული-დავალება 20, 21 და 22

- როგორ წარმოვაჩინო მატიანის საშუალებით დავით აღმაშენებლის პიროვნული თვისებები და მისი როლი ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში?

ქვესაკითხი:
- საქართველო დავით აღმაშენებლის მემკვიდრეების დროს (დემეტრე I-დან თამარის გამეფებამდე)

ქვეცნება: მატიანე, წერილი, ქრონიკა, ისტორიული თხზულება

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 42-57

ნაბიჯი 3
- რამდენად მრავალფეროვანია ეპოქის ამსახველი წყაროები და რა ინფორმაციას გვაწვდის ისინი? **(წყარო: 1,2)**
- როგორ იცვლებოდა ქართველი მონარქების პოლიტიკა საუკუნეების განმავლობაში და რამდენად სანდო ან წინააღმდეგობრივია მათ შესახებ არსებული ცნობები? **(დრო: 1, წყარო: 3,4)**
- საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით, რა ეტაპებად შეიძლება დაიყოს ამ პერიოდის საქართველოს ისტორია? **(დრო: 2)**

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:
შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, ისტორიულ ტექსტზე მუშაობა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, გრაფიკული სქემები

სარეკომენდაციო აქტივობა:
ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს საკითხზე მუშაობა. მოსწვლეები გაეცნობიან ტექსტსა და წყაროებს დემეტრე I-ის მოღვაწეობისა და მისი მმართველობის პერიოდში არსებული გამოწვევების შესახებ, მუშაობენ შეკითხვებზე.
- დაახასიათე დემეტრე I-ის დამოკიდებულება განსხვავებული რწმენის ადამიანებისადმი.
- რატომ გახდა არაბი ისტორიკოსის განსაკუთრებული ყურადღების საგანი ქართველი მეფის ტოლერანტული საქციელი?
- როგორ გესმის ისტორიკოსის ფრაზა: „სამფლობელოების შემოვლა კიდით კიდემდე“?
- ქართველი მეფის რომელ თვისებებს გამოყოფდი ალ-ფარიკის მონათხრობის გაცნობის შემდეგ?
- იმსჯელე საქართველოს მეფისა და ახლო აღმოსავლეთის მმართველთა ურთიერთობებზე
- რატომ და როგორ სცადა უფლისწულმა ვახტანგმა ტახტის დაუფლება?
- როგორ შეაფასებ დემეტრე I-ის გადაწყვეტილებას შვილების მიმართ?
- გამოთქვი მოსაზრება დავით V-ის მამასთან დამოკიდებულების შესახებ.
- შეადარე ბ) და გ) წყაროები და ივარაუდე, შეასრულებდა თუ არა გიორგი III ძმისთვის მიცემულ პირობას.
- რამდენად მოდის თანხვედრაში, დავით V-ის ანდერძი, საქართველოს სამეფო კარზე საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებულ ტახტის მემკვიდრეობის წესთან?
- შენი აზრით, რატომ ჩააბარა მომაკვდავმა მეფემ მცირეწლოვანი ძე ივანე ორბელიანს? რამდენად სანდოდ მიგაჩნია ეს ინფორმაცია?

Don't copy

- შენი აზრით, ბ) და გ) წყაროების ავტორები ვის პოზიციას უჭერს მხარს და რამდენად სანდოა მისი ინფორმაცია? პასუხი დაასაბუთე

მოსწავლის რვეული – დავალება 23

კითხვების დამუშავების შემდეგ პედაგოგს შეუძლია, განგრძოს საკითხის განხილვა. მოსწავლები მუშაობენ გიორგი III-ის მმართველობის პერიოდზე, ორბელთა აჯანყებაზე (გვ. 44-45). პედაგოგს შესაძლებლობა აქვს, გამოიყენოს სახელმძღვანელოში მოცემული კითხვები.

- ჩანს თუ არა ლაშა-გიორგის მემატიანის თხზულებაში ავტორისეული პოზიცია? პასუხი დაასაბუთე.
- როგორ ახსნი ისტორიკოსის ფრაზას: „გამოძებნეს კიდეც შესაფერისი დრო თავიანთ ძველ ბოროტ ზრახვათა განსახორციელებლად“?
- გიორგი III-ის რა თვისებას უსვამს ხაზს წყაროს ავტორის შემდეგი ცნობა: „ივანე მივიდა მეფესთან. ხოლო მეფემან განიხარა დიდად და შეიწყნარა და პატივ-სცა დიდითა პატივითა, ვიდრე ხელთ იგდო ყოველნი ძენი და ნათესავი ტომნი მისნი... შეიპყრო ივანე და დასთხარა თვალები“? შენი აზრით, რამდენად გამართლებულია მეფის საქციელი?
- გაეცანი ტექსტსა და წყაროებს (ბ, გ, დ, ე, ვ,) დემნა ბატონიშვილის შესახებ. დაწერე შენი მოსაზრება, სამართლიანი იყო თუ არა მისი გადაწყვეტილება. ჩამოაყალიბე ტახტის დასაუფლებლად უფლისწულის მიერ გადადგმული ნაბიჯების მხარდამჭერი არგუმენტები და კონტრარგუმენტები. გამოიტანე დასკვნა.
- განსხვავდება თუ არა ერთმანეთისაგან წყაროს ავტორების დამოკიდებულება აღწერილ ფაქტებთან? რით ახსნი მათ ამ დამოკიდებულებას?
- რამდენად განსხვავებულია ერთმანეთისგან დემეტრე I-ისა და გიორგი III-ის საშინაო პოლიტიკა? შენი აზრით, რა არის ამის მიზეზი?
- როგორ წარმოვაჩინო მატიანის საშუალებით გიორგი III-ის მმართველობის პერიოდში შექმნილი ტახტმემკვიდრეობის პრობლემები?

პედაგოგის ორგანიზებით ეწყობა დემნა ბატონიშვილის სასამართლო პროცესი: კლასის ნაწილი პროკურორის ფუნქციას შეასრულებს და გიორგი III-ის მოსაზრებას დაიცავს; მეორე ჯგუფი დემნას დამცველების პოზიციას წარმოადგენს, ხოლო მესამე ჯგუფი მოსამართლის ფუნქციას შეასრულებს. მეოთხე ჯგუფი, კლასის დარჩენილი ნაწილი, განსაზღვრავს, რამდენად კარგად გაართვა თავი თითოეულმა ჯგუფმა მოვალეობას. მცირერიცხოვან კლასში ეს დავალება შეიძლება ინდივიდუალურად შესრულდეს.

მოსწავლის რვეული – დავალებები 24, 25

კითხვების დამუშავების შემდეგ პედაგოგს შეუძლია, განგრძოს საკითხის დამუშავება. მოსწავლები მუშაობენ თამარის გამეფების პირველ წლებზე, მეფის ძალაუფლების შეზღუდვის მცდელობაზე, მონარქის საგარეო პოლიტიკაზე. პედაგოგს შესაძლებლობა აქვს, გამოიყენოს სახელმძღვანელოში მოცემული კითხვები.

- შენი აზრით, რატომ მოითხოვეს ქართველმა დიდაზნაურებმა „უგვარო“ ვეზირების გადაყენება?
- წყაროზე დაყრდნობით იმსჯელე, რა ნიშნით არჩევდა გიორგი III თავისი გარემოცვის წევრებს.
- რა არგუმენტი მოჰყავთ წარჩინებულებულს იმის დასტურად, რომ მათი გაძევება უპატიო საქმე იყო?
- ივარაუდე, რატომ ჩამოართვა თამარმა ყუბასარს მხოლოდ ლორე?
- შენი აზრით, რატომ დასთანხმდა თამარი დიდაზნაურების მოთხოვნებს?
- ყუთლუ-არსლანის დასელების მოთხოვნით, რა უფლებები უნდა გადასცემოდა „კარავს“?
- გამოთქვი ვარაუდი, რამდენად სასარგებლო იქნებოდა ქვეყნისთვის ასეთი სახელმწიფო ორგანოს დაწესება.

Draft copy

- შენი აზრით, რატომ აღიქვამს ისტორიკოსი ყუთლუ-არსლანის დასის მოთხოვნას თამარის ხელმწიფობის დასასრულად?
- შეადარე ერთმანეთს ბ და გ წყაროები და გამოთქვი ვარაუდი, არის თუ არა ქართულ წყაროში მინიშნება ნიზამ ალ-მულქის მიერ გამოთქმულ მოსაზრებაზე. რამდენად ეხმიანება ყუთლუ-არსლანის დასის მოთხოვნა ამ იდეას?
- შენი აზრით, თამარისა და დასელებთან მოლაპარაკების დროს რა შეიძლებოდა დაეთმო თამარს?
- დაახლოებით იმავე პერიოდის მსოფლიოში განვითარებულ რომელ მოვლენასთან გაავლებდი პარალელს?
- რატომ აფასებს ისტორიული წყაროს ავტორი ყუთლუ-არსლანს ცალსახად უარყოფითად?
- დააკვირდი სურ. 1-ს და გამოთქვი მოსაზრება, რატომ არის თამარი თითქმის ანალოგიურად ჩაცმული, როგორც მამამისი გიორგი III.
- წყაროებზე დაყრდნობით, შეადარე თამარისა და მამამისის გიორგი III-ის დამოკიდებულება ამბოხებულებთან. თამარის რა თვისებაზე მიუთითებს ამბოხებულთა შეწყალება?
- რომელი ავტორის მტკიცებას იზიარებ ყუთლუ-არსლანის წარმოშობის საკითხთან დაკავშირებით? შენი აზრით, არისტოკრატიას წარმოადგენს თუ მოქალაქეთა ფენას ეკუთვნის?
- შენი აზრით, ისტორიულ წყაროში გადმოცემული ინფორმაცია საკმარისია თუ არა იმისთვის, რომ ქართული ფეოდალური მონარქიის რესპუბლიკად გარდაქმნის საკითხზე ვიმსჯელოთ?
- საქართველოს იმდროინდელი პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით, რამდენად მართებულად მიგაჩნია ერთპიროვნული ხელისუფლების დანაწილება მეფესა და „კარავს“ შორის? იმსჯელე ყუთლუ-არსლანის დასის პროგრამაზე. შენი აზრით, იმ პერიოდის საქართველოსთვის პროგრესული მოვლენა იყო თუ არა?
- შენი აზრით, რა განსხვავებაა „დარბაზსა“ და „კარავს“ შორის?
- როგორ წარმოვაჩინო მატიანის საშუალებით თამარ მეფის საშინაო პოლიტიკა?

მოსწავლის რვეული – დავალება 26, 27, 28

ქვეცნება: მატიანე, წერილი, ქრონიკა, ისტორიული თხზულება

ქვესაკითხი:
- საქართველოს „ოქროს ხანა“. კრიზისის პირველი ნიშნები (თამარი, ლაშა-გიორგი)

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 53-65

ნაბიჯი 4
- რამდენად მრავალფეროვანია ეპოქის ამსახველი წყაროები და რა ინფორმაციას გვაწვდის ისინი? **(წყარო: 1,2)**
- როგორ იცვლებოდა ქართველი მონარქების პოლიტიკა საუკუნეების განმავლობაში და რამდენად სანდო ან წინააღმდეგობრივია მათ შესახებ არსებული ცნობები? **(დრო: 1. წყარო: 3,4)**
- საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით, რა ეტაპებად შეიძლება დაიყოს ამ პერიოდის საქართველოს ისტორია? **(დრო: 2)**

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:
შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, ისტორიულ ტექსტზე მუშაობა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, გრაფიკული სქემები.

სარეკომენდაციო აქტივობა:
ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს თამარის ეპოქის საგარეო პოლიტიკაზე მუშაობა (გვ. 53-57). მოსწავლეები ეცნობიან ტექსტსა და იტორიულ წყაროებს, პედაგოგს შეუძლია, გამოიყენოს სახელმძღვანელოში არსებული შეკითხვები.

Don't copy

- გააანალიზე წყარო ზ და იმსჯელე თამარისა და სალაჰ ად-დინის ურთიერთობის ხასიათზე.
- წყაროს მიხედვით, რას იშველიებს ქართველი მეფე თავისი პირობის სიმტკიცის დასასაბუთებლად? რამდენად დამაჯერებელი იქნებოდა სალაჰ-ად-დინისთვის მსგავსი მიმართვა? რატომ?
- გამოთქვი ვარაუდი, რატომ უნდა დაედოთ ურთიერთთავდაუსხმელობის ხელშეკრულება საქართველოს მეფესა და ეგვიპტის სულთანს?
- წყარო თ-ს მიხედვით, ვისი ინტერესების დამცველად გვევლინება რუქნ ად-დინი? რა არის მისი ლაშქრობის მოტივი?
- დააკვირდი რუკა 9-ს და იმსჯელე, რა ტერიტორია მოიცვა ტრაპიზონის იმპერიამ?
- შენი აზრით, როგორ შეძლო თამარმა „მცირე ლაშქრით“ ბიზანტიის ტერიტორიების დაუფლება? ბიზანტიის იმპერიაში მიმდინარე რომელი პროცესებია ამის წინაპირობა?
- იმსჯელე, რატომ ჰქონდა დიდი მნიშვნელობა ერთიანი ქართულ-მუსლიმური ჯარის გამარჯვებას შამქორში?
- რა მიზეზებით ასაბუთებს რუქნ ად-დინი საქართველოში გამოლაშქრების აუცილებლობას?
- შეადარე დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დროინდელი საქართველოს სამეფოს რუკები (რუკა 6 და რუკა 10) და იმსჯელე, საქართველოს სახელმწიფომ ერთი საუკუნის განმავლობაში რა ტერიტორიული ცვლილებები განიცადა.
- როგორ წარმოვაჩინო მატიანის საშუალებით თამარ მეფის საგარეო პოლიტიკა?

მოსწავლის რვეული – დავალება 29, 30, 31

შეკითხვებისა და დავალებების დასრულების შემდეგ მოსწავლეები პედაგოგის დახმარებით აგრძელებენ თამარის მემკვიდრის საშინაო და საგარეო პოლიტიკური კურსის შესწავლას. ამ მიზნით ისინი ეცნობიან ტექსტსა და წყაროებს (გვ. 58-65). პედაგოგს შეუძლია, გამოიყენოს სახელმძღვანელოში არსებული შეკითხვები და დავალებები.

- გააანალიზე თამარ მეფისა და ლაშა-გიორგის დროს აიუბიანებთან დამყარებული ურთიერთობის ხასიათი და იმსჯელე, ქართველები მხოლოდ ჟაკ დე ვიტრის მიერ დასახელებული მიზეზის გამო სარგებლობდნენ წმინდა ქალაქში პრივილეგიებით?
- წყაროს მიხედვით, რა საფრთხის პირობებში უწევს არსებობა ქართულ სახელმწიფოს?
- ქართველი ხალხის რომელ თვისებებს უსვამს ხაზს წყაროს ავტორი?
- როგორ ფიქრობ, გამართლებული იყო თუ არა ლაშა-გიორგის მოქმედება? პასუხი დაასაბუთე.
- შენი აზრით, რამდენად ასახავს ქვეყანაში არსებულ შიდა ვითარებას დიდაზნაურების მიერ წაყენებული პირობა, რომ მის ჯარში აღარ იმსახურებდნენ, თუ მეფე კარგად არ მოიქცეოდა და მეფისგან მათთვის ბოდიშის მოხდა?
- გამოთქვი ვარაუდი, როგორ მოიქცეოდნენ მსგავს ვითარებაში დავით IV აღმაშენებელი ან გიორგი III? პასუხი დაასაბუთე.
- შენი აზრით, წინა პერიოდში მომხდარ რა მოვლენებს შეიძლებოდა გამოეწვია ეს ფაქტი?
- როგორია წყაროს ავტორის დამოკიდებულება ამ ფაქტთან დაკავშირებით?
- წყაროს მიხედვით, რას მიიჩნევს ავტორი ლაშა-გიორგის წმინდა მიწაზე ლაშქრობის მოტივად?
- როგორ ახასიათებს დე ბუა ქართველ მონარქს? შენი აზრით, რას ასახავს მისი დახასიათება: ახალგაზრდა მეფის სახელგანთქმულობას თუ ქართული სამეფოს საერთაშორისო ავტორიტეტს?
- წყაროს მიხედვით, სად მიაქვს ახალგაზრდა მეფეს დედის ნეშტი? შენი აზრით, შეძლო თუ არა მან თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანა?
- შენი აზრით, რამდენად სანდოა წყარო გ-ს მონაცემი იმის შესახებ, რომ გიორგი IV ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობას აპირებდა? შენი მოსაზრება გაამყარე სახელმძღვანელოს ტექსტში მოცემული სხვა ინფორმაციით.
- ლაშა-გიორგის არმონაწილეობა V ჯვაროსნულ ლაშქრობაში განპირობებული იყო: ა) მონღოლების საქართველოში გამოჩენით; ბ) ალ-აშრაფის ელჩების წარმატებული მოღვაწეობით; გ) V ჯვაროსნული ლაშქრობის დასრულებით. მოიყვანე თითოეული მოსაზრების დამადასტურებელი არგუმენტი.

Don't copy

- დაახასიათე ლაშა-გიორგი თითოეული ნაწყვეტის მიხედვით და ივარაუდე, რატომ აქვთ ავტორებს ურთიერთსაწინააღმდეგო შეფასება?
- შენი აზრით, რომელი წყაროს ინფორმაციაა უფრო სანდო? რატომ?
- ივარაუდე, რატომ უნდოდა მეფეს თავისი დედის ერთგული ვეზირების მოშორება.
- როგორ გესმის ეს წინადადება: „არ ვცნობთო, ეუბნებოდნენ, შენს მეფედ ყოფნას, თუ არ მოშორდები ბოროტ კაცებთან სიახლოვეს და ავ ჩვეულებას, რომელსაც მისდევ“? შენი აზრით, რამდენად სასარგებლო იქნებოდა სახელმწიფოსთვის ასეთი ვითარება?
- როგორ ხსნის ჟამთააღმწერელი ლაშა-გიორგის ხასიათის ცვლილებას?
- შენი აზრით, რამ უბიძგა მეფეს თვითნებობისკენ: პიროვნულმა თვისებებმა თუ თამარის მიერ დატოვებულმა „უშფოთველმა“ სამეფომ?
- რატომ ერევიან სამეფო კარის საერო და სასულიერო დიდებულები ლაშა-გიორგის ქორწინების საკითხში?
- რა პრობლემების წინაშე აღმოჩნდებოდა სამომავლოდ ლაშა-გიორგის ძე დავითი ტახტმემკვიდრეობის თვალსაზრისით? რატომ?
- როგორია შენი შეხედულება ლაშა-გიორგის, როგორც მეფის, ისე მისი პიროვნების შესახებ?
- წარმოიდგინე, რომ საქართველოს სამეფო კარზე იმყოფები და მეფის ერთ-ერთი მრჩეველი ხარ. ამ დროს საქართველოში ერთდროულად ორი ელჩობა ჩამოვიდა: ერთი კარდინალ პელაგიუსის და მეორე ალ-აშრაფის გამოგზავნილი. ორივე ელჩი ცდილობს, საქართველოს მეფე დაარწმუნოს, რომ მან V ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობა მიიღოს ან არ მიიღოს. გააანალიზე მათი არგუმენტები და მეფეს ერთ-ერთი პოზიციის სასარგებლოდ მიეცი რჩევა.
- როგორ ხსნის ივანე ჯავახიშვილი ლაშა-გიორგის ხასიათის ცვლილებას? რამდენად დამაჯერებელია შენთვის მისი არგუმენტები?
- რამდენად საფუძვლიანად მიგაჩნია მსჯელობა, რომ ლაშა-გიორგის დაპირისპირება დიდაზნაურებთან თაობათა შორის ბრძოლა იყო და ის, რომ თამარის დროს დაწინაურებულმა მოხელე-დიდებულებმა ამ ყველაფერში გავლენის დაკარგვის საფრთხე დაინახეს?
- ხედავ თუ არა ლაშა-გიორგის პოლიტიკაში დინების საწინააღმდეგოდ სვლას? რატომ?
- ვინ არის შენთვის ლაშა-გიორგი, როგორც პიროვნება და პოლიტიკოსი?
- როგორ წარმოვაჩინო მატიანის საშუალებით ლაშა-გიორგი, როგორც პიროვნება და პოლიტიკოსი და ამ საკითხზე არსებული მოსაზრებები?

მოსწავლის რვეული – დავალებები 32-36

კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობისთვის

აღწერე, როგორ მიმდინარეობს/წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი.

- როგორ გეგმავ/დაგეგმე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი? რას ითვალისწინებდი სამუშაო პროცესის დაგეგმვისას?
- დაგეხმარა თუ არა პირველადი გეგმა მუშაობის პროცესში?
- რა დეტალებზე აკეთებდი აქცენტს მატიანის მომზადების პროცესში?
- წარიმართა თუ არა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი დაგეგმილის შესაბამისად?
- გახდა თუ არა საჭირო თავდაპირველად შემუშავებულ გეგმებში ცვლილებების შეტანა?
- რატომ არის საჭირო დავალების პირველადი ვერსიის შექმნა?
- რით განსხვავდება შესრულებული დავალების პირველადი ვერსია საბოლოოსგან?
- რა ფაქტორებმა გამოიწვია/შეუძლია გამოიწვიოს პირველადი დასკვნების გადასინჯვა?
- რა პროდუქტი შექმენი კომპლექსური დავალების სახით?
- რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი პროდუქტი ისტორიული მატიანეა?

Don't copy

ახსენი, რატომ შექმენი მატიანე? რა საკითხის შესახებ გამოხატე შენი ცოდნა კომპლექსური დავალების საშუალებით?

- რატომ შეასრულე კომპლექსური დავალება?
- რა გრძელვადიან და მოკლევადიან მიზნებს ისახავდი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?
- ვისთვის და რატომ არის ეს პროდუქტი სასარგებლო და საინტერესო?
- რა იცოდი შესასწავლი საკითხის შესახებ? რა გაიგე ახალი? დამატებით რის გაგებას ისურვებდი?
- რა დასკვნებამდე მიხვედი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? რით დასტურდება შენ მიერ გაკეთებული დასკვნების მართებულობა/თანამიმდევრულობა?
- რა ხერხები გამოიყენე სასწავლო მასალის უკეთ გასააზრებლად?/კომპლექსური დავალების უკეთ შესასრულებლად?

რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?

- ვის წინაშე იყავი ანგარიშვალდებული სამუშაო პროცესში (მასწავლებლის, თანაკლასელების, სამეზობლო თემის)?
- რა საერთო მიზანი გქონდათ შენ და შენს მასწავლებელს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- გქონდა თუ არა საერთო მიზნები თანაკლასელებთან ერთად? იყო თუ არა შენთვის საინტერესო და სასიამოვნო კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი?
- რა გააკეთე დამოუკიდებლად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?
- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს?
- ვინ და როგორ დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? ვისთან ითანამშრომლე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?
- წააწყდი თუ არა კონფლიქტურ სიტუაციებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ შეძელი კონფლიქტის დარეგულირება?
- წააწყდი თუ არა გაურკვევლობებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? როგორ გაერკვიე ბუნდოვანებით მოცულ საკითხებში?
- შეხვდი თუ არა განსხვავებულ მოსაზრებებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს? რამდენად შეძელი თანამშრომლობა განსხვავებული შეხედულებების ადამიანებთან? რა დაგეხმარება, რომ უკეთ გაიგო თანაკლასელების, მასწავლებლის სათქმელი?
- გააანალიზე, რა წესებს/კანონებს იცავდი და რატომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას (მაგალითად, რამდენად მოახერხე, აზრთა სხვადასხვაობის ვითარებაში ორიენტირებული ყოფილიყავი პრობლემაზე და არა კომუნიკაციაში ჩართულ ადამიანებზე? რით და როგორ გამოხატავდი ადამიანების მიმართ პატივისცემას კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს).
- რით დაგეხმარა მასწავლებელთან, სხვა მოსწავლეებთან დიალოგი კომპლექსური დავალების შესრულებაში?
- რით შეიძლება დახმარება გაუწიოს შენმა შეკითხვებმა თანაკლასელებს სათქმელის უკეთ ჩამოყალიბებაში?
- რა ფაქტორები გაითვალისწინე/უნდა გაითვალისწინო საიმისოდ, რომ შენი კომპლექსური დავალების პრეზენტაცია მსმენელისთვის გასაგები და მისაღები ყოფილიყო?
- გამოიყენე თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? რაში დაგეხმარა ტექნოლოგიების გამოყენება?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან? როგორ წარმოაჩენ ამ განსხვავებებს შეკითხვების სახით?
- შეაფასე, რამდენად გამოგივიდა ის, რაც მასწავლებლისგან გქონდა დავალებული.

Draft copy

სამიზნე ცნება – ისტორიული მოვლენა, პროცესი

ქვეცნება:
ორმეფობა, ზავი, ანტიმონღოლური აჯანყება, ცენტრალიზაცია

სამიზნე ცნება – სივრცე

ქვეცნება:
ილხანთა საყაენო, ოქროს ურდო, ულუსი, დუმანი
საკითხი – საქართველო XIII ს.-ის 20-იანი წლებიდან XV ს.-ის 50-იან წლებამდე

საკვანძო შეკითხვა – როგორ წარმოვაჩინო ინტერვიუს საშუალებით მონღოლთა და თემურლენგის ბატონობის შედეგად საქართველოსა და კავკასიის რეგიონში გამოწვეული სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებები?

კომპლექსური დავალება
წარმოიდგინე, რომ დროში მოგზაურობის საშუალება მოგეცა და XV საუკუნის საქართველოს ეწვიე. გადაწყვიტე, მოინახულო მეფე ალექსანდრე დიდი და ჩაწერო **ინტერვიუ**. ინტერვიუს დროს უნდა შეეხო ალექსანდრეს მეფობამდელ და მის დროს განვითარებულ მოვლენებს.

სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:	**შეფასების კრიტერიუმი** მოსწავლეს შეუძლია:	ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:
სივრცე (შედეგი: 1,2,3,4,5,6) • გეოგრაფიული გარემო და გეოგრაფიული ცოდნა გავლენას ახდენს ადამიანთა საზოგადოების განვითარებაზე; • კომუნიკაციის სიხშირე დიდი/მცირე ზომის სოციალურ-კულტურული სივრცეების ჩამოყალიბებას განაპირობებს; • კონკრეტულ ისტორიულ-გეოგრაფიულ არეალებს გარკვეული ეკონომიკური, სტრატეგიული და კულტურული მნიშვნელობა აქვს.	**სივრცე** • იმსჯელოს, რა გავლენას ახდენდა გეოგრაფიული გარემო შესწავლის ობიექტად შერჩეული ეპოქის ადამიანებზე; • დაახასიათოს შესწავლის ობიექტად შერჩეული ეპოქის/პერიოდის ადამიანების გეოგრაფიული ცოდნა; • აღნიშნოს, რა სახელით აღინიშნებოდა ესა თუ ის გეოგრაფიული არელი შესწავლის ობიექტად შერჩეულ ისტორიულ ეპოქაში; რა სოციალური/ეკონომიკური/სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა მას.	• რატომ იყო რთული პოლიტიკური მდგომარეობა საქართველოში ალექსანდრე დიდის გამეფებისას და როგორ ცდილობდა ის ვითარების გამოსწორებას? **(მ. წ. 1; ისტორიული მოვლენა/პროცესი)** • როგორ იცვლებოდა მონღოლებისა და თემურლენგის იმპერიის საზღვრები, როგორ აისახა ეს ცვლილება საქართველოზე და რატომ იყო ის სტრატეგიულად და ეკონომიკურად საინტერესო სხვადასხვა დროს ჩამოყალიბებული იმპერიებისთვის? **(მ. წ. 3; ისტორიული მოვლენა/პროცესი და მ. წ. 2; 3: სივრცე)**

Don't copy

ისტორიული მოვლენა/ პროცესი (შედეგი: 3,4,5,6) • ყველა ისტორიულ მოვლენას აქვს თავის მიზეზი/მიზეზები და შედეგი/შედეგები; • ისტორიკოსები ხშირად კამათობენ ისტორიული მოვლენების მიზეზებისა და შედეგების შესახებ; • ზოგიერთ ისტორიულ მოვლენას ლოკალური, ზოგს კი გლობალური მნიშვნელობა აქვს; • ისტორიული ფაქტები და მოვლენები ტიპოლოგიურად შეიძლება დაჯგუფდეს პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული ნიშნით.	**ისტორიული მოვლენა/პროცესი** • შესწავლის ობიექტად შერჩეული ისტორიული მოვლენის მიზეზები, შედეგები და მნიშვნელობა; • რა გავლენა ჰქონდა შესწავლის ობიექტად შერჩეულ ისტორიულ მოვლენას შესაბამისი ეპოქის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ისტორიაზე.	• რა პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცვლილებები მიმდინარეობს საქართველოში მონღოლების დაპყრობების პერიოდში და როგორ ხსნიან და აფასებენ ამ პროცესს საქართველოს სამეფო კარზე მოღვაწე და უცხოელი ისტორიკოსები? **(მ. წ. 4; ისტორიული მოვლენა/პროცესი).** • რატომ ცდილობენ საქართველოს მეფეები ევროპულ სახელმწიფოებთან დაკავშირებას და რატომ შეიძლება, საქართველო ევროპული სივრცის ნაწილად მოვიაზროთ? **(მ. წ. 1; სივრცე)**

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 66-75

კომპლექსური დავალების შესრულების ეტაპები

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები

სარეკომენდაციო აქტივობა:
მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს რესურსს და დაფაზე წერს: „ინტერვიუ“. მოსწავლეები აყალიბებენ მოსაზრებებს პროდუქტთან დაკავშირებით, რის შემდეგაც მასწავლებელი მინილექციით, კითხვა-პასუხის მეთოდით მოსწავლეებს აცნობს ინფორმაციას ინტერვიუს შესახებ.

რესურსი.
ინტერვიუ – სამოქალაქო განათლების ლექსიკონი (http://dictionary.css.ge/content/interview)
ინტერვიუ, როგორც სასწავლო მეთოდი (http://mastsavlebeli.ge/?p=2567)

შეკითხვები
- რა არის ინტერვიუ?
- წაგიკითხავთ თუ არა ინტერვიუ ცნობილ ადამიანებთან? რა ინფორმაცია მიიღეთ, რა შთაბეჭდილება დაგრჩა წაკითხულის შემდეგ?
- რა მახასიათებლები აქვს ინტერვიუს?
- როგორია ინტერვიუს სტრუქტურა? რა ეტაპები უნდა გავიაროთ ინტერვიუს მოსამზადებლად?
- გაქვთ თუ არა ინტერვიუს ჩაწერის გამოცდილება?
- როგორ შეიძლება, ინტერვიუს დახმარებით წარმოვაჩინოთ დამპყრობლების შედეგად

Don't copy

(მონღოლები, თემურლენგი) საქართველოს პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში მომხდარი ცვლილებები?

კომპლექსური დავალება

- შენი სიტყვებით ჩამოაყალიბე, რას შეეხება დღეს მოცემული დავალება, რომელზეც რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში უნდა იმუშაოთ.
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ქვესაკითხი:

საქართველოს სამეფოს დასუსტება. ორმეფობის ხანა

ქვეცნება:

ილხანთა საყაენო, ოქროს ურდო, ულუსი, დუმანი, ორმეფობა

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 66-75

ნაბიჯი 1

- როგორ იცვლებოდა მონღოლებისა და თემურლენგის იმპერიის საზღვრები, როგორ აისახა ეს ცვლილება საქართველოზე და რატომ იყო ის სტრატეგიულად და ეკონომიკურად საინტერესო სხვადასხვა დროს ჩამოყალიბებული იმპერიებისთვის? **(მ. წ. 3; ისტორიული მოვლენა/პროცესი და მ. წ. 2; 3: სივრცე)**
- რა პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცვლილებები მიმდინარეობს საქართველოში მონღოლების დაპყრობების პერიოდში და როგორ ხსნიან და აფასებენ ამ პროცესს საქართველოს სამეფო კარზე მოღვაწე და უცხოელი ისტორიკოსები? **(მ. წ. 4; ისტორიული მოვლენა/პროცესი).**
- რატომ ცდილობენ საქართველოს მეფეები ევროპულ სახელმწიფოებთან დაკავშირებას და რატომ შეიძლება, საქართველო ევროპული სივრცის ნაწილად მოვიაზროთ? **(მ. წ.1; სივრცე)**

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:

შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ტექსტის/წყაროების ანალიზი.

სარეკომენდაციო აქტივობა:

ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს მონღოლების პირველი გამოჩენისა და ჯალალ ად-დინი მიერ საქართველოს აოხრების შესახებ მასალების დამუშავება (გვ. 66-69). მოსწავლები ეცნობიან და აანალიზებენ ტექსტსა და წყაროებს.

- განვითარების რა საფეხურზე იყვნენ მონღოლები, სანამ ჩინგიზ-ყაენი სახელმწიფოს შექმნიდა?
- ჩინგიზ-ყაენის მიერ გატარებულმა რა ღონისძიებებმა განსაზღვრა მონღოლთა სახელმწიფოს წარმატება და როგორ მიმდინარეობდა ეს პროცესი?
- შენი აზრით, რატომ უსვამს ხაზს სპარსელი მემატიანე მონღოლების რელიგიურ ტოლერანტობას? ქვეყნის სიძლიერისთვის რამდენად მნიშვნელოვანია ყველა რელიგიის პატივისცემა? პასუხი დაასაბუთე.
- კავკასიაში მონღოლთა პირველი ლაშქრობის შედეგებისა და მარშრუტის გათვალისწინებით, რა იყო მათი მიზანი?
- გაიხსენე განვლილი მასალა და იმსჯელე, რამდენად მნიშვნელოვანია პიროვნების როლი ისტორიული პროცესის ან მოვლენის განვითარებაში? პასუხი დაასაბუთე.

Draft copy

- ჩინგიზ-ყაენის რა პიროვნულ თვისებებს გამოყოფდი, რომლებიც მონღოლთა ერთიანი, ძლიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში დაეხმარა?
- შენი აზრით, რატომ არ ჰქონდათ მონღოლებს ციხესიმაგრეების ასაღები ტექნოლოგიები?
- როგორ გესმით ა) წყაროს ავტორის ფრაზა: მონღოლებს „მართვის არანაირი სისტემა არ გააჩნიათ“?
- რაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მონღოლებს არანაირი დოკუმენტი არ ჰქონდათ?
- ტექსტისა და წყარო ა-ში გადმოცემული ინფორმაციის გამოყენებით იმსჯელე, რა ფაქტორებმა განაპირობა ჩინეთის მარცხი მონღოლურ არმიასთან.
- როგორ ფიქრობ, რაზე მიუთითებს ის, რომ მონღოლებს ქვეითი მეომრები არ ჰყავთ (წყარო ა და სურ. 1) და ლაშქრობაში ცოლ-შვილი თან მიჰყავთ?
- შენი აზრით, რატომ აღმოჩნდნენ ქალაქ მერვის აღების დროს ხელოსნები სხვა დანარჩენ მოსახლეობასთან შედარებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში?
- როგორ ფიქრობ, რა არის მონღოლთაგან დევნილი ჯალალ ად-დინის მიზანი კავკასიაში გამოჩენის დროს? მოყვანილი ნაწყვეტის მიხედვით აღადგინე გარნისის ბრძოლის მიმდინარეობა. რა გახდა ქართველების მარცხის მიზეზი?
- შენი აზრით, რა საშინაო პოლიტიკური პრობლემების წინაშე დგას ქართული სამეფო კარი გარნისის ბრძოლის დროს? რატომ?
- როგორ წარმოვაჩინო ინტერვიუს საშუალებით ინფორმაცია მონღოლთა პირველი გამოჩენისა და ჯალალ ად-დინის შესახებ?

მოსწავლის რვეული – დავალება 37-38

შეკითხვების დამუშავების შემდეგ მოსწავლეები ეცნობიან მონღოლების მიერ საქართველოს დაპყრობის, მონღოლური მმართველობისა და ორმეფობის საკითხებს (გვ. 70-75). მოსწავლები ეცნობიან და აანალიზებენ ტექსტსა და წყაროებს. მუშაობენ სახელმძღვანელოში მოცემულ შეკითხვებზე.

- დაასახელე მონღოლებთან დამარცხების მიზეზები.
- შენი აზრით, ადმინისტრაციული მოწყობისას რატომ დაანაწილეს მონღოლებმა კავკასია რელიგიური ნიშნით?
- მონღოლებთან ზავის შემდეგ რა მსგავსება-განსხვავება იქნებოდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის მდგომარეობას შორის?
- რა არგუმენტები მოჰყავდათ დავით გიორგის ძის მომხრეებს?
- რას პასუხობდნენ დავით რუსუდანის ძის წარმომადგენლები?
- შენ რომ მონღოლთა ყაენი ყოფილიყავი, ვის დაუჭერდი მხარს? რატომ?
- გამოთქვი ვარაუდი, მხოლოდ მემკვიდრეობის საკუთარი წესის თანახმად დაამტკიცეს მონღოლებმა ორივე დავითი მეფედ თუ მათ სხვა გათვლაც ჰქონდათ?
- შენი აზრით, ეს ქვეყნის შემდგომ განვითარებას შეუწყობდა ხელს თუ დაასუსტებდა? პასუხი დაასაბუთე.
- შენი აზრით, რა სირთულეების წინაშე აღმოჩნდებოდნენ მონღოლები უზარმაზარი იმპერიის მართვისას კომუნიკაციის თვალსაზრისით?
- შენი აზრით, მონეტის შუბლზე შესრულებული წარწერის ორი დავითიდან რომელი იგულისხმება მეფეთ მეფეში?
- შენი აზრით, რატომ გაათავისუფლეს მონღოლებმა ყოველგვარი რელიგიური კულტის მსახურნი გადასახადებისაგან?
- რა საფრთხის წინაშე დადგა ქვეყანა დავით ულუსა და დავით ნარინს შორის არსებული უთანხმოების გამო?
- რა დადებითი და უარყოფითი მხარეები ჰქონდა საქართველოსთვის ერთიანი მონღოლური იმპერიის დაშლას? რატომ?

Draft copy

- დააკვირდი რუკას 13-ს და იმსჯელე, რა სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ჩინგიზ-ყაენის იმპერიის დაშლის შედეგად ჩამოყალიბებული მოსაზღვრე მონღოლური სახელმწიფოებისათვის.
- რატომ მონაწილეობდნენ ქართველები ბაღდადის აღებაში?
- იმსჯელე მონღოლთა სახელმწიფოს შექმნისა და მსოფლიო იმპერიად ჩამოყალიბების პროცესზე. გაიხსენე, რა ტერიტორიაზე გავრცელდა არაბთა სახალიფო (მე-10 კლასი) და შეადარე მონღოლთა სახელმწიფოს (რუკა 12 და 14). რომელი თანამედროვე ქვეყნები მოიცვა არაბთა სახალიფომ და რომელი მონღოლების იმპერიამ?
- როგორ წარმოვაჩინო ინტერვიუს დახმარებით მონღოლთა მიერ საქართველოს დაპყრობის პროცესი?

მასწავლებელი წყაროების, რუკებისა და სახელმძღვანელოს ტექსტის მიხედვით მოსწავლეებს ავალებს ესეს დაწერას, რომელშიც წარმოადგენენ XIII საუკუნეში საქართველოს სამეფოს დასუსტებისა და დაშლის პროცესს.

მოსწავლის რვეული – დავალებები 39-40

ქვეცნება:
ორმეფობა, ანტიმონღოლური აჯანყება, ილხანთა საყაენო, ულუსი

ქვესაკითხი:
- საქართველო ილხანთა ბატონობის ქვეშ

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 76-80

ნაბიჯი 2
- როგორ იცვლებოდა მონღოლებისა და თემურლენგის იმპერიის საზღვრები, როგორ აისახა ეს ცვლილება საქართველოზე და რატომ იყო ის სტრატეგიულად და ეკონომიკურად საინტერესო სხვადასხვა დროს ჩამოყალიბებული იმპერიებისთვის? **(მ. წ. 3; ისტორიული მოვლენა/პროცესი და მ. წ. 2; 3: სივრცე)**
- რა პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცვლილებები მიმდინარეობს საქართველოში მონღოლების დაპყრობების პერიოდში და როგორ ხსნიან და აფასებენ ამ პროცესს საქართველოს სამეფო კარზე მოღვაწე და უცხოელი ისტორიკოსები? **(მ. წ. 4; ისტორიული მოვლენა/პროცესი).**

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:
შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ტექსტის/წყაროების ანალიზი.

სარეკომენდაციო აქტივობა:
აღნიშნული კრიტერიუმების შესაბამსიად, მასწავლებელს შეუძლია სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს მასალის დამუშავება დემეტრე II-ის მეფობის შესახებ. მოსწავლეები ეცნობიან ტექსტსა და წყაროებს (გვ. 76-79). პედაგოგი ცოდნის გააზრებისათვის იყენებს სახლემძღვანელოში მოცემულ შეკითხვებს.
- წყარო ა-სა და სახელმძღვანელოს ტექსტის მიხედვით იმსჯელე საქართველოში შექმნილ ვითარებაზე. როგორ იმოქმედებდა ქვეყნის განვითარებაზე დიდგვაროვნების გაძლიერება?
- როგორ აისახებოდა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობასა და ეკონომიკაზე მონღოლთა სამხედრო კამპანიებში მონაწილეობის ვალდებულება?
- ჩანდა თუ არა საგარეო პოილტიკურ არენაზე ძალა, რომელიც შეიძლებოდა საქართველოს რეალური მოკავშირე ყოფილიყო? რატომ ფიქრობ ასე?

Don't copy

- წყარო ა-ს ავტორი აღნიშნავს სადუნ მანკაბერდელის როგორც უარყოფით, ისე დადებით თვისებებს. გამოთქვი მოსაზრება ამ პიროვნების შესახებ. პასუხი დაასაბუთე.
- იმსჯელე, როგორ იმოქმედა შექმნილმა პოლიტიკურმა პროცესმა ქვეყნის საზღვრებზე.
- შენი აზრით, რამდენად რეალური იყო დემეტრე II-ის ჩართვა ჯვაროსნულ ლაშქრობაში
- როგორ აისახა ქართველთა ცხოვრების წესზე მონღოლური გავლენა? სად უფრო ძლიერი იქნებოდა ის, აღმოსავლეთ საქართველოში თუ დასავლეთში? რატომ?
- გამოთქვი მოსაზრება, რატომ ცხოვრობდა დემეტრე II „მონღოლური წესით"? როგორ იმოქმედებდა მისი ქორწინებები ქვეყნის კეთილდღეობაზე?
- შენი აზრით, მამის თანამდებობებიდან ათაბაგობის სხვა პირისათვის გადაცემა ხუტლუ ბუღას გაანაწყენებდა თუ არა? მომავალში მოსალოდნელი იყო თუ არა მეფის წინააღმდეგ რაიმე ნაბიჯის გადადგმა?
- რაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ საქართველოს კათალიკოსთან უთანხმოების მიუხედავად,
  მეფე ეკლესიების აღმშენებლობაზე ზრუნავდა?
- რას მიიჩნევდი ძნელბედობაში მყოფი საქართველოს მთავარ პრობლემად: გარეშე მტერს თუ
  შიდა უთანხმოებას? რატომ?
- შენი აზრით, „ოქროს ურდოს" ყაენისთვის რომ ეთხოვა დახმარება, დაიღუპებოდა თუ არა დემეტრე II? ივარაუდე, როგორ განვითარდებოდა ამ შემთხვევაში ისტორიული პროცესი საქართველოში.
- როგორ წარმოვაჩინო ინტერვიუს საშუალებით დემეტრე II-ის მეფობა?

მოსწავლის რვეული – დავალებები 41-43

ამ კითხვებისათვის პასუხის გაცემის შემდეგ მოსწავლეები გაეცნობიან მასალებს დემეტრე მეორის სიკვდილით დასჯის შემდეგ საქართველოში არსებული კრიზისის შესახებ (გვ. 79-80). საკითხის გასააზრებლად პედაგოგს შეუძლია, გამოიყენოს სახელმძღვანელოში არსებული შეკითხვები.

- შენი აზრით, როგორ შეიცვლებოდა საქართველოს საზღვრები, დემეტრე II ასე ადრე რომ არ გარდაცვლილიყო?
- რა მნიშვნელობა ჰქონდა მონღოლური საყაენოების დაპირისპირების პროცესში დარიალის ხეობას? გაიხსენე ისტორიიდან მსგავსი მაგალითები.
- გამოთქვი მოსაზრება მეფისა და დარბაზის ურთიერთობის, ასევე დარბაზის გადაწყვეტილებების შესახებ დემეტრე II-ისა და დავით VIII-ის მეფობის დროს.
- გაიხსენე, ვინ და როდის მიანიჭა იერუსალიმში პრივილეგიები ქართველებს?
- XIII საუკუნის ბოლოს, მძაფრი შიდა პოლიტიკური უთანხმოებისა და იმპერიებს შორის არსებული კონფლიქტების ფონზე, რა გამოსავალი ჰქონდა ქვეყანას? რატომ ფიქრობ ასე?
- შენი აზრით, ყაზან-ყაენის დამოკიდებულება ქრისტიანების მიმართ მისი პირადი ტოლერანტობის გამოვლინებაა თუ სახელმწიფოებრივი საჭიროებით იყო განპირობებული? პასუხი დაასაბუთე.
- როგორ წარმოვაჩინო ინტერვიუს საშუალებით დემეტრე II-ის შემდეგ საქართველოში შექმნილი პოლიტიკური კრიზისი?

პედაგოგი მოსწავლეებს ავსებინებს ცხრილს შემდეგი ინსტრუქციით: იყოფიან ჯგუფებად ჯგუფებად და თითოეულმა ჯგუფმა შეავსოს ცხრილი. I გრაფაში ჩაწერეთ დემეტრეს მეფობის დადებითი, II გრაფაში – უარყოფითი მხარეები. ცხრილის შევსების შემდეგ შესრულებული დავალებები ერთმანეთს უნდა შეადაროთ. ნახონ, რამდენად ემთხვევა ან განსხვავდება თქვენი დამოკიდებულება დემეტრეს მეფობის სხვადასხვა მომენტის მიმართ. განსხვავებული შეფასებების შემთხვევაში თითოეულმა ჯგუფმა უნდა აირჩიოს პრეზენტატორი, რომელიც კლასის წინაშე ჯგუფის შეფასებას ახსნის და დაასაბუთებს.

Do not copy

მოსწავლის რვეული – დავალება 44

ქვეცნება:
ილხანთა საყაენო, ცენტრალიზაცია

ქვესაკითხი:
გიორგი ბრწყინვალის მიერ სახელმწიფოს ცენტრალიზაცია

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 81-88

ნაბიჯი 3

- რა პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცვლილებები მიმდინარეობს საქართველოში მონღოლების დაპყრობების პერიოდში და როგორ ხსნიან და აფასებენ ამ პროცესს საქართველოს სამეფო კარზე მოღვაწე და უცხოელი ისტორიკოსები? **(მ. წ. 4; ისტორიული მოვლენა/პროცესი).**
- რატომ ცდილობენ საქართველოს მეფეები ევროპულ სახელმწიფოებთან დაკავშირებას და რატომ შეიძლება, საქართველო ევროპული სივრცის ნაწილად მოვიაზროთ? **(მ. წ.1; სივრცე)**

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:
შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია.

სარეკომენდაციო აქტივობა:
ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს საკითხზე მუშაობა (გვ. 81-84). მოსწავლეები ეცნობიან ტექსტსა და წყაროებს გიორგი ბრწყინვალის მოღვაწეობის შესახებ, მონღოლთა ბატონობის დასასრულსა და ქვეყნის გაერთიანებაზე. პედაგოგი საკითხის გასააზრებლად იყენებს სახლმძღვანელოში მოცემულ შეკითხვებს.

- რა მისცა ქვეყანას გიორგი V-ის მეგობრობამ ილხანთა საყაენოს პირველ ვეზირთან?
- გაიხსენე, როგორ ჩამოყალიბდა ილხანთა საყაენო და რა მნიშვნელობა ჰქონდა მათთვის საქართველოს.
- როგორ ფიქრობ, რატომ აწარმოებდა ილხანთა საყაენო ომებს ეგვიპტისა და რუმის სასულთნოების წინააღმდეგ? რა სტრატეგიული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ამ ქვეყნებს? (რუკა 12 და 16)
- შენი აზრით, რომელმა პოლიტიკურმა პროცესმა განაპირობა ქართველებისთვის ჯვრის მონასტრის ჩამორთმევა?
- გამოთქვი მოსაზრება, ჯვრის მონასტრის დაბრუნების თაობაზე რატომ დაიწყო მოლაპარაკება ეგვიპტის სულთანმა კონკრეტულად დავით VIII-სა და კონსტანტინე დავითის ძესთან?
- ნებისმიერი მოლაპარაკების დროს ორივე მხარე რაღაცას თმობს. სავარაუდოდ, რას მოელოდა ეგვიპტის სულთანი გიორგი V-გან?
- ეცადე, ახსნა ის ეპითეტები, რომლებითაც ეგვიპტის სულთანი მოიხსენიებს გიორგი V-ს. შენი აზრით, ეს უბრალოდ დიპლომატიური ეტიკეტია თუ სხვა მიზეზებით არის განპირობებული?
- რაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ იერუსალიმში ქართველი მეფე უფრო მეტი უფლებებით სარგებლობს, ვიდრე „ოქროს ურდოს“ ყაენი?
- შეადარე ერთმანეთს თამარისა და გიორგი ბრწყინვალის ურთიერთობა ეგვიპტის სულთნებთან. იმსჯელე ამ ურთიერთობის განმაპირობებელ პოლიტიკურ პროცესებზე.
- რა შეიძლება ითქვას გიორგის V-ის დროს საქართველოს რეგიონულ სტატუსზე და როგორ აისახა ქვეყნის შიდა პოლიტიკური სტაბილურობა მის საერთაშორისო მდგომარეობაზე?

Don't copy

- რატომ უწყობს ხელს ჩობან ნოინი გიორგი ბრწყინვალეს დასავლეთ და სამხრეთ საქართველოზე კონტროლის მოპოვებაში?
- გიორგი V მამის, დემეტრე II თავდადებულის, მსგავსად მონღოლებთან მეგობრული ურთიერთობის გზას დაადგა. რამდენად მართებული იყო ამგვარი პოლიტიკა, მით უმეტეს მამის ტრაგიკული მაგალითის ფონზე?
- როგორ ფიქრობ, რამ განაპირობა გიორგი V-ის გადაწყვეტილება, შეეწყვიტა მონღოლებისთვის ხარკის მიცემა? რამდენად სარისკო იყო ქვეყნისთვის და მისთვისაც ამ ნაბიჯის გადადგმა?
- გაიხსენე საქართველოს ისტორიაში ფაქტები, როდესაც ქართველი მეფეები ხელსაყრელ საერთაშორისო პოლიტიკურ ვითარებას იყენებდნენ. შეადარე გიორგი ბრწყინვალეს.
- რატომ და როგორ შეიძლება, საერთაშორისო პოლიტიკურმა მოვლენებმა განსაზღვროს სახელმწიფოს შიდა პოლიტიკური პროცესი?
- როგორ წარმოვაჩინო ინტერვიუს საშუალებით გიორგი ბრწყინვალის მიერ ქვეყნის გაერთიანების პროცესი?

მოსწავლის რვეული – დავალებები 45-46

ამ საკითხების დამუშავების შემდეგ მოსწავლეები გაეცნობიან მასალებს გიორგი ბრწყინვალის აღმოსავლური და პროევროპული პოლიტიკის შესახებ (გვ. 85-88), შეაფასებენ მონარქის პიროვნულ დამსახურებებს. საკითხის გასააზრებლად შესაძლებელია სახელმძღვანელოში არსებული შეკითხვების გამოყენება.

- როგორ გესმის რომის პაპის სიტყვები: „ჩვენ უდიდეს ტკივილს განვიცდით, რაკი ვხედავთ, რომ ეკლესიის ზოგიერთი ნაწილი მოწყვეტილია მისი მეთაურისაგან“? რა საერთაშორისო ფაქტორებით შეიძლება აიხსნას რომის პაპის სიტყვები?
- გაიხსენე, საქართველოს რომელ მეფეებს ჰქონდათ კონტაქტი რომის კათოლიკურ ეკლესისთან. რა მიზანს ემსახურებოდა და რა შედეგით დასრულდა ეს დიპლომატიური ურთიერთობა?
- შენი აზრით, რატომ უწყობს ხელს გიორგი ბრწყინვალე თბილისში კათოლიკური საეპისკოპოსოს დაარსებას და რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ ფაქტს ქვეყნისთვის?
- რა სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს აღმოსავლეთის ქრისტიანულ სახელმწიფოებს ევროპისთვის?
- როგორ აღწერს წყარო ზ-ს ავტორი XIV საუკუნის 30-იანი წლების საქართველოს ერთ კონკრეტულ მხარეს – აფხაზეთს?
- როგორ ფიქრობ, რა ისტორიულმა პროცესმა გამოიწვია ქვეყანაში ასეთი გაჭირვება?
- შენი აზრით, რას გულისხმობდა პეტრე გერალდი სიტყვებში: „მუდმივად, დღე და ღამე ვუცდი მახვილს სარწმუნოებისთვის საბრძოლველად და ეკლესიის გაერთიანებისთვის“.
- წყარო ზ-სა და სურ. 2-ის მიხედვით იმსჯელე აფხაზეთის ეთნიკურ შემადგენლობაზე.
- წელთაღრიცხვის რომელ სისტემას იყენებს პეტრე გერალდი?
- როგორ ფიქრობ, რას ნიშნავს საქართველოს მეფის სიტყვები: „ევროპელები აღმოსავლეთის მეფეებს მტანჯველ ომში მარტო ტოვებენ“?
- შენი აზრით, რამდენად რეალურია საფრანგეთის მეფისა და გიორგი ბრწყინვალის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი? რატომ?
- რომელი ზღვის გადალახვას სთხოვს გიორგი ფილიპე VI ვალუას და რა ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს საზღვაო გზების კონტროლს?
- რა ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს რანისა და შირვანის ფლობას საქართველოსთვის?

- რა გეოგრაფიულ საზღვრებში ყალიბდება ოსმალეთის სახელმწიფო და რა გავლენა შეიძლება მოახდინოს რეგიონზე ახალი სახელმწიფოს გაჩენამ? როგორ შეიძლება ეს აისახოს საქართველოზე?

Draft copy

- როგორ ფიქრობ, რატომ ჰქონდა საქართველოში ოსმალების შემოჭრას ეპიზოდური ხასიათი?
- გაიხსენე, როდის და ვინ დააარსა ტრაპიზონის იმპერია და რა იყო ამის მიზეზი.
- როგორ ფიქრობ, რატომ ცდილობენ ქართველები და ბიზანტიელები ტრაპიზონზე გავლენის მოპოვებას?
- რა დამსახურებების გამო მიიღო გიორგიმ ზეწოდება „ბრწყინვალე"?
- რა მეთოდებს მიმართავდა გიორგი V ქვეყნის გასაძლიერებლად? შენი აზრით, რამდენად გამართლებულია ქვეყნის გამთლიანება-გაძლიერებისთვის ნებისმიერი საშუალების გამოყენება?
- შეადარე რუკა 18 რუკა 6-ს (საქართველო დავით აღმაშენებლის დროს) და იმსჯელე საქართველოს სამეფოს ტერიტორიის ცვლილებებზე.
- როგორ წარმოვაჩინო ინტერვიუს საშუალებით გიორგი ბრწყინვალის საგარეო აღმოსავლური და ევროპული პოლიტიკა?

მოსწავლის რვეული – დავალებები 47-48

ქვეცნება:
ოქროს ურდო, ულუსი, ცენტრალიზაცია

ქვესაკითხი:
თემურლენგის შემოსევები და მისი შედეგები
რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 89-96

ნაბიჯი 4
- როგორ იცვლებოდა მონღოლებისა და თემურლენგის იმპერიის საზღვრები, როგორ აისახა ეს ცვლილება საქართველოზე და რატომ იყო ის სტრატეგიულად და ეკონომიკურად საინტერესო სხვადასხვა დროს ჩამოყალიბებული იმპერიებისთვის? **(მ. წ. 3; ისტორიული მოვლენა/პროცესი და მ. წ. 2; 3: სივრცე)**
- რატომ იყო რთული პოლიტიკური მდგომარეობა საქართველოში ალექსანდრე დიდის გამეფებისას და როგორ ცდილობდა ის ვითარების გამოსწორებას? **(მ. წ. 1; ისტორიული მოვლენა/პროცესი)**

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:
შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია.

სარეკომენდაციო აქტივობა:
ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს საკითხზე მუშაობა. მოსწავლეები ამუშავებენ ტექსტსა და წყაროებს თემურლენგის შემოსევების შესახებ (გვ. 89-94). საკითხის ანალიზისათვის, საჭიროებისამებრ, იყენებენ სახელმძღვანელოში მოცემულ შეკითხვებს.
- როგორი შიდა პოლიტიკური სიტუაცია იყო საქართველოში თემურლენგის ლაშქრობებამდე?
- შენი აზრით, დადიანის მეფისთვის დაქვემდებარება ფორმალური ხასიათისაა თუ არა? რატომ?
- როგორ ფიქრობ, რა მიზეზებმა განაპირობა საქართველოში სეპარტიზმის გაჩენა? შენი აზრით, რა შეიძლება მოიმოქმედოს სამეფო ხელისუფლებამ სეპარატიზმის შესაჩერებლად?
- გაიხსენე, რომელ ტერიტორიებს მოიცავს „ოქროს ურდო" და რა ურთიერთობა ჰქონდა მასთან საქართველოს.
- რა სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს „ოქროს ურდოსა" და თემურლენგის დაპირისპირების პროცესში საქართველოს და რა გამოწვევების წინაშე დგას საქართველოს სამეფო ხელისუფლება?

Don't copy

- შენი აზრით, 1385 წლისთვის შექმნილი საგარეო პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, რამდენად სწორი იყო საქართველოს მეფის გადაწყვეტილება, თოხთამიშისთვის გზა მიეცა ირანისკენ?
- რატომ იყო მნიშვნელოვანი თემურლენგისთვის საქართველოსა და შირვანის მოკავშირეობა?
- შენი აზრით, როგორ აისახება მეფის ტიტულატურაში სამფლობელოების საზღვრები?
- შენი აზრით, თემურლენგის II ლაშქრობის დროს საქართველოს მეფე და თოხთამიში შეთანხმებულად მოქმედებდნენ? პასუხი დაასაბუთე.
- დააკვირდი რუკა 17-ს და გამოთქვი მოსაზრება, რატომ იყო თემურლენგისთვის მნიშვნელოვანი არაგვის ხეობის დაკავება?
- რა შედეგები შეიძლებოდა მოეტანა თოხთამიშის საბოლოო დამარცხებას ირანისა და სამხრეთ კავკასიისთვის?
- შენი აზრით, რატომ აჩეხა ვენახები, თუთის ხეები და ბაღები თემურლენგმა? პასუხი დაასაბუთე. როგორ იმოქმედებდა ეს ფაქტი ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაზე?
- რა მიზანი ამოძრავებდა თემურლენგს ეკლესია-მონასტრების განადგურებისას?
- კლასში გამართეთ დისკუსია: რამდენად ადეკვატური იყო გიორგი VII-ის პასუხი (წყარო გ) და რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამას?
- გაიხსენე, საქართველოს რომელი მეფეები აღწევენ დიპლომატიურ წარმატებას და შეადარე მათი მეფობა მეფე გიორგი VII-ის მეფობას.
- ბ და გ წყაროების გაანალიზების შემდეგ როგორ შეაფასებდი ბაგრატისა და გიორგის პიროვნებას? როგორ ფიქრობ, მეფეების პიროვნული მახასიათებლები რა გავლენას მოახდენდა მათ გადაწყვეტილებებზე? რა შედეგის მომტანი შეიძლებოდა ყოფილიყო ეს საქართველოსთვის?
- რა მოსაზრებებს ეყრდნობოდნენ გიორგი VII და თემურლენგი ზავის დადების დროს?
- როგორ ფიქრობ, შეიძლება თუ არა, საქართველოს გამოეყენებინა ოსმალეთთან თემურლენგის დაპირისპირება? რატომ?
- როგორ ფიქრობ, გიორგი VII-ის გადაწყვეტილება დაზავებასთან დაკავშირებით დაგვიანებული იყო თუ არა? რატომ ფიქრობ ასე?
- შენი აზრით, რატომ არ ჩაერთო გიორგი თემურლენგისა და ბაიაზიდის დაპირისპირებაში?
- როგორ წარმოვაჩინო ინტერვიუს საშუალებით თემურლენგის ლაშქრობები საქართველოში?

მოსწავლის რვეული – დავალებები 49-50

ამ საკითხების დამუშავების შემდეგ მოსწავლეები გაეცნობიან მასალებს თემურლენგის შემდგომი პერიოდის საქართველოს შესახებ და ალექსანდრე დიდის მიერ ქვეყნის აღორძინების მიზნით გაწეულ საქმიანობაზე (გვ. 94-96). ტექსტისა და წყაროების გაცნობის შემდეგ საკითხის გასააზრებლად, შესაძლებელია, სახელმძღვანელოში არსებული შეკითხვების გამოყენება.

- რა პოლიტიკური პროცესები განვითარდა აზიაში თემურლენგის გარდაცვალების შემდეგ და როგორ შეიძლებოდა მოეხდინა გავლენა არსებულ პოლიტიკურ სიტუაციას საქართველოს საშინაო პოლიტიკაზე?
- რა ვითარება სუფევდა საქართველოში ალექსანდრე I-ის გამეფების დროს?
- შენი აზრით, რა შედეგი შეიძლებოდა მოეტანა ქვეყნისთვის დიდებულთა თვითნებობას (ზედა აბზაცში მოყვანილი ინფორმაცია შეადარე წყარო ა-ს)?
- რა საგარეო და საშინაო პროცესებმა შეუწყო ხელი ქვეყანაში სეპარატიზმს? იმსჯელე შესწავლილი მასალიდან გამომდინარე.
- ივარაუდე, ამ კუთხით ალექსანდრე I-ის გამარჯვებები დროებითი წარმატება იქნებოდა თუ ქვეყანა კვლავ გაძლიერდებოდა? რა მეთოდებსა და რესურსებს იყენებდა ალექსანდრე I წარმატების მისაღწევად?
- რა ღონისძიებას მიმართა ალექსანდრე I-მა ქვეყნის შიგნით და გარეთ კულტურული და რელიგიური ცენტრების ასაღორძინებლად?

Demo copy

- იმსჯელე საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე და მისი მმართველის აღმშენებლობით მოღვაწეობაზე.
- წყაროების გაანალიზების შემდეგ შეაფასე ალექსანდრეს მეფობა. რა გარემოებებმა შეუწყო ხელი ალექსანდრეს წარმატებულ მოღვაწეობას?
- როგორ წარმოვაჩინო ინტერვიუს საშუალებით ალექსანდრე დიდის მოღვაწეობა?

მოსწავლის რვეული – დავალებები 51-52

კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობისთვის

აღწერე, როგორ მიმდინარეობს/წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი.

- როგორ გეგმავ/დაგეგმე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი? რას ითვალისწინებდი სამუშაო პროცესის დაგეგმვისას?
- დაგეხმარა თუ არა პირველადი გეგმა მუშაობის პროცესში?
- რა დეტალებზე აკეთებდი აქცენტს ინტერვიუს მომზადების პროცესში?
- წარიმართა თუ არა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი დაგეგმილის შესაბამისად?
- გახდა თუ არა საჭირო თავდაპირველად შემუშავებულ გეგმებში ცვლილებების შეტანა?
- რატომ არის საჭირო დავალების პირველადი ვერსიის შექმნა?
- რით განსხვავდება შესრულებული დავალების პირველადი ვერსია საბოლოოსგან?
- რა ფაქტორებმა გამოიწვია/შეუძლია გამოიწვიოს პირველადი დასკვნების გადასინჯვა?
- რა პროდუქტი შექმენი კომპლექსური დავალების სახით?
- რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი პროდუქტი ინტერვიუა?

ახსენი, რატომ შექმენი ინტერვიუ? რა საკითხის შესახებ გამოხატე შენი ცოდნა კომპლექსური დავალების საშუალებით?

- რატომ შეასრულე კომპლექსური დავალება?
- რა გრძელვადიან და მოკლევადიან მიზნებს ისახავდი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?
- ვისთვის და რატომ არის ეს პროდუქტი სასარგებლო და საინტერესო?
- რა იცოდი შესასწავლი საკითხის შესახებ? რა გაიგე ახალი? დამატებით რის გაგებას ისურვებდი?
- რა დასკვნებამდე მიხვედი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? რით დასტურდება შენ მიერ გაკეთებული დასკვნების მართებულობა/თანამიმდევრულობა?
- რა ხერხები გამოიყენე სასწავლო მასალის უკეთ გასააზრებლად?/კომპლექსური დავალების უკეთ შესასრულებლად?

რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?

- ვის წინაშე იყავი ანგარიშვალდებული სამუშაო პროცესში (მასწავლებლის, თანაკლასელების, სამეზობლო თემის)?
- რა საერთო მიზანი გქონდათ შენ და შენს მასწავლებელს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- გქონდა თუ არა საერთო მიზნები თანაკლასელებთან ერთად? იყო თუ არა შენთვის საინტერესო და სასიამოვნო კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი?
- რა გააკეთე დამოუკიდებლად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?
- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს?
- ვინ და როგორ დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? ვისთან ითანამშრომლე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?
- წააწყდი თუ არა კონფლიქტურ სიტუაციებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ შეძელი კონფლიქტის დარეგულირება?
- წააწყდი თუ არა გაურკვევლობებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? როგორ გაერკვიე ბუნდოვანებით მოცულ საკითხებში?

Don't copy

- შეხვდი თუ არა განსხვავებულ მოსაზრებებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს? რამდენად შეძელი თანამშრომლობა განსხვავებული შეხედულებების ადამიანებთან? რა დაგეხმარება, რომ უკეთ გაიგო თანაკლასელების, მასწავლებლის სათქმელი?
- გააანალიზე, რა წესებს/კანონებს იცავდი და რატომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას (მაგალითად, რამდენად მოახერხე, აზრთა სხვადასხვაობის ვითარებაში ორიენტირებული ყოფილიყავი პრობლემაზე და არა კომუნიკაციაში ჩართულ ადამიანებზე? რით და როგორ გამოხატავდი ადამიანების მიმართ პატივისცემას კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს).
- რით დაგეხმარა მასწავლებელთან, სხვა მოსწავლეებთან დიალოგი კომპლექსური დავალების შესრულებაში?
- რით შეიძლება დახმარება გაუწიოს შენმა შეკითხვებმა თანაკლასელებს სათქმელის უკეთ ჩამოყალიბებაში?
- რა ფაქტორები გაითვალისწინე/უნდა გაითვალისწინო საიმისოდ, რომ შენი კომპლექსური დავალების პრეზენტაცია მსმენელისთვის გასაგები და მისაღები ყოფილიყო?
- გამოიყენე თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? რაში დაგეხმარა ტექნოლოგიების გამოყენება?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან? როგორ წარმოაჩენ ამ განსხვავებებს შეკითხვების სახით?
- შეაფასე, რამდენად გამოგივიდა ის, რაც მასწავლებლისგან გქონდა დავალებული.

Don't copy

სამიზნე ცნება – ძალაუფლება

ქვეცნება:
მონარქია, საერისთავოები, ყმადნაფიცობა, დარბაზი

სამიზნე ცნება – საზოგადოება

ქვეცნება:
დიდაზნაურები, აზნაურები, გლეხები, რინდები, მოქალაქეები, გენდერული როლი

საკითხი – მმართველობა და საზოგადოება განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოში

საკვანძო შეკითხვა – როგორ წარმოვაჩინოთ ანგარიშის საშუალებით შუა საუკუნეების საქართველოს სამეფო კარი, მმართველობის ინსტიტუტები და სოციალური ფენები?

კომპლექსური დავალება
XIV საუკუნის 30-იან წლებში მონღოლებისგან საბოლოოდ გათავისუფლების შემდეგ საქართველოში დღის წესრიგში დადგა სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ნორმების აღდგენა. მონღოლთა ასწლიანმა ბატონობამ უარყოფითი გავლენა მოახდინა ქვეყნის ცენტრალიზაციაზე და დაამძიმა სოციალური ფენების მდგომარეობა. ქვეყანაში დარღვეული წესრიგის აღსადგენად სამეფო ხელისუფლებამ სამართლებრივი ღონისძიების გატარება დაიწყო. წარმოიდგინე, რომ სამეფო კარის მოხელე ხარ, რომელსაც დაავალეს, მოემზადებინა **ანგარიში** ქვეყანაში არსებული სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. ეს დაეხმარებოდა მეფის ხელისუფლებას ვითარების შეფასებასა და მართებული ნაბიჯების გადადგმაში.

სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები **<u>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:</u>**	**შეფასების კრიტერიუმი** **<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>**	**<u>ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:</u>**
ძალაუფლება (შედეგი: 3,4,5,6) • ძალაუფლებისთვის ბრძოლა ისტორიის განუყოფელი ნაწილია; • ძალაუფლებისთვის ბრძოლა მიმდინარეობს როგორც პიროვნებებს, ისე საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის. ბრძოლისას ისინი იყენებენ ქვეყანაში არსებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სტრუქტურებს;	**ძალაუფლება:** • გააანალიზოს, როგორი იყო შესწავლის ობიექტად შერჩეულ პერიოდში მმართველობის ფორმები და სტრუქტურები; • იმსჯელოს, ვინ და როგორ/რა საშუალებებით იბრძოდა ძალაუფლებისთვის შესწავლის ობიექტად შერჩეულ პერიოდში.	• როგორი იყო XI-XIV საუკუნეებში საქართველოში მმართველობის ფორმა და როგორ ახერხებდა მეფე ძალაუფლების შენარჩუნებას მსხვილ ფეოდალებთან დაპირისპირების პირობებში? **(მ. წ. 1 და 2: ძალაუფლება)** • რა იდეოლოგიურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ რესურსებს ემყარებოდა სამეფო ხელისუფლება და როგორ ხდებოდა ხელისუფლების გადაცემა? **(მ. წ. ძალაუფლება 3 და 5)**

Don't copy

• ძალაუფლების მოპოვებისა და შენარჩუნებისთვის აუცილებელი საშუალებებია რესურსების (ფინანსების, ადამიანური რესურსების) ფლობა, სიმბოლოები იდეოლოგია; • ზოგიერთ საზოგადოებაში ძალაუფლებას ერთპიროვნულად ფლობენ, ზოგან კი იგი ადამიანებს/საზოგადოებრივ ჯგუფებს შორისაა დანაწილებული; • დემოკრატიულ სახელმწიფოში ძალაუფლების წყაროა ხალხი.	**საზოგადოება** • აღწეროს შესაბამისი პერიოდის ადამიანების იდენტობის საშუალებები; მათი საერთო ინტერესები და საზრუნავი; • აღწეროს, რომელი სოციალური ფენებისგან შედგებოდა შესაბამისი პერიოდის საზოგადოება; • იმსჯელოს, ჰქონდათ თუ არა სტერეოტიპული წარმოდგენები ამ ისტორიულად არსებული საზოგადოების წევრებს სხვა საზოგადოებების მიმართ.	• რომელი სოციალური ფენები არსებობდა საქართველოში, როგორი იყო მათი ქცევის წესები, ეტიკეტის ნორმები, ინტერესი და საზრუნავი? **(მ. წ. 1: საზოგადოება)** • რომელ სოციალურ ფენებს ეყრდნობოდა ქვეყნის სამოხელეო აპარატი და როგორ იყო უფლება-მოვალეობანი განაწილებული სამეფო კარის მოხელეებს შორის? **(მ. წ. 4: ძალაუფლება და 2: საზოგადოება)** • როგორ თანაცხოვრობდნენ სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები საქართველოში და რა დამოკიდებულება ჰქონდათ მათ განსხვავებული რელიგიური და ეთნიკურ ჯგუფების მიმართ? **(მ. წ. 3 და 4: საზოგადოება)**

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 97-118

კომპლექსური დავალების შესრულების ეტაპები

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები

სარეკომენდაციო აქტივობა:

მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს რესურსს და დაფაზე წერს: „ანგარიში“. მოსწავლეები აყალიბებენ მოსაზრებებს პროდუქტთან დაკავშირებით, რის შემდეგაც მასწავლებელი კითხვა-პასუხის მეთოდით მოსწავლეებს აცნობს ინფორმაციას ანგარიშის შესახებ.

რესურსი: როგორ დავწეროთ ანგარიში

https://www.rogor.ge/article/1056-rogor-davcerot-angarishi-reporti/

კომპლექსური დავალება

- შენი სიტყვებით ჩამოაყალიბე, რას შეეხება დღეს მოცემული დავალება, რომელზეც რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში უნდა იმუშაოთ.
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ქვესაკითხი:

სამეფო ხელისუფლება და მმართველობის ინსტიტუტები

ქვეცნება:

მონარქია, საერისთავოები, ყმადნაფიცობა, დარბაზი, დიდაზნაურები

Don't copy

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 97-105

ნაბიჯი 1

- როგორი იყო XI-XIV საუკუნეებში საქართველოში მმართველობის ფორმა და როგორ ახერხებდა მეფე ძალაუფლების შენარჩუნებას მსხვილ ფეოდალებთან დაპირისპირების პირობებში? **(მ. წ. 1 და 2: ძალაუფლება)**
- რა იდეოლოგიურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ რესურსებს ემყარებოდა სამეფო ხელისუფლება და როგორ ხდებოდა ხელისუფლების გადაცემა? **(მ. წ. ძალაუფლება 3 და 5)**
- რომელ სოციალურ ფენებს ეყრდნობოდა ქვეყნის სამოხელეო აპარატი და როგორ იყო უფლება-მოვალეობანი განაწილებული სამეფო კარის მოხელეებს შორის? **(მ. წ. 4: ძალაუფლება და 2: საზოგადოება)**

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:
შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია.

სარეკომენდაციო აქტივობა:
ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს საკითხზე მუშაობა (გვ. 97-99). მოსწავლეები გაეცნობიან ტექსტსა და წყაროებს სამეფო ხელისუფლების, სამეფო ოჯახის შესახებ. მასწავლებელმა საკითხის გასააზრებლად შეიძლება გამოიყენოს სახელმძღვანელოში მოცემული შეკითხვები და დავალებები.

- შენი აზრით, რა სიმბოლური დატვირთვა აქვს სამეფო ნიშნებს?
- როგორ ფიქრობ, მეფის ტაძარში კურთხევა აუცილებელი პირობა იყო თუ არა ხელისუფლების ლეგიტიმაციისათვის? პასუხი დაასაბუთე.
- რა იდეას გამოხატავს ფრესკაზე ასახული სიუჟეტი? რატომ?
- შენი აზრით, როგორ ახერხებდა მეფე მთავართა მზაკვრობის ამოცნობას?
- როგორ ფიქრობ, ვის შორის და რის გამო შეიძლებოდა დაწყებულიყო შიდა დაპირისპირებები და როგორ უნდა აღეკვეთა ისინი მეფეს?
- მოხელეთა შერჩევისას რა მახასიათებლები შეიძლებოდა ყოფილიყო მეფისთვის განმსაზღვრელი? რატომ?
- შენი აზრით, რომელი ფენა შეიძლებოდა ყოფილიყო დაინტერესებული მეფის ხელისუფლების გაძლიერებით ან დასუსტებით? რატომ?
- დააკვირდი ა წყაროში ჩამოთვლილ მოვალეობებს და იმსჯელე, შენ მიერ შესწავლილ პერიოდში მოღვაწე ყველა მეფემ შეძლო მათი შესრულება?
- შენი აზრით, რატომ ქორწინდებოდა საქართველოს მეფე უცხო ქვეყნის წარმომადგენელზე?
- რატომ იყო აუცილებელი, რომ ტახტის მემკვიდრეს საფუძვლიანი განათლება მიეღო?
- შენი აზრით, რატომ ასწავლიდნენ ტახტის მემკვიდრეს ბერძნულს, სპარსულსა და არაბულს?
- გაიხსენე, რომელი მეფე ავიდა საქართველოს სამეფო ტახტზე მცირეწლოვანი?
- იმსჯელე, რა ჰქონდა დადებითი და რა უარყოფითი მეფის შეუზღუდავ ხელისუფლებას.
- გაიხსენე წინა მასალა და იმსჯელე, რამდენად მართებულია წყარო ბ-ს მოსაზრება, რომ მეფის „შემზღუდველი პიროვნება ან ინსტიტუტი ქვეყანაში არ არსებობდა“. თუ ასეთი მაინც იყო, როდიდან შეიქმნა ასეთი ვითარება და რატომ?
- როგორ წარმოვაჩინო მეფის ინსტიტუტი და სამეფო ოჯახი ანგარიშის საშუალებით?

მოსწავლის რვეული – დავალებები 53-55

Demo copy

ამ საკითხების დამუშავების შემდეგ მოსწავლეები გაეცნობიან მასალებს სამოხელეო პარატის, სახელისუფლებო ინსტიტუტებისა და იერარქიის შესახებ (გვ. 99-101). ტექსტისა და წყაროების გაცნობის შემდეგ საკითხის გასააზრებლად შესაძლებელია სახელმძღვანელოში არსებული შეკითხვების გამოყენება.

- როგორ ფიქრობ, რატომ იყო ძალაუფლება იერარქიულად განაწილებული ვაზირებს შორის?
- რა დადებითი და უარყოფითი შედეგი შეიძლებოდა ჰქონოდა სამეფო ხელისუფლებისთვის ვაზირთა იერარქიას?
- როგორ ფიქრობ, ვაზირთა იერარქიული დაყოფა განსაზღვრავს თუ არა მათ რეალურ გავლენას? პასუხი დაასაბუთე.
- შენი აზრით, მოვალეობის მიხედვით, სამეფო ხელისუფლების სიმტკიცისთვის რომელი უწყებაა/უწყებებია ყველაზე მნიშვნელოვანი? რატომ?
- როგორ ფიქრობ, მეფის საწოლში ყოფნის დროს რატომ ჰქონდათ მხოლოდ მსახურთუხუცესს, მისი მოხელეებსა და ამირეჯიბს შესვლის უფლება?
- შენი აზრით, რაზე მიუთითებს სამეფო კარზე დამკვიდრებული ეტიკეტი? რა სიმბოლური დატვირთვა შეიძლება ჰქონდეს მას?
- ივარაუდე, „სავაზიროს“ გარეთ მხოლოდ სამი უწყების თითო-თითო წარმომადგენელი რატომ ელოდებოდა გამოძახებას?
- როგორ არის სამეფო კარზე უზრუნველყოფილი მონარქის უსაფრთხოება?
- შენი აზრით, რატომ არის მნიშვნელოვანი და საჭირო სამეფო ხელისუფლების სიმტკიცისთვის ყოველწლიურად აღწერის ჩატარება?
- გაიხსენე, როდის გაიზარდა „დარბაზის“ უფლებები და რატომ? რის უფლება მიიღო „დარბაზის ერმა“?
- რომელ თანამედროვე სახელმწიფო სტრუქტურას შეადარებდი „სავაზიროს“ და „დარბაზს“?
- როგორ წარმოვაჩინო სამოხელეო აპარატი და ხელისუფლების ინსტიტუტები ანგარიშის საშუალებით?

მოსწავლის რვეული – დავალებები 56-57

შემდგომ ეტაპზე მოსწავლეები დაამუშავებენ ტექსტსა და წყაროებს შუა საუკუნეებში ადგილობრივი მმართველობის შესახებ (გვ. 102). მასალების გაცნობის შემდეგ საკითხის გასააზრებლად შესაძლებელია სახელმძღვანელოში არსებული შეკითხვების გამოყენება.

- როგორ ფიქრობ, რატომ იყვნენ ყმადნაფიცები ძირითადად ჩრდილოეთ კავკასიის, ხოლო მოხარკენი სამხრეთის ისლამური ქვეყნები?
- შენი აზრით, სამეფო ხელისუფლების სიმტკიცისთვის რამდენად მიზანშეწონილია შემოერთებულ ახალ ტერიტორიებზე ადგილობრივი ხელისუფლების დატოვება? რატომ?
- შენი აზრით, რატომ მონაწილეობს დროდადრო მეფე უშუალოდ ხარკის აკრეფის პროცესში?
- შეეცადე, შეუფარდო შუა საუკუნეების ქართველ მოხელეებს თანამედროვე სამოხელეო თანამდებობები.
- როგორ წარმოვაჩინო ადგილობრივი მმართველობა ანგარიშის საშუალებით?

პედაგოგი მოსწავლეებს შეახსენებს, რომ გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III „მეფედ“, „აფხაზთა მეფედ და კურაპალატად“ ან კიდევ „მეფეთა მეფედ“ იწოდებოდა; დავით აღმაშენებელი – „მეფედ აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა“, ასევე „თვითმპყრობელად“ და „მესიის მახვილად“; თამარი „აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა და დედოფლის, შარვანშას და შაჰანშას და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთის თვითმპყრობლის“ ტიტულს ატარებდა. შემდეგ ავალებს მათ: იმსჯელეთ, რას ნიშნავს ქართველ მეფეთა ეს ტიტულები და როგორ აისახა ქართული ფეოდალური მონარქიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შედეგები მეფეთა ტიტულატურაზე.

Don't copy

მოსწავლის რვეული – დავალება 58

მოცემული შეკითხვებისა და დავალებების შესრულების შემდეგ მოსწავლეები განიხილავენ მართლმსაჯულებას, ეცნობიან შესაბამის მასალებს სახელმძღვანელოში (გვ. 103-105). მასწავლებელს შეუძლია, საკითხის გასააზრებლად გამოიყენოს სახლმძღვანელოში მოცემული შეკითხვები.

- ბაგრატ IV-ის სიგელის მიხედვით, ვინ განაგებს ქვეყანაში მართლმსაჯულებას?
- როგორ გესმის გამოთქმა: „მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი“?
- სასამართლო პროცესზე რა წარმოადგენს ძირითად დამამტკიცებელ საბუთს?
- რომელმა მხარემ წარმოადგინა ქრონოლოგიურად უფრო ადრე გაცემული დოკუმენტი?
- ქრონოლოგიურად უფრო ადრე გაცემული დოკუმენტი აღმოჩნდა თუ არა საკმარისი დავის გადასაწყვეტად?
- შენი აზრით, რის საფუძველზე გადაწყვიტა სასამართლომ დავა მიჯნაძორელთა სასარგებლოდ?
- ეთანხმები თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილებას? გამოხატე შენი პოზიცია.
- დაახასიათე შუა საუკუნეების მართლმსაჯულება და იმსჯელე, რამდენად იყო განვითარებული საქართველოში სამართლებრივი კულტურა.
- შენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია და რატომ სახელმწიფოს მართვა-გამგეობისა და სასამართლოს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებობა?
- როგორ ფიქრობ, რა არის დოკუმენტის (წყარო ა) მთავარი აზრი და პრობლემა?
- შენი ვარაუდით, რა შეიძლებოდა ყოფილიყო წარმოჩენილი პრობლემის გამომწვევი მიზეზები?
- რომელ პრობლემაზე ლაპარაკობს დოკუმენტში ვარდან არეველეცი?
- რა საერთო დასკვნა შეიძლება გაკეთდეს ა და ბ წყაროებზე დაყრდნობით?
- რაზე უნდა მიუთითებდეს სასამართლო პროცესში ჭყონდიდელის მონაწილეობა?
- რომელი ეროვნებისა და აღმსარებლობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ სასამართლო პროცესს?
- გამოთქვი მოსაზრება, რატომ ესწრებოდნენ მონასტერთა შორის დავის გადაწყვეტის პროცესს მუსლიმი ყადი და შეიხი?
- შენი აზრით, XIII-XIV სს.-ში რატომ შეიქმნა სამართლებრივი დოკუმენტი სამცხე-საათაბაგოსთვის? რა ტენდენციაზე უნდა მიუთითებდეს ეს ფაქტი?
- იმსჯელე, ასახავს თუ არა საკანონმდებლო დოკუმენტი საზოგადოების განვითარების დონეს და როგორ?
- როგორ წარმოვაჩინო შუა საუკუნეების ქართული მართლმსაჯულება ანგარიშის საშუალებით?

მოსწავლის რვეული – დავალება 59

ქვეცნება:
დიდაზნაურები, აზნაურები, გლეხები, რინდები, მოქალაქეები

ქვესაკითხი:
- საზოგადოებრივი ფენები და სწავლა-განათლება

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 106-113

ნაბიჯი 2

- რომელი სოციალური ფენები არსებობდა საქართველოში, როგორი იყო მათი ქცევის წესები, ეტიკეტის ნორმები, ინტერესი და საზრუნავი? **(მ. წ. 1: საზოგადოება)**
- როგორ თანაცხოვრობდნენ სხვადასხვა სოციალური ფენის წარმოადგენლები საქართველოში და რა დამოკიდებულება ჰქონდათ მათ განსხვავებული რელიგიური და ეთნიკურ ჯგუფების მიმართ? **(მ. წ. 3 და 4: საზოგადოება)**

Don't copy

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:
შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია.

სარეკომენდაციო აქტივობა:
ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს მუშაობა ფეოდალური ხანის საქართველოს საზოგადოებრივი ფენების შესახებ. ამ მიზნით მოსწავლეები დაამუშავებენ ტექსტსა და წყაროებს (გვ. 106-108). საკითხის გასააზრებლად მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს სახელმძღვანელოში არსებული შეკითხვები.

- წინა პარაგრაფებიდან გამომდინარე, იმსჯელე, XIII ს.-ის 50-იანი წლებიდან XIV ს.-ის შუახანებამდე რატომ უნდა მომხდარიყო გარკვეული ცვლილებები საზოგადოებრივ ურთიერთობებში?
- რა საფრთხე შეიძლებოდა შეჰქმნოდა სამეფო ხელისუფლებას სამოხელეო მიწების დიდაზნაურებისათვის მემკვიდრეობით დაკანონებით?
- როგორ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან აზნაურები თავიანთი სოციალური მდგომარეობით და უფლება-მოვალეობებით?
- შენი აზრით, რა დადებითი და უარყოფითი მხარეები ჰქონდა იმ ფაქტს, რომ დიდაზნაურებს (ერისთავთერისთავებს, ერისთავებს) თავიანთ საგანმგებლო სამფლობელოში სამხედრო მეთაურის ფუნქციაც ებარათ?
- შეეცადე, გაიხსენო ლიტერატურაში ნასწავლი პოემა „ვეფხისტყაოსნიდან“ „პატრონყმობის“ დამადასტურებელი ეპიზოდები.
- ნასწავლი მასალიდან გაიხსენე ის ბრძოლები, რომლებშიც საქართველოს ჯარის სტრუქტურამ გადამწყვეტი როლი ითამაშა როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური კუთხით.
- შენი აზრით, რატომ გახდა აუცილებელი ჯარში სანახაობებისა თუ დროსტარების აკრძალვა?
- რა მიზნით არის შექმნილი ეს დოკუმენტი და რა შეიტყვე ამ წყაროდან? იმსჯელე ამაზე.
- ბ წყაროს მიხედვით შეადგინე XI საუკუნის საქართველოს სამეფო-სამოხელეო აპარატის იერარქიული სქემა.
- როგორ ფიქრობ, რა მნიშვნელობა აქვს გიორგი მეფის სიგელს ისტორიული კვლევისთვის?
- რას გეუბნება ისტორიული დოკუმენტი ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულებაზე?
- გაიხსენე წინა პარაგრაფი. რა დოკუმენტები წარმოადგინეს ქართული მონასტრების წარმოადგენლებმა ბაგრატ IV-ის დროს გამართულ სასამართლოზე? შეადარე ეს დოკუმენტები წყარო ბ-ს, გამოყავი მსგავსება-განსხვავებები.
- შენი აზრით, პატრონსა და გლეხს შორის დამოკიდებულების ის ფორმა, რომელიც XI-XV საუკუნეების საქართველოში არსებობდა, რამდენად მისაღები იქნებოდა ორივე მხარისთვის?
- შეიქმნებოდა იმის საშიშროება, რომ ასეთი ურთიერთობა ხშირ სოციალურ აფეთქებას გამოიწვევდა? პასუხი დაასაბუთე.
- შენი აზრით, როგორ იმოქმედებდა გლეხის შრომის ნაყოფიერებაზე ის ფაქტი, რომ თავისი ნაშრომის მნიშვნელოვანი წილი პატრონისათვის უნდა მიეცა?
- როგორ წარმოვაჩინო ანგარიშში შუა საუკუნეების საქართველოს საზოგადოებრივი ფენები?

მოსწავლის რვეული – დავალება 60
შეკითხვებისა და დავალებების დასრულების შემდეგ მოსწავლეები გაეცნობიან ქალაქებსა და საქალაქო ცხოვრებას შუა საუკუნეების საქართველოში, დაამუშავებენ ტექსტსა და წყაროებს (გვ. 108-110). მასალის გასააზრებლად პასუხობენ შეკითხვებს სახელმძღვანელოდან (საჭიროებისამებრ).

- წყარო გ-ს რომელი ინფორმაცია მიუთითებს, რომ ეს ნაწყვეტი XII საუკუნეში უნდა შექმნილიყო?
- რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი კავკასიაში მნიშვნელოვანი სავაჭრო ქალაქების გავითარებას?
- ტექსტსა და წყაროზე დაყრდნობით იმსჯელე, რომელი სოციალური ჯგუფების წარმომადგენლები მკვიდრობენ ქალაქებში და როგორია მათი ცხოვრების წესი.

Draft copy

- დაახასიათე თბილისი მოყვანილი ნაწყვეტების მიხედვით. ქალაქის რა ნიშან-თვისებებს გამოყოფს წყაროს ავტორი?
- რას გეუბნება ის ფაქტი, რომ თბილისის მცხოვრებნი ყოველთვის ცდილობდნენ, უცხო სტუმარს მათი კეთილგანწყობილი დამოკიდებულება ეგრძნო?
- დაახასიათე ქალაქის არქიტექტურული ნაგებობები.
- იმსჯელე ქალაქის როლსა და მნიშვნელობაზე; როგორ წარმოგვიდგება თბილისი როგორც: ა) პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრი; ბ) სასულიერო ცენტრი; გ) სავაჭრო-სახელოსნო ქალაქი?
- იმსჯელე, ამ პერიოდში რა ბედი ეწეოდა საქართველოს სავაჭრო ქალაქებს?
- დაასახელე ფაქტორები, რომლებიც მონღოლების მმართველობის პერიოდში ქვეყნის ეკონომიკურ დაქვეითებას გამოიწვევდა.
- რა მიზანს ემსახურებოდა ყაზან-ყაენის ჩატარებული ღონისძიება?
- შენი აზრით, რა გახდა იმის მიზეზი, რომ ყაენმა გადასახადები შეამცირა და გადასახადის ოდენობა მკაცრად განსაზღვრა?
- წყარო დ-ზე დაყრდნობით იმსჯელე, რა სირთულეებს აწყდებიან მონღოლები მათ მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე ძალაუფლების შენარჩუნების პროცესში.
- როგორ და რატომ გართულდა ევროპისა და აზიის სავაჭრო ურთიერთობები მონღოლთა საყაენოს დაშლის შემდეგ?
- მოყვანილი წარწერის მიხედვით იმსჯელე მონღოლთა მმართველობის ეკონომიკურ შედეგებზე.
- როგორ წარმოვაჩინო შუა საუკუნეების ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ანგარიშის საშუალებით?

შემდეგ ეტაპზე მოსწავლეები გაეცნობიან ტექსტსა და წყაროებს შუა საუკუნეების ქართული ქალაქების მრავალფეროვნების შესახებ (გვ. 110-111). ტექსტის გასააზრებლად შესაძლებელია სახელმძღვანელოში არსებული შეკითხვების გამოყენება.

- რა ადგილი ეჭირათ რინდებს შუა საუკუნეების აღმოსავლურ საზოგადოებაში?
- რა მოსაზრებები არსებობს რინდების სოციალურ როლთან დაკავშირებით? შენ რომელ მოსაზრებას იზიარებ?
- მისაღებია თუ არა შენთვის გაბატონებული იდეოლოგიის წინააღმდეგ მსგავსი ფორმით (იგულისხმება რინდები) პროტესტის გამოხატვა? რატომ?
- წინა მასალიდან გაიხსენე, რომელი ქართველი მეფე ურთიერთობდა რინდებთან?
- რატომ აფარებდნენ თავს თბილისს, ქრისტიანულ ქალაქს, რინდები, სუფიები, მუსლიმი ღვთისმეტყველები?
- შენი აზრით, დავით IV აღმაშენებლის მიერ მუსლიმი სასულიერო პირების, მეცნიერების, სუფიების პატივისცემა, მისი ტოლერანტული პოლიტიკა ქვეყნის საზოგადოებრივი განვითარებისთვის მნიშვნელოვანი იყო თუ უმნიშვნელო, ყოველდღიურ მოვლენას წარმოადგენდა? სამეფო ხელისუფლების განმტკიცებას ხელს შეუწყობდა თუ დაასუსტებდა? პასუხ დაასაბუთე.
- როგორ წარმოვაჩინო ანგარიშის საშუალებით შუა საუკუნეების ქართულ ქალაქში დამოკიდებულება მრავალფეროვნების მიმართ?

მოსწავლის რვეული – დავალება 61

მოსწავლეები გაეცნობიან მასალა შუა საუკუნების საქართველოს სწავლა-განათლების შესახებ (გვ. 111-113). ტექსტის გასააზრებლად შესაძლებელია სახელმძღვანელოში არსებული შეკითხვების გამოყენება.

- რატომ აღმოჩნდა ქართული საზოგადოებისათვის მისაღები ბიზანტიური განათლების სისტემა?
- წინა პარაგრაფებიდან გაიხსენე საქართველოს მეფეები და დედოფლები, რომლებიც ქართული ეკლესია-მონასტრების აღორძინებზე ან ახლების მშენებლობაზე ზრუნავდნენ.
- შენი აზრით, ძირითადად რომელი სოციალური ფენის წარმოამდგენლებისათვის იყო შუა საუკუნეებში განათლება ხელმისაწვდომი?

Draft copy

- გამოთქვი მოსაზრება, იარსებებდა თუ არა შუა საუკუნეების საქართველოში მუსლიმური სასწავლო დაწესებულებებიც.
- მოიძიე ინფორმაცია ერთ-ერთი საგანმანათლებლო-კულტურული ცენტრის შესახებ და დავალება წარმოადგინე წერილობით.
- რა გავლენა იქონია საზოგადოების კულტურულ წინსვლაზე პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა აღმავლობამ? რატომ ფიქრობ ასე?
- როგორ წარმოვაჩინო ანგარიშის საშუალებით შუა საუკუნეების საქართველოს სწავლა-განათლება?

მოსწავლის რვეული – დავალებები 62, 63

ქვეცნება:
გენდერული როლი

ქვესაკითხი:
- ქალების როლი შუა საუკუნეების საქართველოში

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 114-118

ნაბიჯი 3
- როგორ თანაცხოვრობდნენ სხვადასხვა სოციალური ფენის წარმოადგენლები საქართველოში და რა დამოკიდებულება ჰქონდათ მათ განსხვავებული რელიგიური და ეთნიკურ ჯგუფების მიმართ? **(მ. წ. 3 და 4: საზოგადოება)**
- რა იდეოლოგიურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ რესურსებს ემყარებოდა სამეფო ხელისუფლება და როგორ ხდებოდა ხელისუფლების გადაცემა? **(მ. წ. ძალაუფლება 3 და 5)**

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:
შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია.

სარეკომენდაციო აქტივობა:
ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს მუშაობა ქალების როლის შესახებ ფეოდალური ხანის საქართველოში. ამ მიზნით მოსწავლეები ამუშავებენ ტექსტსა და წყაროებს დედოფალი მართა-მარიამის შესახებ (გვ. 114-116). პედაგოგს შეუძლია, გამოიყენოს შეკითხვები სახელმძღვანელოდან.
- რომელ სოციალურ ფენას ეკუთვნოდნენ შუა საუკუნეების ცნობილი ქალი მოღვაწეები?
- გათანაბრებული იყვნენ თუ არა ისინი თავიანთი უფლებებით მამაკაცებთან?
- როგორ გესმის ფრაზა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნიდან“: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“?
- შენი აზრით, რატომ სურდა ბაგრატ IV-ს ბიზანტიის საიმპერატორო კართან დანათესავება?
- როგორ ფიქრობ, ტენდენციურია თუ არა მიქაელ ფსელოსი თხრობისას?
- რა კრიტერიუმით აფასებდნენ ბიზანტიელები დედოფალს?
- რა არგუმენტები მოჰყავს იოანეს ნიკიფორეს მიერ მართა-მარიამის ცოლად შერთვის სასარგებლოდ?
- შენი აზრით, რამდენად დამაჯერებელია ეს არგუმენტები და რამდენად ასახავს იმ დროის ბიზანტიური საზოგადოების სახეს?
- როგორ ფიქრობ, ეს ქორწინება ქართულ სამეფო კართან შეუთანხმებლად შედგებოდა?
- როგორ ცდილობდა ბიზანტიაში გათხოვილი ქართველი მეფის ასული ქართული კულტურის მფარველობას?
- გააანალიზე წყარო გ და იმსჯელე ქალების როლზე ბიზანტიის სამეფო კარზე.

Don't copy

- რამდენად მონაწილეობდა დედოფალი სამეფო კარის ინტრიგებში?
- დაახასიათე მარიამ დედოფალი და შენი დახასიათება შეადარე ბიზანტიელ ავტორთა დახასიათებას. დავალება წარმოადგინე წერილობით.

მოსწავლეები გაეცნობიან მასალებს თამარ მეფის შესახებ (გვ. 117-118). საკითხის გააზრებისათვის შესაძლებელია სახელმძღვანელოს შეკითხვების გამოყენება.

- გაიხსენე თამარის მეფობის დასაწყისი ხანა და დასმულ კითხვაზე გაცემული პასუხებიდან შეარჩიე მართებული. თამარი იურიზე დააქორწინეს, რადგან: ა) ქალს არ ჰქონდა საკუთარი არჩევანის უფლება; ბ) რადგან აქამდე ქალის მეფობის ტრადიცია არ არსებობდა, სამეფო კარმა თავი ვალდებულად ჩათვალა, თვითონ ეზრუნა მეფის ქორწინებაზე; გ) მეფის ცენტრალიზებული ძალაუფლების მოწინააღმდეგე დიდებულთა ჯგუფმა მოახერხა თამარის ქმრად თავისი სასურველი კანდიდატის მოყვანა.
- იმსჯელე, იყო თუ არა თამარისა და იურის ქორწინება პოლიტიკური ქორწინება? პასუხი დაასაბუთე.
- რა უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობდნენ ქალები შუა საუკუნეებში? იყვნენ თუ არა ისინი მამაკაცების თანასწორნი?
- როგორ ფიქრობ, ადამიანის უფლებები შუა საუკუნეების საქართველოში მისი ეროვნული, სარწმუნოებრივი, სოციალური თუ სქესობრივი კუთვნილების გამო იყო შეზღუდული?
- როგორ წარმოვაჩინო ანგარიშის საშუალებით შუა საუკუნეების ცნობილი ქალი მოღვაწეების როლი საქართველოსა და ბიზანტიის ისტორიაში?
- შუა საუკუნეებიდან დღემდე საზოგადოება დიდად შეიცვალა. დღეს ერთხმად მიღებულია, რომ ყველა ადამიანი ერთნაირად თავისუფალია ეროვნული, სარწმუნოებრივი, სქესობრივი კუთვნილების მიუხედავად. დაასახელე ყველა ის ნიშანი, რაც თანამედროვე ქართულ საზოგადოებას განასხვავებს ფეოდალური საზოგადოებისაგან.

მოსწავლის რვეული – დავალება 64, 65

კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობისთვის

აღწერე, როგორ მიმდინარეობს/წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი.

- როგორ გეგმავ/დაგეგმე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი? რას ითვალისწინებდი სამუშაო პროცესის დაგეგმვისას?
- დაგეხმარა თუ არა პირველადი გეგმა მუშაობის პროცესში?
- რა დეტალებზე აკეთებდი აქცენტს ანგარიშის მომზადების პროცესში?
- წარიმართა თუ არა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი დაგეგმილის შესაბამისად?
- გახდა თუ არა საჭირო თავდაპირველად შემუშავებულ გეგმებში ცვლილებების შეტანა?
- რატომ არის საჭირო დავალების პირველადი ვერსიის შექმნა?
- რით განსხვავდება შესრულებული დავალების პირველადი ვერსია საბოლოოსგან?
- რა ფაქტორებმა გამოიწვია/შეუძლია გამოიწვიოს პირველადი დასკვნების გადასინჯვა?
- რა პროდუქტი შექმენი კომპლექსური დავალების სახით?
- რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი პროდუქტი ანგარიშია?

ახსენი, რატომ შექმენი ანგარიში? რა საკითხის შესახებ გამოხატე შენი ცოდნა კომპლექსური დავალების საშუალებით?

- რატომ შეასრულე კომპლექსური დავალება?
- რა გრძელვადიან და მოკლევადიან მიზნებს ისახავდი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?
- ვისთვის და რატომ არის ეს პროდუქტი სასარგებლო და საინტერესო?
- რა იცოდი შესასწავლი საკითხის შესახებ? რა გაიგე ახალი? დამატებით რის გაგებას ისურვებდი?

Draft copy

- რა დასკვნებამდე მიხვედი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? რით დასტურდება შენ მიერ გაკეთებული დასკვნების მართებულობა/თანამიმდევრულობა?
- რა ხერხები გამოიყენე სასწავლო მასალის უკეთ გასააზრებლად?/კომპლექსური დავალების უკეთ შესასრულებლად?

რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?

- ვის წინაშე იყავი ანგარიშვალდებული სამუშაო პროცესში (მასწავლებლის, თანაკლასელების, სამეზობლო თემის)?
- რა საერთო მიზანი გქონდათ შენ და შენს მასწავლებელს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- გქონდა თუ არა საერთო მიზნები თანაკლასელებთან ერთად? იყო თუ არა შენთვის საინტერესო და სასიამოვნო კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი?
- რა გააკეთე დამოუკიდებლად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?
- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს?
- ვინ და როგორ დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? ვისთან ითანამშრომლე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?
- წააწყდი თუ არა კონფლიქტურ სიტუაციებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ შეძელი კონფლიქტის დარეგულირება?
- წააწყდი თუ არა გაურკვევლობებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? როგორ გაერკვიე ბუნდოვანებით მოცულ საკითხებში?
- შეხვდი თუ არა განსხვავებულ მოსაზრებებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს? რამდენად შეძელი თანამშრომლობა განსხვავებული შეხედულებების ადამიანებთან? რა დაგეხმარება, რომ უკეთ გაიგო თანაკლასელების, მასწავლებლის სათქმელი?
- გააანალიზე, რა წესებს/კანონებს იცავდი და რატომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას (მაგალითად, რამდენად მოახერხე, აზრთა სხვადასხვაობის ვითარებაში ორიენტირებული ყოფილიყავი პრობლემაზე და არა კომუნიკაციაში ჩართულ ადამიანებზე? რით და როგორ გამოხატავდი ადამიანების მიმართ პატივისცემას კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს).
- რით დაგეხმარა მასწავლებელთან, სხვა მოსწავლეებთან დიალოგი კომპლექსური დავალების შესრულებაში?
- რით შეიძლება დახმარება გაუწიოს შენმა შეკითხვებმა თანაკლასელებს სათქმელის უკეთ ჩამოყალიბებაში?
- რა ფაქტორები გაითვალისწინე/უნდა გაითვალისწინო საიმისოდ, რომ შენი კომპლექსური დავალების პრეზენტაცია მსმენელისთვის გასაგები და მისაღები ყოფილიყო?
- გამოიყენე თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? რაში დაგეხმარა ტექნოლოგიების გამოყენება?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან? როგორ წარმოაჩენ ამ განსხვავებებს შეკითხვების სახით?
- შეაფასე, რამდენად გამოგივიდა ის, რაც მასწავლებლისგან გქონდა დავალებული.

Do not copy

თემა 2. საქართველო XV–XVIII საუკუნეებში

სამიზნე ცნება	მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს რომ
დრო	• გვიან შუა საუკუნეებში, დამპყრობელთა მუდმივმა შემოსევებმა საქართველოს და მეზობელ რეგიონში მომხდარმა ცვლილებებმა მისი სოციალურ -ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება ნეგატიური მიმართულებით შეცვალა • საქართველოოს ისტორიის პერიოდიზაცია ასცდა ეპოქის ქრისტიანულ სამყაროში აღიარებულ ნიშნულებს გვიანი შუა საუკუნეებისა და ადრეული ახალი დროის ზოგადი მახასიათებლების (სოციალურ-ეკონომიკური , ღირებულებითი, მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით • გვიან შუა საუკუნეების საქართველოში დროის აღრიცხვისათვის "ქრისტეშობიდან" და "ქორონიკონი" გამოიყენებოდა. მუსლიმანური კულტურის გავლენით საქართველოში იცნობდნენ წელთაღრიცხვას ჰიჯრით • გეოპოლიტიკურიმა ცვლილებამ და ევროპულ სამყაროსთან კავშირის გაწყვეტამ საქართველოში გვიანი შუა საუკუნებისათვის დამახასიათებელი სოციალურ -ეკონომიკური პროცესების გახანგრძლივება გამოიწვია • დასავლეთ ევროპაში კალენდრის გრიგირიანული რეფორმის შემდეგ აღმოსავლური ქრისტიანული სამყარო და საქართველო იულიუსის კალენდრის მიმდევარი დარჩა
სივრცე	გვიან შუა საუკუნეების პროცესი საქართველოს ისტორიაში სახელმწიფოს დეცენტრალიზაციით და დაშლით აღინიშნა, რაც სამეფო სამთავროებად პოლიტიკურ დაქუცმაცებაში და ფეოდალურ დაპირისპირებებში იყო გამოხატული • საქართველოს სამეზობლო სივრცეში მდებარე დიდი იმპერიების: ოსმალეთისა და სეფიანთა ირანის მუდმივ დაპირისპირებებს თან სდევდა მათი მხრიდან საქართველოს ტერიტორიული ექსპანსია და სახლმწიფოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში უხეში ჩარევა • ოსმალების მიერ ახლო აღმოსაველთში და შავიზღვისპირეთში გაბატონებას თან მოჰყვა მათი მხრიდან უძველესი სავაჭრო გზების ხელში ჩაგდება, რამაც საქართველოს ეკონომიკური დეკადენსი გამოიწვია • დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა შეამცირა ევროპული სახელმწიფოების ინტერესი აღმოსავლეთისაკენ მიმავალი სახმელეთო გზებისკენ და საქართველო ხანგრძლივი პერიოდით აღმოჩნდა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ იზოლაციაში • გვიან შუა საუკუნეებიდან საქართველო , რომელიც ქრისტიანული და მუსლიმური ცივილიზაციური არეალების გზაჯვარედინზე მდებარეობდა ყველა მხრიდან მუსლიმურ სახელმწიფოთა რკალში მოექცა და თავგანწირვით იბრძოდა თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის • გვიან შუა საუკუნეები ქართველების მოგზაურობას აღმოსავლეთისა და დასავლეთის შორეულ ქვეყნებში, ძირითადად სავაჭრო ეკონომიკური და დიპლომატიური მიზნები ჰქონდა; მოგზაურობების შედეგად გროვდებოდა გეოგრაფიული ცოდნა სხვა ქვეყნების შესახებ • გვიან შუა საუკუნეებში კავკასია იმპერიული მისწრაფებების მქონე რუსული სახელმწიფოს ინტერესის საგანი გახდა, ის ამიერკავკასიას ერთგვარ პლაცდარმად განიხილავდა წინა აზიაში თავისი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.

Demo copy

წყარო	• გვიან შუა საუკუნეების შესახებ სხავდასხვა ისტორიული წყარები მოგვითხრობენ: წერილობითი, არქეოლოგიური, ეპიგრაფიკული, მოგზაურის ჩანაწერები და ა. შ. • გვიან შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის რეკონსქტრუციისათვის მნიშვნელოვანია ევროპული (ელჩები, მოგზაურების, მისიონერების...) და აღმოსავლური (ოსმალური და ირანული) წყაროები, რადგან ამ ეპოქის ავთენტური ქართული წყაროები მწირია. • გვიან შუა საუკუნეების პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა კრიზისმა უარყოფითი გავლენა იქონია ქართული სასიტორიო მწერლობის ტრადიციის უწყვეტ განვითარებაზე და რამდენიმე საუკუნიანი ვარდნა გამოიწვია. • გვიან შუა საუკუნეების მიწურულს ქართველი მეფის (ვახტანგ VI) და მისი განათლებული დასის ხელმძღვანელობით შეივსო გვიან შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის თხრობაში არსებული სიცარიელე და მოხდა ისტორიული ნაშრომების მეცნიერული რევიზია; ამავე ეპოქიდან ჩაეყარა საფუძველი საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კვლევას. • გვიან შუა საუკუნეების ქართული ისტორიული მწერლობის განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა ვერ იქონია სტამბის დაარსებამ, რადგან ხელშემწყობი გარემო და სტაბილური განვითარების შესაძლებლობა არ არსებობდა. • საქართველოს კულტურის ისტორიას მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნია საქართველოს საზღვრებს მიღმა გადახვეწილი დასის საქმიანობამ, სადაც ისტორიული მნიშვნელობის ნაშრომებიც იქმნებოდა, სხვა მრავალფეროვან შემოქმედებასთან ერთად.
საზოგადოება	• გვიან შუა საუკუნეების საქართველოში აღმოცენდა სათავადოები, რომელიც ქვეყნის ერთიანობის და სტაბილურობის ხელისშემშლელი ფაქტორი გახდა. • გვიან შუა საუკუნების ეპოქის საქართველოში, დასავლეთ ევროპისაგან განსხვავებით, ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი წოდებრივი და სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა ხანგრძლივად შენარჩუნდა და რეგრესული ხასიათის მატარებელი გახდა. • გვიან შუა საუკნეების ქართულ სამეფო-სამთავროებში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში დიდი იყო ქრისტიანული რელიგიის როლი; ადამინები თავგანწირვით იბრძოდნენ რელიგიის შესანარჩუნებლად, რადგან ბრძოლის ეს ფორმა სახელმწიფოერივი და კულტურული იდენტობის შენარჩუნებასთან ასოცირდებოდა. • გვიან შუა საუკუნეებში არსებულმა ბატონყმურმა სტრუქტურამ და მიწაზე მიჯაჭვულობამ შეამცირა გლეხის სამეურნეო -ეკონომიკური დაინტერესება, ხელი შეუშალა ახალი სამეწარმეო ინიციატივების გაჩენას, გარდა ამისა გარეშე მტრის მუდმივი თავდასხმები და შიდა დაპირისპირებები ხელს უშლიდა ეკონომიკის სტაბილურ განვითარებას. • გვიან შუა საუკუნეებსა და ადრეულ ახალ დროში თურქულ- თურქმანულმა ელემენტმა საქართველოს მეზობლად როგორც დასავლეთით ისე აღმოსავლეთით იმძლავრა, მათმა მმართველმა წრეებმა კავკასიელი და ახლო აღმოსავლეთის სხვა ბინადარი ხალხები თავიანთ სამხედრო და მმართველობით სისტემებში ჩართეს. • გვიან შუა საუკუნეების საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღის გავრცელებამ შეცვალა ბრძოლის ტაქტიკა გავლენა იქონია საფორტიფიკაციო ნაგებობების თავისებურებებზე. • გვიან შუა საუკუნეების მიწურულს ქართული საზოგადიების აზროვნებაზე შეინიშნება ევროპული განმანათლებლობის გავლენა, თუმცა არასაკმარისი კომუნიკაციის და შესაბამისი პირობების არარსებობის გამო ამ იდეებმა ფართო გავრცელება ვერ ჰპოვა.

Do not copy

ძალაუფლება	• გვიან შუასაუკუნეების საქართველოში საერო ხელისუფლება დომინირებს სასულიერო ხელისუფლებაზე, მიუხედავად იმისა, რომ სასულიერო ხელისუფლება აქტიურად მონაწილეობს ქვეყნაში მიმდინარე ისტორიულ პროცესებში. • გვიანი შუასაუკუნეებში აღმოსავლეთ ქრისტიანული სამყაროს ცენტრის -ბიზანტიის დეკადენსი გარდაუვალი იყო, რამაც კავკასიაში ირანისა და ოსმალეთის პოზიციების გამყარება და გაძლიერება გამოიწვია. • გვიან შუასაუკნეებში საქართველოში მეფე-მთავრებს შორის ძალაუფლების მოპოვებისა და შენარჩუნებისთვის ბრძოლა მიმიმდინარეობს, ბრძოლისას მეფე-მთავრები სამხედრო-ადმინისტარციულ ერთეულებს სადროშოებს ეყრდნობიან. ქართლსა და იმერეთში კი ადგილობრივი სამხედრო ადმინისტაციული მმართველობა მსხვილი თავადების ხელში იყო, რომელთაც მემკვიდრეობითი ძალაუფლება ჰქონდათ. • გვიან შუასაუკუნეებში და ადრეულ ახალ პერიოდში ძალაუფლების გადაცემის ფორმატი მემკვიდრეობით-დინასტიური პრინციპით გაგრძელდა, რაც გამოხატული იყო საქართველოშიც. • გვიანი შუა საუკუნებსა და ადრეულ ახალ პერიოდიში საქართველოში ძლიერდება ფეოდალური ელიტა, რაც სეპარტიზმსა და ერთიანი მოინარქიის დაშლაში გამოიხატა. • შიდაფეოდალური დაპისიპირების პროცესში მეფე-მთავრები ერთმანეთთან ბრძოლის დროს გარეშე ძალებს იყნებენ. • ერთიანი ქართული მონარქიის დაშლის შემდეგ, სამეფო-სამთავორებში ყალიბდება მსხვილი სათავადოები, რომლებიც აქტიურ როლს თამაშობენ ძაულუფლებისთვის ბრძოლის პროცესში. • გვიან შუა საუკუნებსა და ადრეულ ახალ დროში ისლამური დიდი სახელმწიფოები აძლიერებენ ზეწოლას ქართულ სამეფო-სამთავროებზე, რისთვისაც რელიგიურსა და სამხედრო ფაქტორებს ეყდნობიან. • გვიანიანი შუა საუკუნების და ადრეულ ახალ დროში ქართველები ისლამური სახელმიწფოებში მაღალ სამხედრო-პოლიტიკურ თანამდებობებს აღწევენ, რასაც საერთო ქართული და საკუთარი კერძო ინტერესების დასაცავად იყნებენ.
ისტორიული მოვლენა/პროცესი	• თემურ ლენგის ლაშქრობებმა საქართველოში ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური კრიზისი განაპირობა. • ბიზანტიის დაცემამ და ოსმალთა სახელმწიფოს მზარდმა ტერიტორიულმა ექსპანსიამ დროებით ააღორძინა „ჯვაროსნული იდეა“ თუმცა ეკლესიას აღარ შესწევდა ძალა საერო სახელმწიფოთა განსხვავებული ინტერესებზე ზემოქმედება მოეხდინა და საერთო ფრონტი უზრუნველეყო, თუმცა საუკუნეების მანძილზე ანტიოსმალური კოალიციები მთავარ საერთაშორისო საკითხად რჩებოდა, რომელშიც საქართველოს აქტიური როლი უნდა შეესრულებინა. • ანტიოსმალური კოალიციის იდეის ჩაშლის შემდეგ ქართველ მეფე-მთავრებს შორის არსებული დაპირისპირება კიდევ უფრო გამძაფრდა და საქართველო სამეფო-სამთავროებად დაიშალა. • გვიანი შუა საუკუნეებისა და ადრეული ახალი პერიოდის საქართველო სამთავროები სეპარატიზმით ხასიათდება, რამაც ერთიანი, ცენტრალიზებული სახელმწიფოს შენარჩუნების პროცესს ხელი შეუშალა.

Draft copy

	• სავაჭრო-საკომუნიკაციო გზების ოკეანეებზე გადატანამ და მისგან გამოწვეულმა კომპლექსურმა ცვლილებებმა საქართველოს გვერდი აუარა და ამ პერიოდიდან მისი ჩამორჩენა განაპირობა რაც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის პირობებში, მძიმედ აისახა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროებზე. • XVI-XVII საუკუნეშეებში ქართველი მეფე-მთავრების მცდელობას აღედგინათ ერთიანი ქართული მონარქია ხელს უშლიდა ოსმალეთ-ირანის დაპირიპირება. • ირან-ოსმალეთის დაპირისპირებაში ქართველი მეფე-მთავრები აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას, რაც ნაკარნახები იყო საკუთარი სამეფო-სამთავროების ინტერესების დაცვით. • ამასიის ზავით ირან-ოსმალეთამ ქართული სამეფო-სამთავრეობი გავლენის სფეროებად დაყვეს, რაც მეფე-მთავრებს ართმევდა შესაძლებლობას იმპერიათა დაპისიპირებით სარგებლობა მიიღოთ. • ოსმალური მმართველობის დამყარების შემდეგ სამხრეთ საქართველოში სოციალურ-კულტურული ვითარება შეიცვალა. • გვიან შუა საუკუნეებში კავკასია იმპერიული რუსული სახელმწიფოს ინტერესის საგანი გახდა, რამაც ქართველი მეფე-მთავრების საგარეო პლიტიკური კურსის ცვლილება გამოიწვია.

Don't copy

კლასი: XI
თემის სახელწოდება: საქართველო XV-XVIII საუკუნეებში
საათების სავარაუდო რაოდენობა
ძირითადი რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 116-201

სამიზნე ცნება	**საკითხი 1** რა ტერიტორიული ცვლილებები განიცადა საქართველომ XV-XVIII საუკუნეებში?	**საკითხი 2** XVII-XVIII საუკუნეების საქართველოში განვითარებული ისტორიული პროცესები	**საკითხი 3** როგორ შეიცვალა საზოგადოება და მმართველობის ფორმები XVI-XVIII საუკუნეების საქართველოში
ისტორიული წყარო (ისტ. საშ. 1.2.3.4.5) **სივრცე (შედეგი: 1,2,3,4,5,6)**	**ქვესაკითხი:** • საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავროებად; • ირან-ოსმალეთის ბრძოლა კავკასიის დაუფლებისთვის. ამასიის ზავი; • ოსმალთა გავლენის გაძლიერება საქართველოში. ანტიოსმალური კოალიციის მცდელობა; • შაჰ-აბას I-ის ლაშქრობები და მისი შედეგები. **ქვეცნება:** სამეფოები, სამთავროები, საათაბაგო, ვილაიეთი, სათავადოები, ისტორიული თხზულება, მოგზაურის ჩანაწერები, წერილი, ქრონიკა		
ისტორიული მოვლენა/პროცესი (შედეგი: 3,4,5,6) **დრო (ისტ. საშ. 1.2.3.4.5.6)**		**ქვესაკითხები:** • როსტომ ხანის მმართველობა. ბახტრიონი; • დასავლეთი საქართველო XVII საუკუნეში; • ვახტანგ VI-ის მოღვაწეობა; • საქართველო XVIII ს. შუახანებში. **ქვეცნება** აჯანყება, ოსმალობა, ყიზილბაშობა, რეფორმა, პოლიტიკური ორიენტაცია, ტრაქტატი, ქრონოლოგია	

Don't copy

ძალაუფლება (შედეგი: 3,4,5,6) **საზოგადოება (შედეგი: 1,2,3,4,5,6)**			**ქვესაკითხები**: • ქართველები უცხოეთში XVII-XVIII სს.; • ევროპელი მისონერები საქართველოში; • საქალაქო ცხოვრება გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში. **ქვეცნება**: მისიონერები, აზნაურები, ვაჭრები, მამლუქები, ბეგლარბეგი, ვალი, ჯანიშინი, მეფე, მთავარი
კომპლექსური დავალება	წერილის მომზადება, რომელშიც ასახული იქნება საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა კონსტანტინოპოლის დაცემისა და ქვეყნის სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ და ის ისტორიული წყაროები, რომლებიც ამ ამბებზე მოგვითხრობს.	ისტორიული სტატიის მომზადება XVII-XVIII საუკუნეებში ქართველი მეფე-მთავრების საშინაო და საგარეო პოლიტიკის ცვალებადობის შესახებ.	წინასიტყვაობის მომზადება XVII-XVIII სს. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, იმ ეპოქის ქართველების როლის შესახებ როგორც სამშობლოს, ისე სხვა ქვეყნების სოციალურ და კულტურულ ყოფაში.

Don't copy

სამიზნე ცნება – სივრცე

ქვეცნება: სამეფოები, სამთავროები, საათაბაგო, ვილაიეთი, სათავადოები

სამიზნე ცნება – წყარო

ქვეცნება: ისტორიული თხზულება, მოგზაურის ჩანაწერები, წერილი, ქრონიკა

საკითხი – რა ტერიტორიული ცვლილებები განიცადა საქართველომ XV-XVIII საუკუნეებში.

საკვანძო შეკითხვა – როგორ წარმოვაჩინო წერილის საშუალებით საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა კონსტანტინოპოლის დაცემისა და ქვეყნის სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ და ავსახო მრავალფეროვანი ისტორიული წყაროები, რომლებიც ამ ამბებზე მოგვითხრობს?

კომპლექსური დავალება
წარმოიდგინე, რომ რომაელი მოგზაური და ვაჭარი ხარ, 1620-იანი წლების ბოლოს სამხრეთ კავკასიაში ჩახვედი და საქართველოში იმოგზაურე. ქვეყანაში ყოფნისას სხვადასხვა სამეფო-სამთავროს მონახულება და იქ გარკვეული პერიოდის გატარება მოგიხდა; ამ დროის განმავლობაში გაეცანი ქვეყნის ისტორიას, კულტურას, პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას; გადაწყვიტე, დაწერო **წერილი**, რომლითაც რომის პაპის კურიას შენ მიერ ნანახ და შეგროვებულ მნიშვნელოვან ინფორმაციას შეატყობინებ.

სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები **<u>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:</u>**	**შეფასების კრიტერიუმი** **<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>**	**<u>ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:</u>**
წყარო/ინტერპრეტაცია (შედეგები: 1, 2, 4, 5,) • ინფორმაციას წარსულის შესახებ ისტორიკოსები წყაროებიდან იღებენ; • წარსულის შესწავლისას ისტორიკოსები სხვადასხვა ტიპის წყაროებს (ნივთიერს, ეთნოგრაფიულს, წერილობითს, ლინგვისტურს, კინო-, ფოტო-, ფონოდოკუმენტებს) ეყრდნობიან; • ყველა წყარო ერთნაირად სანდო არ არის; • წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია არაერთმნიშვნელოვანია, ამიტომ მათი ინტერპრეტაცია ისტორიკოსებს შორის დისკუსიის საგანია.	**წყარო** • იმსჯელოს, რა ტიპის წყაროებიდან გვაქვს ინფორმაცია ამა თუ იმ ისტორიული ფაქტის/მოვლენის/პროცესის შესახებ; • იმსჯელოს, რამდენად სანდოა მოცემული წყარო/წყაროები? • იმსჯელოს, რა საკითხებთან დაკავშირებით შეიძლება არსებობდეს აზრთა სხვადასხვაობა მოცემული წყაროს ინტერპრეტაციისას. **სივრცე** • იმსჯელოს, რა გავლენას ახდენდა გეოგრაფიული გარემო შესწავლის ობიექტად შერჩეული ეპოქის ადამიანებზე;	• რომელი პოლიტიკური ერთეულები ჩამოყალიბდა ერთიანი საქართველოს დაშლის შედეგად, რა ეკონომიკური, სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს თითოეულ მათგანს და რა მოსაზრებები არსებობს სახელმწიფოს დაშლის ხელშემწყობ ფაქტორებთან დაკავშირებით. **(მ. წ. სივრცე, 3. წყარო, 4)** • რა სახის წყაროები არსებობს 1453-1629 წწ. საქართველოს ისტორიის შესახებ, რა ინფორმაციას გვაწვდის ისინი ამ პერიოდში მომხდარ ამბებზე და რამდენად სანდოა ისინი. **(მ. წ. წყარო 1, 2, 3)**

Don't copy

სივრცე (შედეგი: 1,2,3,4,5,6) • გეოგრაფიული გარემო და გეოგრაფიული ცოდნა გავლენას ახდენს ადამიანთა საზოგადოების განვითარებაზე; • კომუნიკაციის სიხშირე დიდი/მცირე ზომის სოციალურ-კულტურული სივრცეების ჩამოყალიბებას განაპირობებს; • კონკრეტულ ისტორიულ-გეოგრაფიულ არეალებს გარკვეული ეკონომიკური, სტრატეგიული და კულტურული მნიშვნელობა აქვს.	• დაახასიათოს შესწავლის ობიექტად შერჩეული ეპოქის/პერიოდის ადამიანების გეოგრაფიული ცოდნა; • აღნიშნოს, რა სახელით აღინიშნებოდა ესა თუ ის გეოგრაფიული არეალი შესწავლის ობიექტად შერჩეულ ისტორიულ ეპოქაში; რა სოციალური/ეკონომიკური/სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა მას.	• როგორ აისახა ირან-ოსმალეთის ზავებში საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული თავისებურება და რა გავლენა იქონია მან ადგილობრივი საზოგადოების ბედზე. **(მ. წ. სივრცე, 1)** • როგორ და რატომ შეიცვალა სამხრეთ საქართველოში სოციალურ-კულტურული ვითარება ოსმალური მმართველობის დამყარების შემდეგ. **(მ. წ. სივრცე, 2)**

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 116-146

კომპლექსური დავალების შესრულების ეტაპები
ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა
კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები

სარეკომენდაციო აქტივობა:
მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს რესურსს და დაფაზე წერს: „წერილი“. მოსწავლეები აყალიბებენ მოსაზრებებს პროდუქტთან დაკავშირებით, რის შემდეგაც მასწავლებელი პრეზენტაციით და კითხვა-პასუხის მეთოდით მოსწავლეებს აცნობს ინფორმაციას წერილის შესახებ.

რესურსი.
როგორ დავწეროთ წერილი (https://rogor.ge/article/1103-rogor-davcerot-kargi-statia/)

- რა არის წერილი?
- რა მიზნით იწერება წერილი?
- როგორია წერილის სტრუქტურა?
- შენი აზრით, როგორი უნდა იყოს წერილის ენა?
- ყოფილხართ თუ არა წერილის ადრესატი (მიმღები)?
- გაქვთ თუ არა წერილების წერის გამოცდილება? დადებითი პასუხის შემთხვევაში ახსენით, რას ითვალისწინებდით წერილის წერის პროცესში.
- როგორ შეიძლება წარმოვაჩინით წერილის საშუალებით კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები?

კომპლექსური დავალება
- შენი სიტყვებით ჩამოაყალიბე, რას შეეხება დღეს მოცემული დავალება, რომელზეც რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში უნდა იმუშაოთ.
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?

Don't copy

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ქვესაკითხი:
საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავროებად

ქვეცნება:
წერილი, თხზულება, სამეფოები, სამთავროები, სათავადოები

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 121-155

ნაბიჯი 1

- რომელი პოლიტიკური ერთეულები ჩამოყალიბდა ერთიანი საქართველოს დაშლის შედეგად, რა ეკონომიკური, სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს თითოეულ მათგანს და რა მოსაზრებები არსებობს სახელმწიფოს დაშლის ხელშემწყობ ფაქტორებთან დაკავშირებით. **(მ. წ. სივრცე, 3. წყარო, 4.)**
- რა სახის წყაროები არსებობს 1453-1629 წწ. საქართველოს ისტორიის შესახებ, რა ინფორმაციას გვაწვდის ისინი ამ პერიოდში მომხდარ ამბებზე და რამდენად სანდოა ისინი. **(მ. წ. წყარო 1, 2, 3)**

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:
შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, ტექსტის ანალიზის სტრატეგიები, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა.

სარეკომენდაციო აქტივობა:
ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს საკითხზე მუშაობა (გვ. 121-126). ნარატიული და სხვა ტიპის წყაროების საშუალებით მოსწავლეები გაეცნობიან საქართველოს დაშლის საკითხს და დამოუკიდებელი სამეფო-სამთავროების ჩამოყალიბების პროცესს. სამუშაო პროცესში პედაგოგს შეუძლია, გამოიყენოს სახელმძღვანელოში არსებული შეკითხვები.

- რა ტიპის წყაროებიდან ვიღებთ ინფორმაციას ანტიოსმალურ კოალიციაში ქართველთა მონაწილეობის სურვილის შესახებ?
- ა და ბ წყაროების გაცნობის შემდეგ იმსჯელე, რა დამოკიდებულება აქვთ საქართველოს მეფესა და სამცხის მთავარს ანტიოსმალურ კოალიციაში მონაწილეობისადმი? რა განაპირობებს მათ დამოკიდებულებას?
- წყაროებზე დაყრდნობით იმსჯელე, მოახდინა თუ არა გავლენა ლუდოვიკო ბოლონიელის ჩამოსვლამ ქართველი მეფე-მთავრების ურთიერთობაზე.
- რატომ სურდათ ევროპის სახელმწიფოებს ანტიოსმალური კოალიციის შექმნა?
- რატომ იყო მნიშვნელოვანი ევროპელი მეფე-მთავრებისთვის აღმოსავლეთის ქვეყნების ჩართვა „ჯვაროსნულ“ ლაშქრობებში?
- შენი აზრით, რატომ იყო ჩართული ამ კოალიციაში ორი ქალაქ-სახელმწიფო-ვენეცია?
- რა შედეგებს მოუტანდა ამ კოალიციაში გაერთიანება ქართველ მეფე-მთავრებს?
- როგორ ფიქრობ, რატომ ჩაერთო ანტიოსმალურ კოალიციაში ირანის შაჰი?
- შეასრულე მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება 66. შეავსე ცხრილი. შეადარე ერთმანეთს ა და ბ წყაროები და იმსჯელე საქართველოში არსებული პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ.
- სქემის მიხედვით, ბაგრატიონთა რომელი შტოდან ჩამოყალიბდა კახეთისა და ქართლის სამეფოები?
- განსაზღვრე, რას ემყარებოდა ბაგრატ VI-ის ხელისუფლება და როგორ შეეძლო მას, თავისი მეფობა კანონიერად დაესაბუთებინა.
- გაიხსნე, რა პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარება იყო XV საუკუნის შუახანების ევროპაში და იმსჯელე, რატომ ვერ მოხერხდა ევროპელი მთავრების ჩართვა ანტიოსმალურ კოალიციაში.

Draft copy

- როგორ ფიქრობ, რატომ გაუშვა ყვარყვარემ მეფე გიორგი 1466 წელს?
- შენი აზრით, რამ გამოიწვია მოვლენების ასე დაჩქარება? რა იყო საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის მთავარი მიზეზი?
- რუკა 20-ის მიხედვით იმსჯელე, დაშლილი სამეფო-სამთავროებიდან რომელს დარჩა ყველაზე მეტი ტერიტორია? რომელი სამეფო-სამთავრო იყო ყველაზე სტრატეგიულ ადგილას სავაჭრო, ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით? პასუხები დაასაბუთე.
- როგორ შეიძლება წერილის დახმარებით საქართველოს დაშლის პროცესის წარმოჩენა?

მოსწავლის რვეული – დავალებები 66, 67, 68

ტექსტის დამუშავებისა და შეკითხვების ამოწურვის შემდეგ მოსწავლეები აანალიზებენ ტექსტს ქართლის მეფის კონსტანტინე II-ის მიერ ქვეყნის მთლიანობის აღდგენის მცდელობის შესახებ და პასუხობენ სარეკომენდაციო შეკითხვებს (127):

- რამდენად სწორი რჩევა მისცეს დიდებულებმა კონსტანტინე II-ს? რა დასკვნის გამოტანა შეიძლება დიდებულთა პასუხის გაანალიზების შემდეგ: „იმერლები და კახელები თავიანთ მეფეებს ერთგულებენ ისევე, როგორც მესხები – ათაბაგს“?
- როგორ ფიქრობ, რა შეიძლება იყოს სამეფო-სამთავროების კვლავ ერთიან სივრცეში დაბრუნების წინაპირობა? პასუხი დაასაბუთე.
- წყარო დ-ს მიხედვით იმსჯელე, დაახლოებით რა შინაარსის წერილი მისწერა კონსტანტინე II-მ რომის პაპს.
- წყარო დ-ს მიხედვით, კონსტანტინე ახალი ანტიოსმალური კოალიციის ჩამოყალიბებას სთავაზობს რომის პაპს. შენი აზრით, 1459 წელს ჩაშლილი პირველი მცდელობის შემდეგ რამდენად შესაძლებელი იყო 1496 წლისთვის ხელახალი კოალიციის შექმნა იმავე შემადგენლობით – ქართველი მეფე-მთავრები, სომხეთის მეფე, ირანის შაჰი და ტრაპიზონის სამეფო? პასუხი დაასაბუთე. იმსჯელე, რა საერთო აქვს ბ და დ წყაროების ავტორთა შეფასებებს.
- შენი აზრით, თემურლენგის ლაშქრობებისა და ბიზანტიის დაცემის შემდეგ კიდევ რა ფაქტორებმა განაპირობა ვაჭრობა-ხელოსნობისა და ზოგადად ეკონომიკის დასუსტება?
- რატომ იმოქმედებდა უარყოფითად სავაჭრო-ეკონომიკურ მდგომარეობაზე საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავროებად? პასუხი დაასაბუთე.
- შენი აზრით, შესაძლებელი იყო საქართველოს ერთიანი სამეფოს შენარჩუნება, თუ დაშლა კანონზომიერი ისტორიული მოვლენა იყო? პასუხი დაასაბუთე.
- როგორ ფიქრობ, მაშინ, როცა XV საუკუნის 50-იან წლებში ანტიოსმალური კამპანიისათვის საქართველოს მეფე-მთავრებს 70 ათასი ჯარისკაცის შეკრება შეეძლოთ, რატომ ვერ გაუწიეს წინააღმდეგობა შავბატკნიანთა და თეთრბატკნიანთა შემოსევებს ამავე საუკუნის 40-70-80-იან წლებში?
- შენი აზრით, რა პოლიტიკურ და კულტურულ შედეგებს მოუტანდა საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლა?
- როგორ შეიძლება, წერილის დახმარებით წარმოვაჩინო საქართველოს ერთიანობის აღდგენის მცდელობა, რომელიც დარბაზისადმი კონსტანტინე II-ის მიმართვაში ჩანს?

ქვეცნება:
წერილი, თხზულება, სამეფოები, სამთავროები, ქრონიკა

ქვესაკითხი:
ირან-ოსმალეთის ბრძოლა კავკასიის დაუფლებისთვის. ამასიის ზავი

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 128-134

Do not copy

ნაბიჯი 2

- როგორ აისახა ირან-ოსმალეთის ზავებში საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული თავისებურება და რა გავლენა იქონია მან ადგილობრივი საზოგადოების ბედზე. **(მ. წ. სივრცე, 1)**
- რა სახის წყაროები არსებობს 1453-1629 წწ. საქართველოს ისტორიის შესახებ, რა ინფორმაციას გვაწვდის ისინი ამ პერიოდში მომხდარ ამბებზე და რამდენად სანდოა ისინი. **(მ. წ. წყარო, 1, 2, 3)**

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:
შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია.

სარეკომენდაციო აქტივობა:
ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს საკითხზე მუშაობა. მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს და წყაროებს XVI საუკუნის I ნახევარში ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის არსებული წინააღმდეგობების შესახებ, ირანსა და ოსმალეთს დაპირისპირებაზე საქართველოს ტერიტორიების დაუფლებისათვის (გვ. 128-130). მოსწავლეები პასუხობენ შეკითხვებს.

- შენი აზრით, რატომ მოჰყვა საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლას ცალკე სათავადოების გამოყოფაც?
- როგორ გესმის ფრაზა: „ისტორიული განვითარების ყველა პირობა ერთიანობის საზიანოდ მოქმედებდა“?
- შენი აზრით, რა იქნებოდა ოსმალეთისა და სეფიანთა ირანის დაპირისპირების მთავარი მიზეზი?
- ექნებოდა თუ არა ამ დაპირისპირებაში რამე მნიშვნელობა ოსმალეთისა და ირანის რელიგიურ განსხვავებას (სუნიზმი/შიიზმი)?
- ისტორიიდან გაიხსენე ცნობები ოსმალეთისა და სეფიანთა ირანის შესახებ. ზოგადად, რა საერთო და განმასხვავებელი ნიშნები ჰქონდა ამ ორ სახელმწიფოს რელიგიური, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული, ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით?
- შენი აზრით, რა სტრატეგიული მნიშვნელობა ექნებოდა საქართველოს სამეფო-სამთავროებს ირან-ოსმალეთის დაპირისპირების პროცესში?
- შეაფასე კახეთის მეფეების საგარეო პოლიტიკური კურსი და იმსჯელე მის მართებულობაზე.
- შენი აზრით, რატომ უჭერდა ოსმალეთი მხარს სამცხე-საათაბაგოს გურიის, ჭანეთისა და აჭარის შემოერთების პროცესში? რა სტრატეგიული მნიშვნელობა შეიძლებოდა ჰქონოდა ამ ტერიტორიებს ათაბაგისთვის? სულთნისთვის?
- შენი აზრით, რატომ უწევდნენ წინააღმდეგობას ალექსანდრე I და დიმიტრი გიორგის მიერ ქართლის მიმართ განხორციელებულ პოლიტიკას?
- რა შედეგი მოუტანა ქვეყანას ქართველი მეფე-მთავრების გადაწყვეტილებამ ირანთან მოკავშირეობის შესახებ? როგორ ფიქრობ, ჰქონდათ თუ არა მათ სხვა არჩევანი? პასუხი დაასაბუთე.
- რა ტიპის ტექსტია წყარო გ-ში მოცემული?
- წყაროს გაანალიზების შემდეგ იმსჯელე, რაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ხარკის ასაკრეფად სულთანი გურიელთან და დადიანთან აგზავნის თავის წარმომადგენლებს. როგორ ფიქრობ, რა ურთიერთობაა იმერეთის მეფესა და დასავლეთ საქართველოს მთავრებს შორის?
- შენი აზრით, რატომ არიან ქართველი მეფე-მთავრები დაინტრესებული ყვარყვარესა და მანუჩარის დაპირისპირებით?
- შენი აზრით, რატომ ახსენებს წერილის ავტორი, რომ ქართველები „ერთმანეთთან ბრძოლაში და ერთიმეორის ხოცვა-ჟლეტაში არიან გამუდმებით“?

Draft copy

- წყაროს თანახმად, რომელ საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციას ირჩევენ ქართველი მეფე-მთავრები? შენი აზრით, რატომ?
- წყაროს მიხედვით, როგორ იყენებდნენ ქართველი მეფე-მთავრები სპარსულ და ოსმალურ გავლენებს ერთმანეთთან დაპირისპირებისას?
- როგორ წარმოვაჩინო წერილის საშუალებით ირან-ოსმალეთის დაპირისპირება XVI საუკუნის I ნახევრის საქართველოს ტერიტორიაზე?

დავალებების შესრულების შემდეგ პედაგოგი მინილექციით მიაწვდის ინფორმაციას მოსწავლეებს, როგორ ცდილობდნენ ქართველი მეფეები ერთობლივი ძალებით სამცხე-საათაბაგოდან ოსმალების განდევნას, შემდეგ ისინი ეცნობიან ტექსტსა და წყაროებს (გვ. 130-131). პედაგოგს შეუძლია, გამოიყენოს სახლმძღვანელოში არსებულ შეკითხვები.

- ჩამოთვალე ძირითადი მიზეზები, რომელთა გამოც ქართველი მეფე-მთავრები განუწყვეტლივ უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს.
- შეაფასე ლუარსაბ I გადაწყვეტილება პარტიზანული ომის დაწყების შესახებ. რა უპირატესობას აძლევდა მეფეს ქვეყნის გეოგრაფიული თავისებურება?
- შენი აზრით, რატომ არიან დაინტერესებული ლუარსაბი და ბაგრატი ოსმალების განდევნით სამცხე-საათაბაგოდან?
- რატომ არის სამცხე სტრატეგიულად მნიშვნელოვანი დაპირისპირებული მხარეებისთვის?
- როგორ ფიქრობ, ქართლისა და იმერეთის გაერთიანებული ლაშქრის წარმატების შემთხვევაში რა საფრთხე შეიძლებოდა შეჰქმნოდა სამცხის მთავარს? კახეთის მეფეს?
- რაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ მესხების ნაწილი არ იზიარებს სამცხის მთავრის პოზიციას ოსმალეთთან ურთიერთობის შესახებ?
- როგორ შეიძლება წერილის საშუალბით წარმოვაჩინო იმერეთის და ქართლის მეფის თანამშრომლობა საქართველოს მიწებიდან გარეშე ძალის განსადევნად?

მოსწავლის რვეული – დავალება 69

შემდეგ ეტაპზე მოსწავლეები გაეცნობიან ამასიის ზავს და მის შედეგებს საქართველოსთვის, დაამუშავებენ შესაბამის ტექსტს და წყაროებს (გვ. 131-134). პედაგოგს საკითხის სიღრმისეულად გააზრებისათვის შეუძლია, გამოიყენოს სახელმძღვანელოში მოცემული შეკითხვები.

- რატომ ცდილობდნენ ქართველი მეფეები ირან-ოსმალეთის მოლაპარაკებების ჩაშლას? რატომ აძლევდათ ხელს ამ ორი სახელმწიფოს დაპირისპირების შენარჩუნება?
- როგორ ფიქრობ, რა შედეგებს მოუტანდა ამასიის ზავის დადება ირან-ოსმალეთსა და ქართულ სახელმწიფოებს?
- როგორ ფიქრობ, არსებულ ვითარებაში ჰქონდა თუ არა აზრი ირან-ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელებას? პასუხი დაასაბუთე.
- პუნქტებად ჩამოწერე ის მოქმედებები და გადაწყვეტილებები, რომლებსაც ქართველი მეფე-მთავრების ადგილზე განახორციელებდი დამოუკიდებლობის მისაღწევად.
- როგორ შეიძლება წერილის სახით წარმოვაჩინო ამასიის ზავი და მისი შედეგები ქართული სამეფო-სამთავრობისთვის?

მოსწავლის რვეული – დავალება 70

ქვეცნება: საათაბაგო, ვილაიეთი, სათავადოები, ისტორიული თხზულება, მოგზაურის ჩანაწერები, წერილი

ქვესაკითხი: ოსმალთა გავლენის გაძლიერება საქართველოში. ანტიოსმალური კოალიციის მცდელობა.

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 135-142

Don't copy

ნაბიჯი 3

- როგორ და რატომ შეიცვალა სამხრეთ საქართველოში სოციალურ-კულტურული ვითარება ოსმალური მმართველობის დამყარების შემდეგ. **(მ. წ. სივრცე 2)**
- რა სახის წყაროები არსებობს 1453-1629 წწ. საქართველოს ისტორიის შესახებ, რა ინფორმაციას გვაწვდის ისინი ამ პერიოდში მომხდარ ამბებზე და რამდენად სანდოა ისინი. **(მ. წ. წყარო 1, 2, 3)**

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:

შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება.

სარეკომენდაციო აქტივობა:

ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს საკითხზე მუშაობა (გვ. 135-138). მოსწავლეები ეცნობიან მასალას სიმონ I-ის მეფობის, ასევე სამხრეთ კავკასიაში ოსმალების გააქტიურების შესახებ. პედაგოგს შეუძლია, გამოიყენოს სახელმძღვანელოში მოცემული კითხვები.

- შენი აზრით, როგორ შეიძლებოდა შეცვლილიყო კავკასიაში პოლიტიკური ვითარება რუსეთის გამოჩენის შემდეგ?
- შენი აზრით, როგორ აისახებოდა კახეთის სამეფოსა და ირანის ურთიერთობაზე რუსეთთან ურთიერთობის მცდელობა? რატომ?
- რამდენად სწორად მოიქცა სიმონ I, როდესაც მამის, ლუარსაბ მეფის, პოლიტიკის გაგრძელება გადაწყვიტა? პასუხი დაასაბუთე.
- ერთმანეთს შეადარე ქართლისა და კახეთის მეფეების საგარეო პოლიტიკა და იმსჯელე თითოეული მათგანის დადებით და უარყოფით მხარეებზე.
- შენი აზრით, რატომ ეძახის ა წყაროს ავტორი ქართველებს ურწმუნოებს?
- რატომ იხსენიებს ა წყაროს ავტორი სიმონს, როგორც ხანს?
- როგორ გესმის ფრაზა: „შფოთი და ჯანყი გაამრავლა“?
- ჩამოთვალე, რა პოლიტიკური, სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა თბილისს დაპირისპირებული მხარეებისთვის.
- შენი აზრით, რამდენად მძიმედ დააწვებოდა ნაკისრი ხარაჯა კახეთის სამეფოს? პასუხი დაასაბუთე.
- ეთანხმები თუ არა ალექსანდრე კახთა მეფის გადაწყვეტილებას, წინააღმდეგობის გარეშე ეკისრა ხარკი ოსმალთა წინაშე? პასუხი დაასაბუთე.
- როგორ ფიქრობ, ხარაჯის რომელი პუნქტი იქნებოდა ყველაზე ძნელი და რომელი – ადვილი გადასახდელი კახეთის მოსახლეობისთვის?
- როგორ წარმოვაჩინო წერილის საშუალებით ქართველი მეფეების პოლიტიკა ოსმალეთთან მიმართებაში XVI ს. მეორე ნახევარში?

შემდგომ ეტაპზე მოსწავლეები დაამუშავებენ მასალას მუსტაფა ლალა-ფაშას ლაშქრობაზე და ოსმალთა მიერ სამცხე-საათაბაგოს მიტაცებაზე (გვ. 138-142). ცოდნის გასააზრებლად, პედაგოგს შეუძლია, გამოიყენოს სახელმძღვანელოში მოცემული კითხვები.

- მუსტაფა ლალა-ფაშას ლაშქრობის შემდეგ რომელი ტერიტორიები გადავიდა ოსმალთა ხელში და რა სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა მათ?
- შენი აზრით, რატომ იყო მისაღები იყო ოსმალებისთვის კახთა მეფის დიპლომატიური ნაბიჯი?
- ალექსანდრე კახთა მეფე სპარსელებთან და ოსმალებთან დამთმობი პოლიტიკის პარალელურად რუსეთთან ცდილობდა საერთო ენის გამონახვას. იმსჯელე მეფის დიპლომატიის დადებით და უარყოფით მხარეებზე.

Demo copy

- შენი აზრით, რა მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთისთვის ჩრდილო კავკასიის კონტროლს?
- შენი აზრით, შეეძლო თუ არა რუსეთს „ფიცის წიგნით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება?
- რა წინააღმდეგობები შეხვდებოდა სიმონ მეფეს დასავლეთ საქართველოს შემოერთების პროცესში? პასუხი დაასაბუთე.
- წყაროს მიხედვით, როგორ იყენებდა სიმონ მეფე ტერიტორიულ უპირატესობას მტრისათვის ზარალის მისაყენებლად?
- როგორ ახასიათებს ისქანდერ მუნში ალექსანდრე კახთა მეფეს? როგორ აფასებს ის ქართველი მეფის პოლიტიკას?
- შენი აზრით, როგორ შეიცვლებოდა სამცხის, აჭარისა და ჭანეთის ქართული მოსახლეობის სოციალური და კულტურული ყოფა გურჯისტანის ვილაიეთის ჩამოყალიბების შემდეგ?
- რატომ გახდა ოსმალეთის ვილაიეთის მკვიდრი ქართული მოსახლეობა იძულებული, რომ თავის რელიგიაზე უარი ეთქვა?
- რა საფრთხეს უქმნიდა ქართულ სამეფოებს სამცხე-საათაბაგოსა და აჭარაზე ოსმალთა უშუალო კონტროლის დამყარება?
- როგორ წარმოვაჩინო წერილის საშუალებით ოსმალთა მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობა?
- შენია აზრით, რა ტიპის დოკუმენტია გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი და კანონთა წიგნი?
- მოსახლეობის სოციალ-ეკონომიკური აქტივობების რა მიმართულებებს აწესრიგებს გურჯისტანის ვილაიეთის კანონთა წიგნი?
- შენი აზრით, რამდენად სა,მართლიანია გურჯისტანის ვილაიეთის კანონთა წიგნით გაწერილი დებულებები? პასუხი დაასაბუთე.
- რამდენად რთული იქნებოდა კანონთა წიგნით დაწესებული გადასახადების გადახდა ადგილობრივი მოსახლეობისთვის? პასუხი დაასაბუთე.

მოსწავლის რვეული – დავალებები 71-73

საკითხის ამოწურვის შემდეგ განხილვის თემაა ანტიოსმალური კოალიციის შექმნის მცდელობა და ქართველი მეფეების პოლიტიკა, რომლებიც საგარეო მოკავშირის პოვნას ცდილობენ. მოსწავლები ეცნობიან მასალას (გვ. 143-144). საკითხის გასააზრებლად, პედაგოგს შეუძლია, გამოიყენოს სახელმძღვანელოში მოცემული კითხვები.

- გაიხსენე, კიდევ როდის გაერთიანდნენ ქართველი და ირანელი მმართველები ოსმალთა წინააღმდეგ?
- ჩამოთვალე ის ძირითადი მოთხოვნები, რომლებსაც სიმონ მეფე სწერს ფილიპე II-ს წერილში.
- იმსჯელე, გეოგრაფიული ფაქტორის გათვალისწინებით, რამდენად შესაძლებელი იქნებოდა ქართველი მეფეების სამხედრო კავშირი ესპანეთის მონარქთან.
- რატომ იყო საინტერესო სპარსეთის მეფისათვის იერუსალიმის გათავისუფლების მიზნით ანტითურქულ კოალიციაში მონაწილეობა? პასუხი დაასაბუთე.
- შეადარე ქართველი მეფეების (კახეთის, ქართლის), სპარსეთის, ესპანეთის ინტერესები ანტიოსმალურ კოალიციაში.
- რა საფრთხეს შეუქმნის, სიმონის აზრით, ოსმალეთის აღმოსავლეთ მეზობლებს მისი მოკავშირეობა გერმანიის იმპერატორთან?
- მამა იაკობის პასუხის მიხედვით, რა როლს თამაშობდა საქართველოს გეოგრაფიული თავისებურება ქართველების შეარაღებასა და თავდაცვისუნარიანობაში?
- შენი აზრით, რამდენად ადეკვატური და პრაგმატული იქნებოდა ქართველი მეფეებისთვის იერუსალიმის გათავისუფლებისთვის ბრძოლა მაშინ, როდესაც საქართველო მუდმივად განიცდიდა ოსმალურ თავდასხმებს? პასუხი დაასაბუთე.

Draft copy

- რა საკითხზეა მთავარი აქცენტი გაკეთებული წყარო ბ-ში?
- შენი აზრით, რამდენად შეამსუბუქებდა ქართული სამეფოების მდგომარეობას რომის პაპის ორგანიზებით აღმოსავლეთ ევროპაში გაგზავნილი ჯარი?
- რა განწყობა და სულისკვეთება იკითხება რომის პაპ კლემენტ VIII-ის წერილში?
- როგორ წარმოვაჩინო წერილის საშუალებით ანტიოსმალური კოალიციის შექმნის მცდელობა?

მოსწავლის რვეული – დავალება 74

ქვეცნება:
სამეფოები, სამთავროები,, ისტორიული თხზულება, მოგზაურის ჩანაწერები, წერილი,

ქვესაკითხი:
შაჰ-აბას I-ის ლაშქრობები და მისი შედეგები

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 144-155

ნაბიჯი 4

- როგორ აისახა ირან-ოსმალეთის ზავებში საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული თავისებურება და რა გავლენა იქონია მან ადგილობრივი საზოგადოების ბედზე. **(მ. წ. სივრცე 1)**
- რა სახის წყაროები არსებობს 1453-1629 წწ. საქართველოს ისტორიის შესახებ, რა ინფორმაციას გვაწვდის ისინი ამ პერიოდში მომხდარ ამბებზე და რამდენად სანდოა ისინი. **(მ. წ. წყარო 1, 2, 3)**

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:
შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, სიტუაციური სწავლება.

სარეკომენდაციო აქტივობა:
ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს საკითხზე მუშაობა. მოსწავლები ეცნობიან მასალას XVII ს. დამდეგს ქართული სამეფოების მდგომარეობაზე, ასევე ირანის შაჰის პოლიტიკის გააქტიურებაზე კავკასიაში (გვ. 146-147). პედაგოგს შეუძლია, გამოიყენოს სახელმძღვანელოში მოცემული კითხვები.

- შენი აზრით, რატომ იყო მნიშვნელოვანი მოვლენა ოსმალებისათვის სიმონ I-ის დატყვევება?
- როგორ ფიქრობ, რა მიზანი ჰქონდა ირანის შაჰს აბას I-ს, როდესაც გამეფებიდან მალევე ოსმალებთან მნიშვნელოვან ტერიტორიულ დათმობებზე წავიდა?
- რა საერთო ინტერესი ჰქონდა ირანის შაჰს დასავლეთის ქრისტიანულ სახელმწიფოებთან, რომლებთანაც დიპლომატიური კავშირის დამყარებას ცდილობდა?
- წყარო დ-ს მიხედვით, რა მიზანს ისახავდა ინგლისელი დიპლომატი ანტონი შერლი შაჰის კარზე სტუმრობისას?
- რატომ ჩათვალა ინგლისელმა დიპლომატმა, რომ მიზნის მიღწევაში ირანის კარზე მოღვაწე ქართველი დიდმოხელეები დაეხმარებოდნენ?
- რით ხსნის ინგლისელი დიპლომატი ირანის შაჰის კარზე მოღვაწე ქართველების კეთილგანწყობას?
- რა სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა ლორესა და კაკ-ენისელის მხარეებს, რომლებიც შაჰმა ქართულ სამეფოებს ჩამოაცილა და თავის ერთგულ ხანებს ჩააბარა?
- რატომ იყო მნიშვნელოვანი ტაშისკარის ბრძოლაში ქართველთა გამარჯვება? როგორ შეიძლებოდა განვითარებულიყო მოვლენები საპირისპირო შემთხვევაში?
- რა შეიცვალა 1612 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის დადებული ზავით?

Don't copy

- შენი აზრით, რატომ დააწინაურა შაჰ აბასმა ირანის ჯარში და თავის კარზე კავკასიელები?
- როგორ წარმოვაჩინო წერილის საშუალებით, რა მნიშვნელობა ჰქონდა კაკ-ენისელისა და ლორეს მხარეებს ქართული სამეფოების უსაფრთხოებისათვის?

მოსწავლის რვეული – დავალება 75

შეკითხვებისა და დავალებების ამოწურვის შემდეგ მოსწავლეები გაეცნობიან მასალას შაჰ-აბას I-ის დამანგრეველი ლაშქრობების შესახებ კახეთში, მის რელიგიურ პოლიტიკას (გვ. 147-148). პედაგოგს შეუძლია, გამოიყენოს სახელმძღვანელოში მოცემული კითხვები.

- შენი აზრით, რა იყო შაჰ-აბასის ასეთი სისასტიკის მთავარი მიზეზი და ზოგადად, რა იყო მისი მიზანი საქართველოსთან მიმართებით?
- როგორ ფიქრობ, შეიძლებოდა თუ არა შაჰ-აბასის დამანგრეველი ლაშქრობების თავიდან აცილება? პასუხი დაასაბუთე.
- შენი აზრით, რატომ ფიქრობენ ისტორიკოსები, რომ შაჰ-აბასმა მაინც ვერ მიაღწია თავის საწადელს?
- რა შედეგებს მოუტანდა საქართველოს ლუარსაბ მეფისა და ქეთევან დედოფლის გადაწყვეტილება, არ მიეღოთ ისლამი და ქრისტიანობისთვის თავი გაეწირათ?
- როგორ ფიქრობ, რის ხარჯზე შეძლებდა ეკონომიკურად და დემოგრაფიულად განადგურებული ქართლ-კახეთი შემდგომში ირანისთვის წინააღმდეგობის გაწევას?
- რატომ დაიწყო შაჰ-აბას I-მა კახეთში ეთნიკური მოსახლეობის აყრა-განადგურება და იქ თურქმანული ტომების ჩასახლება?
- რა ხერხებს მიმართავდა შაჰ-აბას I ურჩი ქართველი მეფეების დასამორჩილებლად? რა გარემოებები უწყობდა ხელს შაჰის ზრახვებს?
- წყაროს მიხედვით, როგორ ახასიათებს იტალიელი მოგზაური პიეტრო დელა ვალე კახეთის დედოფალ ქეთევანს?
- რატომ მიიქცია ევროპელი მოგზაურის განსაკუთრებული ყურადღება ქართველი დედოფლის მოწამებრივმა სიკვდილმა?
- რას გეუბნება ის ფაქტი, რომ ქეთევანის წამების სცენა პორტუგალიაში ერთ-ერთი ტაძრის კედელზე იქნა გამოსახული?
- როგორ წარმოვაჩინო წერილში შაჰ-აბას I-ის პოლიტიკა ქართლ-კახეთთან მიმართებაში ქართველი და უცხოური ავტორების თვალით?

მოსწავლის რვეული – დავალება 76

დავალებების ამოწურვის შემდეგ მოსწავლეები ამუშავებენ ტექსტსა და წყაროებს მარტყოფის ბრძოლის შესახებ (გვ. 149-152). პედაგოგს შეუძლია, გამოიყენოს სახელმძღვანელოში მოცემული კითხვები.

- როგორ გესმის ფრაზა „შაჰის ხელის შემყურე“?
- როგორ ფიქრობ, რატომ ასახლებდა შაჰ-აბასი ქართველებს ირანში?
- როგორ შეიცვლებოდა კახეთის სამეურნეო და სოციალურ-კულტურული ყოფა შაჰ-აბას I-ის პოლიტიკის შედეგად?
- რა ტიპის წყაროა ნიკო ბერძენიშვილის მოსაზრება: პირველადი თუ მეორადი?
- რას ფიქრობ ირანის შაჰის პოლიტიკაზე, როდესაც ის საცხოვრებელ ადგილს უცვლიდა იმპერიაში შემავალ ხალხებს? გახსენდება თუ არა მსგავსი მაგალითები ისტორიიდან?
- რატომ ნიშნავდა შაჰ-აბას I ქართლ-კახეთის სათავეში გამუსლიმებულ უფლისწულებს ან ეთნიკურად არაქართველ მმართველებს?
- რამდენად გონივრული იყო გიორგი სააკაძის განზრახვა, როდესაც იმერთის მეფეს გიორგი III-ს დახმარების სანაცვლოდ ქართლის ტახტს დაჰპირდა? პასუხი დაასაბუთე.

Don't copy

- როგორ გესმის ფრაზა წყარო ე-დან: „მოურავს გაუწყრა ღმერთი, ყაენის (შაჰის) წყალობა დაივიწყა“? შენი აზრით, რა წყალობაზეა ლაპარაკი?
- როგორ ფიქრობ, რით შეიძლება აიხსნას ის, რომ ამ ამბის მოყოლას ქართველი ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე ასეთი შეფასებით იწყებს?
- რამდენად სანდოდ გეჩვენება წყარო გ-ში გადმოცემული ცნობა, რომლის მიხედვით ფეიქარხანის შეღავათიანმა პოლიტიკამ კახეთში გლეხობის დაბრუნებას და მომრავლებას შეუწყო ხელი?
- რა იყო ყარჩიხა-ხანის მეთაურობით საქართველოში ირანელთა ჯარის გამოგზავნის მიზეზი?
- რას გეუბნება ირანის შაჰის მიერ ყარჩიხა-ხანისთვის ფარულად მიცემული დავალება აბას I-ისა და გიორგი სააკაძის ურთიერთობის შესახებ?
- როგორ შეძლო გიორგი სააკაძემ მარტყოფის ბრძოლის წინ ქართლ-კახეთის თავადებთან საერთო ენის გამონახვა?
- როგორ შეაფასებ მარტყოფის ბრძოლაში გიორგი სააკაძის როლს?
- რას გეუბნება თეიმურაზ I-ისა და მისი მეუღლის ჩაცმულობა მმართველი ფენის სოციალურ-კულტურულ ყოფაში მომხდარი ცვლილებაზე?
- როგორ წარმოვაჩინო წერილის საშუალებით მარტყოფის ბრძოლა და მისი შედეგები?

მოსწავლის რვეული – დავალება 77

მოსწავლეები ეცნობიან მარაბდის ბრძოლას და მის შედეგებს, ასევე ქართველ ხელისუფალთა შორის არსებულ დაპირისპირებებს. ამ მიზნით ამუშავებენ ტექსტსა და წყაროებს (გვ. 153-155). პედაგოგს შეუძლია, გამოიყენოს სახელმძღვანელოში მოცემული კითხვები.

- შენი აზრით, მართალი იყო თუ არა გიორგი სააკაძე, როდესაც ქართველებს მტერთან ბრძოლას ვიწრობებში ურჩევდა? პასუხი დაასაბუთე.
- საქართველოს ისტორიიდან გაიხსენე ქართველების გადახდილი ბრძოლები, სადაც მტერთან დაპირისპირებისას უპირატესობა ვიწრო ხეობებში ან გაშლილ ველებზე ენიჭებოდა.
- რას გეუბნება ის ფაქტი, რომ მარაბდის ბრძოლაში ორი ეპისკოპოსი დაიღუპა: რუსთაველი და ხარჭაშნელი?
- შენი აზრით, რატომ ასახლებენ ვ და ზ წყაროების ავტორები ბრძოლაში ქართველთა დამარცხების განსხვავებულ ვერსიებს?
- რამდენად ობიექტურად მიიჩნევ ვ და ზ წყაროების ავტორთა მიერ აღწერილ მარაბდის ბრძოლის ამბებს? დაასაბუთე შენი მოსაზრება.
- შენი აზრით, რამდენად რეალური იყო ქართლ-კახეთისა და იმერეთის გაერთიანება ერთ სამეფოდ? პასუხი დაასაბუთე.
- ჩამოთვალე, რა ხელშემწყობი და ხელის შემშლელი პირობები არსებობდა ამ მიზნის განსახორციელებლად.
- გიორგი სააკაძის იდეა იყო ქართლ-კახეთში იმერეთის მეფის ვაჟის გამეფება. რამდენად სამართლიანი იყო ეს აზრი თეიმურაზ მეფესა და მის მემკვიდრეებთან მიმართებით?
- შენი აზრით, შეიძლებოდა თუ არა ქართველ მეფე-დიდებულებს შორის დაწყებული დაპირისპირების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტა? როგორ?
- როგორ წარმოვაჩინო წერილის საშუალებით მარაბდის ბრძოლის შედეგები?

დავალება: საქართველოში დღემდე არ არსებობს ერთი აზრი გიორგი სააკაძის პიროვნების შესახებ. ზოგი მას ეროვნულ გმირად მიიჩნევს, ზოგი – ავანტიურისტად, მოღალატედ და კარიერისტად. პარაგრაფში მოცემული ინფორმაციისა და წყაროების მიხედვით. ასევე – ქვემოთ მოცემული წყაროებისა და ცნობების გამოყენებით დაწერე თემა: გიორგი სააკაძის პიროვნული პორტრეტი.

Don't copy

რესურსი: იოსებ ტფილელის პოემა „დიდმოურავიანი“
http://openlibrary.ge/bitstream/123456789/6028/1 /didmouraviani.pdf

- ბერი ეგნატაშვილი, „ახალი ქართლის ცხოვრება“ (პირველი ტექსტი), სიმონ ყაუხჩიშვილის გამოცემა, 1959 წ. https://wikisource.org
- ჯანსუღ ღვინჯილია, „გიორგი სააკაძის პიროვნება“. გამომცემლობა მერიდიანი, 1989 წ. https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/79567?locale=ka
- გურამი ყორანაშვილი, „ავკარგიანობა გიორგი სააკაძისა“. გამომცემლობა „არტანუჯი“, 2017 წ.

მოსწავლის რვეული – დავალება 77

კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობისთვის

აღწერე, როგორ მიმდინარეობს/წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი.

- როგორ გეგმავ/დაგეგმე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი? რას ითვალისწინებდი სამუშაო პროცესის დაგეგმვისას?
- დაგეხმარა თუ არა პირველადი გეგმა მუშაობის პროცესში?
- რა დეტალებზე აკეთებდი აქცენტს წერილის მომზადების პროცესში?
- წარიმართა თუ არა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი დაგეგმილის შესაბამისად?
- გახდა თუ არა საჭირო თავდაპირველად შემუშავებულ გეგმებში ცვლილებების შეტანა?
- რატომ არის საჭირო დავალების პირველადი ვერსიის შექმნა?
- რით განსხვავდება შესრულებული დავალების პირველადი ვერსია საბოლოოსგან?
- რა ფაქტორებმა გამოიწვია/შეუძლია გამოიწვიოს პირველადი დასკვნების გადასინჯვა?
- რა პროდუქტი შექმენი კომპლექსური დავალების სახით?
- რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი პროდუქტი წერილია?

ახსენი, რატომ შექმენი წერილი? რა საკითხის შესახებ გამოხატე შენი ცოდნა კომპლექსური დავალების საშუალებით?

- რატომ შეასრულე კომპლექსური დავალება?
- რა გრძელვადიან და მოკლევადიან მიზნებს ისახავდი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?
- ვისთვის და რატომ არის ეს პროდუქტი სასარგებლო და საინტერესო?
- რა იცოდი შესასწავლი საკითხის შესახებ? რა გაიგე ახალი? დამატებით რის გაგებას ისურვებდი?
- რა დასკვნებამდე მიხვედი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? რით დასტურდება შენ მიერ გაკეთებული დასკვნების მართებულობა/თანამიმდევრულობა?
- რა ხერხები გამოიყენე სასწავლო მასალის უკეთ გასააზრებლად?/კომპლექსური დავალების უკეთ შესასრულებლად?

რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?

- ვის წინაშე იყავი ანგარიშვალდებული სამუშაო პროცესში (მასწავლებლის, თანაკლასელების, სამეზობლო თემის)?
- რა საერთო მიზანი გქონდათ შენ და შენს მასწავლებელს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- გქონდა თუ არა საერთო მიზნები თანაკლასელებთან ერთად? იყო თუ არა შენთვის საინტერესო და სასიამოვნო კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი?
- რა გააკეთე დამოუკიდებლად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?

Do not copy

- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს?
- ვინ და როგორ დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? ვისთან ითანამშრომლე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?
- წააწყდი თუ არა კონფლიქტურ სიტუაციებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ შეძელი კონფლიქტის დარეგულირება?
- წააწყდი თუ არა გაურკვევლობებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? როგორ გაერკვიე ბუნდოვანებით მოცულ საკითხებში?
- შეხვდი თუ არა განსხვავებულ მოსაზრებებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს? რამდენად შეძელი თანამშრომლობა განსხვავებული შეხედულებების ადამიანებთან? რა დაგეხმარება, რომ უკეთ გაიგო თანაკლასელების, მასწავლებლის სათქმელი?
- გააანალიზე, რა წესებს/კანონებს იცავდი და რატომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას (მაგალითად, რამდენად მოახერხე, აზრთა სხვადასხვაობის ვითარებაში ორიენტირებული ყოფილიყავი პრობლემაზე და არა კომუნიკაციაში ჩართულ ადამიანებზე? რით და როგორ გამოხატავდი ადამიანების მიმართ პატივისცემას კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს).
- რით დაგეხმარა მასწავლებელთან, სხვა მოსწავლეებთან დიალოგი კომპლექსური დავალების შესრულებაში?
- რით შეიძლება დახმარება გაუწიოს შენმა შეკითხვებმა თანაკლასელებს სათქმელის უკეთ ჩამოყალიბებაში?
- რა ფაქტორები გაითვალისწინე/უნდა გაითვალისწინო საიმისოდ, რომ შენი კომპლექსური დავალების პრეზენტაცია მსმენელისთვის გასაგები და მისაღები ყოფილიყო?
- გამოიყენე თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? რაში დაგეხმარა ტექნოლოგიების გამოყენება?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან? როგორ წარმოაჩენ ამ განსხვავებებს შეკითხვების სახით?
- შეაფასე, რამდენად გამოგივიდა ის, რაც მასწავლებლისგან გქონდა დავალებული.

Don't copy

სამიზნე ცნება – ისტორიული მოვლენა/პროცესი **ქვეცნება:** აჯანყება, ოსმალობა, ყიზილბაშობა, რეფორმა, პოლიტიკური ორიენტაცია, ტრაქტატი **სამიზნე ცნება** – დრო **ქვეცნება:** ქრონოლოგია
საკითხი – XVII-XVIII საუკუნეების საქართველოში განვითარებული ისტორიული პროცესები **საკვანძო შეკითხვა** – როგორ წარმოვაჩინო ისტორიული სტატიის საშუალებით XVII-XVIII საუკუნეებში ქართველი მეფე-მთავრების საშინაო და საგარეო პოლიტიკის ცვალებადობა? **კომპლექსური დავალება** წარმოიდგინე, რომ ისტორიის მკვლევარი ხარ, რომელიც XVII-XVIII საუკუნეების საქართველოს ისტორიას იკვლევს. ერთ-ერთმა სამეცნიერო-პოპულარულმა ჟურნალმა ისტორიული სტატია დაგიკვეთა, რომელშიც წარმოაჩენ ქართველი მეფე-მთავრების საშინაო და საგარეო პოლიტიკას როსტომ ხანის მმართველობიდან რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის ანექსიამდე.

სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები **<u>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:</u>**	**შეფასების კრიტერიუმი** **<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>**	**<u>ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:</u>**
დრო (შედეგი: 1,2,3,4,5,6) • ისტორია დროში მიმდინარე ცვალებადობის შემსწავლელი დარგია; • კაცობრიობის მიერ განვლილი გზა სხვადასხვა ისტორიულ ეპოქად და პერიოდად იყოფა; • სხვადასხვა ხალხს დროის აღრიცხვის განსხვავებული სისტემები ჰქონდა. **ისტორიული მოვლენა/პროცესი** (შედეგი: 3,4,5,6) • ყველა ისტორიულ მოვლენას თავის მიზეზი/მიზეზები და შედეგი/შედეგები აქვს; • ისტორიკოსები ხშირად კამათობენ ისტორიული მოვლენების მიზეზებსა და შედეგებზე;	**დრო** • აღწეროს შესწავლის ობიექტად შერჩეული ისტორიული პერიოდის მახასიათებლები და მათი მიმართება სხვა ისტორიულ ეპოქებთან/პერიოდებთან; • იმსჯელოს, როგორ აღრიცხავდნენ დროს და აღიქვამდნენ საკუთარ ეპოქას შესწავლის ობიექტად შერჩეულ დროში მცხოვრები ადამიანები. **ისტორიული მოვლენა/პროცესი** • შესწავლის ობიექტად შერჩეული ისტორიული მოვლენის მიზეზები, შედეგები და მნიშვნელობა;	• რატომ და როგორ იბრძოდნენ ქართველი მეფე-მთავრები თავიანთი კერძო და საერთო-ქართული ინტერესების დასაცავად და რა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული შედეგები ჰქონდა მათ ქმედებებს? **(მ. წ. ისტორიული მოვლენა 1)** • როგორ იცვლებოდა საქართველოში მეზობელი იმპერიების (ოსმალეთის, ირანის, რუსეთის) პოლიტიკა და როგორ აისახა ის ქართველი ხალხის ისტორიულ წარსულზე? **(მ. წ. დრო 1)** • რომელი პერიოდები შეიძლება გამოვყოთ ქართლ-კახეთის მმართველების რელიგიური იდენტობის თვალსაზრისით და რა მახასიათებლები აქვს ამ ეპოქებს? **(მ. წ. დრო 2)**

Don't copy

• ზოგიერთ ისტორიულ მოვლენას ლოკალური, ზოგს კი გლობალური მნიშვნელობა აქვს; • ისტორიული ფაქტები და მოვლენები ტიპოლოგიურად შეიძლება პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული ნიშნით დაჯგუფდეს.	• რა გავლენა ჰქონდა შესწავლის ობიექტად შერჩეულ ისტორიულ მოვლენას შესაბამისი ეპოქის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ისტორიაზე.	• რატომ გახდა საჭირო „სწავლულ კაცთა კომისიის“ მიერ „ქართლის ცხოვრებაში“ წარმოდგენილი ისტორიული მოვლენების ქრონოლოგიური მოწესრიგება და როგორ განხორციელდა ის? **(მ. წ. დრო 3)** • რა განსხვავებული მოსაზრებები არსებობს ვახტანგ VI-ისა და ერეკლე II-ის საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციასთან დაკავშირებით და რა შედეგები მოჰყვა მათ დიპლომატიურ ნაბიჯებს? **(მ. წ. ისტორიული მოვლენა 3, 4)**

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 156-193

კომპლექსური დავალების შესრულების ეტაპები

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა
კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები

სარეკომენდაციო აქტივობა:
მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს რესურსს და დაფაზე წერს: „სტატია“. მოსწავლეები აყალიბებენ მოსაზრებებს პროდუქტთან დაკავშირებით, რის შემდეგაც მასწავლებელი კითხვა-პასუხის მეთოდით მოსწავლეებს აცნობს ინფორმაციას სტატიის შესახებ.

რესურსი.
სტატია – კრებულში, ჟურნალში ან გაზეთში მოთავსებული მცირე მოცულობის პუბლიცისტური ან მეცნიერული ნაწარმოები.

სტატიის სტრუქტურა: 1) სათაური – სტატიას სჭირდება სათაური. სათაურის ფუნქციაა, ინტერესი იმდენად გააღვივოს, რომ მკითხველს სტატიის წაკითხვა მოუნდეს. 2) შესავალი – სტატიის პირველი აბზაცი შესავალია. შესავალმა მკითხველს ინტერესი უნდა აღუძრას და მასში ასახული უნდა იყოს საკითხის მნიშვნელობა. 3) ენა და სტილი – სიტყვების არასწორი დაწერილობა მკითხველისთვის გამაღიზიანებელია. როცა ადამიანი შეცდომით დაწერილ სიტყვას ხედავს, მას კონცენტრაცია ეკარგება. სტატიისთვის საბოლოო ფორმის მიცემა გულისხმობს მის ყურადღებით გადაკითხვას სიტყვებისა და გრამატიკული წყობის სისწორის შესამოწმებლად, ინფორმაციის უტყუარობის დასადასტურებლად და სტილისტურად გასამართავად.

როგორ იწერება სტატია? (https://www.living-democracy.com/ge/textbooks/volume-3/part-3/unit-7/student-handout-6/)
• რა არის სტატია?
• რატომ ვწერთ სტატიას?
• როგორ უნდა დავწეროთ სტატია?

Draft copy

- რას აქცევთ ყურადღებას სტატიის კითხვის დროს და რატომ?
- როგორ უნდა აიგოს სტატია, რომ მკითხველისთვის საინტერესო იყოს?
- როგორ უნდა დაწერო კარგი სტატია?
- რა უნდა გაითვალისწინო სტატიის წერის დროს?
- რა მახასიათებლები უნდა ჰქონდეს ისტორიულ თემატიკაზე დაწერილ სტატიას?

კომპლექსური დავალება

- შენი სიტყვებით ჩამოაყალიბე, რას შეეხება დღეს მოცემული დავალება, რომელზეც რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში უნდა იმუშაოთ.
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ქვესაკითხი: როსტომ ხანის მმართველობა. ბახტრიონი

ქვეცნება:
აჯნყება, პოლიტიკური ორიენტაცია

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 156-161

ნაბიჯი 1

- რატომ და როგორ იბრძოდნენ ქართველი მეფე-მთავრები თავიანთი კერძო და საერთო-ქართული ინტერესების დასაცავად და რა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული შედეგები ჰქონდა მათ ქმედებებს? **(მ. წ. ისტორიული მოვლენა 1)**
- როგორ იცვლებოდა საქართველოში მეზობელი იმპერიების (ოსმალეთის, ირანის, რუსეთის) პოლიტიკა და როგორ აისახა ის ქართველი ხალხის ისტორიულ წარსულზე? **(მ. წ. დრო 1)**

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:
შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება.

სარეკომენდაციო აქტივობა:
ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს საკითხზე მუშაობა. მოსწავლე ამუშავებს ტექსტს და წყაროებს როსოტომ ხანის მმართველობის შესახებ (გვ. 156-158). პედაგოგს შეუძლია, საკითხის გასააზრებლად გამოიყენოს სახელმძღვანელოში მოცემული კითხვები.

- როგორ ფიქრობ, რატომ იყო მნიშვნელოვანი თეიმურაზისთვის ბაზალეთის ბრძოლის შედეგი?
- იმსჯელე, რა პოლიტიკური პროცესები განვითარდებოდა რეგიონში შაჰ-აბას I-ის სიკვდილის შემდეგ. რატომ?
- შენი აზრით, რამდენად მოახერხებდა უცხოეთში გაზრდილი როსტომ მეფე ქართლში ფეხის მოკიდებას?
- შენი აზრით, რა ჩანაფიქრი ჰქონდა როსტომს, როდესაც მოღვაწეობა ციხეების გამაგრებითა და ადგილობრივ თავადებთან შეთანხმებით დაიწყო?
- რამდენად შეესაბამება ერთმანეთს ა და ბ წყაროებში მოცემული როსტომ მეფის გადაწყვეტილებებისა და პიროვნების შეფასებები?
- რისთვის სჭირდებოდა ირანში დაბადებულ-გაზრდილ როსტომს ქართლის კეთილდღეობაზე ზრუნვა?

Draft copy

- იმსჯელე, როგორ და რატომ შეიცვალა როსტომ-ხანის მმართველობის პერიოდში ირანის პოლიტიკა ქართლში.
- შენი აზრით, როსტომისა და ლევან II დადიანის კავშირი რა პოლიტიკური ინტერესებით იყო განპირობებული? რატომ?
- რატომ არის ოსმალეთი უკმაყოფილო ლევან II დადიანის გადაწყვეტილებით?
- შენი აზრით, რატომ აძლევდა მუსლიმი როსტომ მეფე თავის მეუღლეს ეკლესიების აღდგენის უფლებას?
- იმსჯელე, როგორ აისახება ქვეყნის განვითარებაზე პოლიტიკური სტაბილურობა.
- შენი აზრით, როგორ ახერხებს როსტომი პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნებას?

მოსწავლის რვეული – დავალება 79

მოსწავლეები აგრძელებენ საკითხის შესწავლას, ეცნობიან ტექსტსა და მასალებს თეიმურაზ I-ისა და როსტომ ხანის დაპირისპირების შესახებ (გვ. 158-160). პედაგოგს შეუძლია, საკითხის გასააზრებლად გამოიყენოს სახელმძღვანელოში მოცემული კითხვები.

- შენი აზრით, რამდენად სწორად იქცეოდა მეფე თეიმურაზი, როდესაც ირან-ოსმალეთის წინააღმდეგ მოკავშირეებს რუსეთსა და ევროპაში ეძებდა? პასუხი დაასაბუთე.
- როგორ ფიქრობ, ქართული ეკლესიის რომის კათოლიკურ ეკლესიასთან შეერთებით მოახერხებდა თუ არა საქართველო ისლამური იზოლაციიდან თავის დაღწევას? პასუხი დაასაბუთე.
- შენი აზრით, დაუჭერდნენ თუ არა მხარს ქართული ეკლესია, ფეოდალები და გლეხები კათოლიკურ აღმსარებლობაზე გადასვლას?
- მხარდაჭერის რა ვარიანტებს სთავაზობს იერუსალიმის პატრიარქი ფილიპე IV-ს?
- წყარო დ-ს მიხედვით, ძირითადად რა მიზეზების გამო ჩაიშალა მოლაპარაკებები?
- გაიხსენე, რა პოლიტიკურ-რელიგიური ვითარება იყო იმ დროს ევროპაში და იმსჯელე:
  ა) რატომ უშუამდგომლა რომის პაპმა ნიკიფორე ირბახს ესპანეთის მეფესთან და არა რომელიმე სხვა მონარქთან?
  ბ) რატომ სჭირდებოდა კათოლიკურ სამყაროს თავისი გავლენის გავრცელება საქართველოში?
  გ) შეძლებდა თუ არა რომის პაპი ევროპის წამყვანი სახელმწიფოების დარწმუნებას ანტიირანულ/ანტიოსმალურ კამპანიაში ჩასართავად?
- შენი აზრით, რატომ მისცა როსტომმა თეიმურაზს იმერეთში გადასვლის საშუალება? როგორ ფიქრობ, შეეძლო თუ არა იმერეთში გადასულ თეიმურაზს როსტომისთვის წინააღმდეგობის გაწევა?
- რა შედეგით დასრულდა როსტომისა და თეიმურაზის დაპირისპირება?
- შენი აზრით, რატომ იყო მნიშვნელოვანი შაჰის მიერ კახეთის როსტომისთვის გადაცემა?
- გაიხსენე ბაგრატიონთა გენეალოგია. ვინ ჩაუყარა საფუძველი მუხრანბატონების შტოს?
- იმსჯელე, რა პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს იღებენ თეიმურაზი და როსტომი და რა საერთაშორისო და საშინაო მიზეზებით შეიძლება იყოს განპირობებული ისინი. შეაფასე დაპირისპირებული მხარეების გადაწყვეტილებები და იმსჯელე მათ მართებულობაზე.

მოსწავლის რვეული – დავალებები 80, 81

საკითხის ამოწურვის შემდეგ მოსწავლეები ეცნობიან ბახტრიონის ინფორმაციას აჯანყების შესახებ, ტექსტსა და წყაროებს (გვ. 160-161). პედაგოგს შეუძლია, საკითხის გასააზრებლად გამოიყენოს სახელმძღვანელოში მოცემული კითხვები.

- შენი აზრით, რატომ ჩამოართვეს როსტომს კახეთი?
- როგორ და რატომ შეიცვალა შაჰ-აბას II-ის დროს შაჰის კარის პოლიტიკა ქართლისა და კახეთის მიმართ?
- როგორ ფიქრობ, რატომ იყო ბახტრიონის აჯანყებაში საზოგადოების ყველა ფენა ჩართული?

Don't copy

- დაფიქრდი, რით იყო გამორჩეული ბახტრიონის აჯანყება ქართველთა მიერ ირან-ოსმალთა წინააღმდეგ მანამდე გამართული ბრძოლებისგან?
- გამარჯვებით დასრულების გარდა, კიდევ რა საერთო აქვს ბახტრიონის აჯანყებას ტაშისკარის ბრძოლასთან?
- შენი აზრით, რამდენად სწორად მოიქცნენ აჯანყების მოთავეები, როდესაც შაჰს ეახლნენ? პასუხი დაასაბუთე.
- საქართველოს ისტორიიდან გაიხსენე შემთხვევები, როდესაც მტრის (არაბების, თურქების, მონღოლების, ოსმალების, ყიზილბაშების) მიერ გამოძახების შემდეგ ქართველი მეფე-მთავრები მათთან წასვლას ან სამშობლოში დარჩენას/ბრძოლას/გახიზვნას ამჯობინებდნენ. განიხილე თითოეული ეს შემთხვევა და იმსჯელე, რა შედეგები მოჰქონდა მათ გადაწყვეტილებებს ქვეყნისათვის.

მოსწავლის რვეული – დავალება 82

ქვეცნება: ტრაქტატი, პოლიტიკური ორიენტაცია

ქვესაკითხი: დასავლეთი საქართველო XVII საუკუნეში

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 162-167

ნაბიჯი 2

- რატომ და როგორ იბრძოდნენ ქართველი მეფე-მთავრები თავიანთი კერძო და საერთო-ქართული ინტერესების დასაცავად და რა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული შედეგები ჰქონდა მათ ქმედებებს? **(მ. წ. ისტორიული მოვლენა 1)**
- როგორ იცვლებოდა საქართველოში მეზობელი იმპერიების (ოსმალეთის, ირანის, რუსეთის) პოლიტიკა და როგორ აისახა ის ქართველი ხალხის ისტორიულ წარსულზე? **(მ. წ. დრო 1)**

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:
ტექსტისა და წყაროების ანალიზი, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია.

სარეკომენდაციო აქტივობა:
ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს საკითხზე მუშაობა. მოსწავლეები გაეცნობიან ტესტსა და წყაროებს ლევან დადიანის შესახებ (გვ. 162-164). საკითხის სიღრმისეულად გააზრებისათვის პედაგოგს შეუძლია, გამოიყენოს სახლმძღვანელოში არსებული კითხვები.

- შენი აზრით, რით იყო გამოწვეული დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებს შორის არსებული დაპირისპირება?
- ამართლებ თუ არა გურიისა და ოდიშის მთავრების პოლიტიკას? პასუხი დაასაბუთე.
- რა პოლიტიკური ინტერესები აქვთ დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებს და რატომ კრავენ ისინი კავშირს ერთმანეთის წინააღმდეგ?
- რატომ აუჯანყდნენ ლევან II დადიანს? რა გზებით მოახერხა დადიანმა შეთქმულთა დამარცხება და ძალაუფლების განმტკიცება?
- რატომ სჭირდებოდა ლევან II დადიანს როსტომთან ურთიერთობა? როგორ აისახებოდა ეს მის ძალაუფლებაზე?
- შენი აზრით, რატომ გადაასახლა დადიანმა ებრაელები და სომხები ქალაქ რუხში?
- შეაფასე ლევან II დადიანის პოლიტიკა სხვა ქართული სამეფო-სამთავროებთან მიმართებით. პასუხი დაასაბუთე.
- შენი აზრით, რატომ არის ლევან II დადიანი სხვადასხვა კუთხით წარმოჩენილი ა, ბ და გ წყაროებში?

Draft copy

- როგორ წარმოვაჩინო სტატიის საშუალებით ლევან II დადიანის საშინაო პოლიტიკა და ურთიერთობები სხვა მეფე-მთავრებთან?

მოსწავლის რვეული – დავალება 83

მოსწავლეები აგრძელებენ მუშაობას მასალაზე ლევან დადიანის მოღვაწეობის შესახებ; ამჯერად მის საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობებს გაეცნობიან (გვ. 162-167). საკითხის სიღრმისეულად გააზრებისათვის პედაგოგს შეუძლია, გამოიყენოს სახლმძღვანელოში არსებული კითხვები.

- შენი აზრით, ვისთვის იყო ლევან დადიანის მოღვაწეობა უფრო მისაღები და ვისთვის – არა?
- რა შედეგებს მოუტანდა მისი რეფორმები და მოქმედებები ოდიშის სამთავროს, დასავლეთ საქართველოს, მთელ საქართველოს?
- შენი აზრით, რატომ ამბობს უარს ლევან II დადიანი ოსმალეთის ომებში მონაწილეობაზე?
- რატომ არჩევს სულთანი სამეგრელოს მთავართან დიპლომატიურ ურთიერთობას და არა ომის გზით მის დამორჩილებას?
- რა გზებით ცდილობს ლევან II დადიანი ევროპულ სახელმწიფოებთან დაკავშირებას და რატომ?
- რა ხერხს მიმართავდა ლევან დადიანი თურქეთის ელჩების დახვედრისას და რატომ?
- რა ეკონომიკურ-სოციალურ შედეგებს მოუტანდა „ტყვის სყიდვა“ საქართველოს?
- რით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ „ტყვის სყიდვაში“ თავადაზნაურობაც იყო ჩართული?
- როგორ წარმოვაჩინო სტატიის საშუალებით ლევან II დადიანის საგარეო პოლიტიკური ურთიერთობები?

მოსწავლის რვეული – დავალებები 84, 85

ქვეცნება:
რეფორმა, პოლიტიკური ორიენტაცია, ქრონოლოგია

ქვესაკითხი:
ვახტანგ VI-ის მოღვაწეობა

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ.168-175

ნაბიჯი 3

- რატომ და როგორ იბრძოდნენ ქართველი მეფე-მთავრები თავიანთი კერძო და საერთო-ქართული ინტერესების დასაცავად და რა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული შედეგები ჰქონდა მათ ქმედებებს? **(მ. წ. ისტორიული მოვლენა 1)**
- როგორ იცვლებოდა საქართველოში მეზობელი იმპერიების (ოსმალეთის, ირანის, რუსეთის) პოლიტიკა და როგორ აისახა ის ქართველი ხალხის ისტორიულ წარსულზე? **(მ. წ. დრო 1)**
- რატომ გახდა საჭირო „სწავლულ კაცთა კომისიის“ მიერ „ქართლის ცხოვრებაში“ წარმოდგენილი ისტორიული მოვლენების ქრონოლოგიური მოწესრიგება და როგორ განხორციელდა ის? **(მ. წ. დრო 3)**
- რა განსხვავებული მოსაზრებები არსებობს ვახტანგ VI-ისა და ერეკლე II-ის საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციასთან დაკავშირებით და რა შედეგები მოჰყვა მათ დიპლომატიურ ნაბიჯებს? **(მ. წ. ისტორიული მოვლენა 3, 4)**

Don't copy

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:
შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება.

სარეკომენდაციო აქტივობა:
ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს საკითხზე მუშაობა. მოსწავლეები ტექსტისა და წყაროების გამოყენებით ეცნობიან ვახტანგ VI-ის რეფორმებს და მის შედეგებს (გვ. 168-170). საკითხის სიღრმისეულად გააზრებისთვის პედაგოგს შეუძლია, გამოიყენოს სახელმძღვანელოშო არსებული კითხვები.
- რატომ უწოდებს შარდენი ვახტანგ V-ს მთავარს?
- რატომ შეიკავა თავის ამ პროექტის განხორციელებისგან ქართლის მეფემ?
- რა იყო ვახტანგ V-ის რეფორმების ძირითადი მიმართულებები?
- რომელ წინამორბედ ქართველ მეფეებს გახსენებს ყველაზე მეტად ვახტანგ V თავისი მოღვაწეობით? პასუხი დაასაბუთე.
- შენი აზრით, რამდენად ხელსაყრელი იქნებოდა ირანისთვის ვახტანგის მიერ იმერეთზე გავლენის მოპოვება? რა რეაქცია ექნებოდა ოსმალეთს?
- როგორ ფიქრობ, რატომ იყო დაინტერესებული შაჰი გიორგი XI-ის შემორიგებით?
- როგორ ფიქრობ, რატომ არ დააბრუნა შაჰმა საქართველოში გიორგი XI?
- შენი აზრით, რა შედეგებს მოუტანდა ირანის შაჰს გიორგი XI-ისა და ქართული ჯარის ავღანეთში გაგზავნა?
- შენი აზრით, რა მნიშვნელობა ჰქონდა ვახტანგ VI-ის მიერ გატარებულ რეფორმებს?
- რომელი მათგანი მიგაჩნია განსაკუთრებით მნიშვნელოვნად ქვეყნის განვითარებისთვის და რატომ?
- როგორ წარმოვაჩინო სტატიის საშუალებით ვახტანგ VI-ის (ჯანიშინის) რეფორმები?

მოსწავლეები აგრძელებენ საკითხის შესწავლას, ეცნობიან ტექსტსა და წყაროებს სულხან-საბა ობელიანიას ევროპაში ელჩობის შესახებ (გვ. 170-171). ცოდნის სიღრმისეულად გააზრებისათვის პედაგოგს შეუძლია, გამოიყენოს სახელმძღვანელოში არსებული კითხვები და დავალებები.
- რას ელოდა ევროპაში ელჩად წასული სულხან-საბა ორბელიანი?
- რას ჰპირდება სულხან-საბა საფრანგეთის სახელმწიფო მინისტრს, გრაფ დე პონშატრენს, ვახტანგის გათავისუფლებაში დახმარების სანაცვლოდ? შენი აზრით, რამდენად რეალური იყო ეს დაპირება?
- წყარო გ-ს მიხედვით, რატომ იყო აუცილებელი ვახტანგ მეფის საქართველოში დაბრუნება?
- გაარკვიე, რას ნიშნავს სიტყვა „მემორანდუმი“ და განმარტე, რა ტიპის წერილობითი წყაროებია ზემოთ მოცემული.
- პიერ დ'არნუს მემორანდუმის მიხედვით, რა საკითხმა გამოიწვია საფრანგეთის სამეფო კარის განსაკუთრებული დაინტერესება? იმსჯელე, რა ეკონომიკური, პოლიტიკური და სტრატეგიული ინტერესები ჰქონდათ ფრანგებს აღმოსავლეთში.
- რატომ თანხმდებოდა ვახტანგ VI კათოლიკურ ეკლესიასთან შეერთებას?
- გაიხსენე, კიდევ რომელი მეფე თანხმდებოდა კათოლიკობის მიღებას?
- რა გეგმების განხორციელებას გეგმავდნენ ფრანგები საქართველოსთან ერთად? რა იყო მათი გეგმების ძირითადი ნაწილი?
- წყაროების მიხედვით, რამდენად შეესაბამებოდა ერთმანეთს ქართლისა და დასავლეთ ევროპის გეგმები? პასუხი დაასაბუთე.
- როგორ წარმოვაჩინო სტატიის საშუალებით სულხან-საბა ორბელიანის ევროპაში ელჩობა?

მოსწავლის რვეული – დავალება 86

Do not copy

მოსწავლეები აგრძელებენ საკითხის შესწავლას, ეცნობიან ტექსტსა და წყაროებს ვახტანგ VI-ის რუსეთთან ურთიერთობის შესახებ (გვ. 172-175). პედაგოგს ცოდნის სიღრმისეულად გააზრებისათვის შეუძლია, გამოიყენოს სახელმძღვანელოში არსებული კითხვები და დავალებები.

- რეგიონში არსებული პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, რამდენად სწორი იყო ვახტანგ VI, რომ რუსეთთან კავშირის დამყარებას ესწრაფოდა? პასუხი დაასაბუთე.
- შენი აზრით, რა საფრთხეს შეუქმნიდა ირანისა და ოსმალეთის კავკასიურ პოლიტიკას რუსეთის იმპერიის გააქტიურება?
- რას გეუბნება ლაშქრობების რუკა რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური ინტერესების შესახებ?
- წყარო ე-ს მიხედვით, რატომ არ შეურთდა რუსეთის ჯარი ქართველთა ლაშქარს?
- რატომ აიღო ვახტანგ მეფემ რუსული ორიენტაცია? რამდენად სწორი იყო მისი გადაწყვეტილება?
- რა არჩევანის გაკეთება უწევდა ვახტანგ VI-ს განჯაში დგომისას?
- შენი აზრით, რამდენად რეალურია, წყაროში დასახელებული რუსთა ჯარის ირანში არშეჭრის მიზეზები?
- რუკა 28-ის მიხედვით იმსჯელე: რამდენად ძლიერი და მრავალრიცხოვანი ლაშქარი ჰყავდა ვახტანგს მობილიზებული; რა პოზიცია ჰქონდა შერჩეული და სად ელოდებოდა რუსთა ჯარს მეფის ლაშქარი.
- შენი აზრით, რატომ არ მიიღო ვახტანგმა სულთნის წინადადება?
- მოსწავლის რვეულის დასაწყისში მოცემული ქართული ანბანისა და რიცხვების სქემის, ასევე მასალის საშუალებით გამოთვალე, რომელ წელს გაემგზავრა რუსეთში ვახტანგ VI?
- შენი აზრით, რატომ არ იყენებს ვახუშტი ბატონიშვილი დათარიღების მხოლოდ ქართულ ვერსიას (ქორონიკონს)?
- როგორ ფიქრობ, რატომ გადაწყვიტა ვახტანგმა რუსეთში გახიზვნა და რატომ გაიყოლა ასეთი მრავალრიცხოვანი ამალა?
- ეთანხმები თუ არა ვახტანგ VI-ის მიერ ქართლის დატოვებას და რუსეთში გადასახლებას? პასუხი დაასაბუთე.
- რომელი ორი პერიოდი გამოიყოფა ვახტანგ VI-ის მმართველობაში? რომელი უფრო მნიშვნელოვანია? რატომ?
- შენი აზრით, ვახტანგ VI-ის პოლიტიკური მარცხი მისი გადაწყვეტილებების შედეგია თუ არსებული საშინაო და საერთაშორისო ვითარების? პასუხი დაასაბუთე.
- ეთანხმები თუ არა ივანე ჯავახიშვილის შეფასებას? პასუხი დაასაბუთე.
- როგორ წარმოვაჩინო სტატიის საშუალებით ვახტანგ VI-ის რუსეთთან ურთიერთობის საკითხი?

მოსწავლის რვეული – დავალება 87

ქვეცნება

ოსმალობა, ყიზილბაშობა, რეფორმა, პოლიტიკური ორიენტაცია

ქვესაკითხი: საქართველო XVIII ს. შუახანებში

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 176-184

ნაბიჯი 4

- რატომ და როგორ იბრძოდნენ ქართველი მეფე-მთავრები თავიანთი კერძო და საერთო-ქართული ინტერესების დასაცავად და რა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული შედეგები ჰქონდა მათ ქმედებებს? **(მ. წ. ისტორიული მოვლენა 1)**
- როგორ იცვლებოდა საქართველოში მეზობელი იმპერიების (ოსმალეთის, ირანის, რუსეთის) პოლიტიკა და როგორ აისახა ის ქართველი ხალხის ისტორიულ წარსულზე? **(მ. წ. დრო 1)**

Don't copy

- რომელი პერიოდები შეიძლება გამოვყოთ ქართლ-კახეთის მმართველების რელიგიური იდენტობის თვალსაზრისით და რა მახასიათებლები აქვს ამ ეპოქებს? **(მ. წ. დრო 2)**

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:

შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება.

სარეკომენდაციო აქტივობა:

ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს საკითხზე მუშაობა, მოსწავლეები ეცნობიან მასალას „ოსმალობასა“ და „ყიზილბაშობაზე“, ერეკლესა და თეიმურაზის ქრისტიანული წესით კურთხევაზე (გვ. 176-178). პედაგოგს ცოდნის სიღრმისეულად გააზრებისათვის შეუძლია, გამოიყენოს სახელმძღვანელოში არსებული კითხვები და დავალებები.

- როგორ იცვლებოდა პოლიტიკური ვითარება ქართლში 1727-1747 წლებში?
- რომელი ორი ძირითადი პერიოდი გამოიყოფა ვახტანგ VI-ის შემდგომი პერიოდის ქართლის ისტორიაში?
- რა პრობლემების წინაშე დგას ქართლი და კახეთი თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის მმართველობის დაწყების წინ?
- შენი აზრით, რას გულისხმობდა თურქული საგადასახადო სისტემის შემოღება ქართლის მოსახლეობისთვის?
- როგორ ფიქრობ, რატომ იყო მნიშვნელოვანი მამა-შვილის გამეფება ქართლ-კახეთში?
- რა მნიშვნელობა ჰქონდა თეიმურაზისა და ერეკლეს ქრისტიანული წესით მეფედ კურთხევას?
- რაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ქართველებთან ერთად თეიმურაზის და ერეკლეს არმიაში ერთად იბრძოდნენ ჩრდილო კავკასიელი ჩერქეზები, ოსები, ლეკები, ბორჩალუს, ყაზახის და შამსადილოს ჯარები (ეხლანდელი აზერბაიჯანელები), ერევნის სახანოს სომხები და მუსლიმები?
- დათარიღების რომელ სისტემას იყენებს პაპუნა ორბელიანი?
- ყირბულახთან ერეკლეს მიერ გამოყენებული ბრძოლის სტრატეგია, ხომ არ გაგონებს წინა საუკუნეებში გამართული რომელიმე ბრძოლის მიმდინარეობას? რატომ? პასუხი დაასაბუთე.
- წყარო ა-ს მიხედვით, რას ემყარებოდა თეიმურაზისა და ერეკლეს საგარეო პოლიტიკა?
- შენი აზრით, რამდენად გამართლებული იყო ასეთი საგარეო კურსი ქვეყნისათვის?
- წყარო ა-ს მიხედვით, რატომ იყო შეუძლებელი ქართლ-კახეთისთვის დამოუკიდებლობის შენარჩუნება ირანის შიდა საქმეებში ჩარევის გარეშე?
- მიუხედავად მნიშვნელოვანი სამხედრო წარმატებებისა, რატომ ეძებდნენ ერეკლე II და თეიმურაზ II საიმედო საგარეო პოლიტიკურ მოკავშირეს?
- როგორ წარმოვაჩინო სტატიის საშუალებით ქრისტიანი მმართველების ეპოქის დაწყება ქართლ-კახეთში?

პედაგოგის დახმარებით მოსწავლეები აგრძელებენ მასალის დამუშავებას, ეცნობიან ტექსტსა და წყაროებს ერეკლე II-ის ღონისძიებების შესახებ ქვეყნის ევროპული გარდაქმნისათვის (გვ. 179-181). პედაგოგს ცოდნის სიღრმისეულად გააზრებისათვის შეუძლია, გამოიყენოს სახელმძღვანელოში არსებული კითხვები და დავალებები.

- როგორ ცდილობდა ერეკლე II ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას? რა შედეგი მოჰყვა სამრეწველო სფეროში გატარებულ ღონისძიებებს?
- რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი თბილისს კავკასიის სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრად გადაქცევაში?
- რა საფრთხეს უქმნიდა ლეკიანობა ქვეყანას და რატომ იყო ის ძნელად მოსაგვარებელი პრობლემა?

Draft copy

- რა მიზნით სჭირდებოდა მეფეს „მორიგე ჯარი“? სხვა რა ტერმინს გამოიყენებდი მის აღსანიშნავად?
- შენი აზრით, რა პრობლემების წინაშე აღმოჩნდებოდნენ „მორიგე ჯარის“ ორგანიზატორები? რატომ?
- რატომ ეწინააღმდეგებოდნენ ურჩი ფეოდალები „მორიგე ჯარის“ არსებობას?
- როგორ ფიქრობ, რამდენად დროული იყო მუდმივად ბრძოლებში ჩართული სამეფოსთვის კულტურისა და განათლების რეფორმების დაწყება (თეატრი, სტამბა, სემინარიები)? პასუხი დაასაბუთე.
- გაიხსენე სხვა ქართველი მეფეები, რომლებმაც დიდი სამხედრო რეფორმები გაატარეს ქვეყანაში.
- შენი აზრით, რატომ ვერ მოხერხდა „მორიგე ჯარის“ ტიპის სამხედრო სტრუქტურის (ყველა მამაკაცი ჯარში, გლეხების ჩართულობა, სამხედრო წვრთნები და ა. შ.) შექმნა საქართველოში წინა საუკუნეებში? რა იყო ამ რეფორმის წარმატების მთავარი საფუძველი?
- როგორ გესმის წყაროში მოყვანილი ფრაზა: „აშკარად გამოხატავდა ერეკლეს აბსოლუტისტურ ტენდენციებს“?
- გაიხსენე, რა არის აბსოლუტიზმი და რომელი ევროპული ქვეყნის მმართველობის ფორმა იყო ის.
- საქართველოში მიმდინარე პროცესები შეადარე იმავე პერიოდის ევროპას და იმსჯელე, რატომ ჩამორჩა საქართველო და მთლიანად ახლო აღმოსავლეთი, XVIII ს.-ის მეორე ნახევარში ევროპაში მიმდინარე სოციალურ პროცესებს?
- როგორ წარმოვაჩინო სტატიის საშუალებით ერეკლე II-ის რეფორმები?

მოსწავლის რვეული – დავალება 88

მოსწავლეები აანალიზებენ ტექსტსა და წყაროებს სოლომონ I-ის ღონისძიებების შესახებ (გვ. 181-184). პედაგოგს ცოდნის სიღრმისეულად გააზრებისათვის შეუძლია, გამოიყენოს სახელმძღვანელოში არსებული კითხვები და დავალებები.

- რა პრობლემების წინაშე იდგა იმერეთის სამეფო სოლომონ I-ის გამეფებისას?
- რომელი ფენები იყო მეფის ხელისუფლების დასაყრდენი? რატომ?
- რატომ იყო მნიშვნელოვანი ოსმალებისათვის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე დაშვებული ყოფილიყო ტყვეებით ვაჭრობა?
- შენი აზრით, როგორ შეუწყობდა ხელს სახელმწიფოს გაძლიერებას „ფიცის კაცების“ ინსტიტუტის შექმნა?
- შენი აზრით, რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი იმერეთის, გურიის, სამეგრელოს, სამურზაყანოს სამხედრო ძალების გაერთიანებას ოსმალთა წინააღმდეგ ხრესილის ბრძოლაში?
- შენი აზრით, რა იყო ხრესილში მიღწეული გამარჯვების ძირითადი მიზეზი?
- გარდა სამხედრო-პოლიტიკური მიღწევებისა, კიდევ რა დადებით შედეგებს მოუტანდა ხრესილის ბრძოლაში გამარჯვება სოლომონ მეფეს და მთლიანად დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას?
- შენი აზრით, რატომ განამტკიცა სოლომონ მეფემ ეკლესიის პოზიციები და იმავდროულად რატომ გაათავისუფლა გლეხები საეკლესიო გადასახადისგან?
- რაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ტყვის სყიდვის შესახებ მიღებულ შეთანხმებას აბაშიძემ, წულუკიძემ და რაჭის ერისთავმაც მოაწერეს ხელი?
- როგორ გესმის ფრაზა: „ეს საქმე ჩუენგან არ იქნეს. არც მაშინ ერთმანეთს ვუსუსტოთ, კიდეც ერთმანეთს მივუდგეთ, კიდეც მეფე სოლომონის მორჩილი და ბრძანების აღმასრულებელი ვიქნეთ...“?
- რა მნიშვნელობა ჰქონდა იმერეთსა და ქართლ-კახეთს შორის დადებულ ურთიერთმოკავშირეობის ხელშეკრულებას? შენი აზრით, რა პოლიტიკური პერსპექტივა გაჩნდა 1758 წლის შეთანხმებით?
- როგორ წარმოვაჩინო სტატიის საშუალებით სოლომონ I-ის ბრძოლა ოსმალეთის გავლენის წინააღმდეგ?

Do not copy

მოსწავლის რვეული – დავალება 89

ქვეცნება:
ტრაქტატი, პოლიტიკური ორიენტაცია

ქვესაკითხი:
საქართველო სამ იმპერიას შორის. გეორგიევსკის ტრაქტატი

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 185-193

ნაბიჯი 5

- რატომ და როგორ იბრძოდნენ ქართველი მეფე-მთავრები თავიანთი კერძო და საერთო-ქართული ინტერესების დასაცავად და რა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული შედეგები ჰქონდა მათ ქმედებებს? **(მ. წ. ისტორიული მოვლენა 1)**
- როგორ იცვლებოდა საქართველოში მეზობელი იმპერიების (ოსმალეთის, ირანის, რუსეთის) პოლიტიკა და როგორ აისახა ის ქართველი ხალხის ისტორიულ წარსულზე? **(მ. წ. დრო 1)**
- რა განსხვავებული მოსაზრებები არსებობს ვახტანგ VI-ისა და ერეკლე II-ის საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციასთან დაკავშირებით და რა შედეგები მოჰყვა მათ დიპლომატიურ ნაბიჯებს? **(მ. წ. ისტორიული მოვლენა 3, 4)**

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:
შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება.

სარეკომენდაციო აქტივობა:
ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს საკითხზე მუშაობა. მოსწავლეები ეცნობიან ტექსტსა და წყაროებს XVIII ს. 60-იან წლებში კავკასიაში რუსეთის გააქტიურების შესახებ (გვ. 185-187). ცოდნის სიღრმისეულად გააზრებისათვის პედაგოგს შეუძლია, გამოიყენოს სახელმძღვანელოში არსებული კითხვები და დავალებები.

- შენი აზრით, ზემოთ ჩამოთვლილი ოთხი მიზეზის გამო რამდენად ლოგიკური იყო რუსეთთან მოკავშირეობა? პასუხი დაასაბუთე.
- რა სარგებელს მოუტანდა რუსეთს ქართველი მეფეების მხარდაჭერა ოსმალეთის წინააღმდეგ ომში?
- გაიხსენე კახეთის სამეფოსთან გაფორმებული „ფიცის წიგნი“. შეძლო თუ არა რუსეთმა ნაკისრი ვალდებულებების შესრულება?
- რატომ გამოაგზავნა რუსეთის იმპერატორმა ჯარი საქართველოში? შედიოდა თუ არა ტოტლებენისა და რუსეთის იმპერიის ინტერესებში, რომ მხარი დაეჭირა ერეკლე II-ისათვის ისეთ მნიშვნელოვან საკითხში, როგორიც იყო სამცხის დაბრუნება?
- რაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ტოტლებენი ქართული სამეფოების საშინაო საქმეებში ერევა?
- რა მნიშვნელობა ჰქონდა ასპინძის ომში გამარჯვებას?
- რას ასახელებს დე გრაი დე ფუა ტოტლებენის გადაწყვეტილების მიზეზად?
- წყაროს მიხედვით, როგორ შეაფასა ერეკლე მეფემ ტოტლებენის გადაწყვეტილება?
- როგორ ფიქრობ, რამდენად სწორად შეაფასა ერეკლემ ტოტლებენის გადაწყვეტილების მიზეზი და მიზანი? პასუხი დაასაბუთე.
- რუკა 30-ის მიხედვით, ტოტლებენის დახმარების შემთხვევაში, კიდევ რა წარმატების მიღწევა შეეძლებოდა ერეკლე II-ს ასპინძის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ?

Don't copy

- ჩამოთვალე ის პუნქტები, რომელიც დადებითად აისახებოდა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობაზე.
- როგორ ფიქრობ, რა შედეგების მომტანი იყო დადებული ზავი რუსეთისათვის?
- ზავის მიხედვით, ვის გავლენაში მოექცეოდა დასავლეთი საქართველო? თუ ის რეალური დამოუკიდებლობის შენარჩუნებას შეძლებდა?
- რაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ქუჩუკ-კაინარჯის ზავის ერთი მუხლი დასავლეთ საქართველოს საკითხს ეხება, რომელიც ოსმალეთის გავლენის სფეროს წარმოადგენდა?

შემდეგ ეტაპზე მოსწავლები ეცნობიან მასალას გეორგიევსკის ტრაქტატის შესახებ, მუშაობენ ტექსტსა და წყაროებზე (გვ. 187-189). ცოდნის სიღრმისეულად გააზრებისათვის პედაგოგს შეუძლია, გამოიყენოს სახელმძღვანელოში არსებული კითხვები და დავალებები.

- ჩამოთვალე ის მუხლები, რომლებშიც ქართლ-კახეთის სამეფოს ინტერესებია გათვალისწინებული.
- ტრაქტატის რომელი მუხლებია და რატომ ყველაზე ხელსაყრელი რუსეთისთვის?
- რას გულისხმობს მე-2 მუხლის ბოლო წინადადება და შენი აზრით, რატომ ჩათვალა ერეკლე II-მ აუცილებლად ტრაქტატში ამ დებულების შეტანა?
- ტრაქტატის რომელი მუხლები კვეცდა ქართლ-კახეთის მეფეების უფლებამოსილებას და რა ფორმით?
- შენი აზრით, რატომ სურდათ რუს მოხელეებს, რომ ერეკლე II თავად ყოფილიყო ტრაქტატის ინიციატორი?
- როგორ ფიქრობ, რატომ არის ტრაქტატში შეტანილი იმერეთის მეფესთან დიპლომატიური კავშირის დამყარების საკითხი?
- როგორ და რატომ განისაზღვრა, ტრაქტატის მიხედვით, ქართული ეკლესიის სტატუსი?
- რა საგარეო პოლიტიკური რეაქცია მოჰყვებოდა რუსეთსა და ქართლ-კახეთს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას ირანისა და ოსმალეთისგან? რატომ?
- ეთანხმები თუ არა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ივანე ჯავახიშვილისეულ შეფასებას? კონკრეტულად რას ეთანხმები და რას არა?
- რამდენად ადეკვატურად ასახავს ამ ურთიერთობის ხასიათს ნ. პანინის საიდუმლო წერილი?
- XX საუკუნის ქართველი მეცნიერი გ. ქიქოძე წერდა: „ერეკლე მეფე, რასაკვირველია, კარგად გრძნობდა, რომ რუსეთის იმპერიის მფარველობის ქვეშ მოქცევა მის სამეფოს საფრთხეს უქადდა, მაგრამ ეს მაინც ნაკლები ბოროტება იყო, ვიდრე ხელახლა ისლამური თურქეთის ან ირანის გავლენის სფეროში ან, მით უმეტეს, მათ მფლობელობაში ჩავარდნა“. რას ფიქრობ ფორმულირებაზე: „ნაკლები ბოროტება“? იმ ეპოქისთვის არსებულ ისტორიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით იმსჯელე ერეკლე II-ის პოლიტიკურ არჩევანზე.

მოსწავლის რვეული – დავალება 90

მოსწავლეები მუშაობენ მასალაზე, რომელიც შეეხება ქართლ-კახეთის იმერეთთან გაერთიანების შესაძლებლობას, ასევე, აღა-მაჰმად-ხანის აგრესიას (გვ. 189-193). ცოდნის სიღრმისეულად გააზრებისათვის პედაგოგს შეუძლია, გამოიყენოს სახელმძღვანელოში არსებული კითხვები და დავალებები.

- რატომ დადგა დღის წესრიგში აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გაერთიანების საკითხი?
- რა როლი ითამაშა საკითხის გადაწყვეტაში დედოფალმა დარეჯანმა? რატომ?
- გაერთიანების საკითხიდან გამომდინარე, რა შიდა პოლიტიკური და სოციალური პრობლემების წინაშე დგას ქართლ-კახეთის სამეფო?
- მკვლევართა რა მოსაზრებები არსებობს ქართლ-კახეთისა და იმერეთის არშემდგარი გაერთიანების საკითხზე?
- შენი აზრით, კიდევ რა მიზეზით შეიძლებიოდა შეწინააღმდეგებოდა იოანე მუხრანბატონი იმერეთის შეერთების იდეას?

Don't copy

- როგორ გესმის წყაროს ბოლო წინადადება: „ტრაქტატს ჰქონდა სერიოზული ზნეობრივი მნიშვნელობა, ნაკლებად პრაქტიკული“?
- წყარო ვ-ს მიხედვით, რა იყო ირანის შაჰის განრისხების მიზეზი?
- რა იყო მეფე ერეკლეს მიერ ახალი განჩინების „განწესებანის“ შედგენის მიზეზი?
- რამდენად სამართლიანად მიგაჩნია მეფე ერეკლეს გადაწყვეტილება სამეფო ტახტის მემკვიდრის წესის ცვლილების შესახებ? პასუხი დაასაბუთე.
- საქართველოს ისტორიიდან გაიხსენე, კიდევ რომელმა მეფემ შეიტანა ცვლილებები სამეფო ტახტის მემკვიდრეობის წესში და რატომ? შეადარე ეს ორი მოვლენა ერთმანეთს და იმსჯელე, რამდენად გონივრული შეიძლება ყოფილიყო ეს გადაწყვეტილება სახელმწიფოსთვის.
- რატომ არ შეასრულა რუსეთმა ტრაქტატით ნაკისრი ვალდებულებები?
- რატომ ვერ მოახერხა ერეკლე II-მ ქართლ-კახეთის შიდა სამხედრო რესურსის მობილიზება?
- როგორ შეუწყო ხელი ქართლ-კახეთის სამეფო კარზე არსებულმა ვითარებამ რუსეთის იმპერიას თავისი პოლიტიკური ზრახვების შესრულებაში?
- შეადარე ერთმანეთს „სათხოვარი პუნქტები“ და „გეორგიევსკის ტრაქტატი“. გამოყავი მათ შორის მსგავსება-განსხვავებები.
- რომელი პუნქტებია მათ შორის ქართლ-კახეთის სამეფოსთვის რისკის შემცველი? პასუხი დაასაბუთეანვითარებულიყო მოვლენები „სათხოვარი პუნქტების“ ხელმოწერის შემთხვევაში?
- გამოთქვი მოსაზრება, რა შედეგები მოუტანა ქართველი მეფეების რუსეთთან კავშირმა საქართველოს.
- იმსჯელე, სხვა რა გამოსავალი შეეძლოთ ეპოვათ არსებულ ვითარებაში ქართველ მეფეებს.
- დაფიქრდი, ძირითადად რით განსხვავდებოდა რუსეთის დაპყრობითი პოლიტიკა მანამდე არსებული ოსმალური და ირანული პოლიტიკისგან?

მოსწავლის რვეული – დავალება 91

კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობისთვის

აღწერე, როგორ მიმდინარეობს/წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი.
- როგორ გეგმავ/დაგეგმე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი? რას ითვალისწინებდი სამუშაო პროცესის დაგეგმვისას?
- დაგეხმარა თუ არა პირველადი გეგმა მუშაობის პროცესში?
- რა დეტალებზე აკეთებდი აქცენტს სტატიის მომზადების პროცესში?
- წარიმართა თუ არა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი დაგეგმილის შესაბამისად?
- გახდა თუ არა საჭირო თავდაპირველად შემუშავებულ გეგმებში ცვლილებების შეტანა?
- რატომ არის საჭირო დავალების პირველადი ვერსიის შექმნა?
- რით განსხვავდება შესრულებული დავალების პირველადი ვერსია საბოლოოსგან?
- რა ფაქტორებმა გამოიწვია/შეუძლია გამოიწვიოს პირველადი დასკვნების გადასინჯვა?
- რა პროდუქტი შექმენი კომპლექსური დავალების სახით?
- რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი პროდუქტი სტატიაა?

ახსენი, რატომ შექმენი სტატია? რა საკითხის შესახებ გამოხატე შენი ცოდნა კომპლექსური დავალების საშუალებით?
- რატომ შეასრულე კომპლექსური დავალება?
- რა გრძელვადიან და მოკლევადიან მიზნებს ისახავდი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?
- ვისთვის და რატომ არის ეს პროდუქტი სასარგებლო და საინტერესო?
- რა იცოდი შესასწავლი საკითხის შესახებ? რა გაიგე ახალი? დამატებით რის გაგებას ისურვებდი?

Don't copy

- რა დასკვნებამდე მიხვედი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? რით დასტურდება შენ მიერ გაკეთებული დასკვნების მართებულობა/თანამიმდევრულობა?
- რა ხერხები გამოიყენე სასწავლო მასალის უკეთ გასააზრებლად?/კომპლექსური დავალების უკეთ შესასრულებლად?

რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?

- ვის წინაშე იყავი ანგარიშვალდებული სამუშაო პროცესში (მასწავლებლის, თანაკლასელების, სამეზობლო თემის)?
- რა საერთო მიზანი გქონდათ შენ და შენს მასწავლებელს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- გქონდა თუ არა საერთო მიზნები თანაკლასელებთან ერთად? იყო თუ არა შენთვის საინტერესო და სასიამოვნო კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი?
- რა გააკეთე დამოუკიდებლად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?
- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს?
- ვინ და როგორ დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? ვისთან ითანამშრომლე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?
- წააწყდი თუ არა კონფლიქტურ სიტუაციებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ შეძელი კონფლიქტის დარეგულირება?
- წააწყდი თუ არა გაურკვევლობებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? როგორ გაერკვიე ბუნდოვანებით მოცულ საკითხებში?
- შეხვდი თუ არა განსხვავებულ მოსაზრებებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს? რამდენად შეძელი თანამშრომლობა განსხვავებული შეხედულებების ადამიანებთან? რა დაგეხმარება, რომ უკეთ გაიგო თანაკლასელების, მასწავლებლის სათქმელი?
- გააანალიზე, რა წესებს/კანონებს იცავდი და რატომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას (მაგალითად, რამდენად მოახერხე, აზრთა სხვადასხვაობის ვითარებაში ორიენტირებული ყოფილიყავი პრობლემაზე და არა კომუნიკაციაში ჩართულ ადამიანებზე? რით და როგორ გამოხატავდი ადამიანების მიმართ პატივისცემას კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს).
- რით დაგეხმარა მასწავლებელთან, სხვა მოსწავლეებთან დიალოგი კომპლექსური დავალების შესრულებაში?
- რით შეიძლება დახმარება გაუწიოს შენმა შეკითხვებმა თანაკლასელებს სათქმელის უკეთ ჩამოყალიბებაში?
- რა ფაქტორები გაითვალისწინე/უნდა გაითვალისწინო საიმისოდ, რომ შენი კომპლექსური დავალების პრეზენტაცია მსმენელისთვის გასაგები და მისაღები ყოფილიყო?
- გამოიყენე თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? რაში დაგეხმარა ტექნოლოგიების გამოყენება?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან? როგორ წარმოაჩენ ამ განსხვავებებს შეკითხვების სახით?
- შეაფასე, რამდენად გამოგივიდა ის, რაც მასწავლებლისგან გქონდა დავალებული.

Do not copy

სამიზნე ცნება – საზოგადოება

ქვეცნება: მისიონერები, აზნაურები, ვაჭრები, მამლუქები, მოქალაქეები

სამიზნე ცნება – ძალაუფლება

ქვეცნება: ბეგლარბეგი, ვალი, ჯანიშინი, მეფე, მთავარი

საკითხი – როგორ შეიცვალა საზოგადოება და მმართველობის ფორმები XVI-XVIII საუკუნეების საქართველოში.

საკვანძო შეკითხვა – როგორ წარმოვაჩინო წინასიტყვაობის საშუალებით XVII-XVIII სს. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ქართველების როლი სამშობლოსა და სხვა ქვეყნების სოციალურ და კულტურულ ყოფაში?

კომპლექსური დავალება
წარმოიდგინე, რომ ქართველი სწავლული ხარ, რომელიც რუსეთში გაემგზავრა ვახტანგ VI-ის ამალასთან ერთად და იქ გააგრძელა სამეცნიერო მოღვაწეობა. შენმა თანამოაზრეებმა გადაწყვიტეს, დაწერონ ნაშრომი, რომელიც აღწერს ბოლო ერთი საუკუნის განმავლობაში საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, ქართველების როლს სამშობლოსა და სხვა ქვეყნების პოლიტიკურ და კულტურულ ყოფაში. შენ გთხოვეს წინასიტყვაობის დაწერა, რომელშიც მიმოიხილავ ნაშრომში წარმოდგენილ ძირითად თემებს, გააანალიზებ მათ და გააკეთებ შენეულ ინტერპრეტაციას.

სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები **<u>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:</u>**	**შეფასების კრიტერიუმი** **<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>**	**<u>ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:</u>**
ძალაუფლება **(შედეგი: 3,4,5,6)** • ძალაუფლებისთვის ბრძოლა ისტორიის განუყოფელი ნაწილია; • ძალაუფლებისთვის ბრძოლა მიმდინარეობს როგორც პიროვნებებს, ისე საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის. ბრძოლისას ისინი იყენებენ ქვეყანაში არსებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სტრუქტურებს; • ძალაუფლების მოპოვებისა და შენარჩუნებისთვის აუცილებელი საშუალებებია რესურსების (ფინანსების, ადამიანური რესურსების) ფლობა, სიმბოლოები იდეოლოგია;	**ძალაუფლება:** • გაანალიზოს, როგორი იყო შესწავლის ობიექტად შერჩეულ პერიოდში მმართველობის ფორმები და სტრუქტურები; • იმსჯელოს, ვინ და როგორ/რა საშუალებებით იბრძოდა ძალაუფლებისთვის შესწავლის ობიექტად შერჩეულ პერიოდში.	• როგორი იყო ირანის ხელისუფლების მიერ იმპერიის სამართავად შექმნილი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული სტრუქტურა და როგორ იბრძოდნენ ქართველები ამ იერარქიაში ადგილის მოსაპოვებლად? **(ძალაუფლება 2, 4)** • როგორ გახდნენ ქართველები ეგვიპტისა და ირანის საზოგადოების ნაწილი, როგორ იბრძოდნენ და რა საშუალებებს იყენებდნენ ისინი ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად და მის შესანარჩუნებლად? **(ძალაუფლება 1, 3, საზოგადოება 3)**

Don't copy

• ზოგიერთ საზოგადოებაში ძალაუფლებას ერთპიროვნულად ფლობენ, ზოგან კი იგი ადამიანებს/ საზოგადოებრივ ჯგუფებს შორისაა დანაწილებული; • დემოკრატიულ სახელ-მწიფოში ძალაუფლების წყაროა ხალხი. **საზოგადოება (შედეგი: 1,2,3,4,5,6)** • ისტორიულად მრავალი საზოგადოება არსებობდა, მაგრამ თითოეულ მათგანს ახასიათებდა საერთო ნიშნები: მათ წევრებს ჰქონდათ საერთო იდენტობა, ინტერესი, საზრუნავი და თა-ნხმდებოდნენ ქცევის წესებსა და ღირებულებებზე; • საზოგადოება უფრო მცირე საზოგადოებრივ ჯგუფებად იყოფა; • პატარა საზოგადოებები უმეტესად უფრო დიდი საზოგადოების ნაწილს წარმოადგენენ; • საზოგადოების წევრებს ხშირად აქვთ სტერეო-ტიპული წარმოდგენები სხვა საზოგადოებების („კულტურული სხვის“) შესახებ.	**საზოგადოება** • აღწეროს შესაბამისი პერიოდის ადამიანების იდენტობის საშუალებები; მათი საერთო ინტერესები და საზრუნავი; • აღწეროს, რომელი სოციალური ფენებისგან შედგებოდა შესაბამისი პერიოდის საზოგადოება; • იმსჯელოს, ჰქონდათ თუ არა სტერეოტიპული წარმოდგენები ამ ისტორიულად არსებული საზოგადოების წევრებს სხვა საზოგადოებების მიმართ.	• რომელი სოციალური ფენებით იყო წარმოდგენილი გვიანი შუა საუკუნეების ქართული საზოგადოება და როგორი იყო მათი ცხოვრების წესი და საზრუნავი საქართველოში და ქვეყნის საზღვრებს გარეთ? **(საზოგადოება 1, 2)** • როგორ იმართებოდა გვიან შუა საუკუნეებში ქართული ქალაქები და რა დამოკიდებულება ჰქონდა ქალაქის მოსახლეობას მრავალფეროვნების მიმართ? **(საზოგადოება 4, ძალაუფლება 5)**

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 194-216

კომპლექსური დავალების შესრულების ეტაპები
ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა
კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები

სარეკომენდაციო აქტივობა:
მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს რესურსს და დაფაზე წერს: „წინასიტყვაობა“. მოსწავლეები აყალიბებენ მოსაზრებებს პროდუქტთან დაკავშირებით, რის შემდეგაც მასწავლებელი კითხვა-პასუხის მეთოდით მოსწავლეებს აცნობს ინფორმაციას წინასიტყვაობის შესახებ.

Don't copy

რესურსი https://wikisource.org/wiki/ნიკო_დადიანი_-_%22ქართველთ_ცხოვრება%22

წინასიტყვაობა – ნაშრომის წინ დართული წერილი, რომელშიც თხზულების შექმნის წინაპირობებსა და მიზნებზეა ლაპარაკი.
იხ. წინასიტყვაობა: დადიანი ნ. „ქართველთ ცხოვრება“, თბ. 1962

- რა არის წინასიტყვაობა?
- რა მიზნით იწერება წინასიტყვაობა?
- როგორ შეიძლება დაიწეროს წინასიტყვაობა?
- კითხულობთ თუ არა წიგნის წინასიტყვაობას?
- რა ნაწილებისგან შედგება წინასიტყვაობა?

კომპლექსური დავალება

- შენი სიტყვებით ჩამოაყალიბე, რას შეეხება დღეს მოცემული დავალება, რომელზეც რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში უნდა იმუშაოთ.
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ქვეცნება: ბეგლარბეგი, ვალი, მამლუქები, ჯანიშინი, მეფე

ქვესაკითხი: ქართველები უცხოეთში XVII-XVIII სს.

რესურსი: სახელმძღვანელო, 194-201

ნაბიჯი 1

- როგორი იყო ირანის ხელისუფლების მიერ იმპერიის სამართავად შექმნილი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული სტრუქტურა და როგორ იბრძოდნენ ქართველები ამ იერარქიაში ადგილის მოსაპოვებლად? **(ძალაუფლება 2, 4)**
- როგორ გახდნენ ქართველები ეგვიპტისა და ირანის საზოგადოების ნაწილი, როგორ იბრძოდნენ და რა საშუალებებს იყენებდნენ ისინი ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად და მის შესანარჩუნებლად? **(ძალაუფლება 1, 3, საზოგადოება 3)**
- რომელი სოციალური ფენებით იყო წარმოდგენილი გვიანი შუა საუკუნეების ქართული საზოგადოება და როგორი იყო მათი ცხოვრების წესი და საზრუნავი საქართველოში და ქვეყნის საზღვრებს გარეთ? **(საზოგადოება 1, 2)**

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:
შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, ტექსტის ანალიზი, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება.

სარეკომენდაციო აქტივობა:
ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს საკითხზე მუშაობა. მოსწავლეები გაეცნობიან ტექსტსა და წყაროებს იარნის შაჰის კარზე დაწინაურებული ქართველების შესახებ (გვ. 194-196). პედაგოგს შეუძლია, საკითხის გასააზრებლად გამოიყენოს შეკითხვები:

- წყაროს მიხედვით, ირანის მმართველობის იერარქიაში ვინ იყო ყველაზე წარჩინებული შაჰის შემდეგ?
- წყაროს თანახმად, რის მიხედვით იყო დადგენილი ვალების უპირატესობა?
- შენი აზრით, რა იყო იმის მიზეზი, რომ XVIII საუკუნეში გურჯისტანის ვალი ირანის ჯარის მთავარსარდალიც იყო?

Don't copy

- როგორ ფიქრობ, რატომ ამჯობინებდა ზოგიერთი ქართველი, საკუთარი ქვეყნის სამსახურის ნაცვლად ირანის შაჰის სამსახურში ჩამდგარიყო?
- როგორ პირობებში ცხოვრობდნენ ირანში გადასახლებული ქართველები და რა საქმიანობას ეწეოდნენ ისინი ძირითადად?
- როგორი იყო სპარსელების დამოკიდებულება იქ მცხოვრები ქართველების მიმართ? დაახასიათე ამ დამოკიდებულების შინაარსი და მიზეზები.
- შენი აზრით, როგორ და რატომ შეძლეს ჰასანაბადში მცხოვრებმა ქართველებმა რელიგიის შენარჩუნება?
- რას გეუბნება წყარო ირანის ეკონომიკურ პოლიტიკაზე?
- შენი აზრით, გარდა ნიჭიერებისა, რა იყო ქართველების შაჰის კარზე დაწინაურების მიზეზი?
- როგორ ფიქრობ, შეძლებდნენ თუ არა ირანის შაჰის კარზე დაწინაურებული ქართველები საქართველოშიც წარმატებულ მოღვაწეობას? პასუხი დაასაბუთე.
- როგორ ფიქრობ, რამდენად მოახერხებდნენ ირანში მოღვაწე ქართველები საკუთარი მდგომარეობის გამოყენებას საქართველოს მხარდასაჭერად?
- რა საფრთხის წინაშე აყენებდა ქართულ სამეფო-სამთავროებს ფიზიკურად, გონებრივად გამორჩეული და უნარიანი ადამიანების იძულებით თუ ნებაყოფლობით ირანში გადინება?

კითხვებზე მუშაობის დასრულების შემდეგ მოსწავლეები აგრძელებენ ახალი მასალის ანალიზს; ამჯერად გაეცნობიან ქართველებს, რომლებიც ირანსა და ეგვიპტეში სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობდნენ (გვ. 197-200). საკითხის სიღრმისეულად გააზრებისათვის პედაგოგს შეუძლია, გამოიყენოს სახელმძღვანელოში არსებული კითხვები.

- შეიძლება თუ არა, ირანში მოღვაწე ქართველები ქართული ხელოვნებისა და მეცნიერების წარმომადგენლებად ჩავთვალოთ, თუ ისინი ირანელ მოღვაწეებად უფრო ითვლებიან? პასუხი დაასაბუთე.
- შენი აზრით, რატომ ანდობდა ირანის შაჰი უცხო ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებს სიმდიდრესა და ძალაუფლებას?
- რა გავლენას ახდენდა ირანში დაწინაურებული ქართველების მდგომარეობაზე ირანის შაჰებისა და მათი პოლიტიკის ცვლილება?
- სახელმძღვანელოს ტექსტსა და წყაროებზე დაყრდნობით იმსჯელე, საზოგადოების რომელ ფენებს განეკუთვნებოდნენ ირანში მცხოვრები ქართველები?
- მოიძიე ინფორმაცია დღეს ფერეიდანში მცხოვრებ ქართველებზე, მათ საქმიანობასა და წეს-ჩვეულებებზე. იმსჯელე, რამდენად მოახერხეს მათ ქართული ენისა და წეს-ჩვეულებების შენარჩუნება. რა კავშირები აქვთ მათ დღევანდელ საქართველოსა და ირანის ხელისუფლებასთან.
- შენი აზრით, რამ განაპირობა მამლუქების დაწინაურება ეგვიპტეში?
- დაფიქრდი, რა გზით შეიძლებოდა მოხვედრილიყო კახეთის სოფელ მარტყოფში დაბადებული ბიჭი ჯერ ოსმალეთში, შემდეგ კი ეგვიპტეში?
- როგორ შეიცვლებოდა ქართველი ბავშვის ყოველდღიური ყოფა კახეთის ერთ-ერთი სოფლიდან ეგვიპტეში აღმოჩენის შემდეგ?
- შენი აზრით, რატომ ჰქონდა დაბალი სოციალური წარმოშობის ქართველს ეგვიპტეში მაღალი თანამდებობის მიღწევის შესაძლებლობა, ქართულ სამეფო-სამთავროებში კი არა?
- შეადარე ერთმანეთს ქართველი მეფე-მთავრებისა და ეგვიპტელი მამლუქების მიერ ოსმალეთის წინააღმდეგ გამართული ბრძოლების მიზეზები და მიზნები. რა საერთო და განმასხვავებელი ნიშნები აქვთ?

მოსწავლის რვეული – დავალება 92

Draft copy

მოსწავლეები დაამუშავებენ მასალებს რუსეთში მოღვაწე ქართველების შესახებ, რომლებიც ძირითადად ვახტანგ VI-ის დასში აღმოჩნდნენ (გვ. 200-201). საკითხის სიღრმისეულად გააზრებისათვის პედაგოგს შეუძლია, გამოიყენოს სახელმძღვანელოში არსებული კითხვები.

- როგორ ფიქრობ, რამდენად სწორად მოიქცა ვახტანგ VI, როდესაც რუსეთში გაიყოლა დიდებულები, მეცნიერები და მწერლები? პასუხი დაასაბუთე.
- შენი აზრით, რა მიზნებისთვის შეიძლებოდა გამოეყენებინა რუსეთის იმპერატორს მისი ქვეყნის სამხედრო და საჯარო სამსახურში ჩამდგარი ქართველობა? პასუხი დაასაბუთე.
- რას მიიჩნევდა დავით გურამიშვილი საქართველოში XVII-XVIII საუკუნეებში დატრიალებული უბედურების მთავარ მიზეზად? ეთანხმები თუ არა მას ამ შეფასებაში?
- როგორ ფიქრობ, რა იყო იმის მიზეზი, რომ ძნელბედობის ჟამს ქართველები უფრო ხშირად ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ და იშვიათად ერთიანდებოდნენ მტრის წინააღმდეგ?

მოსწავლის რვეული – დავალება 93

ქვეცნება:
მისიონერები, მთავარი, აზნაურები

ქვესაკითხი: ევროპელი მისიონერები საქართველოში

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 202-209

ნაბიჯი 2

- რომელი სოციალური ფენებით იყო წარმოდგენილი გვიანი შუა საუკუნეების ქართული საზოგადოება და როგორი იყო მათი ცხოვრების წესი და საზრუნავი საქართველოში და ქვეყნის საზღვრებს გარეთ? **(საზოგადოება 1. 2)**

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:
შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება.

სარეკომენდაციო აქტივობა:
ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს საკითხზე მუშაობა. მოსწავლეები ეცნობიან მასალებს მისიონერთა წყაროებიდან, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხის ყოფის შესახებ გვაწვდიან ინფორმაციას (გვ. 202-205). პედაგოგს შეუძლია, საკითხის სიღრმისეულად გააზრებისათვის გამოიყენოს სახელმძღვანელოში არსებული კითხვები:

- წყაროს მიხედვით, რით ვაჭრობდნენ სამეგრელოში?
- რა ადგილობრივი ნედლეულია ნახსენები წყაროში?
- ძირითადად როგორი არქიტექტურა ყოფილა გავრცელებული დასავლეთ საქართველოში?
- როგორი იყო იმდროინდელი იმერელი მხედრის აღჭურვილობა?
- რომელ ლუარსაბზეა ლაპარაკი წყაროში?
- როგორ ახასიათებს ავტორი გორსა და თბილისს? რა საერთო და განმასხვავებელი ნიშნებია ამ ორ ქალაქს შორის?
- რა შთაბეჭდილებას გიქმნის წყარო ა ქართული საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ ყოფაზე XVI ს. შუახანებში?
- ქართველების რა დადებით თვისებებს ჩამოთვლის პიეტრო დელე ვალე და რატომ თვლის საჭიროდ მოხსენებაში ამ თვისებების აღნიშვნას?

Draft copy

- ქართველების თვისებების გარდა, კიდევ რაზე ამახვილებს ყურადღებას ავტორი მოხსენებაში და რატომ?
- რას გულისხმობს ავტორი „თათრულ“ ენაში? რამ განაპირობა ქართულ სამეფო-სამთავროებში მისი ფართოდ გავრცელება?
- წყაროს მიხედვით, რა არის პიეტრო დელა ვალეს საქართველოში მოგაზურობის ერთ-ერთი მიზანი?
- როგორ ფიქრობ, რომელ ქართულ ასოებს გულისხმობს პეტრო დელა ვალე, როდესაც „ჩვენებური ასოების“ მსგავსებაზე მიანიშნებს?
- სილამაზის გარდა, ქართველი ქალების რა დადებით თვისებებს ასახელებს პეტრო დელა ვალე?
- ქართველების რომელ უარყოფით თვისებებს ჩამოთვლის წყაროს ავტორი? შენი აზრით, განსაკუთრებით რომელი მათგანი იყო დამღუპველი საქართველოსთვის?

მოსწავლის რვეული – დავალება 94

მოსწავლეები ეცნობიან ინფორმაციას (ტექსტსა და წყაროებს), რომელსაც ევროპელი მისიონერები გვაწვდიან სამეგრელოს შესახებ (გვ. 206-209). პედაგოგს შეუძლია, საკითხის სიღრმისეულად გააზრებისათვის გამოიყენოს სახელმძღვანელოში არსებული კითხვები.

- შენი აზრით, რატომ იყო დაინტერესებული სამეგრელოს მთავარი თავის სამთავროში კათოლიკე მისიონერების მიწვევით?
- რა საერთო და განმასხვავებელი ნიშნებია ლამბერტისა და შარდენის აღწერილობებში სამეგრელოს შესახებ?
- რას გულისხმობს შარდენი ფრაზაში: „ამოღარავენ დიდ ხეებს, ყრიან მასში ყურძენს და წურავენ“?
- ლამბერტისა და შარდენის მიხედვით, რატომ იყო დაუსახლებელი დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლი?
- შეადარე ერთმანეთს მემბერესა და შარდენის მიერ აღწერილი იმერლისა და მეგრელის შეიარაღება. რა საერთო და განმასხვავებელი ნიშნებია მათ შორის?
- რა ტიპის არქიტექტურა იყო გავრცელებული დასავლეთ საქართველოში და რატომ?
- რა იყო სამეგრელოს მოსახლეობის ძირითადი საკვები?
- რა პროდუქტები მოჰყავდათ ქართლ-კახეთში შარდენის მიხედვით?
- რა პროდუქტები გაჰქონდათ აღმოსავლეთ საქართველოდან საექსპორტოდ?
- როგორი იყო ქართველი კაცისა და ქალის ჩაცმულობა XVII საუკუნეში?
- ჟან შარდენის მიხედვით, როგორ დამოკიდებულება აქვთ სამეგრელოსა და ქართლ-კახეთში ბატონებს ქვეშევრდომების მიმართ?
- შენი აზრით, რატომ ცხოვრობდა თბილისში განსხვავებული ეროვნებისა და სარწმუნოების ხალხი?
- შარდენის მიხედვით, საქართველოში „ყველას აქვს მინიჭებული უფლება, იცხოვრო შენი სარწმუნოებით და ადათებით, იმსჯელო მასზე და დაიცვა იგი. აქ შეხვდებით სომხებს, ბერძნებს, ებრაელებს, ოსმალებს, სპარსელებს, ინდოელებს, თათრებსა და ევროპელებს“. გაიხსენე, კიდევ რომელი უცხოელი გეოგრაფი აღწერს მსგავსად თბილისის მოსახლეობას?

მოსწავლის რვეული – დავალება 95

ქვეცნება:
ვაჭრები, მოქალაქეები

ქვესაკითხი:
საქალაქო ცხოვრება გვიან შუა საუკუნეების საქართველოში

Draft copy

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 210-216

ნაბიჯი 3

- როგორ იმართებოდა გვიან შუა საუკუნეებში ქართული ქალაქები და რა დამოკიდებულება ჰქონდა ქალაქის მოსახლეობას მრავალფეროვნების მიმართ? **(საზოგადოება 4, ძალაუფლება 5)**

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:

შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება.

სარეკომენდაციო აქტივობა:

ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს საკითხზე მუშაობა. მოსწავლეები ეცნობიან ტექსტსა და წყაროებს გვიანი შუა საუკუნეების თბილისის შესახებ (გვ. 210-213). პედაგოგს შეუძლია, საკითხის სიღრმისეულად გააზრებისათვის გამოიყენოს სახელმძღვანელოში არსებული კითხვები.

- შენი აზრით, რატომ გახდა ლევან დადიანი იძულებული, რუხში სომხები და ებრაელები ჩაესახლებინა?
- რა შედეგებს მოუტანდა ლევან დადიანს რუხის ციხე-ქალაქის დაარსება და იქ სხვადასხვა ხალხის ჩასახლება?
- რა ეკონომიკურ შედეგს მოუტანდა დადიანის პოლიტიკა იმერეთს?
- წყაროს მიხედვით, ძირითადად რომელი ფენის ხალხისგან შედგებოდა თბილისის მოსახლეობა?
- რა იყო თბილისის საზოგადების ძირითადი საქმიანობა?
- რამ გამოიწვია საქართველოს ქალაქებში მოსახლეობის შემცირება?
- ძირითადად რა საქონლით ვაჭრობდნენ თბილისში?
- რა მიზეზები აფერხებდა ქვეყანაში საქალაქო ცხოვრების სტაბილურ განვითარებას?
- რა უფლება-მოვალეობები ჰქონდა მოურავს?
- შარდენის მიხედვით, რა ეროვნების/რჯულის ხალხი ცხოვრობდა თბილისში?
- შენი აზრით, რატომ ვერ მოიკიდა ფეხი ისლამმა თბილისში, მიუხედავად იმისა, რომ მას სპარსელები განაგებდნენ?
- წყაროს მიხედვით, რა მიზნით დადიოდა კაპუცინების ეკლესიაში ხალხი? რა იზიდავდა მათ იქ?
- შენი აზრით, რატომ ვერ მოახერხეს მისიონერებმა ადგილობრივ მოსახლეობაში თავისი აღმსარებლობის გავრცელება?
- შარდენის თანახმად, რა სხვაობა იყო ქალთა უფლებებში ქალაქსა და მის გარეთ და რატომ?
- როგორ შეაფასებ ქართველი მმართველების პოლიტიკას, რომელთაც ძალაუფლების შესანარჩუნებლად ფორმალურად მიიღეს ისლამი?

მოსწავლის რვეული – დავალება 96

შეკითხვებისა და დავალებების ამოწურვის შემდეგ მოსწავლეები გაეცნობიან მასალებს გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს სხვა ქალაქების შესახებ (გვ. 214-216). პედაგოგს შეუძლია, საკითხის სიღრმისეული გააზრებისათვის გამოიყენოს სახელმძღვანელოში არსებული კითხვები.

- შენი აზრით, რატომ იყო მეფის სასახლე ქალაქის ქვედა ნაწილში განთავსებული და არა ციტადელში ან შიდა ქალაქში?
- რა ტიპის ნაგებობები იდგა ქუთაისში XVII-XVIII საუკუნეებში?
- რით ვაჭრობდნენ ქუთაისში, ლამბერტის მიხედვით?
- რას გეუბნება კასტელის სურათი XVII საუკუნის ქუთაისის ყოფა-ცხოვრების შესახებ?

Don't copy

- შეადარე ერთმანეთს ე, ვ და ზ წყაროებში მოცემული ქუთაისის აღწერილობა. რა საერთო და განსხვავებული ინფორმაციაა მათში მოცემული? როგორ იცვლებოდა ქუთაისის გარეგნული სახე და მოსახლეობის საქმიანობა XVII-XVIII საუკუნეებში?
- გაიხსენე განვლილი მასალა და იმსჯელე, რამ გამოიწვია გრემის ეკონომიკური განვითარება?
- რაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ გრემში ბაზარი, ქარვასლა და დუქნები იყო?

მოსწავლის რვეული – დავალება 97

კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობისთვის

აღწერე, როგორ მიმდინარეობს/წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი.
- როგორ გეგმავ/დაგეგმე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი? რას ითვალისწინებდი სამუშაო პროცესის დაგეგმვისას?
- დაგეხმარა თუ არა პირველადი გეგმა მუშაობის პროცესში?
- რა დეტალებზე აკეთებდი აქცენტს წინასიტყვაობის მომზადების პროცესში?
- წარიმართა თუ არა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი დაგეგმილის შესაბამისად?
- გახდა თუ არა საჭირო თავდაპირველად შემუშავებულ გეგმებში ცვლილებების შეტანა?
- რატომ არის საჭირო დავალების პირველადი ვერსიის შექმნა?
- რით განსხვავდება შესრულებული დავალების პირველადი ვერსია საბოლოოსგან?
- რა ფაქტორებმა გამოიწვია/შეუძლია გამოიწვიოს პირველადი დასკვნების გადასინჯვა?
- რა პროდუქტი შექმენი კომპლექსური დავალების სახით?
- რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი პროდუქტი წინასიტყვაობაა?

ახსენი, რატომ შექმენი წინასიტყვაობა? რა საკითხის შესახებ გამოხატე შენი ცოდნა კომპლექსური დავალების საშუალებით?
- რატომ შეასრულე კომპლექსური დავალება?
- რა გრძელვადიან და მოკლევადიან მიზნებს ისახავდი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?
- ვისთვის და რატომ არის ეს პროდუქტი სასარგებლო და საინტერესო?
- რა იცოდი შესასწავლი საკითხის შესახებ? რა გაიგე ახალი? დამატებით რის გაგებას ისურვებდი?
- რა დასკვნებამდე მიხვედი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? რით დასტურდება შენ მიერ გაკეთებული დასკვნების მართებულობა/თანამიმდევრულობა?
- რა ხერხები გამოიყენე სასწავლო მასალის უკეთ გასააზრებლად?/კომპლექსური დავალების უკეთ შესასრულებლად?

რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- ვის წინაშე იყავი ანგარიშვალდებული სამუშაო პროცესში (მასწავლებლის, თანაკლასელების, სამეზობლო თემის)?
- რა საერთო მიზანი გქონდათ შენ და შენს მასწავლებელს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- გქონდა თუ არა საერთო მიზნები თანაკლასელებთან ერთად? იყო თუ არა შენთვის საინტერესო და სასიამოვნო კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი?
- რა გააკეთე დამოუკიდებლად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?
- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს?

Draft copy

- ვინ და როგორ დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? ვისთან ითანამშრომლე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?
- წააწყდი თუ არა კონფლიქტურ სიტუაციებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ შეძელი კონფლიქტის დარეგულირება?
- წააწყდი თუ არა გაურკვევლობებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? როგორ გაერკვიე ბუნდოვანებით მოცულ საკითხებში?
- შეხვდი თუ არა განსხვავებულ მოსაზრებებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს? რამდენად შეძელი თანამშრომლობა განსხვავებული შეხედულებების ადამიანებთან? რა დაგეხმარება, რომ უკეთ გაიგო თანაკლასელების, მასწავლებლის სათქმელი?
- გააანალიზე, რა წესებს/კანონებს იცავდი და რატომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას (მაგალითად, რამდენად მოახერხე, აზრთა სხვადასხვაობის ვითარებაში ორიენტირებული ყოფილიყავი პრობლემაზე და არა კომუნიკაციაში ჩართულ ადამიანებზე? რით და როგორ გამოხატავდი ადამიანების მიმართ პატივისცემას კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს).
- რით დაგეხმარა მასწავლებელთან, სხვა მოსწავლეებთან დიალოგი კომპლექსური დავალების შესრულებაში?
- რით შეიძლება დახმარება გაუწიოს შენმა შეკითხვებმა თანაკლასელებს სათქმელის უკეთ ჩამოყალიბებაში?
- რა ფაქტორები გაითვალისწინე/უნდა გაითვალისწინო საიმისოდ, რომ შენი კომპლექსური დავალების პრეზენტაცია მსმენელისთვის გასაგები და მისაღები ყოფილიყო?
- გამოიყენე თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? რაში დაგეხმარა ტექნოლოგიების გამოყენება?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან? როგორ წარმოაჩენ ამ განსხვავებებს შეკითხვების სახით?
- შეაფასე, რამდენად გამოგივიდა ის, რაც მასწავლებლისგან გქონდა დავალებული.

Don't copy

თემა 3. საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში

სამიზნე ცნება	მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს რომ
დრო	• XIX საუკუნეში საქართველომ სახელმწიფოებრიობა დაკარგა. • XIX საუკუნის საქართველოში გამოიყენებოდა იულიუსის კალენდარი. • ქართული ეროვნული ლიტერატურა, XIX საუკუნეში მძლავრ აღმავლობას განიცდის. • ასწლეულის პირველ მესამედში ჩამოყალიბდა და ეროვნული ლიტერატურის მთავარ მიმართულებად იქცა რომანტიზმი, რომელიც ქართულ მხატვრულ აზროვნებაში „ევროპეიზმის“ დასაწყისადაა მიჩნეული • XIX საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა მკვეთრად იცვლება, რაც გარკვეულწილად რუსეთის იმპერიაში განხორციელებულ რეფორმებს უკავშირდება • XIX საუკუნის 60-იანი წლებში მეფის რუსეთის მიერ გატარებული რეფორმების შედეგად შეიცვალა საქართველოში საზოგადოებრივი ფენების ცხოვრება. • ახალი დროის საქართველოში აქტიურად ვრცელდება პოლიტიკური იდეები და იდეოლოგიები, რომელთა საფუძველზეც ქვეყანაში პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბების პერიოდი იწყება.
სივრცე	• აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობის შემდეგ დასავლეთ საართველოს სამეფო-სამთავროები ეტაპობრივად რუსეთის იმპერიის საზღვრებში ექცევა და დამოუკიდებლობას კარგავს. • საქართველო, სახელმწიფოებრიობის დაკარგვის შემდეგ ახალ ადმისნტრაციულ ერთეულებად იყოფა. • სამხრეთ კავკასიაში არსებული სამეფო-სამთავროებისა და სახანოების რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოქცევემა გაამწვავა მეფის რუსეთის ურთიერთობა ირანსა და ოსმალეთთან • XIX საუკუნეში კავკასია დიდი სახელმწიფოების დაპირისპირების საგანი გახდა; რუსეთ-ირანის, რუსეთ-ოსმალეთის ომებმა შეცვალა საქართველოსა და კავკასიის პოლიტიკური საზღვრები • ახალ დროში საზღვაო - საოკეანო გზებმა საბოლოოდ მოიპოვა უპირატესობა ტვირთბრუნვის უკეთესი მობილობისა და დროის დაზოგვის გამო სახმელეთო გზებზე, რამაც საქართველოს შავისზღვიპეთის მიმართ ინტერესი გაზარდა • რუსეთ-თურქეთის 1877-1778 ომის შემდეგ “ოსმალოს საქართველო” საქართველოს ტერიტორიულ სივრცეში ბრუნდება. • საერთო იმპერიული საკომუნიკაციო და სატრანსპორტო საშუალებების განვითარებამ და სარკინიგზო ქსელის ჩამოყალიბებამ გავლენა მოახდინა საქართველოს განვითარებაზე, რამაც სხვადასხვა რეგიონების ერთმანეთთან დაკავშირება უზრუნველყო; • ქვეყნის ტერიტორიულმა გაერთიანებამ და სატრანსპორო გზების დაკავშირებამ საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას შეუწყო ხელი.

Don't copy

წყარო	• ახალი დროის ქართული წყაროების სანდოობის ხარისხს განაპირობებს წყაროს ტიპი, ჟანრული თავისებურებები და მათი შექმნის ადგილი, თუმცა წინა ეპოქისგან განსხვავებით სულ უფრო მეტად პრევალირებას იძენს საერო ხასიათის მოცემულობა; • ახალი პერიოდის საქართველოს ისტორიის რეკონსტრუქციისთვის მნივნელოვანია უცხოელ (როგორც დასავლური, ისე აღმოსავლური) სხვადასხვა ტიპის წყაროების შესწავლა, მიუხედავთ იმისა, რომ ამ ეპოქის ავთენტური ქართული წყაროებიც არსებოებს. • XIX საუკუნის II ნახევარისა და XX საუკუნის დამდეგი პერიოდის საქართველოს ისტორიული წარსულის შესწავლის პროცესში გამოყენებული ქართული წყაროები (პუბლიცისტიკა, ჟურნალ-გაზეთები) მნიშვნელოვან ისტორიულ წყაროებს წარმოადგენენ. • საქართველოს შესახებ არსებული ისტორიული წყაროების კვლევა და საკვლევი ეპოქების უფრო მეტად კომპლექსური რეკონსტრუქციის შესაძლებლობა ქართველოლოგიის მიმართულების ჩამოყალიბებას უკავშირდება. • XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში სამეცნიერო მოღვაწეობის ასპარაზე გამოჩენილმა ისტორიკოსებმა (ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი) საფუძვლი დაუდეს ისტორიის სამეცნიერო შესწავლას.
საზოგადოება	• XIX საუკუნის 60-იანი წლებში მეფის რუსეთის მიერ გატარებული რეფორმების შედეგად საქართველოში საზოგადოებრივი ფენების ცხოვრება შეიცვალა, რომელიც გამოიხატებოდა ბატონყმობის გაუქმებაში • XIX საუკუნის საქართველოში წინააღმდეგობა გაჩნდა ძველსა და ახალ თაოებებს შორის რომელიც საქართველოს ისტორიას „მამათა და შვილთა“ ბრძოლის სახელით შემორჩა • ილია ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრეები საზოგადოების მთვარ პრობლემად წოდებათა შორის არსებულ ხიდჩატეხილობას მიიჩნევდნენ. • ინდუსტრიულმა რევოლუციამ და კაპიტალიზმის განვითარებამ მსოფლიოს მასშტაბით მძლავრი ბიძგი მისცა უმნიშვნელოვანეს აღმოჩენებსა და თვალსაჩინო მიღწევებს მეცნიერების, ტექნიკის, ტექნოლოგიებისა და სხვა სფეროებში. ტექნიკური პროგრესის პარალელურად ტრანსფორმაცია განიცადა საზოგადოებრივმა ურთიერთობამაც, მოგვიანებით კაპიტალიზმის წიაღში წარმოიშვა დემოკრატიაც და ადამიანის უფლებებიც. ეს სიახლეები ევროპიდან თანდათან საქართველოშიც აღწევდა. • მეურნეობის მოდერნიზებამ, ევროპული ტექნიკის შემოტანამ და შრომის რაციონალიზაციის გზით წარმოების გაუმჯობესებამ საქართველოში ახალი სოციალური ფენები წარმოშვა, რომლებიც ეტაპობრივად ანაცვლებენ ძველ არისტოკრატთა ფენას. • ახალი დროის საქართველოში მრეწველობის განვითარების პარალელურად გაჩნდა ახალი სოციალური ფენები ბურჟუაზია, მუშათა კლასი. ბურჟუაზიის წარმომადგენელთა შორის არაქართული წარმოშობის მეწარმეები, ვაჭრები ჭარბობდნენ. მუშათა უმეტესობას ქართველები შეადგენდნენ. • XIX საუკუნის საქართველოში ახალი ბურჟუაზიული ურთიერთობების დამკვიდრება ცვლის ფეოდალურ ეკონომიკურ ურთიერთობებს.

Do not copy

ძალაუფლება	• საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაკარგვის შემდეგ ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის წარმოამდგენლები ძალაუფლების აღდგენას შეირაღებული აჯანყების მოწყობით ცდილობდნენ. • XIX საუკუნის საქართველოში მოქმედ პოლიტიკურ წრეებს შორის შეინებოდა აზრთა სხვდასხვაობა დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკურ მოწყობის საკითხებთან დაკავშირებით. • მეფის რუსეთი ქართული ეკლეისის დაქვემდებარებით ცდილობდა ქართულ საზოგადოებაზე გავლენის მოპოვებას, რადგან რელიგია იმპერიისთვის მნიშვნელოვან იდეოლოგიურ საყრდენს წარმოადგენდა. • რუსეთის იმპერიის მიერ განხორცილებული რეფორმები საქართველოში და იმპერიის მიერ დაპყრობილ ქვეყნებში საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურების ცვლილების საფუძველი გახდა. • XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოში გავრცელებას იწყებს ახალი იდეური მიმდინარეობა რომელიც მარქსიზმი სახელითაა ცნობილი. ახალი იდეოლოგია ჩვენში ორი – რუსეთისა და ევროპის გზით შემოდიოდა. • 1905-1907 წლეში რუსეთში რევოლუციური გამოსვლები იწყება, მეფის აბსოლუტური ხელისუფლება კრიზისს განიცდის, ძალაუფლების მოპოვებისთვის კი პოლიტიკური პარტიები იბრძვიან. • 1905-1907 წლების შემდეგ იმპერატორმა ხელისუფლების განმტკიცებისთვის ბიურაკრატიულ აპარატზე, ჯარსა და შეიარაღებაზე, განათლებასა და იდეოლოგიაზე კონტროლი გაამკაცრა როგორც იმპერიის ცენტრალურ რეგიონებში ასევე პერიფერიებში, რასაც თან ერთოდა რეპრესიული ზომების გაძლიერებაც.
ისტორიული მოვლენა/პრო-ცესი	• საქართველო XIX საუკუნის დასაწყისსა და შუა პერიოდში რუსეთის იმპერიის აგრესიული პოლიტიკის მსვერპლი ხდება რაც ასახა ქართული სამეფო-სამთავროების გაუქმებასა და რუსეთთან შეერთებაში. • XIX საუკუნის ქართული პოლიტიკური წრეები ააქტიურად ცდილობენ რუსეთის იმპერიისგან გათავისუფლებასა და დამოუკიდებლობის აღდგენას. • რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკურმა წარმატებებმა ბაგრატიონთა სამეფო სახლის წარმოდგენლებს არ მისცა საშუალება სამეფო ხელისფლება აღედგინათ და დამოუკიდებლობა აღედგინათ. • XIX საუკუნის პირველი მესამედის აჯანყებებმა დაადასტურა, რომ ქართველი სალხი არ აპირებდა რუსულ იმპერიულ მმართველობასთან შეგუებას. • საქართველო აქტიურ როლს თამაშობდა რუსეთის კავკასიურ პოლიტიკაში და მონაწილეობდა იმპერიებს შორის მიმდინარე დაპირისპირებებში. • XIX საუკუნის ბოლოსა XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში ახალი პოლიტიკური იდეები ვრცელდება, რაც პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბებებისთვის მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა

Draft copy

კლასი: XI **თემის სახელწოდება: საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში** **საათების სავარაუდო რაოდენობა** **ძირითადი რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 203-298**			
სამიზნე ცნება	**საკითხები**		
ძალაუფლება (შედეგი: 3,4,5,6) **ისტორიული მოვლენა/პროცესი (შედეგი: 3,4,5,6)**	**საკითხი 1:** როგორ განვითარდა ისტორიული პროცესი და მმართველობის როგორი სისტემა დამყარდა საქართველოში რუსეთთან შეერთების შემდეგ? **ქვესაკითხი:** • რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობა; • დასავლეთ საქართველოს სამეფო სამთავროების დაუფლება რუსეთის იმპერიის მიერ. ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება; • ქართველი ხალხის ბრძოლა კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ; • რუსული მმართველობის ევოლუცია საქართველოში. **ქვეცნება:** **ისტორიული მოვლენა:** ანექსია, ეკლესიის რეორგანიზაცია, აჯანყება, შეთქმულება, მანიფესტი **ძალაუფლება**: „საქართველოს მმართველობა“, ავტოკეფალია, საეგზარქოსო, მეფისნაცვალი, ავტონომია		

Don't copy

ისტორიული წყარო (ისტ. საშ. 1.2.3.4.5) **სივრცე (შედეგი: 1,2,3,4,5,6)**		**საკითხი 2:** რა ტერიტორიული ცვლილებები მოხდა სამხრეთ კავკასიაში XIX საუკუნეში რუსეთ-ირანისა და რუსეთ-ოსმალეთის ომების შედეგად **ქვესაკითხი:** • რუსეთ-ირანის ომები XIX საუკუნის I ნახევარში და მისი გავლენა საქართველოზე; • რუსეთ-ოსმალეთის ომები XIX საუკუნის I ნახევარში და მისი გავლენა საქართველოზე; • რუსეთ-ოსმალეთის ომები XIX საუკუნის II ნახევარში და მისი შედეგები საქაართველოსთვის. **ქვეცნება:** **დრო:** კავკასია, შავი ზღვა, სამხრეთი საქართველო, აჭარა, რუსეთის იმპერია **ისტორიული წყარო:** ხელშეკრულება, მოხსენება, რუკა, ტრაქტატი, ისტორიული თხზულება	

Don't copy

დრო (ისტ. საშ. 1.2.3.4.5.6) **საზოგადოება (შედეგი: 1,2,3,4,5,6)**			**საკითხი 3** რა ცვლილება განიცადა საქართველოს საზოგადოებამ XIX საუკუნის მეორე ნახევარში? **ქვესაკითხი:** • ილია ჭავჭავაძის გამოსვლა სამოღვაწეო ასპარეზზე. თერგდალეულები; • XIX საუკუნის 60-იანი წლების რეფორმები საქართველოში, ბატონყმობის გაუქმება; • საქართველოს საზოგადოება და ეკონომიკა XIX საუკუნის შუახანებში; • პოლიტიკური პარტიების გაჩენა საქართველოში. პირველი რევოლუცია. **ქვეცნება:** **დრო**: იულიუსის კალენდარი, გრიგორიანული კალენდარი **საზოგადოება**: საზოგადოებრივი მოძრაობა, ეროვნული ერთიანობა, ერობა, ბატონყმობა, პროლეტარიატი, მეწარმეობა, პოლიტიკური პარტია, რევოლუციონერი
კომპლექსური დავალება	პუბლიცისტური წერილის შექმნა რუსეთის იმპერიის მიერ XIX ს. დამდეგს საქართველოს ანექსიისა და მისი შედეგების, კავკასიაში რუსული იმპერიული მმართველობის მახასიათებლების, საქართველოში მომხდარი ანტირუსული გამოსვლების შესახებ.	სტატიის შექმნა XIX საუკუნის რუსეთ-ირან-ოსმალეთის ომებისა და მათ შედეგად საქართველოში და კავკასიის რეგიონში გამოწვეული ცვლილებების შესახებ.	პოლიტიკური ნარკვევის შექმნა XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს საზოგადოებაში დაწყებული ახალი იდეური მოძრაობისა და ქვეყანაში მომხდარი მნიშვნელოვანი სოციალური, კულტურული, პოლიტიკური ცვლილებების შესახებ.

Don't copy

სამიზნე ცნება – ისტორიული მოვლენა

ქვეცნება:

ანექსია, ეკლესიის რეორგანიზაცია, აჯანყება, შეთქმულება

სამიზნე ცნება – ძალაუფლება

ქვეცნება:

„საქართველოს მმართველობა“, ავტოკეფალია, საეგზარქოსო, მეფისნაცვალი

საკითხი – როგორ განვითარდა ისტორიული პროცესი და მმართველობის როგორი სისტემა დამყარდა საქართველოში რუსეთთან შეერთების შემდეგ

საკვანძო შეკითხვა — როგორ წარმოვაჩინო პუბლიცისტური წერილის საშუალებით საქართველოს ანექსია XIX საუკუნის დამდეგს რუსეთის იმპერიის მიერ და მისი შედეგები, რუსული იმპერიული მმართველობის მახასიათებლები კავკასიაში, ანტირუსული გამოსვლები?

კომპლექსური დავალება

წარმოიდგინე, რომ XIX საუკუნის შუახანების საქართველოში, მეფისნაცვალ ვორონცოვის ეპოქაში, მოღვაწეობ და პუბლიცისტი ხარ. კავკასიის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ წყობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. გადაწყვიტე, დაწერო პუბლიცისტური წერილი, რომელშიც წარმოაჩენ რუსეთის იმპერიისა და საქართველოს ურთიერთობას მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, რუსეთის იმპერიის მიერ ქართული სამეფო-სამთავროების ანექსიიდან მეფისნაცვალ ვორონცოვის მმართველობამდე. გსურს, შენი წერილი ახლად გახსნილ საზოგადოებრივ-პოპულარულ ჟურნალში გამოაქვეყნო.

სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები **<u>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:</u>**	**შეფასების კრიტერიუმი** **<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>**	**<u>ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:</u>**
ისტორიული მოვლენა/ პროცესი **(შედეგი: 3,4,5,6)** • ყველა ისტორიულ მოვლენას თავის მიზეზი/ მიზეზები და შედეგი/ შედეგები აქვს; • ისტორიკოსები ხშირად კამათობენ ისტორიული მოვლენების მიზეზებსა და შედეგებზე; • ზოგიერთ ისტორიულ მოვლენას ლოკალური, ზოგს კი გლობალური მნიშვნელობა აქვს; • ისტორიული ფაქტები და მოვლენები ტიპოლოგიურად შეიძლება პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული ნიშნით დაჯგუფდეს.	**ისტორიული მოვლენა/პროცესი** • გააანალიზოს შესწავლის ობიექტად შერჩეული ისტორიული მოვლენის მიზეზები, შედეგები და მნიშვნელობა; • იმსჯელოს, რა გავლენა ჰქონდა შესწავლის ობიექტად შერჩეულ ისტორიულ მოვლენას შესაბამისი ეპოქის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ისტორიაზე. **ძალაუფლება:** • გაანალიზოს, როგორი იყო შესწავლის ობიექტად შერჩეულ პერიოდში მმართველობის ფორმები და სტრუქტურები;	• რა მიზეზებმა განაპირობა 1802-1832 წლის ანტირუსული გამოსვლები, რა რესურსებს ეყრდნობოდნენ აჯანყებულები და რა შედეგით დასრულდა ეს ისტორიული პროცესები? **(ისტორიული მოვლენა, მ. წ. 1, ძალაუფლება მ. წ. 3)** • რა განსხვავებული მოსაზრებები არსებობს ისტორიკოსთა შორის 1832 წლის შეთქმულების შედეგების შესახებ და რამდენად რეალური იყო შეთქმულთა მოსაზრებები საქართველოს სამომავლო მმართველობის ფორმასთან დაკავშირებით? **(ისტორიული მოვლენა, მ. წ. 2, ძალაუფლება 4,5,)**

Don't copy

ძალაუფლება (შედეგი: 3,4,5,6) • ძალაუფლებისთვის ბრძოლა ისტორიის განუყოფელი ნაწილია; • ძალაუფლებისთვის ბრძოლა მიმდინარეობს როგორც პიროვნებებს, ისე საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის. ბრძოლისას ისინი იყენებენ ქვეყანაში არსებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სტრუქტურებს; • ძალაუფლების მოპოვებისა და შენარჩუნებისთვის აუცილებელი საშუალებებია რესურსების (ფინანსების, ადამიანური რესურსების) ფლობა, სიმბოლოები იდეოლოგია; • ზოგიერთ საზოგადოებაში ძალაუფლებას ერთპიროვნულად ფლობენ, ზოგან კი იგი ადამიანებს/საზოგადოებრივ ჯგუფებს შორისაა დანაწილებული; • დემოკრატიულ სახელმწიფოში ძალაუფლების წყაროა ხალხი	• იმსჯელოს, ვინ და როგორ/რა საშუალებებით იბრძოდა ძალაუფლებისთვის შესწავლის ობიექტად შერჩეულ პერიოდში;	• როგორ იბრძოდა რუსეთის ხელისუფლება ქართულ ეკლესიაზე გავლენის მოსაპოვებლად და რა მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხისთვის ეკლესიის თვითმყოფადობის შენარჩუნებას? **(ძალაუფლება, მ. წ. 1)** • რა გავლენას ახდენდა საერთაშორისო პოლიტიკური ვითარება მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობაზე? **(ისტორიული მოვლენა, მ. წ. 3)** • რა ცვლილებები მოხდა მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული თვალსაზრისით? **(ისტორიული მოვლენა, მ. წ. 4)** • რა საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურები ჩამოყალიბდა რუსეთის მმართველობის პერიოდის საქართველოში და რა როლს ასრულებდნენ ისინი რუსული მმართველობის შენარჩუნების პროცესში? **(ძალაუფლება, მ. წ. 2)**

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 204-241

კომპლექსური დავალების შესრულების ეტაპები

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა
კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები

სარეკომენდაციო აქტივობა:
მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს რესურსს და დაფაზე წერს: „პუბლიცისტური წერილი“. მოსწავლეები აყალიბებენ მოსაზრებებს პროდუქტთან დაკავშირებით, რის შემდეგაც მასწავლებელი ჯერ კითხვა-პასუხის, ხოლო შემდეგ მინილექციის მეთოდით მოსწავლეებს აცნობს ინფორმაციას პუბლიცისტური წერილის შესახებ.

რესურსი:

პუბლიცისტიკა – საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის ლიტერატურა, რომელიც აქტუალურ თემებს შეეხება.
• პუბლიცისტური წერილი – https://akhaliganatleba.ge/პუბლიცისტური-წერილები/
• პუბლიცისტიკა (ვიკიპედია) https://ka.wikipedia.org/wiki/პუბლიცისტიკა

Don't copy

შეკითხვები:
- რა არის პუბლიცისტური წერილი?
- როგორ და რატომ იქმნებოდა მატიანე?
- რა განსახვავებს პუბლიცისტურ წერილს ჩვეულებრივი წერილისგან?
- როგორია მატიანის სტრუქტურა?
- კითხულობთ თუ არა პუბლიცისტურ წერილებს?
- როგორ დავწეროთ პუბლიცისტური წერილი?
- რა ეტაპები უნდა გაიარო პუბლიცისტური წერილის შესაქმნელად?

კომპლექსური დავალება
- შენი სიტყვებით ჩამოაყალიბე, რას შეეხება დღეს მოცემული დავალება, რომელზეც რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში უნდა იმუშაოთ.
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ქვეცნება:
ანექსია, მანიფესტი, „საქართველოს მმართველობა“

ქვესაკითხი:
რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობა

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 204-208

ნაბიჯი 1
- რა ცვლილებები მოხდა მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული თავლსაზრისით? **(ისტორიული მოვლენა, მ. წ. 4)**
- რა გავლენას ახდენდა საერთაშორისო პოლიტიკური ვითარება მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობაზე? **(ისტორიული მოვლენა, მ. წ. 3)**
- რა საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურები ჩამოყალიბდა რუსეთის მმართველობის პერიოდის საქართველოში და რა როლს ასრულებდა ისინი რუსული მმართველობის შენარჩუნების პროცესში? **(ძალაუფლება, მ. წ. 2)**

სასწავლო სტრატეგიები/მეთოდები, რომლებიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:
შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, ტექსტის ანალიზი, დისკუსია.

სარეკომენდაციო აქტივობა:

ამ ეტაპების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს საკითხზე მუშაობა. მოსწავლეები იმუშავებენ ტექსტსა და წყაროებზე, შეისწავლიან XIX საუკუნის დამდეგს რუსეთის იმპერიის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიის საკითხს, ალექსანდრე I-ის მანიფესტს (გვ. 204-206). პედაგოგს შეუძლია, საკითხის სიღრმისეულად გააზრებისათვის გამოიყენოს შეკითხვები.
- შენი აზრით, რატომ დათმო გიორგი XII-მ უფრო მეტი და რაში გამოიხატებოდა ეს?
- როგორ ფიქრობ, რეალურად რას ნიშნავს „სათხოვარი პუნქტების“ მე-4 და მე-6 პუნქტები?
- რამდენად ხელსაყრელი იყო ამ დოკუმენტით გათვალისწინებული პუნქტები ქართლ-კახეთისთვის?
- შენი აზრით, 1783 წლიდან 1800 წლამდე მიმდინარე რა ისტორიულმა პროცესებმა გამოიწვია ასეთი დოკუმენტის შექმნა?

Don't copy

- როგორ ფიქრობ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში რა იყო გადამწყვეტი: ისტორიული პროცესის კანონზომიერი განვითარება თუ პიროვნული ფაქტორი? პასუხი დაასაბუთე.
- როგორ ფიქრობ, „სათხოვარი პუნქტების“ ორივე მხარის უმაღლესი პირის მიერ ხელმოწერას რატომ ჰქონდა დიდი მნიშვნელობა? როგორ დაგვეხმარება ეს ფაქტი შემდგომი ისტორიული მოვლენების გააზრებაში?
- „ქართველი ხალხი არ არის მზად თქვენი უდიდებულესობის ბრძანებით რუსეთის იმპერიის კანონმორჩილებაში შესვლისათვის“ – შენი აზრით, რაზე მიუთითებს ეს გზავნილი? რა განწყობები არსებობს მოსახლეობაში?
- რომც მომხდარიყო ამ დოკუმენტის რატიფიცირება, რომელი პუნქტი დაირღვა პავლე I-ის მანიფესტით?
- შენი აზრით, რატომ არ შეათანხმა გიორგი XII-მ ეს გადაწყვეტილება სამეფო სახლის წარმომადგენლებთან?
- დოკუმენტის გამოსაქვეყნებლად რატომ ელოდებოდა რუსეთის ხელისუფლება გაზაფხულს?
- რას ასახელებს ალექსანდრე I თავის მანიფესტში „სრულიად საქართველოს სამეფოს“ რუსეთთან შეერთების მიზეზად?
- შენი აზრით, რამდენად რეალურია ეს მიზეზები? პასუხი დაასაბუთე.
- როგორ ფიქრობ, რატომ კეთდება აქცენტი ალექსანდრე I-ის მანიფესტში ერთმორწმუნეობაზე?
- შენი აზრით, სამუდამო მფარველობაში მიღების შემდეგ რა პოლიტიკური სტატუსი ექნებოდა საქართველოს?
- რის მოლოდინი ჰქონდათ ქართულ და რუსულ მხარეს?
- როგორ წარმოვაჩინო პუბლიცისტური წერილის საშუალებით რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის ანექსია?

მოსწავლის რვეული – დავალება 98, 99

ამ ეტაპის დასრულების შემდეგ მოსწავლეები აგრძელებენ მასალის დამუშავებას, ეცნობიან ტექსტსა და წყაროებს რუსეთის იმპერიაში ქართლ-კახეთის პოლიტიკური სტატუსისა და რუსული მმართველობის მახასიათებლების შესახებ (გვ. 206-208). პედაგოგს შეუძლია, საკითხის სიღრმისეულად გააზრებისათვის გამოიყენოს სახელმძღვანელოში არსებული შეკითხვები.

- შენი აზრით, ევროპას შეეძლო, წინ აღდგომოდა რუსეთის კავკასიურ ინტერესებს? რატომ?
- რა ინტერესი ჰქონდა ოსმალეთს და შეიძლებოდა თუ არა, გამოეყენებინა ეს ქართლ-კახეთს? რატომ?
- რა სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს რუსეთისთვის ქართლ-კახეთს?
- შენი აზრით, რატომ სურს რუსეთს, საერთაშორისო ასპარეზზე მისი ქმედება ზრუნვად წარმოჩნდეს?
- შეადარე ერთმანეთს გ, დ, ე და ვ წყაროები და იმსჯელე იმ რეალურ ისტორიულ პროცესებზე, რომლებმაც რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის ანექსია გამოიწვია.
- როგორ ფიქრობ, რატომ აწესებს ალექსანდრე I მმართველად გენერალ კნორინგს და არა სამოქალაქო ხელისუფალს?
- როგორ ფიქრობ, რა მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთისთვის ქართლ-კახეთში დამკვიდრებას?
- როგორ ფიქრობ, რა წინაპირობას ქმნიდა ის ფაქტი, რომ პროტესტის გამომხატველი თავადები რუსეთის იმპერიამ დააპატიმრა?
- როგორ ფიქრობ, რატომ ასრულებდა ქართველი თავადაზნაურობა მხოლოდ მრჩევლის როლს მმართველობის პროცესში?
- რატომ და როგორ დაყვეს ადმინისტრაციულად ქართლ-კახეთი?
- შენი აზრით, რატომ დამკვიდრდა ადმინისტრაციული მართვა-გამგებლობისა და სასამართლოს წარმოების ენად რუსული?

Don't copy

- როგორ წარმოვაჩინო პუბლიცისტური წერილის საშუალებით რუსული მმართველობის ფორმა ქართლ-კახეთში?

ეწყობა დებატები: მოსწავლეები იყოფიან სამ ჯგუფად: I ჯგუფში გაერთიანდებიან რუსული ორიენტაციის, II-ში – სპარსულის, ხოლო III-ში – საქართველოს დამოუკიდებლად განვითარების მომხრეები. თითოეულმა ჯგუფმა უნდა წარმოადგინოს არგუმენტები თავისი პოზიციის გასამყარებლად, ასევე, თითოეულ შემთხვევაში მოსალოდნელი ისტორიული პროცესის განვითარების საკუთარი პროგნოზი.

მოსწავლის რვეული – დავალება 100

ქვეცნება:
ავტოკეფალია, საეგზარქოსო, ეკლესიის რეორგანიზაცია

ქვესაკითხი:
დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების დაუფლება რუსეთის იმპერიის მიერ. ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 209-221

ნაბიჯი 2

- რა ცვლილებები მოხდა მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული თვალსაზრისით? **(ისტორიული მოვლენა, მ. წ. 4)**
- რა გავლენას ახდენდა საერთაშორისო პოლიტიკური ვითარება მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობაზე? **(ისტორიული მოვლენა, მ. წ. 3)**
- როგორ იბრძოდა რუსეთის ხელისუფლება ქართულ ეკლესიაზე გავლენის მოსაპოვებლად და რა მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხისთვის ეკლესიის თვითმყოფადობის შენარჩუნებას? **(ძალაუფლება, მ. წ. 1)**
- რა საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურები ჩამოყალიბდა რუსეთის მმართველობის პერიოდის საქართველოში და რა როლს ასრულებდნენ ისინი რუსული მმართველობის შენარჩუნების პროცესში? **(ძალაუფლება, მ. წ. 2)**

სასწავლო სტრატეგიები/მეთოდები, რომლებიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:
დიაგრამების გამოყენება, შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, ტექსტის ანალიზი, დისკუსია.

სარეკომენდაციო აქტივობა:
ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს საკითხზე მუშაობა მოსწავლეები იმუშავებენ ტექსტსა და წყაროებზე, გაეცნობიან მასალებს, თუ როგორ დაიწყო რუსულმა ხელისუფლებამ დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების თავისი გავლენის ქვეშ მოქცევა (გვ. 209-211). პედაგოგს საკითხის სიღრმისეულად გააზრებისათვის შეუძლია, გამოიყენოს სახელმძღვანელოში არსებული შეკითხვები.

- როგორ ფიქრობ, რატომ შეუნარჩუნა რუსეთის იმპარატორმა მთავრის ტიტული გრიგოლ დადიანს?
- შეადარე ერთმანეთს რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I-ის მანიფესტი ქართლ-კახეთის შეერთების შესახებ და ალექსანდრე I-ის სიგელი გრიგოლ დადიანისადმი. რა მსგავსება-განსხვავებაა ამ დოკუმენტებს შორის?
- როგორ ხსნის რუსეთის იმპერატორი ქართული პოლიტიკური ერთეულების მფარველობის ქვეშ მიღების აუცილებლობას?

Don't copy

- რატომ არის სამეგრელო „მოწყურებული მყუდროებას“ და ვინ „ავიწროებს“ მას?
- შენი აზრით, რა გავლენას მოახდენდა დადიანის გადაწყვეტილება დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების ურთიერთობაზე? მეფე-მთავრების გადაწყვეტილებაზე?
- როგორ ფიქრობ, რატომ არ იყო მისაღები სოლომონ II-ისთვის შექმნილი მდგომარეობა?
- შენი აზრით, ეს ტრაქტატი იმერეთის სამეფოს შენარჩუნების გარანტი გახდებოდა? იძლეოდა ამის საშუალებას საქართველოსა და მის სამეზობლოში მიმდინარე ისტორიული პროცესი?
- როგორ ფიქრობ, რატომ დაავალდებულეს იმერეთის მეფე სისხლის სამართლის საქმეებში რუსული კანონებით ეხელმძღვანელა?
- როგორ ფიქრობ, რატომ სურდა საიმპერატორო კარს იმერეთში ჯარის შეყვანა?
- რა გავლენას მოახდენდა რუსეთის ჯარის ყოფნა იმერეთში სამეფოს სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე?
- რა წინაპირობას ქმნის ის ფაქტი, რომ იმერეთის სამეფო ტახტზე ასვლა რუსეთის იმპერატორის სიგელით დასტურდებოდა?
- შენი აზრით, რატომ მიიღო რუსეთის იმპერიამ მფარველობაში იმერეთის სამეფოსთან ერთად გურიის სამთავრო, როგორც მისი ნაწილი?
- როგორ ფიქრობ, რამ განაპირობა, რომ 1810 წელს რუსეთის იმპერიამ გურიის მთავარს მფარველობაში მიღების შესახებ ხელშეკრულება ცალკე გაუფორმა?
- როგორ წარმოვაჩინო პუბლიცისტური წერილის საშუალებით ელაზნაურის ტრაქტატი და მისი მნიშვნელობა?

მოსწავლის რვეული – დავალება 101

მოსწავლეები გააგრძელებენ საკითხის დამუშავებას, გაეცნობიან ტექსტსა და წყაროებს იმერეთის უკანასკნელი მეფის სოლომონ II-ის სამეფოდან იძულებით განდევნის შესახებ (გვ. 213-215). პედაგოგს საკითხის სიღრმისეულად გააზრებისათვის შეუძლია, გამოიყენოს სახელმძღვანელოში არსებული შეკითხვები.

- წყაროს გ-ს მიხედვით, როგორ იქცეოდნენ რუსი მოხელეები და ჯარისკაცები იმერეთის სამეფო კარზე? სრულდებოდა თუ არა „ელაზნაურის შეთანხმება“?
- როგორ ფიქრობ, სოლომონ II-ის წერილი მოაგვარებდა თუ არა პრობლემას? რატომ?
- შენი აზრით, რატომ გადაწყვიტეს რუსეთის იმპერიის საიმპერატორო კარზე სოლომონის იმერეთიდან გასახლება?
- გაიხსენე, რომელი იმპერია აკონტროლებდა სამცხეს და შეეძლო თუ არა მათთან მოკავშირეობა სოლომონ II-ს?
- რა საგარეო ფაქტორებს იყენებს სოლომონ II ძალაუფლების დაბრუნებისა და განმტკიცებისთვის?
- შეაფასე სამეგრელოსა და გურიის მთავრების მოქმედება. როგორ ფიქრობ, რა არის მათი პოლიტიკური მიზნები?
- შენი აზრით, რატომ ვერ მიიღო სოლომონ II-მ დახმარება ირან-ოსმალეთისგან?
- რატომ შეიძლებოდა დაინტერესებულიყო საფრანგეთი კავკასიის რეგიონით?
- მსოფლიოს ისტორიიდან გაიხსენე 1810 წლისთვის ევროპაში შექმნილი ვითარება და გამოთქვი ვარაუდი, გამოეხმაურებოდა თუ არა ნაპოლეონ ბონაპარტი სოლომონ II-ის თხოვნას.
- საფრანგეთის იმპერატორის კავკასიით დაინტერესების შემთხვევაში, ივარაუდე, როგორ შეიცვლებოდა იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა. რატომ?
- როგორ წარმოვაჩინო პუბლიცისტური წერილის საშუალებით რუსეთის ხელისუფლების მიერ იმერეთის სამეფოს დაპყრობა?

მოსწავლის რვეული – დავალება 102

Draft copy

მოსწავლეები გააგრძელებენ საკითხის დამუშავებას, გაეცნობიან ტექსტსა და წყაროებს დასავლეთ საქართველოს სამთავროების გაუქმების შესახებ (გვ. 213-215). პედაგოგს საკითხის სიღრმისეულად გააზრებისათვის შეუძლია, გამოიყენოს სახელმძღვანელოში არსებული შეკითხვები.

- როგორ ფიქრობ, რა პოლიტიკური, ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ფოთის, ახალქალაქისა და სოხუმის ფლობას რუსეთისა და ოსმალეთისთვის?
- რატომ არის სვანეთი და აფხაზეთი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი? რა საფრთხე მოელოდა რუსეთს სვანეთიდან (წყარო ვ) და აფხაზეთიდან XIX საუკუნის 50-იან წლებსა და 60-იანების დასაწყისში?
- რაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის საფლავის ქვის წარწერა ქართულადაა შესრულებული?
- როგორ პოლიტიკას ატარებდა რუსეთის იმპერია სამთავროების მიმართ და რა მეთოდებს იყენებდა მათ გასაკონტროლებად?
- როგორ წარმოვაჩინო პუბლიცისტური წერილის საშუალებით დასავლეთ საქართველოს სამთავროების გაუქმება რუსეთის მიერ?

მოსწავლის რვეული – დავალება 103-104

მოსწავლეები გააგრძელებენ საკითხის დამუშავებას, გაეცნობიან ტექსტსა და წყაროებს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შესახებ (გვ. 216-221). პედაგოგს საკითხის სიღრმისეულად გააზრებისათვის შეუძლია, გამოიყენოს სახელმძღვანელოში არსებული შეკითხვები.

- რატომ იყო მნიშვნელოვანი რუსეთის მმართველი წრეებისთვის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება?
- როგორ და რატომ შეცვალეს საეკლესიო იერარქია?
- შენი აზრით, რატომ გზავნის პირველ ეგზარქოსად რუსეთის იმპერია საქართველოში ქართული წარმოშობის სასულიერო პირს?
- შენი აზრით, რატომ შეამცირეს ეპარქიების რაოდენობა?
- რამდენად ასახავს რუსული ეკლესიის მესვეურების პოლიტიკა იმპერიაში მიმდინარე პროცესებს, სახელმწიფოში შემავალი მცირე ერების მიმართ მათ დამოკიდებულებას?
- შენი აზრით, რატომ და რა მეთოდებით ცდილობს რუსეთის საიმპერატორო კარი, გავლენა მოიპოვოს სასულიერო იერარქებზე? რაში შეიძლება დასჭირდეს ეს მას?
- შენი აზრით, რა იყო რუსეთის იმპერატორის გადაწყვეტილების ნამდვილი მიზეზი? პასუხი დაასაბუთე.
- იმპერატორ ალექსანდრე I-ის ბრძანების თანახმად, რა ცვლილებები განხორციელდა სოციალურ სფეროში?
- რატომ ათეთრებდნენ ქართული ეკლესიების ფრესკებს და ანადგურებდნენ ქართულ წარწერებს?
- ქართველი სასულიერო პირების რუსებით ჩანაცვლება როგორ ეხმიანება საერთო იმპერიულ პოლიტიკას?
- შენი აზრით, რა შეიძლებოდა ყოფილიყო რუსეთის იმპერიის პოლიტიკის გრძელვადიანი შედეგი?
- რატომ ებრძოდა რუსეთის იმპერია დაპყრობილ ხალხებში ეროვნული დღესასწაულების აღნიშვნას?
- როგორ ფიქრობ, იყენებდა თუ არა რუსეთის საიმპერატორო კარი რელიგიას, როგორც იდეოლოგიას? თუ კი, რატომ?
- შენი აზრით, რატომ ცდილობდნენ წირვა-ლოცვის რუსულ ენაზე დამკვიდრებას?
- როგორ აისახა რუსული პოლიტიკა ქართული ეკლესიის, როგორც ინსტიტუტის, მნიშვნელობასა და დაკნინებაზე?

Don't copy

- შენი აზრით, რატომ ჰქონდა რუსული საზოგადოების ზოგიერთ წარმომადგენელს განსხვავებული დამოკიდებულება ქართული ეკლესიისა და ერის მიმართ? რა იყო ამის მიზეზი?
- როგორ წარმოვაჩინო პუბლიცისტური წერილის საშუალებით საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი?

დისკუსია საკითხზე: სახელმძღვანელოს ტექსტსა და წყაროებზე დაყრდნობით იმსჯელე, რამდენად გამართლდა XVIII საუკუნის ქართველ მოღვაწეთა იმედები რუსეთის ერთმორწმუნეობასთან დაკავშირებით.

ქვეცნება:
აჯანყება, შეთქმულება

ქვესაკითხი:
ქართველი ხალხის ბრძოლა კოლონიური რეჟიმის წინაღმდეგ

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 222-232

ნაბიჯი 3

- რა მიზეზებმა განაპირობა 1802-1832 წლის ანტირუსული გამოსვლები, რა რესურსებს ეყრდნობოდნენ აჯანყებულები და რა შედეგით დასრულდა ეს ისტორიული პროცესები? **(ისტორიული მოვლენა, მ. წ. 1, ძალაუფლება მ. წ. 3)**
- რა განსხვავებული მოსაზრებები არსებობს ისტორიკოსთა შორის 1832 წლის შეთქმულების შედეგების შესახებ და რამდენად რეალური იყო შეთქმულთა მოსაზრებები საქართველოს სამომავლო მმართველობის ფორმასთან დაკავშირებით? **(ისტორიული მოვლენა, მ. წ. 2, ძალაუფლება 4,5,)**
- რა გავლენას ახდენდა საერთაშორისო პოლიტიკური ვითარება მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობაზე? **(ისტორიული მოვლენა, მ. წ. 3)**

სასწავლო სტრატეგიები/მეთოდები, რომლებიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:
შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, ტექსტის ანალიზი, დისკუსია.

სარეკომენდაციო აქტივობა:
ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს საკითხზე მუშაობა. მოსწავლეები დაამუშავებენ ტექსტსა და წყაროებს რუსული მმართველობის დამყარების წინააღმდეგ პირველი პროტესტის შესახებ (გვ. 222-224). პედაგოგს საკითხის სიღრმისეულად გააზრებისათვის შეუძლია, გამოიყენოს სახელმძღვანელოში არსებული შეკითხვები.

- რა იყო 1802 წლის პოლიტიკური პროტესტის მიზეზები?
- მმართველობის როგორი ფორმის აღდგენას მოითხოვენ შეთქმულები?
- რომელი დოკუმენტების საფუძველზე ითხოვდნენ მეფედ იულონ ბატონიშვილს?
- რომელი სოციალური ფენების წარმომადგენელები დგანან გამოსვლის სათავეში? რატომ?
- რა მეთოდებით ცდილობდა რუსული მმართველობა ძალაუფლების შენარჩუნებას?
- რუსეთის ბატონობის რა შედეგებზე ამახვილებდნენ ყურადღებას პეტიციის ავტორები?
- როგორ ფიქრობ, თავადაზნაურობა თავისი ფენის ვიწრო ინტერესებს გამოხატავდა თუ საერთო ეროვნული საშიშროება ჰქონდა მხედველობაში? პასუხი დაასაბუთე.
- შენი აზრით, რატომ არ შეასრულა რუსულმა მმართველობამ მანიფესტით გათვალისწინებული დაპირებები?
- რა საფრთხეს ხედავდა რუსული ხელისუფლება უფლისწულებისაგან? შენი აზრით, რა სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა იმპერატორისადმი ერთგულების ფიცის დადებას?

Draft copy

- როგორ ფიქრობ, რატომ უწოდა რუსულმა მმართველობამ 1802 წლის გამოსვლას „სიმშვიდისა და კეთილდღეობის დარღვევა“?
- როგორ აფასებენ ამ გამოსვლას ქართველი და რუსი ისტორიკოსები? გამოყავი მსგავსება-განსხვავებები.
- ნ. დუბროვინის მიხედვით, რომელი ფენის ინტერესების დამცველად გვევლინება რუსული ხელისუფლება? რას ფიქრობ გენერლის მოსაზრებაზე?
- რა იყო, ისტორიკოს ა. მანველიშვილის აზრით, მეამბოხეთა მიზანი? შენი აზრით, არსებობდა თუ არა რესურსი ამ მიზნის მისაღწევად? პასუხი დაასაბუთე.
- როგორ წარმოვაჩინო პუბლიცისტური წერილის საშუალებით 1802 წლის გამოსვლა?

მოსწავლეები გააგრძელებენ საკითხის დამუშავებას, გაეცნობიან ტექსტსა და წყაროებს 1804 წლის აჯანყების შესახებ (გვ. 224-226). პედაგოგს საკითხის სიღრმისეულად გააზრებისათვის შეუძლია, გამოიყენოს სახელმძღვანელოში არსებული შეკითხვები.

- შენი აზრით, რატომ გაჩნდა რუსეთის ხელისუფლებისათვის დარიალის ხეობის გავლით სამხედრო გზის მშენებლობის აუცილებლობა?
- რა გახდა აჯანყების დაწყების ძირითადი საბაბი?
- როგორ ფიქრობ, რუსი სამხედროების ასეთი ცუდი ქცევა რომ არა, მთიულები აჯანყდებოდნენ? პასუხი დაასაბუთე.
- რატომ უჭირდათ განსაკუთრებით მთიელებს რუსეთის ბატონობასთან შეგუება? გაიხსენე მაგალითები ისტორიული წარსულიდან.
- დააკვირდი რუკა 32-ს და იმსჯელე, საქართველოს რომელი რეგიონები მოიცვა აჯანყებამ.
- შენი აზრით, იქნებოდა თუ არა დაინტერესებული ირანის ხელისუფლება აჯანყებულების დახმარებით? პასუხი დაასაბუთე.
- მმართველობის როგორი ფორმის დამყარება სურდათ აჯანყებულებს?
- რატომ დამარცხდნენ აჯანყებულები გადამწყვეტ ბრძოლაში? შენი აზრით, ჰქონდათ თუ არა მათ საჭირო რესურსი თავიანთი მიზნების მისაღწევად?
- როგორ წარმოვაჩინო პუბლიცისტური წერილის საშუალებით 1804 წლის აჯანყება და მისი შედეგები?

მოსწავლეები გააგრძელებენ საკითხის დამუშავებას, გაეცნობიან ტექსტსა და წყაროებს 1812 წლის კახეთისა და 1819-20 წწ. დასავლეთ საქართველოს აჯანყების შესახებ (გვ. 226-229). პედაგოგს საკითხის სიღრმისეული გააზრებისათვის შეუძლია, გამოიყენოს სახელმძღვანელოში არსებული შეკითხვები.

- რა სირთულეების წინაშე აყენებდა ქართლ-კახეთის მოსახლეობას რუსების მიერ რეგიონში წარმოებული მასშტაბური ომები?
- წყაროს მიხედვით, რა იყო აჯანყებულთა მთავარი არგუმენტები?
- შენი აზრით, რა უნდა დაეპირისპირებინა რუსი ჩინოვნიკებისა და ჯარისკაცების უმსგავსო საქციელისთვის კახეთის მოსახლეობას?
- რატომ მიიწვიეს აჯანყების ხელმძღვანელად ბატონიშვილი გრიგოლი?
- გააანალიზე თ, ი, კ და ლ წყაროები და იმსჯელე, რუსი მოხელეებისა და ჯარისკაცების მოქმედებები მათი პირადი ინიციატივა იყო თუ სახელმწიფო პოლიტიკის გაგრძელება?
- როგორ შეუწყო ხელი აჯანყებულებს საგარეო პოლიტიკურმა ვითარებამ?
- რა რესურსს ეყრდნობოდა ალექსანდრე ბატონიშვილი რუსეთის რეგულარულ არმიისთან ბრძოლის დროს?
- რა იყო ყველა ამ აჯანყების მიზანი და რა ტიპის სახელმწიფოს აღდგენა უნდოდათ აჯანყებულებს?
- როგორ მოექცნენ რუსი სამხედროები ქართველ მღვდელმთავრებს? რას გეუბნება ეს ფაქტი ქართული ეკლესიისადმი რუსეთის დამოკიდებულებაზე?
- როგორ წარმოვაჩინო პუბლიცისტური წერილის საშუალებით კახეთისა და დასავლეთ საქართველოს ანტირუსული გამოსვლები (1812, 1819-20)?

Do not copy

მოსწავლის რვეული – დავალება 105

მოსწავლეები გააგრძელებენ საკითხის დამუშავებას, გაეცნობიან ტექსტსა და წყაროებს 1832 წლის შეთქმულების შესახებ (გვ. 229-232). პედაგოგს საკითხის სიღრმისეულად გააზრებისათვის შეუძლია, გამოიყენოს სახელმძღვანელოში არსებული შეკითხვები.

- რატომ დაიწყო 1832 წლის შეთქმულების ორგანიზება რუსეთში და არა საქართველოში?
- შენი აზრით, რატომ იყო მნიშვნელოვანი ის ფუნქცია, რომელიც სოლომონ დოდაშვილს ევალებოდა? პასუხი დაასაბუთე.
- რამდენად შესაძლებელი იყო აჯანყებაში საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების ხალხის ჩართვა? პასუხი დაასაბუთე.
- შეადარე ერთმანეთს 1832 წლის შეთქმულების წინ ქართველებს შორის არსებული განსხვავებული თვალსაზრისი. რომელი პასუხობდა იმდროინდელ რეალობას?
- ევროპაში მიმდინარე რომელ ისტორიული პროცესებს შეადარებდი ამ შეთქმულებას?
- რომელი ქვეყნებისთვის აპირებდნენ ისინი დახმარების თხოვნას და რამდენად რეალური იყო ამ დახმარების მიღება?
- როგორ ფიქრობ, რამდენად რეალური იყო შეთქმულების გეგმა? პასუხი დაასაბუთე.
- შენი აზრით, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, ერთ-ერთ მონაწილეს რომ არ გაეცა შეთქმულება?
- როგორ წარმოვაჩინო პუბლიცისტური წერილის საშუალებით 1832 წლის შეთქმულება?

მოსწავლის რვეული – დავალებები 106-109

ქვეცნება:
მეფისნაცვალი, ავტონომია

რესურსი: სახელმძღვანელო, 233-240

ქვესაკითხი:
რუსული მმართველობის ევოლუცია საქართველოში

ნაბიჯი 4

- რა ცვლილებები მოხდა მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული თავლსაზრისით? (ისტორიული მოვლენა, მ. წ. 4)
- რა საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურები ჩამოყალიბდა რუსეთის მმართველობის პერიოდის საქართველოში და რა როლს ასრულებდა ისინი რუსული მმართველობის შენარჩუნების პროცესში? (ძალაუფლება, მ. წ. 2)

სასწავლო სტრატეგიები/მეთოდები, რომლებიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:
შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, ტექსტის ანალიზი, დისკუსია.

სარეკომენდაციო აქტივობა:
ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს საკითხზე მუშაობა. მოსწავლეები გაეცნობიან ტექსტსა და მასალებს რუსეთის ხელისუფლების მიერ XIX საუკუნის საქართველოს მმართველობაში გატარებული ღონისძიებებისა და ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ (გვ. 233-235). პედაგოგს საკითხის სიღრმისეულად გააზრებისათვის შეუძლია, გამოიყენოს სახელმძღვანელოში არსებული შეკითხვები.

- შენი აზრით, რატომ იყო დაინტერესებული რუსული იმპერიული ხელისუფლება ქართული თავადაზნაურობის დასუსტებით? როგორ ფიქრობ, სათავადოთა სისტემის მოშლა პროგრესული ამბავი იყო თუ რეგრესული? რატომ?

Don't copy

- როგორ შეიცვალა გლეხობის სოციალური ყოფა რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ?
- ჩამოთვალე ის ღონისძიებები, რომლებიც ხელისუფლებამ გაატარა საქართველოს რუსიფიკაციის მიზნით. შენი აზრით, რომელი იყო უფრო ეფექტიანი?
- წყაროზე დაყრდნობით იმსჯელე რუსეთის მთავრობის მიერ საქართველოში განხორციელებულ ეკონომიკურ პოლიტიკაზე.
- შეადარე ეს პოლიტიკა სხვა იმპერიების მიერ საკუთარ კოლონიებში განხორციელებულ ეკონომიკურ პოლიტიკას. გამოყავი მსგავსება-განსხვავებები.
- რა თავისებურებების გამო აკრიტიკებენ მმართველობას ა, ბ, დ, ე და ვ წყაროების ავტორები?
- რატომ იწვევდა მმართველობის ეს ფორმა უკმაყოფილებას ქართულ საზოგადოებაში და შენი აზრით, რა ცვლილებებს შეიძლებოდა დაეძლია ეს პრობლემა?
- რომელი სახელისუფლებო სტრუქტურები გახდა საქართველოში რუსული ხელისუფლების საყრდენი? რატომ?
- შენი აზრით, რატომ მიიღეს რუსმა მთავარმართებლებმა დავალება, რომ რუსული მმართველობა „ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულებასა და გუნება-განწყობილებასთან შეეხამებინათ“?
- რატომ დასრულდა წარუმატებლად ეს მცდელობა?
- როგორ ფიქრობ, რა პირადი ინტერესები შეიძლებოდა ჰქონოდათ საქართველოში მოვლენილ რუს მოხელეებს?
- როგორ წარმოვაჩინო პუბლიცისტური წერილის საშუალებით რუსეთის ხელისუფლების მიერ საქართველოს რუსიფიკაციისთვის გატარებული ღონისძიებები?

მოსწავლის რვეული – დავალება 110

მოსწავლეები გააგრძელებენ საკითხის დამუშავებას, გაეცნობიან ტექსტსა და წყაროებს საქართველოს მმართველობაში მომხდარი ცვლილებებისა და მეფისნაცვლის ინსტიტუტის შემოღების შესახებ (გვ. 236-240). პედაგოგს საკითხის სიღრმისეულად გააზრებისათვის შეუძლია, გამოიყენოს სახელმძღვანელოში არსებული შეკითხვები.

- შენი აზრით, რატომ ვერ პასუხობდა კავკასიის ადმინისტრაცია რუსეთის კოლონიურ ინტერესებს?
- შენი აზრით, რატომ გახდა კავკასიის სამეფისნაცვლოს ცენტრი თბილისი?
- დააკვირდი რუკა 33-სა და 34-ს და იმსჯელე, სამხრეთ კავკასიის რომელი ტერიტორია არ შედიოდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. რატომ?
- გააანალიზე წყარო ზ და იმსჯელე, რა შეიცვალა სამხრეთ კავკასიის მმართველობაში.
- შენი აზრით, რა დადებითი და უარყოფითი შედეგები შეიძლებოდა მოეტანა ვორონცოვის პოლიტიკას კულტურისა და განათლების სფეროში?
- რატომ იყო მნიშვნელოვანი საქართველოსთვის მთავარმართებლის მეფისნაცვლით ჩანაცვლება? დროის ძალიან მცირე მონაკვეთში, 1801 წლიდან 1844 წლამდე, რა მოვლენებმა გამოიწვია ეს ცვლილება?
- რატომ არ სურდა რუსეთის იმპერიულ ხელისუფლებას კავკასიაში სამხედრო და სამოქალაქო მმართველობის ერთმანეთისაგან გამიჯვნა?
- ა. ჯორჯაძის აზრით, რა სარგებელი მოუტანა რუსეთს და რა – საქართველოს ვორონცოვის პოლიტიკამ? როგორია შენი მოსაზრება ამ საკითხებზე?
- შენი აზრით, რით აიხსნება ვორონცოვის მიერ საქართველოში გატარებული პოლიტიკა?
- შენი აზრით, რატომ აფასებდნენ ქართველი მოღვაწეები არაერთგვაროვნად მ. ვორონცოვის მიერ საქართველოში გატარებულ პოლიტიკას და მისი მმართველობის სტილს? შენ რომელ მოსაზრებას ეთანხმები და რატომ?
- როგორ წარმოვაჩინო პუბლიცისტური წერილის საშუალებით კავკასიაში მეფისნაცვლის ინსტიტუტის შემოღება და მისი შედეგები?

მოსწავლის რვეული – დავალება 111, 112

Don't copy

კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობისთვის

აღწერე, როგორ მიმდინარეობს/წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი.

- როგორ გეგმავ/დაგეგმე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი? რას ითვალისწინებდი სამუშაო პროცესის დაგეგმვისას?
- დაგეხმარა თუ არა პირველადი გეგმა მუშაობის პროცესში?
- რა დეტალებზე აკეთებდი აქცენტს პუბლიცისტური წერილის მომზადების პროცესში?
- წარიმართა თუ არა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი დაგეგმილის შესაბამისად?
- გახდა თუ არა საჭირო თავდაპირველად შემუშავებულ გეგმებში ცვლილებების შეტანა?
- რატომ არის საჭირო დავალების პირველადი ვერსიის შექმნა?
- რით განსხვავდება შესრულებული დავალების პირველადი ვერსია საბოლოოსგან?
- რა ფაქტორებმა გამოიწვია/შეუძლია გამოიწვიოს პირველადი დასკვნების გადასინჯვა?
- რა პროდუქტი შექმენი კომპლექსური დავალების სახით?
- რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი პროდუქტი პუბლიცისტური წერილია?

ახსენი, რატომ შექმენი პუბლიცისტური წერილი? რა საკითხის შესახებ გამოხატე შენი ცოდნა კომპლექსური დავალების საშუალებით?

- რატომ შეასრულე კომპლექსური დავალება?
- რა გრძელვადიან და მოკლევადიან მიზნებს ისახავდი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?
- ვისთვის და რატომ არის ეს პროდუქტი სასარგებლო და საინტერესო?
- რა იცოდი შესასწავლი საკითხის შესახებ? რა გაიგე ახალი? დამატებით რის გაგებას ისურვებდი?
- რა დასკვნებამდე მიხვედი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? რით დასტურდება შენ მიერ გაკეთებული დასკვნების მართებულობა/თანამიმდევრულობა?
- რა ხერხები გამოიყენე სასწავლო მასალის უკეთ გასააზრებლად?/კომპლექსური დავალების უკეთ შესასრულებლად?

რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?

- ვის წინაშე იყავი ანგარიშვალდებული სამუშაო პროცესში (მასწავლებლის, თანაკლასელების, სამეზობლო თემის)?
- რა საერთო მიზანი გქონდათ შენ და შენს მასწავლებელს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- გქონდა თუ არა საერთო მიზნები თანაკლასელებთან ერთად? იყო თუ არა შენთვის საინტერესო და სასიამოვნო კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი?
- რა გააკეთე დამოუკიდებლად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?
- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს?
- ვინ და როგორ დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? ვისთან ითანამშრომლე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?
- წააწყდი თუ არა კონფლიქტურ სიტუაციებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ შეძელი კონფლიქტის დარეგულირება?
- წააწყდი თუ არა გაურკვევლობებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? როგორ გაერკვიე ბუნდოვანებით მოცულ საკითხებში?
- შეხვდი თუ არა განსხვავებულ მოსაზრებებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს? რამდენად შეძელი თანამშრომლობა განსხვავებული შეხედულებების ადამიანებთან? რა დაგეხმარება, რომ უკეთ გაიგო თანაკლასელების, მასწავლებლის სათქმელი?

Don't copy

- გააანალიზე, რა წესებს/კანონებს იცავდი და რატომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას (მაგალითად, რამდენად მოახერხე, აზრთა სხვადასხვაობის ვითარებაში ორიენტირებული ყოფილიყავი პრობლემაზე და არა კომუნიკაციაში ჩართულ ადამიანებზე? რით და როგორ გამოხატავდი ადამიანების მიმართ პატივისცემას კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს).
- რით დაგეხმარა მასწავლებელთან, სხვა მოსწავლეებთან დიალოგი კომპლექსური დავალების შესრულებაში?
- რით შეიძლება დახმარება გაუწიოს შენმა შეკითხვებმა თანაკლასელებს სათქმელის უკეთ ჩამოყალიბებაში?
- რა ფაქტორები გაითვალისწინე/უნდა გაითვალისწინო საიმისოდ, რომ შენი კომპლექსური დავალების პრეზენტაცია მსმენელისთვის გასაგები და მისაღები ყოფილიყო?
- გამოიყენე თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? რაში დაგეხმარა ტექნოლოგიების გამოყენება?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან? როგორ წარმოაჩენ ამ განსხვავებებს შეკითხვების სახით?
- შეაფასე, რამდენად გამოგივიდა ის, რაც მასწავლებლისგან გქონდა დავალებული.

Don't copy

სამიზნე ცნება – სივრცე

ქვეცნება:
კავკასია, შავი ზღვა, სამხრეთი საქართველო, რუსეთის იმპერია, ყირიმის ნახევარკუნძული

სამიზნე ცნება – წყარო

ქვეცნება:
ხელშეკრულება, მოხსენება, რუკა, ტრაქტატი,

საკითხი – რა ტერიტორიული ცვლილებები მოხდა სამხრეთ კავკასიაში XIX საუკუნეში რუსეთ-ირანისა და რუსეთ-ოსმალეთის ომების შედეგად

საკვანძო შეკითხვა – როგორ წარმოვაჩინო სტატიის საშუალებით XIX საუკუნის რუსეთ-ირან-ოსმალეთის ომები და მათ შედეგად კავკასიის რეგიონში გამოწვეული ცვლილებები?

კომპლექსური დავალება
წარმოიდგინე, რომ XIX საუკუნის საქართველოში ცხოვრობ და ერთ-ერთი გაზეთის სამხედრო რუბრიკის მიმოხილველი ხარ, იკვლევ სხვადასხვა ეპოქაში მომხდარ ბრძოლებს და წარმოებულ სამხედრო კამპანიებს. გაზეთის რედაქტორმა დაგავალა, მოამზადო სტატია XIX საუკუნეში რუსეთის, ოსმალეთისა და ირანის მიერ კავკასიის რეგიონში წარმოებული ომებს შესახებ. მასში ყურადღება უნდა გაამახვილო ისტორიულ წყაროებზე, რომლებიც ამ მოვლენების შესახებ არსებობს, ასევე სივრცეზე, სადაც ეს დაპირისპირება მიმდინარეობდა.

სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები **<u>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:</u>**	**შეფასების კრიტერიუმი** **<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>**	**<u>ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:</u>**
წყარო/ინტერპრეტაცია (შედეგები: 1, 2, 4, 5,) • ინფორმაციას წარსულის შესახებ ისტორიკოსები წყაროებიდან იღებენ; • წარსულის შესწავლისას ისტორიკოსები სხვადასხვა ტიპის წყაროებს (ნივთიერს, ეთნოგრაფიულს, წერილობითს, ლინგვისტურს, კინო-, ფოტო-, ფონოდოკუმენტებს) ეყრდნობიან; • ყველა წყარო ერთნაირად სანდო არ არის; • წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია არაერთმნიშვნელოვანია, ამიტომ მათი ინტერპრეტაცია ისტორიკოსებს შორის დისკუსიის საგანია.	**წყარო** • იმსჯელოს, რა ტიპის წყაროებიდან გვაქვს ინფორმაცია ამა თუ იმ ისტორიული ფაქტის/მოვლენის/პროცესის შესახებ; • იმსჯელოს, რამდენად სანდოა მოცემული წყარო/წყაროები? • იმსჯელოს, რა საკითხებთან დაკავშირებით შეიძლება არსებობდეს აზრთა სხვადასხვაობა მოცემული წყაროს ინტერპრეტაციისას.	• რა სახის წყაროები არსებობს XIX საუკუნის რუსეთ-ირანისა და რუსეთ-ოსმალეთის კავკასიური ომების შესახებ, რა ინფორმაციას გვაწვდიან და რამდენად სანდოა ისინი? **(წყარო, მ. წ. 1,2,3)**

Don't copy

სივრცე (შედეგი: 1,2,3,4,5,6) • გეოგრაფიული გარემო და გეოგრაფიული ცოდნა გავლენას ახდენს ადამიანთა საზოგადოების განვითარებაზე; • კომუნიკაციის სიხშირე დიდი/მცირე ზომის სოციალურ-კულტურული სივრცეების ჩამოყალიბებას განაპირობებს; • კონკრეტულ ისტორიულ-გეოგრაფიულ არეალებს გარკვეული ეკონომიკური, სტრატეგიული და კულტურული მნიშვნელობა აქვს.	**სივრცე** • იმსჯელოს, რა გავლენას ახდენდა გეოგრაფიული გარემო შესწავლის ობიექტად შერჩეული ეპოქის ადამიანებზე; • დაახასიათოს შესწავლის ობიექტად შერჩეული ეპოქის/პერიოდის ადამიანების გეოგრაფიული ცოდნა; • აღნიშნოს, რა სახელით აღინიშნებოდა ესა თუ ის გეოგრაფიული არეალი შესწავლის ობიექტად შერჩეულ ისტორიულ ეპოქაში; რა სოციალური/ეკონომიკური/სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა მას.	• რა ეკონომიკური, სტრატეგიული, გეოგრაფიული ფაქტორების გამო ხდებოდა კავკასია დიდი სახელმწიფოების დაპირისპირების საგანი და რა გავლენა იქონია ამ ფაქტორებმა XIX საუკუნის ქართული საზოგადოების ყოფაზე? **(სივრცე, მ. წ. 1, 3)** • რა მოსაზრებები არსებობს რუსეთ-ირან-ოსმალეთის სამხედრო დაპირისპირებაში ქართველების როლზე? (წყარო, მ. წ. 4) • რა შედეგები ჰქონდა ამ ომებს და როგორ აისახებოდა ისინი საქართველოსა და კავკასიის პოლიტიკურ და სოციალურ-კულტურულ სივრცეზე? **(სივრცე, მ. წ. 2)**

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 242-256

კომპლექსური დავალების შესრულების ეტაპები

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა
კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები

სარეკომენდაციო აქტივობა:
მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს რესურსს და დაფაზე წერს: „სტატია“. მოსწავლეები აყალიბებენ მოსაზრებებს პროდუქტთან დაკავშირებით, რის შემდეგაც მასწავლებელი ჯერ კითხვა-პასუხის, ხოლო შემდეგ მინილექციის მეთოდით მოსწავლეებს აცნობს ინფორმაციას სტატიის შესახებ.

რესურსი.
სტატია – კრებულში, ჟურნალში ან გაზეთში მოთავსებული მცირე მოცულობის პუბლიცისტური ან მეცნიერული ნაწარმოები.
როგორ იწერება სტატია?
(https://www.living-democracy.com/ge/textbooks/volume-2/students-manual-10/tool-2/toolbox-10/)

- რა არის სტატია?
- რატომ ვწერთ სტატიას?
- როგორ უნდა დავწეროთ სტატია?
- რას აქცევთ ყურადღებას სტატიის კითხვის დროს და რატომ?
- როგორ უნდა აიგოს სტატია, რომ მკითხველისთვის საინტერესო იყოს?
- როგორ უნდა დაწერო კარგი სტატია?
- რა უნდა გაითვალისწინო სტატიის წერის დროს?

Don't copy

კომპლექსური დავალება

- შენი სიტყვებით ჩამოაყალიბე, რას შეეხება დღეს მოცემული დავალება, რომელზეც რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში უნდა იმუშაოთ.
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ქვეცნება:

ხელშეკრულება, რუკა, ისტორიული თხზულება, კავკასია, რუსეთის იმპერია

ქვესაკითხი:

- რუსეთ-ირანის ომები XIX საუკუნის I ნახევარში და მისი გავლენა საქართველოზე

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 242-246

ნაბიჯი 1

- რა სახის წყაროები არსებობს XIX საუკუნის რუსეთ-ირანისა და რუსეთ-ოსმალეთის კავკასიური ომების შესახებ, რა ინფორმაციას გვაწვდიან და რამდენად სანდოა ისინი? **(წყარო, მ. წ. 1,2,3)**
- რა ეკონომიკური, სტრატეგიული, გეოგრაფიული ფაქტორების გამო ხდებოდა კავკასია დიდი სახელმწიფოების დაპირისპირების საგანი და რა გავლენა იქონია ამ ფაქტორებმა XIX საუკუნის ქართული საზოგადოების ყოფაზე? **(სივრცე, მ. წ. 1, 3)**
- რა მოსაზრებები არსებობს რუსეთ-ირან-ოსმალეთის სამხედრო დაპირისპირებაში ქართველების როლზე? **(წყარო, მ. წ. 4)**
- რა შედეგები ჰქონდა ამ ომებს და როგორ აისახებოდა ისინი საქართველოს და კავკასიის პოლიტიკურ და სოციალურ-კულტურულ სივრცეზე? **(სივრცე, მ. წ. 2)**

სასწავლო სტრატეგიები/მეთოდები, რომლებიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:

შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, კოგნიტური სქემები, ტექსტის ანალიზი, დისკუსია.

სარეკომენდაციო აქტივობა:

ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს საკითხზე მუშაობა. მოსწავლეები იმუშავებენ ტექსტსა და წყაროებზე, გაეცნობიან და გააანალიზებენ 1804-1813 წლების რუსეთ-ირანის ომებს და მათ შედეგებს (გვ. 242-244). პედაგოგს შეუძლია, მასალის სიღრმისეულად გააზრებისათვის გამოიყენოს სახელ-მძღვანელოში არსებული კითხვები.

- რატომ მონაწილეობდნენ ქართველები რუსეთის ომებში ოსმალეთთან და ირანთან?
- შენი აზრით, ეს ომები საქართველოსთვის მომგებიანი იყო? პასუხი დაასაბუთე.
- წყაროებზე დაყრდნობით იმსჯელე, როგორ იყენებდა რუსეთის იმპერია ქართველი ხალხის მხედრულ სიმამაცეს.
- როგორ ფიქრობ, რა მნიშვნელობა ჰქონდა სამხრეთ კავკასიას რუსეთის წინააზიურ პოლიტიკაში?
- რა ინტერესები ჰქონდათ ევროპის დიდ სახელმწიფოებს კავკასიის რეგიონში? შეეძლო თუ არა ქართულ საზოგადოებას ამ ინტერესების თავის სასარგებლოდ გამოყენება?
- გამოთქვი ვარაუდი, რა საშიშროება ემუქრებოდა ირანს აღმოსავლეთ ამიერკავკასიაზე კონტროლის დაკარგვის შემდეგ?
- რა მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის იმპერიისთვის გულისტანის ზავით ამიერკავკასიის ტერიტორიების მის სამფლობელოდ აღიარებას?

Draft copy

- რა უპირატესობას აძლევდა რუსეთს სამხედრო ფლოტის ერთპიროვნულად ყოლის უფლება კასპიის ზღვაზე?
- შენი აზრით, რა გავლენას მოახდენდა კავკასიის სოციალურ-კულტურულ ყოფაზე ირანული გავლენის რუსულით ჩანაცვლება?
- რა ტიპის წყაროა გულისტანის ტრაქტატი?
- როგორ წარმოვაჩინო სტატიის საშუალებით XIX საუკუნის დამდეგს რუსეთ-ირანის ომები?

მოსწავლეები გააგრძელებენ საკითხის დამუშავებას, გაეცნობიან ტექსტსა და წყაროებს რუსეთ-ირანის 1826-28 წლების ომის შესახებ, ქართველების როლზე ამ პროცესში (გვ. 244-246). პედაგოგს საკითხის სიღრმისეულად გააზრებისათვის შეუძლია გამოიყენოს სახელმძღვანელოში არსებული შეკითხვები.

- როგორ აისახებოდა საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობაზე რუსეთ-ირანის ომები?
- თბილისის რომელ აოხრებაზე „ჯავრის ამოყრას“ გულისხმობდა გიორგი ერისთავის საქციელი თავრიზის აღების შემდეგ (წყარო გ)?
- შენი აზრით, რა შეიცვლებოდა რუსეთის იმპერიის მიერ ჭარ-ბელაქნის ხელში ჩაგდების შემდეგ? რა სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა მას?
- როგორ გესმის ტრაქტატის მე-5 მუხლი, რომლის მიხედვით ირანი სამხრეთ კავკასიაში მცხოვრებ ხალხებს „სამუდამოდ რუსეთის მფლობელობაში“ აღიარებს? ამ ხალხების რა უფლებებია დარღვეული?
- გააანალიზე ბ და დ წყაროები და რუკა 35 და იმსჯელე, რა ტერიტორია მიიღო რუსეთის იმპერიამ ირანთან ომების შემდეგ.
- როგორ წარმოვაჩინო სტატიის საშუალებით ქართველების როლი რუსეთ-ირანის ომში?

ქვეცნება:
მოხსენება, სამხრეთი საქართველო, ხელშეკრულება, რუკა, კავკასია, რუსეთის იმპერია

ქვესაკითხი:
რუსეთ-ოსმალეთის ომები XIX საუკუნის I ნახევარში და მისი გავლენა საქართველოზე

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 246-249

ნაბიჯი 2

- რა სახის წყაროები არსებობს XIX საუკუნის რუსეთ-ირანისა და რუსეთ-ოსმალეთის კავკასიური ომების შესახებ, რა ინფორმაციას გვაწვდიან და რამდენად სანდოა ისინი? **(წყარო, მ. წ. 1,2,3)**
- რა ეკონომიკური, სტრატეგიული, გეოგრაფიული ფაქტორების გამო ხდებოდა კავკასია დიდი სახელმწიფოების დაპირისპირების საგანი და რა გავლენა იქონია ამ ფაქტორებმა XIX საუკუნის ქართული საზოგადოების ყოფაზე? **(სივრცე, მ. წ. 1, 3)**
- რა მოსაზრებები არსებობს რუსეთ-ირან-ოსმალეთის სამხედრო დაპირისპირებაში ქართველების როლზე? **(წყარო, მ. წ. 4)**
- რა შედეგები ჰქონდა ამ ომებს და როგორ აისახებოდა ისინი საქართველოს და კავკასიის პოლიტიკურ და სოციალურ-კულტურულ სივრცეზე? **(სივრცე, მ. წ. 2)**

სასწავლო სტრატეგიები/მეთოდები, რომლებიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:
შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, ტექსტის ანალიზი, დისკუსია.
სარეკომენდაციო აქტივობა:
ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს საკითხზე მუშაობა. მოსწავლეები დაამუშავებენ მასალებს „აღმოსავლეთის საკითხის“, 1806-1812 და 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომების

Don't copy

შესახებ (გვ. 247-248). პედაგოგს საკითხის სიღრმისეულად გააზრებისათვის შეუძლია, გამოიყენოს სახელმძღვანელოში არსებული შეკითხვები.

- როგორ ფიქრობ, ევროპის რომელი დიდი სახელმწიფოები იქნებოდნენ ჩართული აღმოსავლეთის საკითხში? გამოთქვი ვარაუდი, რა დაინტერესება ექნებოდა თითოეულ მათგანს?
- რა ტერიტორია მიიღო რუსეთის იმპერიამ ადრიანოპოლის ზავით?
- შენი აზრით, რატომ იბრძოდნენ განსაკუთრებული შემართებით ქართველი ოფიცრები და მოლაშქრეები?
- რა მნიშვნელობა ჰქონდა ახალციხეს ოსმალეთის იმპერიისთვის? რა შეიცვლებოდა რუსეთის იმპერიის მიერ ამ ქალაქის დაუფლების შემდეგ?
- როგორ განისაზღვრა ადრიანოპოლის ხელშეკრულებით ახალი მფლობელის ხელში გადასული მოსახლეობის ბედი? შენი აზრით, რა არჩევანს გააკეთებდა მოსახლეობა?
- რა ინტერესები ჰქონდა რუსეთის იმპერიას შავ ზღვასთან მიმართებაში? შენი აზრით, დააკმაყოფილა თუ არა მისი მოთხოვნები ადრიანოპოლის ტრაქტატმა?
- როგორ წარმოვაჩინო სტატიის საშუალებით „აღმოსავლეთის საკითხი“ და მისი გავლენა საქართველოს ბედზე?

მოსწავლის რვეული – დავალება 113

მომდევნო ეტაპზე მოსწავლეები გაეცნობიან მასალას სამხრეთ საქართველოს დაბრუნების შესახებ (გვ. 248-249) და იმსჯელებენ მის მნიშვნელობაზე, რუსეთ-ირან-ოსმალეთის ომების შედეგად მომხდარ ტერიტორიულ ცვლილებებზე. პედაგოგს საკითხის სიღრმისეულად გააზრებისათვის შეუძლია, გამოიყენოს სახელმძღვანელოში არსებული შეკითხვები.

- შენი აზრით, რამ განაპირობა რუსეთის წარმატება სპარსეთთან და ოსმალეთთან ომებში?
- რა მნიშვნელობა ჰქონდა ქართული მიწების ერთი იმპერიის ფარგლებში მოქცევას?
- როგორ ფიქრობ, რატომ შეიტანეს ადრიანოპოლის ტრაქტატში რუსეთისა და ოსმალეთის მხარეებმა 18-თვიანი ვადა ქვეშევრდომთა თავისუფალი გადასახლებისათვის მეორე მხარეს?
- რომელ მოსახლეობას ასახლებდა დაცარიელებულ ტერიტორიებზე რუსეთი და რატომ?
- რა პოლიტიკური ინტერესები ჰქონდა რუსეთს ახლად შემოერთებული მიწების მოსახლეობის მიმართ?
- რა დამოკიდებულება აქვს წყარო ს-ს ავტორს სამხრეთ საქართველოს მუსლიმი მოსახლეობის ოსმალეთის იმპერიაში ემიგრაციასთან დაკავშირებით? რატომ?
- როგორ შეიცვალა საზღვრები რუსეთ-სპარსეთ-ოსმალეთის 1804-1813 და 1826-1829 წწ.-ის ომების შედეგად სამხრეთ კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში?
- როგორ წარმოვაჩინო სტატიის საშუალებით სამხრეთ საქართველოს დაბრუნების მნიშვნელობა?

მოსწავლის რვეული – დავალება 114, 115

ქვეცნება:
სამხრეთი საქართველო, შავი ზღვა, კავკასია, რუსეთის იმპერია, აჭარა, ტრაქტატი

ქვესაკითხი:
რუსეთ-ოსმალეთის ომები XIX საუკუნის II ნახევარში და მისი შედეგები საქართველოსთვის

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 250-256

ნაბიჯი 3

- რა სახის წყაროები არსებობს XIX საუკუნის რუსეთ-ირანისა და რუსეთ-ოსმალეთის კავკასიური ომების შესახებ, რა ინფორმაციას გვაწვდიან და რამდენად სანდოა ისინი? **(წყარო, მ. წ. 1,2,3)**

Don't copy

- რა ეკონომიკური, სტრატეგიული, გეოგრაფიული ფაქტორების გამო ხდებოდა კავკასია დიდი სახელმწიფოების დაპირისპირების საგანი და რა გავლენა იქონია ამ ფაქტორებმა XIX საუკუნის ქართული საზოგადოების ყოფაზე? **(სივრცე, მ. წ. 1, 3)**
- რა მოსაზრებები არსებობს რუსეთ-ირან-ოსმალეთის სამხედრო დაპირისპირებაში ქართველების როლზე? **(წყარო, მ. წ. 4)**
- რა შედეგები ჰქონდა ამ ომებს და როგორ აისახებოდა ისინი საქართველოს და კავკასიის პოლიტიკურ და სოციალურ-კულტურულ სივრცეზე? **(სივრცე, მ. წ. 2)**

სასწავლო სტრატეგიები/მეთოდები, რომლებიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:
შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, ტექსტის ანალიზი, დისკუსია, კოგნიტური სქემები.

სარეკომენდაციო აქტივობა:
ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს საკითხზე მუშაობა (გვ. 250-252). მოსწავლეები იმუშავებენ ტექსტსა და წყაროებზე, გაეცნობიან და გააანალიზებენ მასალებს ყირიმის ომის შესახებ, მის შედეგებს და გავლენას საქართველოზე. პედაგოგს საკითხის სიღრმისეულად გააზრებისათვის შეუძლია, გამოიყენოს სახელმძღვანელოში არსებული შეკითხვები.
- რატომ აღუდგნენ წინ ევროპული სახელმწიფოები რუსეთის ანტიოსმალურ გეგმებს?
- როგორ ისარგებლა ოსმალეთმა სევასტოპოლში რუსეთის მარცხით?
- რა იყო ქართული მილიციის მოტივაცია რუსეთის კავკასიურ სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობის დროს?
- რატომ ჰპირდებოდნენ ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლები სამეგრელოს მთავარს დახმარებას?
- შენი აზრით, რამდენად რეალური იყო ეს წინადადება?
- რა გავლენას მოახდენდა საქართველოს ბედზე ყირიმის ომის შედეგები?
- გაიხსენე წინა გაკვეთილები. შენი აზრით, იმოქმედა თუ არა „თაფლაკვერის“ პოლიტიკამ ქართველი თავად-აზნაურების (მათ შორის 1832 წლის შეთქმულების მონაწილეების) განწყობაზე რუსეთის იმპერიის მიმართ? პასუხი დაასაბუთე.
- შენი აზრით, რამდენად შეუწყობდა ხელს ყირიმის ომში გამარჯვება ოსმალეთის იმპერიაში ევროპის დიდ სახელმწიფოთა გავლენის ზრდას? პასუხი დაასაბუთე.
- რომელი სახელმწიფოები ებრძოდნენ რუსეთს ყირიმის ომში? რამ გამოიწვია ევროპის სახელმწიფოთა მხარდაჭერა თურქეთისადმი?
- ომის მსვლელობის დროს რომელი დაკარგული ტერიტორიები დაუბრუნდა ოსმალეთს და რომელი – რუსეთს (წყარო გ)?
- შენი აზრით, ტრაქტატის რომელი მუხლები ლახავდა რუსეთის ინტერესებს? პასუხი დაასაბუთე.
- ვისთვის იყო მომგებიანი შავი ზღვის ნეიტრალურად გამოცხადება? პასუხი დაასაბუთე.
- როგორ წარმოვაჩინო სტატიის საშუალებით ყირიმის ომი და მისი გავლენა საქართველოზე?

მოსწავლის რვეული – დავალება 116

მომდევნო ეტაპზე მოსწავლეები გაეცნობიან მასალას XIX ს. 70-იან წლებში რუსეთის პოლიტიკაზე, აღედგინა მდგომარეობა შავი ზღვის აუზში და 1877 წელს დაწყებულ ახალ ომზე (გვ. 252-255). პედაგოგს საკითხის სიღრმისეულად გააზრებისათვის შეუძლია, გამოიყენოს სახელმძღვანელოში არსებული შეკითხვები.
- რატომ ვერ ეგუებოდა რუსეთი შავ ზღვაზე სამხედრო ფლოტის ყოლის უფლების შეზღუდვას?
- რა საბაბი გამოიყენა რუსეთმა ოსმალეთის წინააღმდეგ საომარ კამპანიაში ჩასართავად? რა იყო რუსეთის რეალური ინტერესი?

Do not copy

- რა განაპირობებდა ქართული საზოგადოების დაინტერესებას და აქტიურ ჩართულობას 1877 წელს დაწყებულ საომარ კამპანიაში?
- შენი აზრით, რატომ მოუწოდებდა ნ. ნიკოლაძე ქართველებს მამაცური ბრძოლისკენ? რის მოლოდინი ჰქონდა მას?
- რით იყო მნიშვნელოვანი საქართველოსთვის სან-სტეფანოს წინასწარი ხელშეკრულება?
- შენი აზრით, რას გულისხმობდა 21-ე მუხლი და რამდენად მოსალოდნელი იყო მოსახლეობის მასობრივი გადასახლება ოსმალეთში? პასუხი დაასაბუთე.
- გაიხსენე „მესამე რომის“ თეორია და იმსჯელე, რატომ იყო რუსეთის იმპერიისთვის მნიშვნელოვანი აღმოსავლეთ ევროპის სლავური სახელმწიფოების ოსმალეთის იმპერიისაგან დამოუკიდებლობა.
- შენი აზრით, რატომ დამკვიდრდა ქართულ ცნობიერებაში ტერმინი „ოსმალოს საქართველო“?

მომდევნო ეტაპზე მოსწავლეები გაეცნობიან მასალას 1877-1878 წწ. რუსეთ-ომალეთის ომის შესახებ, აჭარის დაბრუნებასა და მისი მნიშვნელობაზე (გვ. 255-256). პედაგოგს საკითხის სიღრმისეულად გააზრებისათვის შეუძლია, გამოიყენოს სახელმძღვანელოში არსებული შეკითხვები.

- როგორ ფიქრობ, რატომ აცხადებს რუსეთის იმპერატორი ბათუმს „პორტო-ფრანკოდ“?
- რომელ თანამედროვე ღირებულებებს აღიარებს ბერლინის ტრაქტატის 62-ე მუხლი?
- რუკა 38-ზე მოძებნე ბერლინის ტრაქტატის თანახმად ახლად წარმოქმნილი სახელმწიფოები, ოსმალეთის მიერ რუსეთისათვის დათმობილი ტერიტორიები.
- რა მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ერისთვის „ოსმალოს საქართველოს“ მიწა-წყლის შეერთებას დანარჩენ საქართველოსთან?
- რატომ უწყობდა ხელს რუსეთის იმპერია მუჰაჯირობას?
- შენი აზრით, რატომ არჩია დაბრუნებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის ნაწილმა რუსეთის იმპერიის სოციალურ-კულტურულ სივრცეში ინტეგრაციას ოსმალეთში გადასახლება?
- რას გეუბნება გულო კაიკაციშვილის მიმართვა (წყარო თ) ოსმალეთის იმპერიის მიერ მიტაცებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ქართველების დამოკიდებულებაზე თავიანთი ისტორიული სამშობლოს მიმართ?
- როგორი იყო ქართული საზოგადოების დამოკიდებულება მუჰაჯირობისადმი?

მოსწავლის რვეული – დავალება 117, 118

კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობისთვის

აღწერე, როგორ მიმდინარეობს/წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი.

- როგორ გეგმავ/დაგეგმე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი? რას ითვალისწინებდი სამუშაო პროცესის დაგეგმვისას?
- დაგეხმარა თუ არა პირველადი გეგმა მუშაობის პროცესში?
- რა დეტალებზე აკეთებდი აქცენტს სტატიის მომზადების პროცესში?
- წარიმართა თუ არა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი დაგეგმილის შესაბამისად?
- გახდა თუ არა საჭირო თავდაპირველად შემუშავებულ გეგმებში ცვლილებების შეტანა?
- რატომ არის საჭირო დავალების პირველადი ვერსიის შექმნა?
- რით განსხვავდება შესრულებული დავალების პირველადი ვერსია საბოლოოსგან?
- რა ფაქტორებმა გამოიწვია/შეუძლია გამოიწვიოს პირველადი დასკვნების გადასინჯვა?
- რა პროდუქტი შექმენი კომპლექსური დავალების სახით?
- რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი პროდუქტი ისტორიული სტატიაა?

Don't copy

ახსენი, რატომ შექმენი სტატია? რა საკითხის შესახებ გამოხატე შენი ცოდნა კომპლექსური დავალების საშუალებით?

- რატომ შეასრულე კომპლექსური დავალება?
- რა გრძელვადიან და მოკლევადიან მიზნებს ისახავდი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?
- ვისთვის და რატომ არის ეს პროდუქტი სასარგებლო და საინტერესო?
- რა იცოდი შესასწავლი საკითხის შესახებ? რა გაიგე ახალი? დამატებით რის გაგებას ისურვებდი?
- რა დასკვნებამდე მიხვედი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? რით დასტურდება შენ მიერ გაკეთებული დასკვნების მართებულობა/თანამიმდევრულობა?
- რა ხერხები გამოიყენე სასწავლო მასალის უკეთ გასააზრებლად?/კომპლექსური დავალების უკეთ შესასრულებლად?

რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?

- ვის წინაშე იყავი ანგარიშვალდებული სამუშაო პროცესში (მასწავლებლის, თანაკლასელების, სამეზობლო თემის)?
- რა საერთო მიზანი გქონდათ შენ და შენს მასწავლებელს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- გქონდა თუ არა საერთო მიზნები თანაკლასელებთან ერთად? იყო თუ არა შენთვის საინტერესო და სასიამოვნო კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი?
- რა გააკეთე დამოუკიდებლად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?
- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს?
- ვინ და როგორ დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? ვისთან ითანამშრომლე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?
- წააწყდი თუ არა კონფლიქტურ სიტუაციებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ შეძელი კონფლიქტის დარეგულირება?
- წააწყდი თუ არა გაურკვევლობებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? როგორ გაერკვიე ბუნდოვანებით მოცულ საკითხებში?
- შეხვდი თუ არაგანსხვავებულ მოსაზრებებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს? რამდენად შეძელი თანამშრომლობა განსხვავებული შეხედულებების ადამიანებთან? რა დაგეხმარება, რომ უკეთ გაიგო თანაკლასელების, მასწავლებლის სათქმელი?
- გააანალიზე, რა წესებს/კანონებს იცავდი და რატომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას (მაგალითად, რამდენად მოახერხე, აზრთა სხვადასხვაობის ვითარებაში ორიენტირებული ყოფილიყავი პრობლემაზე და არა კომუნიკაციაში ჩართულ ადამიანებზე? რით და როგორ გამოხატავდი ადამიანების მიმართ პატივისცემას კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს).
- რით დაგეხმარა მასწავლებელთან, სხვა მოსწავლეებთან დიალოგი კომპლექსური დავალების შესრულებაში?
- რით შეიძლება დახმარება გაუწიოს შენმა შეკითხვებმა თანაკლასელებს სათქმელის უკეთ ჩამოყალიბებაში?
- რა ფაქტორები გაითვალისწინე/უნდა გაითვალისწინო საიმისოდ, რომ შენი კომპლექსური დავალების პრეზენტაცია მსმენელისთვის გასაგები და მისაღები ყოფილიყო?
- გამოიყენე თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? რაში დაგეხმარა ტექნოლოგიების გამოყენება?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან? როგორ წარმოაჩენ ამ განსხვავებებს შეკითხვების სახით?
- შეაფასე, რამდენად გამოგივიდა ის, რაც მასწავლებლისგან გქონდა დავალებული.

Do not copy

სამიზნე ცნება – დრო

ქვეცნება: იულიუსის კალენდარი, გრიგორიანული კალენდარი

სამიზნე ცნება – საზოგადოება

ქვეცნება:
საზოგადოებრივი მოძრაობა, ეროვნული ერთიანობა, ერობა, ბატონყმობა, პროლეტარიატი, მეწარმეობა, პოლიტიკური პარტია, რევოლუციონერი

საკითხი – რა ცვლილება განიცადა საქართველოს საზოგადოებამ XIX საუკუნის მეორე ნახევარში?

საკვანძო შეკითხვა – როგორ წარმოვაჩინო პოლიტიკური ნარკვევის საშუალებით XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს საზოგადოებაში დაწყებული ახალი იდეური მოძრაობა და ქვეყანაში მომხდარი მნიშვნელოვანი სოციალური, კულტურული, პოლიტიკური ცვლილებები?

კომპლექსური დავალება
XIX საუკუნის II ნახევარი და XX საუკუნის დამდეგი რუსეთის იმპერიასა და საქართველოში დიდი ძვრებისა და გარდაქმნების ხანაა: ასპარეზზე გამოდიან „თერგდალეულები“, ხელისუფლებამ გაატარა სოციალური და სამართლებრივი რეფორმები, იწყება სოციალური მოძრაობები და ყალიბდება პოლიტიკური პარტიები. წარმოიდგინე, რომ პოლიტოლოგი ხარ და დაინტერესებული ხარ ამ ეპოქის კვლევით. გადაწყვიტე, რომ დაწერო მცირე პოლიტიკური ნარკვევი, რომელიც ამ საკითხებს შეეხება.

სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები **<u>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:</u>**	**შეფასების კრიტერიუმი** **<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>**	**<u>ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:</u>**
დრო (შედეგი: 1,2,3,4,5,6) • ისტორია დროში მიმდინარე ცვალებადობის შემსწავლელი დარგია; • კაცობრიობის მიერ განვლილი გზა სხვადასხვა ისტორიულ ეპოქად და პერიოდად იყოფა; • სხვადასხვა ხალხს დროის აღრიცხვის განსხვავებული სისტემები ჰქონდა. **საზოგადოება (შედეგი: 1,2,3,4,5,6)** • ისტორიულად მრავალი საზოგადოება არსებობდა, მაგრამ თითოეულ მათგანს ახასიათებდა საერთო ნიშნები: მათ წევრებს ჰქონდათ საერთო იდენტობა, ინტერესი, საზრუნავი და თანხმდებოდნენ ქცევის წესებსა და ღირებულებებზე;	**დრო** • აღწეროს შესწავლის ობიექტად შერჩეული ისტორიული პერიოდის მახასიათებლები და მათი მიმართება სხვა ისტორიულ ეპოქებთან/პერიოდებთან; • იმსჯელოს, როგორ აღრიცხავდნენ დროს და აღიქვამდნენ საკუთარ ეპოქას შესწავლის ობიექტად შერჩეულ დროში მცხოვრები ადამიანები.	

Draft copy

• საზოგადოება უფრო მცირე საზოგადოებრივ ჯგუფებად იყოფა; • პატარა საზოგადოებები უმეტესად უფრო დიდი საზოგადოების ნაწილს წარმოადგენენ; • საზოგადოების წევრებს ხშირად აქვთ სტერეოტიპული წარმოდგენები სხვა საზოგადოებების („კულტურული სხვის“) შესახებ.	**საზოგადოება** • აღწეროს შესაბამისი პერიოდის ადამიანების იდენტობის საშუალებები; მათი საერთო ინტერესები და საზრუნავი; • აღწეროს, რომელი სოციალური ფენებისგან შედგებოდა შესაბამისი პერიოდის საზოგადოება; • იმსჯელოს, ჰქონდათ თუ არა სტერეოტიპული წარმოდგენები ამ ისტორიულად არსებული საზოგადოების წევრებს სხვა საზოგადოებების მიმართ.	• როგორ და რატომ ცდილობდნენ „თერგდალეულები“ სხვადასხვა სოციალურ ფენას შორის თანხმობის მიღწევას და რა იდეები მიაჩნდათ საზოგადოების ერთიანობის საფუძვლად? **(საზოგადოება, 3)** • როგორ და რატომ მიმართავდა რუსეთი საქართველოში სხვა ეთნიკური ჯგუფების ხელოვნურად ჩასახლების პოლიტიკას და რა დამოკიდებულება არსებობდა ადგილობრივ და კოლონისტ მოსახლეობას შორის? **(საზოგადოება, 4)** • როგორ შეიცვალა საქართველოს საზოგადოებრივი ფენების ცხოვრება, ინტერესი, საზრუნავი XIX საუკუნის 60-იან წლებში მეფის რუსეთის მიერ გატარებული რეფორმების შედეგად? **(დრო, 1, საზოგადოება, 1)** • რომელი პოლიტიკური მოძრაობები და პარტიები ჩამოყალიბდა ქართულ საზოგადოებაში XX საუკუნის დამდეგს და როგორ დაიწყო ახალი ეპოქა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში? **(საზოგადოება, 2, დრო 2)** • საბოლოოდ როგორ დამკვიდრდა იულიუსის კალენდარი XIX საუკუნის საქართველოში და რატომ სურდა მეცნიერთა ნაწილს გრიგორიანულ კალენდარზე გადასვლა? **(დრო, 3)**

Don't copy

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 258-299

კომპლექსური დავალების შესრულების ეტაპები

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა
კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები

სარეკომენდაციო აქტივობა:
მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს რესურსს და დაფაზე წერს: „ნარკვევი". მოსწავლეები აყალიბებენ მოსაზრებებს პროდუქტთან დაკავშირებით, რის შემდეგაც მასწავლებელი ჯერ კითხვა-პასუხის, ხოლო შემდეგ მინილექციის მეთოდით მოსწავლეებს აცნობს ინფორმაციას პოლიტიკური ნარკვევის შესახებ.

რესურსი

ნარკვევი – რაიმე საკითხის ზოგადი მიმოხილვა.
ივერიელი: ისტორიულ-პოლიტიკური ნარკვევი – https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/80271

შეკითხვები:
- რა არის ნარკვევი?
- როგორ გესმით პოლიტიკური ნარკვევი? რა თემატიკა იქნება გამოკვეთილი?
- როგორ და რატომ იქმნება ნარკვევი?
- როგორ დავწეროთ ნარკვევი?
- წაგიკითხავთ თუ არა რაიმე ნარკვევი? დადებითი პასუხის შემთხვევაში, დაასახელეთ, რა მახასიათებლები აქვს მას?
- როგორ დავწეროთ ნარკვევი?
- რა ეტაპები უნდა გაიარო პოლიტიკური ნარკვევის შესაქმნელად?

კომპლექსური დავალება
- შენი სიტყვებით ჩამოაყალიბე, რას შეეხება დღეს მოცემული დავალება, რომელზეც რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში უნდა იმუშაოთ.
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ქვეცნება:
საზოგადოებრივი მოძრაობა, ეროვნული ერთიანობა

ქვესაკითხი:
ილია ჭავჭავაძის გამოსვლა სამოღვაწეო ასპარეზზე. „თერგდალეულები"

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 274-282

ნაბიჯი 1
- როგორ და რატომ ცდილობდნენ „თერგდალეულები" სხვადასხვა სოციალურ ფენას შორის თანხმობის მიღწევას და რა იდეები მიაჩნდათ საზოგადოების ერთიანობის საფუძვლად? **(საზოგადოება, 3)**

სასწავლო სტრატეგიები/მეთოდები, რომლებიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:
შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, ტექსტის ანალიზი, დისკუსია, დიაგრამები.

Don't copy

სარეკომენდაციო აქტივობა:

ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს საკითხზე მუშაობა. მოსწავლეები იმუშავებენ ტექსტსა და წყაროებზე (გვ. 274-276), გაეცნობიან „თერგდალეულთა“ სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლას და მათ მთავარ იდეებს. პედაგოგს შეუძლია, ცოდნის სიღრმისეულად გასააზრებლად გამოიყენოს სახელმძღვანელოში არსებული შეკითხვები.

- საზოგადოების რა დანიშნულებაზე მიუთითებდა ილია ჭავჭავაძე?
- შენი აზრით, რა მდგომარეობაში იყო ქართული საზოგადოება XIX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში და რატომ გახდა აუცილებელი ამ პრობლემებზე ყურადღების გამახვილება?
- შენი აზრით, რატომ ჰქონდათ ჟურნალ „ცისკრის“ გარშემო შემოკრებილ ადამინებს უნდობლობა სიახლეების მიმართ?
- ვინ იგულისხმება „მამებსა და შვილებში“ და რატომ ჰქონოდათ მათ განსხვავებული შეხედულება ქვეყნის განვითარების საკითხებთან დაკავშირებით?
- როგორ ფიქრობ, რა რეაქციას გამოიწვევდა ე. წ. „მამათა“ თაობაში ენის რეფორმა?
- შესაძლებელი იყო თუ არა, იგივე პროცესი დაეწყოთ XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართველ მოღვაწეებს? პასუხი დაასაბუთე.
- რატომ იყო სალიტერატურო ენის გამარტივება მნიშვნელოვანი?
- გაიხსნე, რომელ რევოლუციას უკავშირდება ლოზუნგი – „ძმობა, ერთობა და თანასწორობა“ და რა შეცვალა მან პოლიტიკურ და სოციალურ ურთიერთობებში?
- რომელ წოდებებზე ლაპარაკობს ილია? გაიხსნე, რა უფლებრივ-მოვალეობითი ურთიერთობები არსებობდა მათ შორის?
- ქართული საზოგადოების რა პრობლემაზე მიუთითებენ ილია ჭავჭავაძე და იაკობ გოგებაშვილი?
- შენი აზრით, რატომ იყო ეროვნული ერთიანობის მიღწევისთვის საჭირო ბატონყმობის სრული გაუქმება?
- შენი აზრით, რამდენად იყო შესაძლებელი ამ საზოგადოების ერთი იდეის გარშემო დარაზმვა?
- როგორ წარმოვაჩინო ნარკვევის საშუალებით „თერგდალეულთა“ სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის მიზნები?

შემდგომ ეტაპზე პედაგოგის ხელშეწყობით მოსწავლეები აგრძელებენ საკითხზე მუშაობას, გაეცნობიან ტექსტსა და წყაროებს „თერგდალეულთა“ ღონისძიებების შესახებ (გვ. 276-280). პედაგოგს შეუძლია, ცოდნის სიღრმისეულად გასააზრებლად გამოიყენოს სახელმძღვანელოში არსებული შეკითხვები.

- როგორ ფიქრობ, რატომ იყო ჟურნალ-გაზეთებისა და პერიოდული გამოცემების დაარსება და ფუნქციონირება საზოგადოების ცხოვრებისთვის მნიშვნელოვანი?
- შენი აზრით, სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის დაარსება რატომ და როგორ შეუწყობდა ხელს სოციალური ფენების ყოფის გაუმჯობესებას?
- როგორ ფიქრობ, რატომ გახდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელმაც შეცვალა საზოგადოების ცნობიერება?
- შესაძლებელი იყო თუ არა ასეთი ორგანიზაციის არსებობა XIX საუკუნის პირველ ნახევარში?
- 1832 წლის შეთქმულებიდან „თერგდალეულთა“ მოღვაწეობამდე სულ ოცდაათი წელი იყო გასული. რატომ და რამ შეცვალა ქართული საზოგადოების ახალგაზრდა წარმომადგენლების მსოფლმხედველობა?
- რატომ ანიჭებდნენ ი. ჭავჭავაძე და ი. გოგებაშვილი ასეთ დიდ მნიშვნელობას მშობლიური ენის დაცვას?

  „თერგდალეულთა“ რა დამსახურებებზე მიუთითებენ ე და ზ წყაროების ავტორები? ეთანხმები თუ არა მათ? რატომ?

Don't copy

- როგორ ფიქრობ, რატომ იყო დაინტერესებული ქართული საზოგადოების მდიდარი ფენა კულტურულ-საგანმათლებლო ღონისძიებებისთვის ფულადი მხარდაჭერით?
- როგორ წარმოვაჩინო ნარკვევის საშუალებით „თერგდალეულთა“ ღონისძიებები?

შემდგომ ეტაპზე პედაგოგის დახმარებით მოსწავლეები აგრძელებენ საკითხზე მუშაობას, გაეცნობიან ტექსტსა და წყაროებს ეროვნული მნიშვნელობის საკითხებთან „თერგდალეულთა“ დამკიდებულებების შესახებ (გვ. 281-282). პედაგოგს შეუძლია, ცოდნის სიღრმისეულად გასააზრებლად გამოიყენოს სახელმძღვანელოში არსებული შეკითხვები.

- როგორ და შენი აზრით, რატომ შეიცვალა ქვეყნის განმათავისუფლებელი მოძრაობის ტაქტიკა? რის გაუმჯობესებას ცდილობდნენ ილია ჭავჭავაძე და მისი მიმდევრები?
- როგორ ფიქრობ, რას გულისხმობს ილია დაცემულის ვინაობაში და რა ფათერაკზე მიუთითებდა ის? როგორ ფიქრობ, რატომ მიიჩნევდა ილია წოდებათა შორის არსებულ ხიდჩატეხილობას საზოგადოების მთავარ პრობლემად?
- შენი აზრით, რატომ მიაჩნდა ილიას ქვეყნის პოლიტიკური ავტონომიის მოპოვება საქართველოს დამოუკიდებლობის წინაპირობად?
- საქართველოს საზოგადოების ცნობიერებაში მომხდარ რა ცვლილებებზე მიუთითებს ნიკო ნიკოლაძე?
- როგორ წარმოვაჩინო ნარკვევის საშუალებით „თერგდალეულთა“ დამოკიდებულება ქვეყნის თავისუფლებისა და სოციალური უთანხმოების მოგვარების საკითხთან?

მოსწავლის რვეული – დავალებები 119-121

ქვეცნება:
ბატონყმობა, ერობა

ქვესაკითხი:
XIX საუკუნის 60-იანი წლების რეფორმები საქართველოში, ბატონყმობის გაუქმება

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 283-288

ნაბიჯი 2

- როგორ შეიცვალა საქართველოს საზოგადოებრივი ფენების ცხოვრება, ინტერესი, საზრუნავი XIX საუკუნის 60-იან წლებში მეფის რუსეთის მიერ გატარებული რეფორმების შედეგად? **(დრო, 1, საზოგადოება, 1)**

სასწავლო სტრატეგიები/მეთოდები, რომლებიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:
შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, ტექსტის ანალიზი, დისკუსია.

სარეკომენდაციო აქტივობა:
ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს საკითხზე მუშაობა. მოსწავლეები იმუშავებენ ტექსტსა და წყაროებზე, გაეცნობიან და გააანალიზებენ ბატონყმობის გაუქმების წინაპირობებს, პროცესსა და შედეგებს საქართველოსთვის (გვ. 283-286). პედაგოგს შეუძლია, ცოდნის სიღრმისეულად გააზრებისათვის გამოიყენოს სახელმძღვანელოში არსებული შეკითხვები და დავალება.

- როგორ ფიქრობ, რატომ გამწვავდა სოციალურ ფენებს შორის ურთიერთობა და როგორ ცდილობენ გლეხები საკუთარი ინტერესების დაცვას?
- შენი აზრით, რა პრობლემებს უქმნიდა რუსეთის იმპერიის ხელისუფლებას ქვეყანაში ბატონყმობის არსებობა? პასუხი დაასაბუთე.
- როგორ ახასიათებს ე. იოსელიანი ქართულ ბატონყმურ საზოგადოებას?
- შენი აზრით, რატომ უპირისპირდებოდნენ 60-იანელები ბატონყმობას?

Don't copy

- რას ეყრდნობოდა დასავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკა და რატომ ჩამორჩებოდა მათ რუსეთის იმპერია განვითარების დონით?
- შენი აზრით, რა იგულისხმება რუსეთის იმპერატორის სიტყვებში: „ჯობს ბატონყმობა გავაუქმოთ ზემოდან, ვიდრე ეს გლეხებმა გააკეთონ ქვემოდან“.
- ალექსანდრე II-ის მანიფესტით, რა შეიცვლა სოციალურ ფენებს შორის ურთიერთობაში?
- როგორ ფიქრობ, მანიფესტის პუნქტები გლეხს რეალურ თავისუფლებას აძლევდა? პასუხი დაასაბუთე.
- შენი აზრით, რამდენად რეალური იყო ის საშიშროება, რომელზეც გორის მაზრის მემამულეები მიუთითებდნენ?
- როგორ ფიქრობ, რომელი პროექტი უფრო მისაღები იქნებოდა ქართული საზოგადოებისთვის?
- რატომ ითვლებოდა, რომ პროლეტარიატი საფრთხეს შეუქმნიდა სახელმწიფოს? მოიყვანე მაგალითები ევროპის ისტორიიდან.
- „უმრავლესობის პროექტის“ რომელი დებულების წინააღმდეგ გამოდიოდა ილია ჭავჭავაძე?
- დააკვირდი შენ მიერ შედგენილ ცხრილს. წარმოდგენილი პროექტებიდან რა გაიზიარა და რა არა მთავრობამ?
- მემამულეები ვალდებული იყვნენ, გლეხებისთვის მიწა მიეყიდათ. როგორ შეიძლებოდა განვითარებულიყო მოვლენები საწინააღმდეგო შემთხვევაში?
- პროექტით რომელი მხარის უპირატესობაა გამოხატული, მემამულისა თუ გლეხისა? რა უპირატესობებია ეს? პასუხისათვის დაეყრდენი შესაბამის მუხლებს.
- გამოთქვი ვარაუდი, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში რეფორმა განსხვავებულად რატომ განხორციელდა?
- შენი აზრით, რატომ აკრიტიკებდა ამ რეფორმას ნ. ნიკოლაძე?
- როგორ ფიქრობ, ნაკლოვანებების მიუხედავად, რეფორმას დადებითი შედეგები მოჰყვებოდა?
- საზოგადოებაში როგორ სოციალურ ცვლილებებს გამოიწვევდა ეს რეფორმა?
- რა ეკონომიკურ პროცესებს დააჩქარებდა ყმა გლეხების გათავისუფლება?
- როგორ წარმოვაჩინო ნარკვევის საშუალებით ბატონყმობის გაუქმება და მისი შედეგები?

მოსწავლის რვეული – დავალება 122

შემდგომ ეტაპზე პედაგოგის დახმარებით მოსწავლეები აგრძელებენ საკითხზე მუშაობას, გაეცნობიან ტექსტსა და წყაროებს XIX საუკუნის 60-იანი წლების რეფორმების შესახებ (გვ. 286-288). პედაგოგს შეუძლია, ცოდნის სიღრმისეულად გასააზრებლად გამოიყენოს სახელმძღვანელოში არსებული შეკითხვები.

- რა საქმეებს უძღვებოდა ერობა? შენი აზრით, რატომ იყო ერობების უფლებები შეზღუდული და რატომ აკონტროლებდა მათ მუშაობს გუბერნატორი და შინაგან საქმეთა მინისტრი?
- თვითმმართველობის რა სიკეთეზე წერდა ნ. ნიკოლაძე?
- შენი აზრით, საზოგადოების რა მხრივ განვითარებას შეუწყობდა ეს რეფორმა?
- როგორ ფიქრობ, შესაძლებელი იყო თუ არა XIX საუკუნის პირველ ნახევარში ამ რეფორმის გატარება? პასუხი დაასაბუთე.
- შენი აზრით, რატომ არ განახორციელა მეფის რუსეთმა ერობის რეფორმა საქართველოში?
- რატომ იყო მნიშვნელოვანი სასოფლო მმართველობის რეფორმა?
- მიუხედავად მთავრობის ჩარევისა, შეუწყობდა თუ არა ეს რეფორმა ხელს სასოფლო საზოგადოების განვითარებას? თუ კი, რატომ?
- როგორ ფიქრობ, რატომ არ ჩაატარა ხელისუფლებამ სრულყოფილი სასამართლო რეფორმა იმპერიის არარუსულ გუბერნიებში?

Don't copy

- შენი აზრით, რას გამოიწვევდა იმპერიის არარუსულენოვან რეგიონებში სასამართლოს არამშობლიურ ენაზე წარმოება?
- შენი აზრით, საგლეხო რეფორმამ გამოიწვია თუ არა სხვა რეფორმების განხორციელების აუცილებლობა? თუ კი, რატომ?
- მიუხედავად შეზღუდვებისა, რამდენად მნიშვნელოვანი იყო საერობო და საქალაქო რეფორმები?
- როგორ წარმოვაჩინო ნარკვევის საშუალებით XIX საუკუნის 60-იანი წლების რეფორმები?

მოსწავლის რვეული – დავალება 123

ქვეცნება:
პრლეტარიატი, მეწარმეობა, იულისიუსის კალენდარი, გრიგორიანული კალენდარი

ქვესაკითხი:
საქართველოს საზოგადოება და ეკონომიკა XIX საუკუნის შუახანებში

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 289-309

ნაბიჯი 3
- როგორ შეიცვალა საქართველოს საზოგადოებრივი ფენების ცხოვრება, ინტერესი, საზრუნავი XIX საუკუნის 60-იან წლებში მეფის რუსეთის მიერ გატარებული რეფორმების შედეგად? **(დრო, 1, საზოგადოება, 1)**
- როგორ და რატომ მიმართავდა რუსეთი საქართველოში სხვა ეთნიკური ჯგუფების ხელოვნურად ჩასახლების პოლიტიკას და რა დამოკიდებულება არსებობდა ადგილობრივ და კოლონისტ მოსახლეობას შორის? **(საზოგადოება, 4)**
- საბოლოოდ როგორ დამკვიდრდა იულიუსის კალენდარი XIX საუკუნის საქართველოში და რატომ სურდა მეცნიერთა ნაწილს გრიგორიანულ კალენდარზე გადასვლა? **(დრო, 3)**

სასწავლო სტრატეგიები/მეთოდები, რომლებიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:
შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, ტექსტის ანალიზი, დისკუსია, დიაგრამები.

სარეკომენდაციო აქტივობა:
ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს საკითხზე მუშაობა. მოსწავლეები დაამუშავებენ ტექსტსა და წყაროებს XIX საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაში მომხადრი ცვლილებების შესახებ (გვ. 289-293). პედაგოგს შეუძლია, ცოდნის სიღრმისეულად გასააზრებლად გამოიყენოს სახელმძღვანელოში არსებული შეკითხვები.
- შენი აზრით, რატომ დაასახლა მთავარმართებელმა პავლე ციციანოვმა ერევნის სახანოდან მიგრირებულიი სომხები თბილისსა და ქვემო ქართლში?
- როგორ ფიქრობ, რატომ ასახლებდნენ რელიგიურ უმცირესობებს პერიფერიებში?
- როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ ადგილობრივებს ჩამოსახლებულების მიმართ? შენი აზრით, რა იყო ასეთი დამოკიდებულების განმაპირობებელი?
- როგორ ფიქრობ, სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა მასობრივი ჩამოსახლება შეიცავდა თუ არა იმ საფრთხეს, რომელზეც წყაროების (ბ, გ, დ) ავტორები მიუთითებენ?
- შენი აზრით, როგორ იმოქმედებდა გერმანელი კოლონისტების ჩამოსახლება საქართველოს სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაზე?
- შეადარე წყარო ე 46-ე და 47-ე პარაგრაფებში „თერგდალეულების“ მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს განვითარების, ეროვნული და რელიგიური უმცირესობების შესახებ და იმსჯელე, როგორ შეუწყობდა მათი იდეები ხელს საქართველოს საზოგადოების შემდგომ განვითარებას.

Draft copy

- რომელი მთავარი პრობლემაა გაშუქებული ვ, ზ, თ და ი წყაროებში?
- როგორ შეიცვლა ბატონყმობის გაუქმების შემდეგ საზოგადოებრივი ფენების ყოფა და მათი ურთიერთობა?
- რა ეკონომიკურ საქმიანობაში იყო ჩართული გლეხობა და როგორ აისახებოდა ეს მათ სოციალურ მდგომარეობაზე?
- როგორ ფიქრობ, იმდროინდელი ქართული არისტოკრატიის უმეტესობამ რატომ ვერ აუწყო ფეხი ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარ ცვლელებებს?
- რა გზას გვთავაზობს ნ. ნიკოლაძე და შენი აზრით, როგორ შეიძლებოდა დაძლეულიყო ეს პრობლემა?
- რა ნიშნის მიხედვით იყო ქართული საზოგადოება დაქსაქსული?
- შენი აზრით, რა იყო ამ დაქსაქსულობის ძირითადი მიზეზი?
- გაიხსენე ქართული ლიტერატურიდან დ. კლდიაშვილის ნაწარმოებები. როგორაა ეს პრობლემა გაშუქებული? როგორ ფიქრობ, მიწის გარეშე დარჩენილ არისტოკრატიული ფენა როგორ ეცდებოდა საკუთარი ინტერესების დაცვას?
- როგორ წარმოვაჩინო ნარკვევის საშუალებით საქართველოს საზოგადოებრივ ფენებში მომხდარი ცვლილებები?

შემდგომ ეტაპზე პედაგოგის დახმარებით მოსწავლეები აგრძელებენ საკითხზე მუშაობას, გაეცნობიან ტექსტსა და წყაროებს ეკონომიკაში, განათლებაში მომხდარი ცვლილებების შესახებ, კალენდართან დაკავშირებულ საკითხს (გვ. 294-298). პედაგოგს შეუძლია, ცოდნის სიღრმისეულად გასააზრებლად გამოიყენოს სახელმძღვანელოში არსებული შეკითხვები.

- გაიხსენე, წელთაღრიცხვის აღნუსხვის რომელ სისტემებს იყენებდა ვახუშტი ბატონიშვილი?
- შენი აზრით, XIX საუკუნეში ჩვენს ქვეყანაში ძირითადად იულიუსის კალენდარი რატომ მოქმედებდა?
- როგორ ფიქრობ, რამ შეუწყო ხელი ახალი სოციალური ფენების გაჩენას და რამ განაპირობა მათი წოდებებად დაყოფა?
- რა ინფრასტრუქტურული ცვლილებები განხორციელდა ამ ეპოქაში და როგორ უწყობდა ეს პროექტები ხელს ეკონომკის განვითარებას?
- როგორ იმოქმედა „თერგდალეულთა“ მოღვაწეობამ მოსახლეობის განათლების დონის ამაღლებაზე?
- სასკოლო ქსელის გაფართოება გამოიწვევდა თუ არა მომავალში საზოგადოებრივ ცვლილებებს? როგორ? პასუხი დაასაბუთე.
- შეაფასე იმდროინდელი საქართველოს ეკონომიკური პოტენციალი და იმსჯელე, როგორ შეუწყობდა ხელს რესურსების სამართლიანი გამოყენება სოციალური ფენების ყოფის გაუმჯობესებას.
- მსოფლიოს ისტორიიდან გაიხსენე სხვადასხვა ქვეყნის დამოკიდებულება საკუთარი კოლონიების მიმართ და გაავლე პარალელი რუსეთის იმპერიულ პოლიტიკასთან.
- შენი აზრით, რატომ არ იყო დაინტერესებული რუსეთის იმპერია საქართველოში მესაკუთრეთა ძლიერი ფენის ჩამოყალიბებით?
- როგორ ფიქრობ, რატომ უჭერდა მხარს კავკასიის ადმინისტრაცია სომხურ ბურჟუაზიას?
- რატომ ცდილობდა რუსული იმპერიული მმართველობა, შუღლი ჩამოეგდო ორ მოძმე ერს შორის?
- შენი აზრით, როგორ უნდა დაპირისპირებოდა ქართული და სომხური საზოგადოება ამ პრობლემას?
- როგორ წარმოვაჩინო ნარკვევის საშუალებით XIX საუკუნეში ქრონოლოგიის საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები?

მომდევნო ეტაპზე პედაგოგის დახმარებით მოსწავლეები აგრძელებენ საკითხზე მუშაობას, გაეცნობიან ტექსტსა და წყაროებს XIX საუკუნის ქართული კულტურის შესახებ (გვ. 299-309). პედაგოგს შეუძლია, ცოდნის სიღრმისეულად გასააზრებლად გამოიყენოს სახელმძღვანელოში არსებული შეკითხვები.

Don't copy

- როგორ შეიცვალა საქართველოს საზოგადოება ბატონყმობის გაუქმების შემდეგ?
- შენი აზრით, როგორ აისახა ქართველი მეწარმეების ფილანთროპიული საქმიანობა საქართველოს კულტურულ-საგანმათლებლო და სოციალურ ყოფაზე?
- შენი აზრით, რატომ იყო მნიშვნელოვანი ქართულ-უცხოური და უცხოურ-ქართული ლექსიკონების გამოცემა?
- გაანალიზე იაკობ გოგებაშვილის და ივანე ჯავახიშვილის მოსაზრება „ისტორიის რაობის“
- თაობაზე და იმსჯელე, რომელი მათგანია შენთვის უფრო მისაღები. რატომ?
- შენი აზრით, რატომ იყო მნიშვნელოვანი, ქართველი სწავლულების იმპერიის სხვადასხვა
- ქალაქების სამეცნიერო ცენტრებში მოღვაწეობა?
- შენი აზრით, რატომ აკეთებს აქცენტს წყარო ო-ს ავტორი იმ კონკრეტულ პერიოდზე, როდესაც ქართველი რომანტიკოსები მოღვაწეობდნენ? რა ცვლილებები მოხდა საქართველოს საზოგადოებაში XIX საუკუნის I ნახევარში, რამაც მათი სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლა გამოიწვია?
- ილიას აზრით, რა განასხვავებს სხვა რომანტიკოსებისგან ნიკოლოზ ბარათაშვილს?
- დაუკავშირე საზოგადოებაში მიმდინარე პროცესები ქართულ ლიტერატურაში მიმდინარე ცვლილებებს.
- შენი აზრით, უკავშირდება თუ არა ეს ცვლილებები წინა თაობის, განსაკუთრებით ნ. ბარათაშვილის, შემოქმედებას?
- რა წვლილი შეჰქონდათ არაქართველ მოღვაწეებს საქართველოს ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში?
- როგორ წარმოვაჩინო ნარკვევის საშუალებით XIX საუკუნის ქართული კულტურა?

მოსწავლის რვეული – დავალება 123-125

ქვეცნება:
პოლიტიკური პარტია, რევოლუციონერი

ქვესაკითხი:
პოლიტიკური პარტიების გაჩენა საქართველოში. პირველი რევოლუცია.

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 310-326

ნაბიჯი 4
- რომელი პოლიტიკური მოძრაობები და პარტიები ჩამოყალიბდა ქართულ საზოგადოებაში XX საუკუნის დამდეგს და როგორ დაიწყო ახალი ეპოქა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში? (საზოგადოება, 2, დრო 2)

სასწავლო სტრატეგიები/მეთოდები, რომლებიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:
შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, ტექსტის ანალიზი, დისკუსია, კოგნიტური სქემები.

სარეკომენდაციო აქტივობა:
ამ კრიტერიუმების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაიწყოს საკითხზე მუშაობა. მოსწავლეები იმუშავებენ ტექსტსა და წყაროებზე, საქართველოში მარქსიზმის, სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების დაფუძნების შესახებ (გვ. 310-313). პედაგოგს შეუძლია ცოდნის სიღრმისეული გააზრების მიზნით გამოიყენოს სახელმძღვანელოში არსებული შეკითხვები.
- როგორ ფიქრობ, რამ განაპირობა საქართველოში პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბება?
- შენი აზრით როგორ შეეძლოთ მათ საზოგადოებრივი ფენების ინტერესების გამოხატვა და მათი საჭიროებების დაკმაყოფილება?

Don't copy

- რა იყო მარქსიზმის მთავარი იდეა?
- როგორ ფიქრობ, რას გულისხმობდნენ მარქსისტები, როდესაც ამბობდნენ, რომ კაპიტალისტურმა წყობამ თავისი მესაფლავე კლასი, პროლეტარიატი, წარმოშვა?
- შენი აზრით, რამდენად რეალისტური იყო მათი იდეა უკლასო საზოგადოების ჩამოყალიბების შესახებ?
- იმსჯელე საქართველოში მარქსიზმის ჩამოყალიბების მიზეზებსა და წინაპირობებზე.
- „ისტორიის“ გაკვეთილიდან გაიხსნე, რას ქადაგებდნენ ევროპელი სოციალ-დემოკრატები და რა განასხვავებდა მათ რუსი სოციალ-დემოკრატებისგან?
- შენი აზრით, რატომ შეერწყა ქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას?
- გამოთქვი მოსაზრება, როგორ და რატომ შეძლო სოცილ-დემოკრატიულმა პარტიამ ფართო მასების მხარდაჭერის მოპოვება?
- შენი აზრით, რით იყო განპირობებული ის ფაქტი რომ საქართველოში ბოლშევიკებთან შედარებით მენშევიკები უფრო დიდი გავლენით სარგებლობდნენ? პასუხი დაასაბუთე.
- რა მიაჩნდა ევგენი გეგეჭკორს ქვეყნის ყველა უბედურების მიზეზად? რას ფიქრობ მის მოსაზრებაზე?
- როგორი იყო სოციალ-დემოკრატთა დამოკიდებულება ეროვნული საკითხის მიმართ და რა მიზეზებით იყო ეს დამოკიდებულება გამოწვეული?
- გააანალიზე წყაროები და გამოთქვი ვარაუდი, რომელ ქართველ მოღვაწეს დაუპირისპირდებოდნენ სოციალ-დემოკრატები?
- როგორ წარმოვაჩინო ნარკვევის საშუალებით მარქსიზმის გავრცელება და სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ჩამოყალიბება საქართველოში?

მომდევნო ეტაპზე პედაგოგის დახმარებით მოსწავლეები აგრძელებენ საკითხზე მუშაობას, გაეცნობიან ტექსტსა და წყაროებს ეროვნული მიმართულების მქონე პოლიტიკური ძალების, ასევე ანარქისტების შესახებ (გვ. 314-316). პედაგოგს შეუძლია, ცოდნის სიღრმისეულად გასააზრებლად გამოიყენოს სახელმძღვანელოში არსებული შეკითხვები.

- რა მსგავსება-განსხვავებაა სოციალ-დემოკრატებსა და სოციალისტ-ფედერალისტებს შორის?
- ძირითადად რომელი ფენების ინტერესებს გამოხატავდნენ სოციალისტ-ფედერალისტები?
- შენი აზრით, რამდენად რეალისტური იყო სოციალისტ-ფედერალისტთა იდეები? რა განწყობა დახვდებოდა მას იმპერიულ ხელისუფლებაში?
- ბრძოლის რა ხერხებს მიმართავდნენ სოციალისტ-ფედერალისტები? რომელი გზაა შენთვის მისაღები?
- რატომ ცდილობდნენ ილია და მისი თანამოაზრეები, პარტია ზეკლასობრივ, ზოგადეროვნულ ძალად ექციათ?
- ილიას, როგორც პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის, რომელი ძირითადი იდეა შეგიძლია ამოიკითხო წერილის ნაწყვეტში?
- რა ძირეული განსხვავება იყო სოციალ-დემოკრატებისა და ეროვნულ-დემოკრატების იდეოლოგიას შორის? რომელს ეთანხმები? რატომ?
- რამდენად ეთანხმებოდა ქართველი ანარქისტების მსოფლმხედველობა პიერ პრუდონის გამონათქვამს?
- შენი აზრით, შესაძლებელია თუ არა სახელმწიფოსა და საზოგადოების მართვა იერარქიის გარეშე?
- როგორ ფიქრობ, რატომ არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა სოციალიზმის მიღწევის გზებთან დაკავშირებით?
- რა მსგავსება-განსხვავებებს ხედავ ქართველი ანარქისტებისა და სოციალ-დემოკრატების, სოციალისტ-ფედერალისტებისა და ეროვნულ-დემოკრატების ნააზრევს შორის?
- როგორ წარმოვაჩინო ნარკვევის საშუალებით ეროვნული მიმართულების მქონე პარტიების გაჩენა XX საუკუნის დამდეგის საქართველოში?

Demo copy

შემდეგ ეტაპზე მოსწავლეები აგრძელებენ საკითხზე მუშაობას, გაეცნობიან ტექსტსა და წყაროებს 1905-1907 წწ. რევოლუციის წინ საქართველოში არსებული მდგომარეობისა და რევოლუციური გამოსვლების დაწყების შესახებ (გვ. 317-318). პედაგოგს შეუძლია, ცოდნის სიღრმისეულად გასააზრებლად გამოიყენოს სახელმძღვანელოში არსებული შეკითხვები.

- რატომ რჩებოდა აგრარული საკითხი საქართველოს საზოგადოების ძირითად პრობლემად?
- საზოგადოების რომელი ფენები იყვნენ რევოლუციის ინიციატორები? რატომ?
- შენ აზრით, რატომ გავრცელდა რევოლუციური მოძრაობა ასე სწრაფად რუსეთის იმპერიის პერიფერიებში?
- შენი აზრით, რატომ ვერ მოხერხდა წოდებათა შორის „ჩატეხილი ხიდის“ გამთელება?
- რა საშიშროებას უქადდა საქართველოს საზოგადოებას ის უსამართლობა, რასაც „ერთობის“ სახელით სჩადიოდნენ?
- რა პრობლემაზე ამახვილებენ ყურადღებას ვაჟა და ილია?
- რა მოკლევადიანი და გრძელვადიანი შედეგების მოტანა შეეძლო ხელისუფლების ძალადობრივ პოლიტიკას?
- შენი აზრით, ასეთ პოლიტიკურ ვითარებაში შესაძლებელი იქნებოდა თუ არა საქართველოს ეკლესიის გარშემო საზოგადოების კონსოლიდაცია? პასუხი დაასაბუთე.
- როგორ წარმოვაჩინო ნარკვევის საშუალებით 1905-07 რევოლუციის წინაპირობები?

მოსწავლის რვეული – დავალება 127

შემდეგ ეტაპზე მოსწავლეები აგრძელებენ საკითხზე მუშაობას, გაეცნობიან ტექსტსა და წყაროებს 1905-107 წწ. რევოლუციის დროს მეფის ხელისუფლების დათმობებისა და საქართველოში არსებული ვითარების შესახებ (გვ. 319-320). პედაგოგს შეუძლია, ცოდნის სიღრმისეულად გასააზრებლად გამოიყენოს სახელმძღვანელოში არსებული შეკითხვები.

- იქნებოდა თუ არა მეფისნაცვლის ინსტიტუტის აღდგენა ქართველი თავადაზნაურობის მოთხოვნაზე დამაკმაყოფილებელი პასუხი?
- ვისთვის იქნებოდა სასარგებლო ეთნიკურ ნიადაგზე კავკასიის ხალხების დაპირისპირება? რატომ?
- რატომ მიიჩნია მეფის ხელისუფლებამ თბილისი შიდა დაპირისპირებების პროვოცირებისათვის ხელსაყრელ ადგილად?
- გაავლე პარალელი XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე ეთნიკურ ნიადაგზე კავკასიაში მომხდარ ეთნიკურ დაპირისპირებებთან. იმსჯელე ასეთ პირობებში საზოგადოებაში მომხდარ ცვლილებებზე.
- რაზე მიუთითებს ევროპელი ანარქისტების დახმარება ქართველი აჯანყებულებისთვის?
- რატომ უჭერდა „თერგდალეულთა“ უფროსი თაობა მხარს რევოლუციას? შენი აზრით, რა მოლოდინები ექნებოდათ მათ ამ პროცესებისგან?
- რამდენად უპასუხებდა 17 ოქტომბრის მანიფესტი ხალხის მოთხოვნებს?
- რა მნიშვნელობა ჰქონდა მუშებისა და გლეხების მიერ პოლიტიკური უფლებების მოპოვებას?
- როგორ ფიქრობ, რამდენად ეფექტიანი იქნებოდა სახელმწიფო სათათბიროს მუშაობა?
- XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის რომელი გზა იყო მისაღები? რატომ?

- როგორ წარმოვაჩინო ნარკვევის საშულაებით რუსეთის პირველი რევოლუციის დროს მეფის ხელისუფლების პოლიტიკური დათმობები და მისი შედეგები?

მომდევნო ეტაპზე მოსწავლეები აგრძელებენ საკითხზე მუშაობას, გაეცნობიან ტექსტსა და წყაროებს 1905-07 წწ. რევოლუციის დროს მეფის ხელისუფლების არათანამიმდევრულ პოლიტიკაზე, პოლიტიკურ დევნაზე (გვ. 321-322). პედაგოგს შეუძლია, ცოდნის სიღრმისეულად გასააზრებლად გამოიყენოს სახელმძღვანელოში არსებული შეკითხვები.

Draft copy

- რატომ იჩენდა მეფის მთავრობა განსაკუთრებულ სისასტიკეს იმპერიის იმ მხარეებში, სადაც ე. წ. ეროვნული უმცირესობები ცხოვრობდნენ?
- რატომ აღმოჩნდა 17 ოქტომბრის მანიფესტით ნაწყალობები უფლებები ხანმოკლე?
- რამდენად მნიშვნელოვანი იყო რევოლუციონერებისთვის ევროპისა და ამერიკის საინფორმაციო გამოცემების მხარდაჭერა? შეეძლო თუ არა ამ თანადგომას სიტუაციაზე გავლენის მოხდენა?
- შენი აზრით, რამდენად მისაღები იქნებოდა საქართველოს საზოგადოების უმრავლესობისა და პოლიტიკური წრეების წარმომადგენლებისთვის ვ და ზ წყაროების ავტორთა მოსაზრება?
- ავტორების აზრით, რის საშუალებას აძლევს პოლიტიკოსებს საპარლამენტო ტრიბუნა? იზიარებ თუ არ მათ მოსაზრებებს? რატომ?
- გამოთქვი ვარაუდი, რატომ ჰქონდა დიდი მნიშვნელობა ვარლამ გელოვანის გამოსვლას?
- რა არგუმენტებს ეყრდნობოდა ვარლამ გელოვანი? შენი აზრით, რატომ არ აღმოჩნდა სათათბიროსთვის საინტერესო მისი მოთხოვნები?
- რამდენად გამოხატავდა ეს გამოსვლა საქართველოს საზოგადოების ყველა ფენის ინტერესს?

მომდევნო ეტაპზე მოსწავლეები აგრძელებენ საკითხზე მუშაობას, გაეცნობიან ტექსტსა და წყაროებს ილია ჭავჭავაძის მკვლელობაზე, ქართულ საზოგადოებაში არსებულ გამოხმაურებაზე, რევოლუციის შედეგებზე (გვ. 295-298). პედაგოგს შეუძლია, ცოდნის სიღრმისეულად გასააზრებლად გამოიყენოს სახელმძღვანელოში არსებული შეკითხვები.

- რომელი პარტიებისთვის იქნებოდა მიუღებელი ილიას პოზიცია?
- როგორ ახასიათებენ ქართულ საზოგადოებას ვაჟა და სამსონ ფირცხალავა?
- რა დამოკიდებულებას გამოხატავს გაზეთი „ისარი“ ილიას მკვლელობის მიმართ?
- შენი აზრით, საზოგადოების რომელი ფენის ინტერესებს გამოხატავს ეს გაზეთი?
- გამოთქვი ვარაუდი, რომელი პარტიის გავლენის ქვეშ იყო მოქცეული პეტერბურგში მყოფი ქართველი სტუდენტების უმრავლესობა.
- გამოთქვი ვარაუდი, რომელი პარტიის გავლენის ქვეშ იყო მოქცეული პეტერბურგში მყოფი ქართველი სტუდენტების უმრავლესობა.
- რატომ იყო მნიშვნელოვანი, რომ საქართველოს საკითხი აქტუალური გამხდარიყო მსოფლიოს საზოგადოებისთვის?
- რატომ ინტერესდებოდა ევროპის საზოგადოება ქართველი ერის უფლებების დაცვის საკითხით?
- რისკენ მოუწოდებდა ნიკო ნიკოლაძე? რამდენად ეხმიანება მისი პროგნოზი, რომელიც 1879 წელს გააკეთა, XX საუკუნის I ათწლეულის მსოფლიოს ისტორიას?

პედაგოგი მოსწავლეს ავალებს ესეს დაწერას, რომელშიც გააანალიზებს „ხანგრძლივ XIX საუკუნეში“ საქართველოს საზოგადოებაში მომხდარ ცვლილებებს, მათ შედეგებს და ამის გათვალისწინებით გამოყოფს პერიოდებს, მათ შორის კრიტერიუმებს, რომლებითაც პერიოდები ერთმანეთისგან განასხვავდება.

მოსწავლის რვეული – დავალება 128

Don't copy

კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობისთვის

აღწერე, როგორ მიმდინარეობს/წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი.

- როგორ გეგმავ/დაგეგმე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი? რას ითვალისწინებდი სამუშაო პროცესის დაგეგმვისას?
- დაგეხმარა თუ არა პირველადი გეგმა მუშაობის პროცესში?
- რა დეტალებზე აკეთებდი აქცენტს პოლიტიკური ნარკვევის მომზადების პროცესში?
- წარიმართა თუ არა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი დაგეგმილის შესაბამისად?
- გახდა თუ არა საჭირო თავდაპირველად შემუშავებულ გეგმებში ცვლილებების შეტანა?
- რატომ არის საჭირო დავალების პირველადი ვერსიის შექმნა?
- რით განსხვავდება შესრულებული დავალების პირველადი ვერსია საბოლოოსგან?
- რა ფაქტორებმა გამოიწვია/შეუძლია გამოიწვიოს პირველადი დასკვნების გადასინჯვა?
- რა პროდუქტი შექმენი კომპლექსური დავალების სახით?
- რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი პროდუქტი პოლიტიკური ნარკვევია?

ახსენი, რატომ შექმენი პოლიტიკური ნარკვევი? რა საკითხის შესახებ გამოხატე შენი ცოდნა კომპლექსური დავალების საშუალებით?

- რატომ შეასრულე კომპლექსური დავალება?
- რა გრძელვადიან და მოკლევადიან მიზნებს ისახავდი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?
- ვისთვის და რატომ არის ეს პროდუქტი სასარგებლო და საინტერესო?
- რა იცოდი შესასწავლი საკითხის შესახებ? რა გაიგე ახალი? დამატებით რის გაგებას ისურვებდი?
- რა დასკვნებამდე მიხვედი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? რით დასტურდება შენ მიერ გაკეთებული დასკვნების მართებულობა/თანამიმდევრულობა?
- რა ხერხები გამოიყენე სასწავლო მასალის უკეთ გასააზრებლად?/კომპლექსური დავალების უკეთ შესასრულებლად?

რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?

- ვის წინაშე იყავი ანგარიშვალდებული სამუშაო პროცესში (მასწავლებლის, თანაკლასელების, სამეზობლო თემის)?
- რა საერთო მიზანი გქონდათ შენ და შენს მასწავლებელს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- გქონდა თუ არა საერთო მიზნები თანაკლასელებთან ერთად? იყო თუ არა შენთვის საინტერესო და სასიამოვნო კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი?
- რა გააკეთე დამოუკიდებლად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?
- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს?
- ვინ და როგორ დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? ვისთან ითანამშრომლე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?
- წააწყდი თუ არა კონფლიქტურ სიტუაციებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ შეძელი კონფლიქტის დარეგულირება?
- წააწყდი თუ არა გაურკვევლობებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? როგორ გაერკვიე ბუნდოვანებით მოცულ საკითხებში?
- შეხვდი თუ არა განსხვავებულ მოსაზრებებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს? რამდენად შეძელი თანამშრომლობა განსხვავებული შეხედულებების ადამიანებთან? რა დაგეხმარება, რომ უკეთ გაიგო თანაკლასელების, მასწავლებლის სათქმელი?

Do not copy

- გააანალიზე, რა წესებს/კანონებს იცავდი და რატომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას (მაგალითად, რამდენად მოახერხე, აზრთა სხვადასხვაობის ვითარებაში ორიენტირებული ყოფილიყავი პრობლემაზე და არა კომუნიკაციაში ჩართულ ადამიანებზე? რით და როგორ გამოხატავდი ადამიანების მიმართ პატივისცემას კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს).
- რით დაგეხმარა მასწავლებელთან, სხვა მოსწავლეებთან დიალოგი კომპლექსური დავალების შესრულებაში?
- რით შეიძლება დახმარება გაუწიოს შენმა შეკითხვებმა თანაკლასელებს სათქმელის უკეთ ჩამოყალიბებაში?
- რა ფაქტორები გაითვალისწინე/უნდა გაითვალისწინო საიმისოდ, რომ შენი კომპლექსური დავალების პრეზენტაცია მსმენელისთვის გასაგები და მისაღები ყოფილიყო?
- გამოიყენე თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? რაში დაგეხმარა ტექნოლოგიების გამოყენება?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან? როგორ წარმოაჩენ ამ განსხვავებებს შეკითხვების სახით?
- შეაფასე, რამდენად გამოგივიდა ის, რაც მასწავლებლისგან გქონდა დავალებული.

Don't copy

სოლოტაქსონომია

<table>
<tr><td colspan="3">პირველი კომპლექსური დავალება – ისტორიული მატიანის მომზადება XI-XIII სს. საქართველოს (1014-1223 წწ.) ისტორიული რეალობის შესახებ.</td></tr>
<tr><td colspan="3">პირველი კომპლექსური დავალება
დღიურის მომზადება ქვის ხანის საქართველოსა და დმანისის აღმოჩენების შესახებ</td></tr>
<tr><td rowspan="4">სოლოტაქსონომიის დონეები</td><td>სამიზნე ცნება</td><td>სამიზნე ცნება</td></tr>
<tr><td>დრო (შედეგი: 1,2,3,4,5,6)</td><td>ისტორიული წყარო (შედეგი: 1,2,3,4,5,6)</td></tr>
<tr><td>სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენა</td><td>სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენა</td></tr>
<tr><td>• ისტორია დროში მიმდინარე ცვალებადობის შემსწავლელი დარგია;
• კაცობრიობის მიერ განვლილი გზა სხვადასხვა ისტორიულ ეპოქად და პერიოდად იყოფა;
• სხვადასხვა ხალხს დროის აღრიცხვის განსხვავებული სისტემები ჰქონდა.</td><td>• ინფორმაციას წარსულის შესახებ ისტორიკოსები წყაროებიდან იღებენ;
• წარსულის შესწავლისას ისტორიკოსები სხვადასხვა ტიპის წყაროებს (ნივთიერს, ეთნოგრაფიულს, წერილობითს, ლინგვისტურს, კინო-, ფოტო-, ფონოდოკუმენტებს) ეყრდნობიან;
• ყველა წყარო ერთნაირად სანდო არ არის;
• წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია არაერთმნიშვნელოვანია, ამიტომ მათი ინტერპრეტაცია ისტორიკოსებს შორის დისკუსიის საგანია.</td></tr>
<tr><td>აბსტრაქტული დონე
მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი/ არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექ-სტუალიზების/ სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს პირად გამოცდილებას.</td><td colspan="2">ნაშრომის აღწერა
მოსწავლის მიერ შექმნილ მატიანეში ჩანს, რომ მას სიღრმისეულად აქვს გააზრებული შესასწავლი საკითხი. სამუშაო პროცესში მოცემული ეპოქის შესასწავლად იყენებს მრავალფეროვან წყაროებს, რომლებიც განსხვავდება თავიანთი ტიპოლოგიითა და წარმომავლობით, მაგალითად, ქართულ, ბიზანტიურ, სომხურ წყაროებს, რომლებიც ვიზუალური, ნარატიული ხასიათისაა და ა. შ. ახარისხებს ისტორიული წყაროებიდან მოპოვებულ ინფორმაციას და იყენებს მათ მიზნობრივად, კომპლექსური დავალების პირობის შესაბამისად; მსჯელობს წყაროების ტენდენციურობაზე, მაგალითად, იმაზე, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ მოვლენების ოფიციალური ვერსიაა წარმოდგენილი და იმ ეპოქის ისტორიული რეალობისა და მრავალფეროვანი წყაროების გამოყენებით კრიტიკულად იაზრებს მათ. მოსწავლე არგუმენტირებულად გამოყოფს მის მიერ შექმნილ მატიანეში პერიოდებს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობების მიხედვით (ბიზანტიასთან ურთიერთობა, თურქ-სელჩუკებთან ურთიერთობა...). მოსწავლე აფასებს მმართველი დინასტიის/ცალკეული მონარქების საქმიანობას და არგუმენტირებულად მსჯელობს მათი მოღვაწეობის დადებით და უარყოფით მხარეებზე. ნაშრომში იყენებს დროის აღრიცხვის სისტემა „ქორონიკონს“, ჩანს, რომ გააზრებული აქვს წელთაღრიცხვის ძველი სისტემის შესაბამისობა თანამედროვე სისტემასთან. თხრობის სტილი თანამიმდევრული და ენობრივად გამართულია, თხზულებაში ნათლად არის ასახული შეფასების კრიტერიუმები. მოსწავლე პარალელებს ავლებს სხვა ისტორიულ საკითხებთან, მაგალითად, დროის აღრიცხვის სისტემებს „ქორონიკონსა“ და „დასაბამითგან“ ადარებს ძველ ბერძნულ, რომაულ, თანამედროვე წელთაღრიცხვის სისტემებს (კომენტარის სახით), ბაგრატიონების დაპირისპირებას ბაღვაშთა საგვარეულოსთან ადარებს ვახტანგ გორგასლის დაპირისპირებას დიდაზნაურებთან და ა. შ.</td></tr>
</table>

Don't copy

<table>
<tr><td rowspan="2"></td><td colspan="2">მასწავლებლის კომენტარი</td></tr>
<tr><td colspan="2">შენ მშვენივრად გაართვი თავი შესასრულებელ დავალებას, შექმენი ისტორიული მატიანე, რომელშიც ასახულია 1014-1223 წლებში საქართველოში მომხდარი ისტორიული მოვლენები. მატიანეში თანამიმდევრულადაა დამუშავებული ყველა კრიტერიუმი, გამოყენებულია მრავალფეროვანი წყაროები, რომლებიც კრიტიკულადაა გააზრებული და შეფასებული, ეფექტიანად იყენებ ქრონოლოგიურ ერთეულებს და ჩანს, რომ კარგად ერკვევი ძველი და ახალი წელთაღიცხვის სისტემებში.
სამომავლოდ, საინტერესო იქნება, თუ უფრო მეტად იზრუნებ ნაშრომის ვიზუალურ მხარეზე და შეძლებისდაგვარად გაითვალისწინებ იმ მცირე დეტალებს, რომლებიც შეიძლება XIII საუკუნის ნაშრომს ჰქონდეს.</td></tr>
<tr><td rowspan="2">მიმართებითი დონე
მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის.</td><td colspan="2">ნაშრომის აღწერა</td></tr>
<tr><td>მოსწავლის მიერ წარმოდგენილ ნაშრომში ნათლად არის ასახული სამიზნე ცნება „დროს“ ყველა კრიტერიუმი. გაანალიზებულია ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკური სიტუაცია და აღწერილია თანამიმდევრულად, ქრონოლოგიური პრინციპით. მოსწავლის მიერ შექმნილ მატიანეში გამოყოფილია თხზულების ნაწილები ქრონოლოგიური პრინციპით, სადაც გათვალისწინებულია საერთაშორისო ასპარეზზე მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც საქართველოს ბედზე ახდენდა გავლენას. ცვლილებების ასახვისას მიზეზშედეგობრივი კავშირების წარმოსაჩენად საჭიროა უფრო მრავალფეროვანი არგუმენტაცია. მოსწავლე იყენებს წელთაღრიცხვის სისტემა „ქორონიკონს“, ათარიღებს კონკრეტულ ფაქტებს. უნდა აღინიშნოს, რომ არ ჩანს, რამდენად ერკვევა მოსწავლე მის მიმართებაში თანამედროვე წელთაღრიცხვის სისტემასთან („ქრისტეშობით“). ნაშრომი თანამიმდევრულია, ქრონოლოგიასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის მიზნობრივი გამოყენებით. ნაშრომს აკლია განზოგადება, მაგალითად, არ არის პარალელები წინარე ეპოქებთან.</td><td>მოსწავლემ წარმოადგინა მატიანე, რომელშიც გამოყენებულია მრავალფეროვანი წყაროები, ეს არის ნარატიული ისტორიული თხზულებანი, ისტორიული დოკუმენტები, ნახატები, რუკები და ა. შ. წყაროები არის როგორც ქართული, ისე არაქართული (სომხური, ბიზანტიური, დას. ევროპული და ა. შ.). მატიანეში მოსწავლე აღწერს ამბებს მრავალფეროვან ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, რომლებიც გაანალიზებული და კრიტიკულად გააზრებული აქვს. ის ცდილობს, ობიექტური მთხრობელი იყოს, გაითვალისწინოს ფაქტორები, რომლებიც წყაროების სანდოობაზე ახდენს გავლენას (მაგალითად, წყაროს ავტორის მდგომარეობა, წყაროს შექმნის კონტექსტი და ა. შ.), არასანდო ინფორმაცია გაფილტროს და კარგად გააზრებული ფაქტები საინტერესო თხრობის სტილით წარმოადგინოს. ნაშრომი თანამიმდევრულია, მოსწავლე სამიზნე ცნება „წყაროსთან“ დაკავშირებულ ტერმინოლოგიას მიზნობრივად და ეფექტიანად იყენებს. ნაშრომში არ ჩანს, რომ მოსწავლე განაზოგადებს მოსაზრებებს, აკეთებს მათ ინტერპრეტაციას.</td></tr>
</table>

Do not copy

	მასწავლებლის კომენტარი	
	შენ კარგად გაართვი თავი დავალებას, შექმენი მატიანე, რომელიც ასახავს საქართველოს ისტორიას XI საუკუნის დამდეგიდან XIII საუკუნის პირველი მეოთხედის ჩათვლით. ნაშრომში გაანალიზებულია მრავალფეროვანი წყაროები, რომლებიც აღწერს ამ პერიოდში საქართველოში მომხდარ მნიშვნელოვან ცვლილებებს და საერთაშორისო ასპარეზზე მომხდარ ამბებს, რომლებსაც საქართველოს ბედზე ჰქონდა გავლენა; თხრობა თანამიმდევრულია, კარგია, რომ იყენებ საჭირო ტერმინოლოგიას, გაქვს კრიტიკული დამოკიდებულება წყაროებში გადმოცემული ინფორმაციის მიმართ და არ იღებ მარტივად წყაროს ავტორის პოზიციას. შენ მიერ შექმნილ მატიანეში საკმაოდ ეფექტიანად იყენებ დროის აღრიცხვის სისტემა „ქორონიკონს“. მოვლენათა ცვალებადობა დალაგებულია თანამიმდევრულად, ქრონოლოგიური პრინციპით. სამომავლოდ, საკითხის სიღრმისეულად გააზრებისათვის, გთხოვ, ყურადღება მიაქციე თხრობის დროს მსჯელობის განზოგადებას, მოვლენების სხვადასხვა კუთხიდან ინტერპრეტირებას; წელთაღრიცხვის სისტემის გამოყენებისას მნიშვნელოვანია, ადვილად შეძლო ძველი და თანამედროვე წელთაღრიცხვის ერთმანეთთან შედარება და დაკავშირება; ამისთვის კიდევ უფრო მეტი იმუშავე პრაქტიკულად. მნიშვნელოვანია პარალელების გავლება სხვადასხვა ეპოქასთან, მოვლენების შედარება და განსხვავებული კონტექსტიდან განხილვა; მაგალითად, თავად დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მეფის მოღვაწეობას ალექსანდრე მაკედონელს ადარებს (ხატოვნად). საინტერესო იქნება, თუ სათანადო მაგალითებს მოიყვან როგორც საქართველოს, ისე სხვა ქვეყნების ისტორიიდან (იგულისხმება წინარე ეპოქა), გააკეთებ შედარებას ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის საფუძველზე, გამოიტან შესაბამის, არგუმენტირებულ დასკვნებს.	
	ნაშრომის აღწერა	
მულტისტრუქ-ტურული დონე მოსწავლეს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/ წარმოდგენა აქვს განსახილველ საკითხზე.	მოსწავლის მიერ შექმნილ „მატიანეში“ გამოყენებულია ქრონოლოგიური ერთეულები, იგი იყენებს დროის აღრიცხვის სისტემა „ქორონიკონს“, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში გამოყენებულია თანამედროვე წელთარღიცხვის სისტემა „ქრისტეშობით“. მოსწავლეს უჭირს ამ ორი წელთარღიცხვის სისტემის ერთმანეთთან დაკავშირება და მსგავსება-განსხვავებების გააზრება. მოსწავლის ნაშრომში ქრონოლოგიური თანამიმდევრობითაა ნაჩვენები, როგორ მიმდინარეობდა პოლიტიკური პროცესები განვითარებული ფეოდალიზმის ხანის საქართველოში (XI-XIII სს.), თუმცა აქაც არის ცალკეული პრობლემები, ზოგიერთი მნიშვნელოვანი ფაქტი ზედაპირულადაა წარმოდგენილი, ასევე არ არის ნათელი ბმა მოვლენებს შორის და აკლია სიცხადე. თხრობა უფრო სპონტანური ხასიათისაა. მოსწავლე გამოთქვამს თავის მოსაზრებებს ცალკეულ ისტორიულ მოვლენებზე, თუმცა მსჯელობა ზედაპირულია და სიღრმისეული არგუმენტაცია აკლია.	მოსწავლე თხრობის პროცესში იყენებს მრავალფეროვან წყაროებს, როგორც ქართულს, ისე უცხოურს, მაგალითად, გამოყენებულია „ქართლის ცხოვრება“, ბიზანტიური წყაროები და ა. შ. თხრობა ვრცელია და მოიცავს ეპოქის შესახებ მნიშვნელოვან ამბებს, თუმცა ერთგვარად ფრაგმენტული ხასიათისაა, ნაშრომს აკლია შინაარსობრივი ბმა და ა. შ. თხრობაში არ არის ნათლად ახსნილი, არგუმენტირებულად, მიზეზშედეგობრივი კავშირების დონეზე, როგორ იცვლებოდა ქართველი მონარქების პოლიტიკა ამ საუკუნეების განმავლობაში. ავტორი გადმოსცემს განსაზღვრულ ფაქტებს საკითხთან დაკავშირებით, რომლებსაც შესაბამისი ანალიზი და გააზრება აკლია. მოსწავლე იყენებს წყაროებში გადმოცემულ შეფასებებს, რომლებიც „მატიანეში“ სათანადო კრიტიკული გააზრების გარეშე არის გადმოტანილი და ერთგვარად წინააღმდეგობრივი ხასიათისაა. თხრობა გამართულია, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში ნაშრომს აკლია საჭირო ტერმინოლოგია.

DRAFT COPY

<table>
<tr><td rowspan="2"></td><td colspan="2">მასწავლებლის კომენტარი</td></tr>
<tr><td colspan="2">შენ კარგად გაიგე დავალების პირობა, შექმენი „მატიანე“, რომელშიც ასახულია კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები. კარგია, რომ ნაშრომში გამოყენებულია მრავალფეროვანი წყაროები, მათი წარმომავლობისა და ტიპოლოგიის მიხედვით; ჩანს, რომ შეგიძლია სხვადასხვა ქრონოლოგიური სისტემის გამოყენება, მათ შორის წელთაღრიცხვა „ქორონიკონის“.
სამომავლოდ ყურადღება მიაქციე, რომ შეფასების ყველა კრიტერიუმი სრულყოფილად იყოს წარმოდგენილი. მაგალითად, შენს ნაშრომში შეფასების II კრიტერიუმი, რომელიც ამ ეპოქის საქართველოს მმართველების პოლიტიკის ცვალებადობასთან დაკავშირებული წყაროების ანალიზს შეეხება, შედარებით სუსტადაა წარმოდგენილი, გამოყენებულ წყაროებს უფრო მეტი კრიტიკული გააზრება სჭირდება. შეეცადე, უფრო სიღრმისეულად გაერკვიო ძველი („ქორონიკონი“) და ახალი წელთაღრიცხვის სიტემების ურთიერთკავშირში. ყურადღება გაამახვილე ნაშრომის თხრობის სტილზე, შინაარსობრივ მთლიანობაზე, გამოიყენე ისეთი ტერმინოლოგია, რომელიც მნიშვნელოვანია ეპოქის ისტორიული რეალობის ასახვისათვის.</td></tr>
<tr><td rowspan="3">უნისტრუქტურული დონე
მოსწავლეს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/ წარმოდგენა აქვს განსახილველ საკითხზე.</td><td colspan="2">ნაშრომის აღწერა</td></tr>
<tr><td>მოსწავლემ ძირითადად გაიგო დავალების არსი და შექმნა ნაშრომი, რომელიც ასახავს საქართველოს XI-XIII სს.-ში. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ერთ ასპექტზე: წარმოდგენილია ქართველი მონარქების პოლიტიკის ცვალებადობა, ძირითადად ბაგრატ IV-ის მოღვაწეობის მაგალითზე. ნაშრომი მეტწილად აღწერითი ხასიათისაა, არ ჩანს ნათლად საშინაო და საგარეო პოლიტიკური ფაქტორები, რომლებიც მეფის პოლიტიკურ კურსსა და გადაწყვეტილებებზე ახდენდა გავლენას. თხრობა მწირი ფაქტებითაა წარმოდგენილი. მოსწავლის მსჯელობა ზედაპირულია და ემყარება მარტივ კონსტრუქციებს (მაგ., „ბაგრატ IV კარგი მმართველი იყო“, თუმცა არ არის მოყვანილი სათანადო არგუმენტი). არ არის გამოყენებული წელთაღრიცხვა „ქორონიკონი“.</td><td>მოსწავლემ ძირითადად გაიგო დავალების პირობა და შექმნა „მატიანე“. ნაშრომი კომპლექსური დავალების პირობით გათვალისწინებულ ეპოქას შეეხება, თუმცა მხოლოდ ერთი კრიტერიუმია წარმოდგენილი: „როგორ იცვლებოდა ქართველი მონარქების პოლიტიკა საუკუნეების განმავლობაში და რამდენად სანდო ან წინააღმდეგობრივია მათ შესახებ არსებული ცნობები“. ნაშრომი წარმოადგენს მხოლოდ ერთ ასოციაციას დავალებასთან დაკავშირებით. ასახულია ძირითადად ბაგრატ IV-ის მოღვაწეობასთან დაკავშირებული მოვლენები. ემყარება მხოლოდ ქართულ წყაროებს, შესაბამისად, მოპოვებული ინფორმაცია ნათლად ვერ ასახავს რეალობას საგარეო ურთიერთობების კონტექსტში. წყაროების გამოყენების დროს მოსწავლე იზიარებს წყაროს ავტორის პოზიციას და არ ჩანს საკითხის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება, არ არის გამოკვეთილი საკუთარი არგუმენტირებული შეხედულება.</td></tr>
<tr><td colspan="2">მასწავლებლის კომენტარი</td></tr>
<tr><td></td><td colspan="2">შენ ძირითადად გაიგე კომპლექსური დავალების პირობა, შექმენი თხზულება „მატიანის“ სახით, მაგრამ ნაშრომში ჩანს დავალების მხოლოდ ერთი კრიტერიუმი (მე-3 კრიტერიუმი) და ასახულია ქართველი მონარქების პოლიტიკის ცვალებადობა და მის შესახებ არსებული წყაროები. აქცენტი კეთდება ძირითადად ბაგრატ IV-ის მოღვაწეობაზე.
სამომავლოდ, გთხოვ, ყურადღებით წაიკითხო დავალების ყველა კრიტერიუმი, ყურადღება გაამახვილე ქრონოლოგიაზე და დავალების პირობის შესაბამისად გამოიყენე შუა საუკუნეების საქართველოში არსებული წელთაღრიცხვის სისტემა („ქორონიკონი“). მნიშვნელოვანია, რომ ამბის თხრობა მრავალფეროვან წყაროებზე (ქართული, უცხოური) იყოს აგებული და არა მხოლოდ ქართულ წყაროებზე. ამიტომ ნაშრომზე მუშაობისას შეაჯერე მრავალფეროვანი მასალები და კრიტიკულად მიუდექი წყაროს ავტორების შეხედულებებს, გამოიტანე საკუთარი დასკვნები. ყურადღება გაამახვილე ნაშრომის ფორმასა და შინაარსობრივ მთლიანობაზე, გამოიყენე მიზნობრივი (ისტორიული ეპოქის, ნაშრომის) შესაბამისი ტერმინოლოგია.</td></tr>
</table>

Do not copy

პრესტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.	**ნაშრომის აღწერა**
	მოსწავლემ ვერ გაიგო კომპლექსური დავალების პირობა და შეფასების კრიტერიუმები. წარმოდგენილი დავალება არ შეესაბამება კომპლექსური დავალების მოთხოვნებს. ნაშრომის ფორმა და სტრუქტურა არ შეესაბამება შესაქმნელ პროდუქტს „მატიანეს“. ჩანს, რომ მოსწავლეს არ დაუმუშავებია საჭირო რესურსები, არ იცნობს წყაროებს.
	მასწავლებლის კომენტარი
	ყურადღებით გაეცანი კომპლექსური დავალების მოთხოვნებს და შესაბამის კრიტერიუმებს. დავალების მოთხოვნების შესაბამისად მიზნობრივად დაამუშავე წყაროები და რესურსები. გაიხსენე, რა არის ცვალებადობა, როგორ იცვლება მოვლენები თანამედროვე რეალობაში და რა ფაქტორები ახდენს მასზე გავლენას, მსგავს კონტექსტში განიხილე წარსულში მომხდარი რეალობა. გაიხსნე რეალურ ცხოვრებაში მომხდარი ამბავი, რომელსაც ორი ადამიანი განსხვავებულად ჰყვება, დაუკავშირე საქართველოს ისტორიის შესახებ ქართველი და არაქართველი ავტორების მიერ მოყოლილ ამბებს და იმსჯელე მათზე.

Don't copy

მეორე დავალება – ინტერვიუს მომზადება ალექსანდრე დიდისა და მის წინარე ეპოქის საქართველოში (მონღოლთა შემოსევის დროიდან) მიმდინარე პოლიტიკური, ეკონომიკური პროცესების შესახებ		
სოლოტაქსონომიის დონეები	**სამიზნე ცნება**	**სამიზნე ცნება**
	ისტორიული მოვლენა/პროცესი (ისტ.საშ.3,4,5,6)	**სივრცე (ისტ.საშ.3,4,5,6)**
	სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენა	**სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენა**
	• ყველა ისტორიულ მოვლენას აქვს თავის მიზეზი/მიზეზები და შედეგი/შედეგები; • ისტორიკოსები ხშირად კამათობენ ისტორიული მოვლენების მიზეზებსა და შედეგებზე; • ზოგიერთ ისტორიულ მოვლენას ლოკალური, ზოგს კი გლობალური მნიშვნელობა აქვს; • ისტორიული ფაქტები და მოვლენები ტიპოლოგიურად შეიძლება პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული ნიშნით დაჯგუფდეს.	• გეოგრაფიული გარემო და გეოგრაფიული ცოდნა გავლენას ახდენს ადამიანთა საზოგადოების განვითარებაზე; • კომუნიკაციის სიხშირე დიდი/მცირე ზომის სოციალურ-კულტურული სივრცეების ჩამოყალიბებას განაპირობებს; • კონკრეტულ ისტორიულ-გეოგრაფიულ არეალებს გარკვეული ეკონომიკური, სტრატეგიული და კულტურული მნიშვნელობა აქვს.
აბსტრაქტული დონე მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი/არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს პირად გამოცდილებას.	მოსწავლემ წარმოადგინა პროდუქტი „ინტერვიუ“ საქართველოს მონარქთან, ალექსანდრე პირველთან. მოსწავლის მიერ წარმოდგენილ ნაშრომში ჩანს, რომ მან სწორად გაიგო პირობა და სრულად დაფარა კომპლექსური დავალების ყველა კრიტერიუმი. ნაშრომში აღწერილია საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მონღოლთა ბატონობის პერიოდიდან ალექსანდრე დიდის მმართველობამდე, პროცესები და შედეგები, რომლებიც დამპყრობლების იმპერიულ პოლიტიკას მოჰყვა კავკასიაში და კონკრეტულად საქართველოში (მონღოლები, თემურლენგი), საქართველოს მმართველების აქტიური წინააღმდეგობის პოლიტიკა და ქვეყნის ასაღორძინებლად გატარებული ღონისძიებანი. მოსწავლე წარმოდგენილ ნაშრომში ხსნის, რატომ იყვნენ დაინტერესებული ქართველი მონარქები ევროპული ორიენტაციით და რა საპასუხო დაინტერესება არსებობდა ევროპელთა მხრიდან, ასევე აანალიზებს მიზეზშედეგობრივ კავშირებს დამპყრობლების პოლიტიკასა და საქართველოში მოხდარ სოციალურ და ეკონომიკურ ცვლილებებს შორის. მოსწავლე მართებულად აფასებს ამა თუ იმ ისტორიული პირის (მაგ., დემეტრე თავდადებულის, ალექსანდრე დიდის და სხვ.) როლს საქართველოს ისტორიაში, არგუმენტირებულად მსჯელობს მათი ღონისძიებებისა და გადაწყვეტილებების დადებით და უარყოფით შედეგებზე; პარალელებს ავლებს ეპოქებს შორის, მაგალითად, გიორგი ბრწყინვალის მიერ ქვეყნის პოლიტიკური ერთიანობის აღდგენას ადარებს ბაგრატ III-ისა და დავით აღმაშენებლის ღონისძიებებს; საქართველოში მიმდინარე მოვლენებს განიხილავს მსოფლიო მოვლენების პარალელურად და მათ კონტექსტში (მაგ., მოჰყავს მაგალითები, რა ხდება იმ ეპოქის ევროპაში, როდესაც ქართველი მეფეები კონტაქტების გაბმას ცდილობენ, ვთქვათ, საფრანგეთში გიორგი ბრწყინვალის დროს და რამდენად რეალური იყო ეს კავშირი). ნაშრომი ენობრივად გამართულია, გამოყენებულია მრავალფეროვანი ტერმინოლოგია, რომელიც ასახავს ეპოქის სულისკვეთებასა და კონტექსტს; ნაშრომში დაცულია „ინტერვიუს“ სტრუქტურა და მახასიათებლები, ჩანს შინაარსობრივი მთლიანობა, შეფასების კრიტერიუმებთან მჭიდრო კავშირი და მიზნობრიობა.	

Draft copy

მიმართებითი დონე მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთ-მიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის.	მოსწავლემ წარმოადგინა ნაშრომი „ინტერვიუ“, რომელშიც ასახულია კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები. ნაშრომის წაკითხვის შედეგად ნათელია, რომ მან გაიგო კომპლექსური დავალების პირობა, შექმნილი დავალება ასახავს ალექსანდრე დიდისა და მის წინარე ისტორიულ რეალობას საშინაო და საგარეო პოლიტიკური კონტექსტების გათვალისწინებით. კერძოდ, ნაშრომში აღწერილია მონღოლთა ბატონობის პერიოდი, ორმეფობის ხანა, ქართველი მონარქების პოლიტიკა, წინააღმდეგობები და რთული გადაწყვეტილებები, გიორგი ბრწყინვალის მიერ ქვეყნის ერთიანობის აღდგენა, თემურლენგის დამანგრეველი შემოსევები და ქვეყნის აღორძინების მცდელობა ალექსანდრე დიდის მიერ. „ინტერვიუში“ ახსნილია ის შედეგები, რომლებიც ქართულ ეკონომიკას მოუტანა დამპყრობელთა თავდასხმებმა და მძიმე გადასახადებმა, სხვადასხვა სოციალური ფენის ყოფაში მომხდარი ცვლილებები და ქართველი და უცხოელი მთხრობელების (ისტორიული თხზულება, წერილები) განსხვავებული მოსაზრებები საქართველოს მდგომარეობის საკითხზე, ასევე ავტორი ცდილობს, ახსნას და დაასაბუთოს იმ ღონისძიებების მნიშვნელობა, რომლებსაც ალექსანდრე დიდი მიმართავს ქვეყნის კრიზისული მდგომარეობის დასაძლევად. მოსწავლე აფასებს ქართველი მეფეების კურსს, მათ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, მსჯელობს მის დადებით და უარყოფით მხარეებზე, ფაქტორებზე, რომლებიც ქვეყნის ბედზე ახდენდა გავლენას. მოსწავლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტები ნათელი და მკაფიოა.	მოსწავლემ წარმოადგინა ნაშრომი „ინტერვიუ“, რომელიც ფარავს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმებს და მოგვითხრობს ალექსანდრე დიდის მმართველობაზე, მის წინარე ეპოქაში არსებულ პოლიტიკურ რეალობასა და მასზე მოქმედ საშინაო და საგარეო პოლიტიკურ ფაქტორებზე. მოსწავლე თავის ნაშრომში აღწერს საქართველოსა და კავკასიის პოლიტიკურ და სტარტეგიულ მნიშვნელობას, რის გამოც ის დიდი სახელმწიფოეების დაინტერესების საგანი იყო; მოცემულ შემთხვევაში იგულისხმება მონღოლების, თემურლენგის დაპყრობები. აღწერილია, როგორ ცდილობდა და რა ღონისძიებებს ატარებდა გიორგი ბრწყინვალე ქართულ სამფლობელოებზე კონტროლის აღსადგენად; მოსწავლე ასევე გამოკვეთს საქართველოს დაინტერესებას ევროპული სივრცით და პოლიტიკური კონტაქტის მცდელობებს ევროპისა და საქართველოს გავლენიან პირებს შორის. მოსწავლე თავის ნაშრომში ხსნის მიზეზშედეგობრივ კავშირებს, თუ რატომ ვერ შეძლეს დამპყრობლებმა დასავლეთ საქართველოზე სრული კონტროლის დამყარება, რატომ იყვნენ დამპრყობლები დაინტერესებულნი, რომ საქართველოს ტერიტორია რამდენიმე მონარქს შორის დანაწილებულიყო და ასაბუთებს, რა საშინაო ფაქტორები უწყობდა ამ საკითხს ხელს, მსჯელობს იმ ეპოქის რეგიონულ საფრთხეებზე და მათთან გამკლავებისა თუ მათი პრევენციის გზებზე.

Do not copy

	ნაშრომი შინაარსობრივად მთლიანია და სტრუქტურულად გამართული, გამოყენებულია მრავალფეროვანი ტერმინოლოგია. „ინტერვიუ“ ტრიალებს პირობით განსაზღვრულ ქრონოლოგიურ ჩარჩოში, არც დავალებაში და არც პრეზენტაციაში არ გამოკვეთილა პარალელები სხვა ეპოქის მოვლენებთან, მოვლენები არ განხილულა თანამედროვე რეალობის კონტექსტში.	მოსწავლე ქართველი მეფეების თვალთახედვით აფასებს, რა მნიშვნელობა ჰქონდა ევროპასთან კავშირს და რა შედეგის მოტანა შეეძლო მას. ნაშრომი შინაარსობრივად მთლიანია და სტრუქტურულად გამართული, გამოყენებულია მრავალფეროვანი ტერმინოლოგია. „ინტერვიუ“ მოქცეულია კომპლექსური დავალების პირობით განსაზღვრულ ქრონოლოგიურ ჩარჩოში, არ გამოკვეთილა პარალელები, არ განხილულა მოვლენები თანამედროვე რეალობის კონტექსტში, მაგალითად, თანამედროვე ევროპული კურსის მაშინდელ პოლიტიკიურ კონტექსტთან შედარება.
მულტისტრუქ-ტურული დონე მოსწავლეს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/ წარმოდგენა აქვს განსახილველ საკითხზე.	საქართველოს დაპყრობა, მონღოლური მმართველობა და საგადასახადო ვალდებულებები, დემეტრე II-ის გადაწყვეტილება ილხანთა იმპერიაში წასვლის შესახებ, გიორგი ბრწყინვალისა და საფრანგეთის მონარქების მიმოწერა, თემურლენგის მიერ სამეფო ოჯახის დატყვევება, ალექსანდრე დიდის მიერ ეკლესის აღდგენის საკითხი და ა. შ. მოსწავლე ცდილობს, ახსნას სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები, რომლებიც საქართველოში მონღოლთა ბატონობას მოჰყვა, ასევე დაასაბუთოს საგარეო პოლიტიკური ფაქტორების გავლენა გიორგი ბრწყონვალის მოღვაწეობაზე, თუმცა მისი მსჯელობა ზედაპირულია, მიზეზშედეგობრივი კავშირები არ არის ცხადად და ლოგიკურად დასაბუთებული. მოსწავლე ცდილობს, შეაფასოს სხავდასხვა პირის როლი საქართველოს ისტორიაში, მაგ., სადუნ მანკაბერდელის, თუმცა არგუმენტაცია ზედაპირულია და ემყარება მარტივ კონსტრუქციებს (ცუდი ადამიანია, იმიტომ რომ მეფეს ღალატობს).	მოსწავლემ წარმოადგინა ნაშრომი „ინტერვიუ“, რომელიცშექმნილია კომპლექსური დავალების შეფასების კრტერიუმების შესაბამისად. მოსწავლე წარმოადგენს მრვალფეროვან ამბებს, თუმცა ნაშრომს ერთგვარად ფრაგმენტული სახე აქვს და აკლია შინაარსობრივი ერთიანობა. მოსწავლე მოგვითხრობს მონღოლთა იმპერიის საზღვრების შესახებ, კავკასიის გეოგრაფიულ თავისებურებებზე, საქართველოს გავლენის სფეროებად დანაწილებაზე მონღოლთა ბატონობის პერიოდში, თემურლენგის მიერ „ოქროს ურდოს“ წინააღმდეგ ორგანიზებულ ლაშქრობებზე... სუსტად არის წარმოდგენილი ბოლო კრიტერიუმი და ევროპასთან ურთიერთობის საკითხი მხოლოდ ინფორმაციის დონეზეა, ანალიზის გარეშე. მოსწავლე თავის ნაშრომში სათანადოდ ვერ ხსნის კავშირს კავკასიის გეოგრაფიულ თავისებურებებსა და მის მნიშვნელობაზე აქ მცხოვრები ხალხების თვითგადარჩენის პროცესში; ნათლად არ არის დასაბუთებული, რატომ იყო მონღოლებისათვის ხელსაყრელი საქართველოს დანაწილება რამდენიმე მმართველს შორის, იშველიებს მარტივ არგუმენტებს, მაგალითად: „მონღოლებისათვის უფრო იოლი იქნებოდა ქვეყნის მართვა ამ ხერხით“ და სხვ.

Draft copy

	„ინტერვიუს“ აკლია მთლიანობა და სისტემურობა, ასახული ამბები მრავალფეროვანია, მაგრამ არ ჩანს თანამიმდევრულობა და ლოგიკური ბმა. გამოყენებული ტერმინოლოგია მწირია, გადმოცემის ენას, მართლწერას დახვეწა სჭირდება.	მოსწავლის შეფასებები ზედაპირულია და მოკლებულია შესაბამის არგუმენტებს, მაგალითად, როდესაც საუბრობს ამიერკავკასიაში თემურლენგის მიზნებზე, აფასებს, რომ ის უარყოფითი პიროვნებაა და მის მიზანს მხოლოდ ძარცვა წარმოადგენდა. „ინტერვიუს“ აკლია მთლიანობა და სისტემურობა, ასახული ამბები მრავალფეროვანია, მაგრამ არ ჩანს თანამიმდევრულობა და ლოგიკური ბმა. გამოყენებული ტერმინოლოგია მწირია, გადმოცემის ენას, მართლწერას დახვეწა სჭირდება.
უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს მხოლოდ ერთი არასტრუქ-ტურირებული ასოციაცია/ წარმოდგენა აქვს განსახილველ საკითხზე.	მოსწავლის მიერ შექმნილ „ინტერვიუში“ ჩანს, რომ მას შეუძლია, დაასახელოს ცვლილებები, რომლებიც საქართველოში ჯალალ-ად-დინის შემოსევას, მონღოლთა ბატონობას, თემურლენგის ლაშქრობებს მოჰყვა; ყურადღებას ამახვილებს, კერძოდ კი, მარტივი სახით აღწერს, როგორ აისახებოდა ამ იმპერიების ზრდა თუ დაქვეითება საქართველოს ბედზე. ნაშრომში არ ჩანს პირველი კრიტერიუმი, აღწერილი მოვლენები მარტივად, ერთი თვალთახედვით არის წარმოდგენილი, ჩანს, რომ მას მხოლოდ ერთი ასოციაცია აქვს საკითხთან მიმართებაში. მოსწავლე უმნიშვნელოდ ეხება უცხო ძალის ბატონობის შედეგად გამოწვეულ სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებებს. მოსწავლე მიზეზშედეგობრივი კავშირების ასახსნელად იყენებს მარტივ კონქტრუქციებს, მაგალითად, მიზეზშედეგობრივ კავშირებს ასე ასაბუთებს: „მონღოლთა ბატონობა ცუდი იყო, მან გამოიწვია საქართველოს ტახტზე ორი მონარქის ასვლა“, შეფასებები მარტივია, მოკლებულია არგუმენტაციას და ძირითადად ემყარება მიდგომას: „კარგი იყო“, „ცუდი იყო“.	მოსწავლემ წარმოადგინა „ინტერვიუ“, რომლიდანაც ჩანს, რომ მოსწავლეს შეუძლია, აღწეროს იმპერიების საზღვრების ცვლილება და მისი გავლენა საქართველოზე. მოსწავლე, მაგალითად, აღწერს, როგორ იცვლებოდა მონღოლთა იმპერიის საზღვრები კავკასიაში, როგორ მოხდა საქართველოს გავლენის სფეროებად დანაწილება და სამცხის ჩამოცილება. ჩანს, რომ მას ერთი ასოციაცია აქვს შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით და ძირითადად ერთი კრიტერიუმის გარშემო ტრიალებს. მოსწავლე ვერ ხსნის მიზეზშედეგობრივ კავშირებს, იშველიებს მარტივ კონსტრუქციებს, მაგალითად: „საქართველოს ტახტზე ორი მეფე ცუდი იყო, იმიტომ რომ კომუნიკაცია არ ექნებოდათ“; მოსწავლის შეფასებები არ ემყარება არგუმენტებს და ძირითადად მარტივი კონსტრუქციების სახითაა წარმოდგენილი, მაგალითად: „სამცხის ჩამოცილება საქართველოსთვის საშიში მოვლენაა“. ნაშრომის სტრუქტურა ნაწილობრივ შეესაბამება პროდუქტის სტრუქტურას, გამოყენებული ტერმინოლოგია მწირია და აკლია მიზნობრიობა. ჩანს, რომ მოსწავლე ყურადღებით უნდა გაეცნოს რესურსებს, ასევე ინტერვიუს დაწერის ინსტრუქციებს.

Do not copy

	ნაშრომის სტრუქტურა ნაწილობრივ შეესაბამება პროდუქტის სტრუქტურას, გამოყენებული ტერმინოლოგია მწირია და ზოგჯერ არამიზნობრივი, ჩანს, რომ მოსწავლე მეტი ყურადღებით უნდა გაეცნოს რესურსებს, მასალას, ასევე ინქტრუქციას, როგორ იწერება ინტერვიუ.	
პრესტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.	მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს/ კომპლექსური დავალების პირობას. შესრულებული დავალება არ შეესაბამება „ინტერვიუს“ სტრუქტურას. ნაშრომში მოცემული ინფორმაცია აცდენილია პირობაში მოცემულ საკითხს.	

მესამე კომპლექსური დავალება – ანგარიშის მომზადება განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოს სამეფო კარის, სამოხელეო აპარატის, მმართველობის ინსტიტუტებისა და სოციალური ფენების შესახებ.		
სოლოტაქსონომიის დონეები	**სამიზნე ცნება**	**სამიზნე ცნება**
	ძალაუფლება (ისტ. საშ.3,4,5,6)	**საზოგადოება (ისტ. საშ. 1.2.3.4.5.6)**
	სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენა	**სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენა**
	• ძალაუფლებისთვის ბრძოლა ისტორიის განუყოფელი ნაწილია; • ძალაუფლებისთვის ბრძოლა მიმდინარეობს როგორც პიროვნებებს, ისე საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის. ბრძოლისას ისინი იყენებენ ქვეყანაში არსებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სტრუქტურებს; • ძალაუფლების მოპოვებისა და შენარჩუნებისთვის აუცილებელი საშუალებებია რესურსების (ფინანსების, ადამიანური რესურსების) ფლობა, სიმბოლოები, იდეოლოგია; • ზოგიერთ საზოგადოებაში ძალაუფლებას ერთპიროვნულად ფლობენ, ზოგან კი იგი ადამიანებს/საზოგადოებრივ ჯგუფებს შორისაა დანაწილებული; • დემოკრატიულ სახელმწიფოში ძალაუფლების წყარო ხალხია.	• ისტორიულად მრავალი საზოგადოება არსებობდა, მაგრამ თითოეულ მათგანს ახასიათებდა საერთო ნიშნები: მათ წევრებს ჰქონდათ საერთო იდენტობა, ინტერესი, საზრუნავი და თანხმდებოდნენ ქცევის წესებსა და ღირებულებებზე; • საზოგადოება უფრო მცირე საზოგადოებრივ ჯგუფებად იყოფა; • პატარა საზოგადოებები უმეტესად უფრო დიდი საზოგადოების ნაწილს წარმოადგენენ; • საზოგადოების წევრებს ხშირად სტერეოტიპული წარმოდგენები აქვთ სხვა საზოგადოებების („კულტურული სხვის“) შესახებ.

Don't copy

აბსტრაქტული დონე მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი/არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექს-ტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს პირად გამოცდილებას.	მოსწავლემ წარმოადგინა პროდუქტი – „ანგარიში“, რომელიც ასახავს განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოს სამეფო კარს, სამოხელეო აპარატს, მმართველობის ინსტიტუტებს და სოციალურ ფენებს. ნაშრომში სრულყოფილადაა წარმოდგენილი შეფასების კრიტერიუმები, მოსწავლე აღწერს სამეფო ხელისუფლებას, ტახტმემკვიდრეობის წესს, პოლიტიკურ და იდეოლოგიურ რესურსს, რომელსაც ქართული მონარქია ემყარებოდა საშინაო თუ საგარეო პოლიტიკური გამოწვევების პროცესში. ნაშრომში ასახულია სახელმწიფოს სამოხელეო აპარატი, ფუნქციები, უფლება-მოვალეობანი. „ანგარიშში“ წარმოდგენილია განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოში არსებული სოციალური ფენები, მათი უფლებები, ვალდებულებები, ყოველდღიური ინტერესი და საზრუნავი, ქცევის ნორმები და ა. შ. საინტერესოდ არის გადმოცემული ქართული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი მრავალფეროვნება და დამოკიდებულება სხვა ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფების მიმართ. „ანგარიშში“ ახსნილია ხელისუფლების ცენტრალიზაციის როლი შუა საუკუნეების საქართველოში ფეოდალთა სეპარატიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში; რელიგიის იდეოლოგიური მნიშვნელობა სამეფო ხელისუფლების სიმტკიცისა და სტაბილურობისათვის; ნათლად არის ნაჩვენები გამართული, სწორად და მიზნობრივად ორგანიზებული სამოხელეო აპარატის დანიშნულება ქვეყნის ეფექტიანად მართვაში, ასევე ახნილია, რა მნიშვნელობა აქვს ტოლერანტულ საზოგადოებას ქვეყნის სიმშვიდისა და სტაბილურობის შენარჩუნების პროცესში. მოსწავლე აფასებს მონარქიულ მმართველობას შუა საუკუნეების საქართველოში, არგუმენტირებულად მსჯელობს ეპოქის თავისებურების გათვალისწინებით ერთპიროვნული ხელისუფლების უარყოფით და დადებით მხარეებზე (მაგ., რომ ის კრიზისულ სიტუაციებში სწრაფი გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას იძლეოდა); აფასებს ქალების როლს შუა საუკუნეების საქართველოში და არგუმენტირებულად მსჯელობს, რომ ქვეყნის წარმატების ერთ-ერთი საფუძველი გენდერული თანასწორობაა. მოსწავლე პარალელებს ავლებს მმართველობის სხვადასხვა ფორმას შორის, მაგ., მონარქიას ადარებს ძველი რომის რესპუბლიკას და მსჯელობს მათ შორის არსებულ განსხვავებებზე, ასევე შუა საუკუნეების მრავალფეროვნებას განიხილავს თანამედროვე საქართველოს მრავალფეროვნებასთან კავშირსა და კონტექსტში. ნაშრომი ენობრივად გამართულია, გამოყენებულია მრავალფეროვანი ტერმინო-ლოგია, რომელიც ასახავს ეპოქის სულისკვეთებასა და კონტექსტს; ნაშრომში დაცულია „ანგარიშის“ სტრუქტურა და მახასიათებლები, ჩანს შინაარსობრივი მთლიანობა, შეფასების კრიტერიუმებთან მჭიდრო კავშირი და მიზნობრიობა.	
მიმართებითი დონე მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის.	მოსწავლემ წარმოადგინა „ანგა-რიში“, რომელშიც ასახულია კომ-პლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები. მოსწავლის ნამუ-შევრიდან ცხადია, რომ მან გაიგო დავალების პირობა და შექმნა შე-საბამისი პროდუქტი. ნაშრომში ასა-ხულია შუა საუკუნეების მონარქია და მისი მახასიათებლები, ძალაუფ-ლების ბერკეტები და გზები, რომ-ლებითაც შიდა დაპირისპირებებისა თუ საგარეო ძალების ჩარევის ფონ-ზე მონარქი ახერხებდა ძალაუფლე-ბის შენარჩუნებას,	მოსწავლემ წარმოადგინა კომპლექსური დავალების პროდუქტი, რომელიც ფარავს შეფასების კრიტერიუმებს და შეესაბამება პროდუქტს – „ანგარიში“. ჩანს, რომ მოსწავლემ გაიგო დავალების პირობა. ნამუშევარში ასახულია განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოს საზოგადოება, აღწერილია ცალკეული სოციალური ფენები, მათი მდგომარეობა, ქცევის წესები და ღირებულებები, ასახულია ცალკეული სოციალური ფენების როლი ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეში,

Do not copy

	განხილულია ტახტმემკვიდ- რეობის წესი და მოყვანილია მაგალითები, აღწერილია ეკლე- სიის იდეოლოგიური როლი სამეფო ხელისუფლების სიმ- ტკიცის საქმეში, კარგად არის ნაჩვენები სამოხელეო აპარატი, რომელიც ცენტრალურ თუ ადგილობრივ მმართველობას უძღვებოდა. მოსწავლე მნიშ- ვნელოვან ყურადღებას უთმობს მიზეზშედეგობრივი კავშირების ახსნას, მაგალითად, რა რო- ლი ენიჭებოდათ დიდაზნაურებს სახელმწიფოს მართვის პროცესში და რა დადებითი და უარყოფითი შედეგი მოჰქონდა სახელმწი- ფისთვის მათ გავლენას, რატომ იყო მნიშვნელოვანი სამოხელეო აპარატში ღირსებისა და დამსა- ხურების შესაბამისად (არა წარ- მომავლობის მიხედვით) დაწი- ნაურება დ ა. შ. მოსწავლე არგუმენტირებულად აფასებს მონარქიის როლს შუა საუკუნეების საქართველოში, მსჯელობს, როგორ შეუწყო ხელი გიორგი ბრწყინვალეს გამართულ- მა სამოხელეო აპარატმა და მტკი- ცე ძალაუფლებამ ქვეყნის აღორ- ძინების საქმეში. ნაშრომში არ არის წარმოდგენილი პარალელები სხვა ეპოქებთან, ასევე მმართვე- ლობის განსხვავებულ ფორმებ- თან შედარება და ა. შ. არ ჩანს კავშირი მმართველობის თანამედ- როვე გამოცდილებასთან. ნაშრომი შინაარსობრივად და სტრუქტურულად გამართულია, დაცულია წერის წესები, გამოყენებულია საჭირო ტერმინოლოგია. ცალკეულ შემთხვევებში ნაშრომის ენას დახვეწა სჭირდება.	სწავლა-განათლება შუა საუკუნეების საქართველოში; მოსწავლეს წარმოჩენილი ჰყავს შუა საუკუნეების ქართველი ქალები, რომლებიც საქართველოსა და უცხოეთის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. ნაშრომში ახნილია, რატომ არ აძლევდა სოციალური ვითარება დაბალ ფენებს სამოხელეო იერარქიაში დაწინაურების საშუალებას, სოციალური მრავალფეროვნების განმაპირობებელი/ ხელშემწყობი ფაქტორები და ქართველი მონარქების პოლიტიკის როლი მრავალფეროვნების მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულების საქმეში. მოსწავლე აფასებს სხვადასხვა სოციალური ფენის როლს და მნიშვნელობას სახელმწიფოს ცხოვრებაში და მოჰყავს შესაბამისი არგუმენტები. ნაშრომში სათქმელი თანამიმდევრულადაა გამოცემული და იგრძნობა ეპოქის განცდა. უნდა აღინიშნოს, რომ არ არის წარმოდგენილი პარალელები სხვა ეპოქის სოციალურ რეალობასთან, მაგალითად, ანტიკური ეპოქის სოციალური ფენების შედარება შუა საუკუნეების სოციალურ სტრუქტურასთან, ასევე როგორ შეიცვალა დამოკიდებულება ქალთა სოციალური როლის მიმართ საუკუნეების განმავლობაში ან დღევანდელობაში. ნაშრომი შინაარსობრივად და სტრუქტურულად გამართულია, დაცულია წერის წესები, გამოყენებულია საჭირო ტერმინოლოგია. ცალკეულ შემთხვევებში ნაშრომის ენას დახვეწა სჭირდება.

Do not copy

მულტისტრუქ-ტურული დონე მოსწავლეს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/ წარმოდგენა აქვს განსახილველ საკითხზე.	მოსწავლემ წარმოადგინა „ანგარიში“, რომელიც გამომდინარეობს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმებიდან. ნაშრომი ინფორმაციულად დატვირთულია, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ფრაგმენტული ხასიათისაა და აკლია შინაარსობრივი მთლიანობა. მოსწავლეს აღწერილი აქვს მონარქის უფლება-მოვალეობები, შუა საუკუნეების საქართველოში არსებული დაპირისპირებები მეფესა და ფეოდალებს შორის, ტახტმემკვიდრეობის წესი, ადგილობრივი მმართველობა და მისი მახასიათებლები. მოსწავლე ცდილობს, ახსნას შიდა პოლიტიკური დაპირისპირების კავშირი საგარეო პოლიტიკურ ფაქტორებთან, თუმცა მისი არგუმენტაცია ზედაპირულია, მაგ.: „ბიზანტიის ხელისუფლებას საქართველოს სტაბილურობის დარღვევა უნდოდა“. ასევე ბუნდოვნად არის ახსნილი სამეფო კარზე სამოხელეო თანამდებობების დაკავების მექანიზმი და მთავარ არგუმენტად დიდაზნაურების კარგი აღზრდა და განათლება მიაჩნია. მოსწავლე აფასებს რელიგიის იდეოლოგიურ როლს სამეფო ხელისუფლების სიმტკიცის პროცესში, თუმცა მისი მსჯელობა მოკლებულია მყარ არგუმენტებს (მაგ., ეკლესიისთვის ხელსაყრელი იყო ძლიერი სამეფო ხელისუფლება). „ანგარიშს“ აკლია მთლიანობა და სისტემურობა, ნაშრომში არ ჩანს თანამიმდევრულობა და ლოგიკური ბმა. გამოყენებული ტერმინოლოგია მწირია, გადმოცემის ენას, მართლწერას დახვეწა სჭირდება.	მოსწავლემ წარმოადგინა „ანგარიში“, რომელიც ინფორმაციულად დატვირთულია, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ფრაგმენტული ხასიათისაა და აკლია შინაარსობრივი მთლიანობა. მოსწავლის ნაშრომში ასახული განვითარებული შუა საუკუნეების სოციალური ფენები, თუმცა არასრულადაა აღწერილი მათი მდგომარეობა, უფლება-მოვალეობები. მოსწავლე ამბობს, რომ ქვეყნის მართვაში ძირითადად დიდაზნაურები მონაწილეობდნენ, ასევე აღწერს საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებს და მათთან დამოკიდებულებას. მოსწავლე ცდილობს, ახსნას ცალკეული ფენების სოციალური მდგომარეობის განმსაზღვრელი ფაქტორები, თუმცა ბუნდოვნად მსჯელობს („ისინი ასე იბადებოდნენ“), ასევე სურს, იმსჯელოს მრავალფეროვნების მნიშვნელობაზე, მოჰყავს არგუმენტი, რომ მრავალფეროვნების პატივისცემა ქვეყნის განვითარებას უწყობდა ხელს, თუმცა მიზეზშედეგობრივი კავშირები ნათლად არ ჩანს. მოსწავლის შეფასებები ზედაპირულია, ემყარება მარტივ კონსტრუქციებს და აკლია მყარი ლოგიკა. ნაშროს აკლია შინაარსობრივი კავშირი, არ ჩანს თანამიმდევრულობა და ლოგიკური ბმა. გამოყენებული ტერმინოლოგია მწირია, გადმოცემის ენას დახვეწა სჭირდება.

DO NOT COPY

უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს მხოლოდ ერთი არასტრუქ-ტურირებული ასოციაცია/ წარმოდგენა აქვს განსახილველ საკითხზე.	მოსწავლემ ძირითადად გაიგო დავალების არსი და შექმნა კომპლექსური დავალების პროდუქტი „ანგარიში“, რომელიც ძირითადად შეფასების ერთ კრიტერიუმს შეესაბამება (მე-4 კრიტერიუმი); ნაშრომი საკითხის ერთ ასპექტზეა ორიენტირებული, კერძოდ, სამეფო კარის მოხელეების სოციალური წარმომავლობა და მათი უფლება-მოვალეობები. მოსწავლე თავის ნაშრომში აღწერს ცალკეული მოხელეების როლს სახელმწიფოს მართვაში მათი სოციალური სტატუსის მიხედვით, კერძოდ, როგორი იყო მათი იერარქია, უფლებამოსილებანი, გავლენა ცენტრალურ და ადგილობრივ მმართველობაზე. მოსწავლე ცდილობს, ახსნას ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების როლი, თუმცა იყენებს მარტივ, ზედაპირულ კონსტრუქციებს (ამბობს, რომ „ორივე მნიშვნელოვანია“). მოსწავლე ცდილობს, რომ შეაფასოს სამეფო ხელისუფლების მემკვიდრეობითი ხასიათი, თუმცა უჭირს არგუმენტაციის მოტანა. ნაშრომის სტრუქტურა ნაწილობრივ შეესაბამება პროდუქტის სტრუქტურას, გამოყენებული ტერმინოლოგია მწირია და ზოგჯერ არამიზნობრივი, ჩანს, რომ მოსწავლე სათანადოდ არ იცნობს რესურსებს და ანგარიშის წერის ინსტრუქციებს.	მოსწავლემ ძირითადად გაიგო დავალების არსი და შექმნა კომპლექსური დავალების პროდუქტი „ანგარიში“, რომელიც ძირითადად შეფასების ერთ კრიტერიუმს შეესაბამება (მე-4 კრიტერიუმი); ნაშრომი საკითხის ერთ ასპექტზეა ორიენტირებული, კერძოდ, სამეფო კარის მოხელეების სოციალური წარმომავლობა და მათი უფლება-მოვალეობები. ნაშრომში აღწერილია მაღალი ფენის (აზნაურების) სოციალური როლი ქვეყნის მართვის საქმეში, მისი კატეგორიები (დიდაზნაურები, აზნაურები). მოსწავლე ცდილობს, ახსნას „პატრონყმობის“ მიზეზები. ამის არგუმენტად მოჰყავს, რომ ასეთი დამოკიდებულების წარმოშობის მიზეზი უსაფრთხოება იყო, არ ჩანს მსჯელობის შესაფერისი არგუმენტაცია. მოსწავლე უარყოფითად აფასებს მონარქის მიერ მოხელეების დანიშვნის შესაძლებლობას, თუმცა არ ასაბუთებს, რატომ. შეფასება მარტივ კონსტრუქციებს ემყარება, პროდუქტის სტრუქტურას ნაწილობრივ შეესაბამება, გამოყენებული ტერმინოლოგია მწირია, მოსწავლე სათანადოდ არ იცნობს რესურსებს.
პრესტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.	მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს/ კომპლექსური დავალების პირობას. შესრულებული დავალება არ შეესაბამება ინტერვიუს სტრუქტურას. ნაშრომში მოცემული ინფორმაცია აცდენილია პირობაში მოცემულ საკითხს.	

Draft copy

განმსაზღვრელი შეფასება

ეროვნული სასწავლო გეგმა ადგენს მოსწავლეთა განმსაზღვრელი შეფასების კომპონენტებს:

ა) მიმდინარე საშინაო დავალება;

ბ) მიმდინარე საკლასო დავალება;

გ) შემაჯამებელი დავალება.

ეს უკანასკნელი შეიძლება წარმოდგენილი იყოს მოსწავლის მიერ მიღწეული შედეგების შესაფასებლად. იქიდან გამომდინარე, რომ სწავლა-სწავლების პროცესში ყველაზე ხელშესახებ სამიზნე ორიენტირად მოიაზრება საფეხურის საგნობრივი შედეგები და სამიზნე ცნებები, მნიშვნელოვანია, განმსაზღვრელი შეფასება მოსწავლის მიერ ცნების ფლობას ემყარებოდეს. რადგან საგნობრივი თემის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნება უნდა დამუშავდეს, შეგვიძლია, განმსაზღვრელი შეფასებით მოსწავლეები თემის ფარგლებში შევაფასოთ.

შეფასების ეს რუბრიკა იმის მაგალითია, თუ როგორ შეიძლება, მოსწავლე შეფასდეს სასწავლო თემის ფარგლებში. პროცესის მიმდინარეობისას მასწავლებელი აკვირდება მოსწავლის მუშაობას და იმას, თუ რამდენად შეძლო მან შესასწავლი თემის ფარგლებში ცნებებით ოპერირება.

შეფასების ზოგადი კრიტერიუმები (თემა: განვითარებული შუა საუკუნეები საქართველოში)	**მაქსიმალური ქულა**	**კომენტარი**
მოსწავლე აქტიურადაა ჩართული საკლასო აქტივობებში	2	
მოსწავლე დამოუკიდებლად მოიძიებს შესასწავლი საკითხის შესახებ ინფორმაციასა და მასალას, რომელსაც დავალებაზე მუშობის პროცესში იყენებს.	2	
საგნობრივი თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების ფლობა	**მაქსიმალური ქულა**	**კომენტარი**
წყარო: მოსწავლე მსჯელობს და ასახელებს სხვადასხვა ისტორიულ წყაროს, რომლებიც გვეხმარება განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოს შესახებ ინფორმაციის მიღებაში; მას შეუძლია შუა საუკუნეების შესახებ არსებული წყაროების კლასიფიცირება. მოსწავლე განიხილავს ისტორიული წყაროების მართებულობასა და სანდოობას; ამასთან ერთად მოსწავლე კრიტიკულად აფასებს და განიხილავს ისტორიკოსთა შეფასებებს.	1	
სივრცე: მოსწავლე მსჯლეობს, რა გავლენას ახდენდა გეოგრაფიული გარემო შუა საუკუნეების ადამიანებზე, ახასიათებს განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოში ადამიანების გეოგრაფიულ ცოდნას და განიხილავს კონკრეტული გეოგრაფიული არეალების სოციალურ-ეკონომიკურ და სტრატეგიულ მნიშვნელობას.	1	
საზოგადოება: მოსწავლე აღწერს განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოს საზოგადოებას, გამოყოფს საზოგადოებრივ ფენებს, მათ საერთო ინტერესებსა და საზრუნავს. მოსწავლე მსჯელობს, ჰქონდათ თუ არა სტერეოტიპული წარმოდგენები განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოს საზოგადოების წევრებს ერთმანეთის მიმართ და თუ ჰქონდათ, რაში გამოიხატებოდა ეს.	1	

Don't copy

დრო: მოსწავლე აღწერს შუა საუკუნეების მახასიათებლებს და მათ მიმართებას სხვა ისტორიულ ეპოქებთან/პერიოდებთან; მსჯელობს, როგორ აღრიცხავდნენ დროს და აღიქვამდნენ საკუთარ ეპოქას განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოში.	1	
ისტორიული მოვლენა/პროცესი: მოსწავლე მსჯელობს შუა საუკუნეების პერიოდში განვითარებული მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენების გამომწვევ მიზეზებსა და შედეგებზე. განიხილავს ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებს, რომლებმაც გამოიწვია განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოში პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ცვლილებები.	1	
ძალაუფლება: მოსწავლე აანალიზებს და მსჯელობს შუა საუკუნეებში დამკვიდრებული მმართველობის ფორმებისა და სტრუქტურების შესახებ, განიხილავს, ვინ და როგორ/რა საშუალებებით იბრძოდა განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოში ძალაუფლებისა და ხელისუფლებისათვის.	1	

სტრატეგიები, რომლებიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა

დისკუსია ფართოდ გამოყენებული მეთოდია, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინტერაქტიურ სწავლებაში. ის პრობლემური, აქტუალური საკითხის ჯგუფურ განხილვას გულისხმობს. დისკუსია ხელს უწყობს მოსწავლეებში არგუმენტირებული მსჯელობის, აქტიური მოსმენის, შეფასების, ანალიზის უნარების განვითარებას.

საკლასო ოთახში გამოყენებული დისკუსია, ჩვეულებრივ, სტრუქტურირებულია, რაც ნიშნავს, რომ სადისკუსიო თემა წინასწარაა განსაზღვრული და პროცესის მიმდინარეობა რეგლამენტირებულია.

დისკუსიის ორგანიზებისათვის მნიშვნელოვანია წესების დაცვა, რომლებზეც სტრატეგიის მონაწილეები ჯერ კიდევ პროცესის დაწყებამდე თანხმდებიან.

დისკუსიის ფასილიტატორის როლი, ჩვეულებრივ, პედაგოგს ეკისრება. მან უნდა განსაზღვროს დისკუსიის ფორმა.

დისკუსია შემდეგი სახით წარიმართება:

- დისკუსიის მონაწილეები თანხმდებიან წესებზე (ურთიერთმოსმენა, კონსტრუქციულობა და სხვ.).
- ფასილიტატორს შემოაქვს სადისკუსიო თემა, რომელიც, ჩვეულებრივ, პრობლემური საკითხია და გადაჭრის რამდენიმე ალტერნატივა აქვს.
- სადისკუსიო თემები შეიძლება ჯერ მცირე ჯგუფებში განიხილონ, შემდეგ კი საერთო ფორმატში ან მთლიან კლასში და ყველა მონაწილის ჩართულობა იყოს უზრუნველყოფილი.
- მონაწილეებს შეუძლიათ, არ დაეთანხმონ ერთმანეთს, დააზუსტონ მოსაზრებები, მხოლოდ კონსტრუქციული ფორმით და წესების შესაბამისად.
- არ არის აუცილებელი, დისკუსიის დასკვნით ეტაპზე ყველა საერთო აზრამდე მივიდეს. პროცესმა შეიძლება ბევრი პასუხი წარმოშვას და მონაწილეები ერთზე ვერ შეჯერდნენ.

Don't copy

დისკუსიის სხვადასხვა ფორმა არსებობს:

პანელური დისკუსია – მონაწილეები მცირე ჯგუფების სახით არიან წარმოდგენილი, რომლებიც ლიდერის ხელმძღვანელობით ჯერ ჯგუფში განიხილავენ საკითხს, შემდეგ კი საერთოდ განსახილველად გამოაქვთ.

დებატები – კამათი ორი მხარითაა წარმოდგენილი, რომლებიც საპირისპირო შეხედულებებს იცავენ.

სასამართლო – წარმოადგენს სასამართლოში საქმის განხილვის იმიტაციას და სხვ. („უხმო დისკუსია", „ბარომეტრი"...).

მნიშვნელოვანია შემდეგი რჩევების გათვალისწინება:

- დიკუსიის მონაწილეები აკრიტიკებენ იდეებს, ფაქტებს და არა ადამიანებს (იგულისხმება უშუალოდ ჩართული მოსწავლეები);
- მიზანი გამარჯვება კი არა, ისაა, რომ პრობლემის, სადისკუსიო თემის გადაწყვეტის საუკეთესო გზა მოინახოს;
- დისკუსიაში ჩართვის, აზრის გამოხატვის საშუალება პროცესის ყველა მონაწილეს ეძლევა;
- ყველა ისმენს განსხვავებულ აზრს, მიუხედავად იმისა, ეთანხმება თუ არა მას.

მინილექცია მცირე ლექციაა, რომელსაც პედაგოგი, ჩვეულებრივ, მოსწავლეებისათვის ახალი ინფორმაციის მისაწოდებლად მიმართავს. მისი ხანგრძლივობა დაახლოებით 10-15 წუთია. პედაგოგი ცდილობს, მოკლე დროში მოსწავლეებს საინტერესო ინფორმაცია მიაწოდოს საკითხის შესახებ. აუდიტორიის განლაგება საშუალებას უნდა იძლეოდეს, რომ პედაგოგს მხედველობითი კონტაქტი მოსწავლეებთან ჰქონდეს. მას შეუძლია, მოსწავლის დასაინტერესებლად სხვადასხვა რესურსი გამოიყენოს, მაგალითად, PowerPoint-ში მომზადებული პრეზენტაცია, ვიზუალური მასალა ნაამბობში მეტ სიცხადეს შეიტანს და მოსწავლეთა დაინტერესებას გაზრდის.

მინილექციის ნაკლად ის შეიძლება ჩაითვალოს, რომ მოსწავლე პასიურ როლშია. ამიტომ პედაგოგმა უნდა იზრუნოს, რომ მოსწავლე მთელი პროცესის აქტიური მსმენელი იყოს. მასწავლებელს პერიოდულად შეუძლია, ინტერაქტიური შეკითხვებით მიიღოს უკუკავშირი.

მინილექციის დადებითი მხარე ის არის, რომ პედაგოგს მოსწავლეებისათვის მოკლე დროში შეუძლია დიდი ინფორმაციის გადაცემა.

ექსკურსია შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებაა, რომლის მიზანიცაა, მოსწავლეებს რეალურ გარემოში განუმტკიცოს წიგნებიდან მიღებული ცოდნა. ექსკურსია კოლექტიური ხასიათის ღონისძიებაა და სათანადოდ ორგანიზებას მოითხოვს. ისტორიის საგანში ექსკურსიის ფარგლებში მოსწავლეებს შეუძლიათ, ეწვიონ მუზეუმებს, ეკლესია-მონასტრებს, ციხესიმაგრეებს და ა. შ.

ჩვეულებრივ, პედაგოგები ექსკურსიას სასწავლო წლის ბოლოს გეგმავენ, თუმცა მისი მოწყობა ნებისმიერ დროს შეიძლება, მთავარია, ღონისძიება მიზნობრივი იყოს და ხელს უწყობდეს ესგ-ით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას.

ღონისძიების მოსამზადებელ ეტაპზე პედაგოგმა წინასწარ უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მოსანახულებელი ობიექტის შესახებ, კარგი იქნება, თუ მოსწავლეები თავადაც მოიძიებენ და

Don't copy

გაეცნობიან საჭირო მასალებს. სასურველია, ერთად შეადგინონ ექსკურსიის გეგმა, მარშრუტი. პედაგოგსა და მოსწავლეებს შეუძლიათ, ერთად შეიმუშაონ ექსკურსიის გეგმა, ხოლო ღონისძიების დასრულების შემდეგ პრეზენტაციის სახით ან სხვა ფორმით შეაჯამონ ღონისძიება.

ექსკურსია თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული რეალობის ურთიერთდაკავშირების საშუალებას იძლევა,

ექსკურსიის ორგანიზებისას მნიშვნელოვანია უსაფრთხოების საკითხის გათვალისწინება, ვალდებულებებისა და რეკომენდაციების დაცვა.

გონებრივი იერიში არის სტრატეგია, რომელიც საშუალებას გვაძლევს, საგაკვეთილო პროცესში მოხდეს იდეების გენერირება. ის ხელს უწყობს მოსწავლეების შემოქმედებითი, ანალიტიკური აზროვნების განვითარებას.

გონებრივი იერიში რამდენიმე ეტაპს მოიცავს:

პირველ ეტაპზე პედაგოგი მოსწავლეებს პრობლემურ შეკითხვას დაუსვამს, მოსწავლეები იწყებენ იდეების ჩამოყალიბებას, სასურველია, რაც შეიძლება მეტი იდეა იქნეს წარმოდგენილი. იდეების გენერირებისათვის დრო წინასწარ უნდა იყოს განსაზღვრული.

მეორე ეტაპზე ფასდება იდეები. პედაგოგს შეუძლია, გამოიყენოს წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმები, ქულები და ა. შ.

საბოლოოდ იდეები იფილტრება და რჩება რამდენიმე იდეა, რომლებიც ყველაზე ნათლად აკმაყოფილებს კრიტერიუმებს ან ყველაზე მეტ ქულას დააგროვებს.

გონებრივი იერიშის გამოყენება სკოლის ყველა საფეხურზეა შესაძლებელი.

T დიაგრამა საშუალებას იძლევა, რომ ერთმანეთს შევუპირისპიროთ ერთსა და იმავე ფაქტთან და მოვლენასთან დაკავშირებული განსხვავებული მოსაზრებები. სქემა ვიზუალურად მარტივია და პრაქტიკული. პირობითად შეიძლება ავიღოთ რომელიმე ისტორიული პირი და სქემის გამოყენებით გამოვკვეთოთ მისი მოღვაწეობის დადებითი და უარყოფითი მხარეები, ან ამა თუ იმ მოვლენის შედეგები ურთიერთსაპირისპირო კუთხით დავახარისხოთ. დიაგრამა ამარტივებს ინფორმაციის დახარისხებას. ხელს უწყობს ანალიზის უნარის განვითარებას.

როლური თამაში წარმოადგენს ჯგუფურ აქტივობას, რომლის დროსაც მოსწავლეები საკუთარ თავზე ირგებენ ამა თუ იმ ისტორიული პირის როლს. ისინი არა მხოლოდ ფაქტებს გაეცნობიან, არამედ ეპოქის თვალთახედვით, ემოციურად გაიაზრებენ და შეიგრძნობენ მათ გრძნობებს, ქცევებს, მოტივებს და ა. შ.

როლური თამაში შეიძლება იყოს სპონტანური ხასიათის, ან წინასწარ განსაზღვრული წესების შესაბამისად წარიმართოს.

როლურ თამაშს რამდენიმე ეტაპი აქვს:

- მოსამზადებელი ეტაპი;
- თამაშის ეტაპი;
- შეჯამება/ რეფლექსია.

Don't copy

პირველ ეტაპზე პედაგოგი კლასს ყოფს ჯგუფებად, ინდივიდებად და ანაწილებს როლებს. მოსწავლეებს აცნობს მასალას შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით, ასევე აძლევს მკაფიო ინსტრუქციებს.

მეორე ეტაპზე მოსწავლეები ასრულებენ მათთვის დაკისრებულ როლებს. მნიშვნელოვანია თამაშის ინსტრუქციის შესაბამისად წარმართვა და დადებითი ატმოსფეროს შენარჩუნება.

დასკვნით ეტაპზე მოსწავლეები კრიტიკულად განიხილავენ მათ მიერ შესრულებელ როლს, ლაპარაკობენ ემოციებზე, რომლებიც დაეუფლათ ამ როლების შესრულების დროს.

როლური თამაშის დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს ის, რომ ხელს უწყობს მოსწავლეებში შემოქმედებით უნარების განვითარებას, საკითხის ემოციურ დონეზე გაცნობიერებას.

სტრატეგიის ნაკლოვანებად შეიძლება ჩავთვალოთ ის ფაქტი, რომ სპეციფიკურ უნარებს მოთხოვს და ყველა მოსწავლეს უჭირს შესაბამისი შემოქმედებითი უნარების გამოვლენა. მისი ნაკლია ისიც, როლურ თამაშში მონაწილეთა რაოდენობა შეზღუდულია.

პრეზენტაცია გულისხმობს აუდიტორიის წინაშე განსაზღვრული მასალის წარდგენას, თეორიული მასალის ან პრაქტიკულად შესრულებული სამუშაოს შედეგების გაზიარებას.

პრეზენტაცია ხელს უწყობს მოსწავლეების ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის, არგუმენტირებული მსჯელობის უნარების განვითარებას, თავდაჯერების ზრდას და ა. შ.

ჩვეულებრივ, პრეზენტაცია შემდეგი ნაწილებისაგან შედგება:

1. შესავალი ნაწილი – მისი მიზანია წარსადგენი საკითხის გაცნობა და კონტაქტის დამყარება.
2. ძირითადი ნაწილი – აუდიტორიას მიეწოდება ძირითადი ინფორმაცია. ეფექტიანობისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს თვალსაჩინოებები.
3. დასკვნა – ჯამდება წარდგენილი მასალა.

თვალსაჩინოებისათვის, შეიძლება, გამოყენებულ იქნეს პრეზენტაცია PowerPoint-ში, რომლის მომზადება სხვადასხვა წესით შეიძლება. საინტერესოა **10, 20, 30 მეთოდი** (კავასაკი), რაც გულისხმობს:

10 სლაიდი – სლაიდების ეს რაოდენობა საკმარისია იმისათვის, რომ აუდიტორია მნიშვნელოვან დეტალებზე იყოს ორიენტირებული და სათქმელი გაუგებარი არ აღმოჩნდეს. სლაიდებზე ძირითადი ინფორმაცია უნდა იყოს დატანილი, ამავდროულად მნიშვნელოვანია, რომ ტექსტის მოცულობა დიდი არ იყოს. პრეზენტატორმა ძირითადი სათქმელი ვერბალურად უნდა გადმოსცეს.

20 წუთი – ეს დრო საკმარისია, რომ აუდიტორიას ძირითადი სათქმელი გადაეცეს და მსმენელი არ გადაიღალოს. მნიშვნელოვანია, რომ პრეზენტატორმა წინასწარ გათვალოს, რა დრო დასჭირდება თითოეული სლაიდისთვის. ამ დროში არ იგულისხმება კითხვა-პასუხისათვის დათმობილი დრო, რაც ასევე აუცილებელია, რათა მსმენელებს შეკითხვები არ დარჩეთ საკითხთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, პრეზენტატორს შეუძლია, განსაზღვროს დროის სხვადასხვა ხანგრძლივობა, საჭიროების მიხედვით.

Don't copy

30 ზომა შრიფტი – პრეზენტაციაზე გამოყენებული შრიფტი ზომით არანაკლებ 30 უნდა იყოს. ტექსტი აუდიტორიის ყველა წევრმა ადვილად უნდა აღიქვას. გარდა ამისა, თუკი სლაიდებზე ასახული ინფორმაცია მცირე მოცულობისაა და იოლად აღქმადი, დამსწრე საზოგადოება სწრაფად გაეცნობა მას და პრეზენტატორის საუბარზე იქნება კონცენტრირებული.

სოკრატესეული მეთოდი – პრობლემური შეკითხვების დასმას გულისხმობს. ეს ინფორმაციის გადაცემის მეთოდი არ არის, პედაგოგი არც ერთ მხარეს არ წარმოადგენს, მოსწავლეები პროცესის პასიური მონაწილეები არ არიან.

სოკრატესეული მეთოდი ერთგვარი დიალოგია, რომელიც მოსწავლეებისა და პედაგოგის მონაწილეობით მიმდინარეობს. მასწავლებელი სვამს შეკითხვებს, მოსწავლეები მსჯელობენ ამ შეკითხვებზე, მოსწავლეები თავად სვამენ შეკითხვებს. მსჯელობა ხან წინ მიდის, ხანაც საწყისი ნიშნულისკენ ბრუნდება.

მნიშვნელოვანია, რომ კლასში კომფორტული გარემო იყოს შექმნილი, რომელიც ყველა მოსწავლეს მისცემს ჩართულობის საშუალებას. დიალოგის მიზანი კონკრეტულ შედეგამდე მისვლა კი არ არის, არამედ მრავალფეროვანი არგუმენტების, ვარაუდების გამოთქმა. ზოგჯერ, როდესაც მოსწავლეები განსაზღვრულ დებულებას უარყოფენ, პედაგოგი მის მტკიცებას იწყებს, ან პირიქით, ეთანხმებიან, მასწავლებელი ცდილობს, საწინააღმდეგო არგუმენტები მოიყვანოს; არა იმიტომ, რომ საკუთარი პოზიცია აღნიშნოს, არამედ მოსწავლეებში უფრო მეტი ჰიპოთეზის გაჩენის მიზნით.

კეთებით სწავლება – კეთებით სწავლების მიზანია მოსწავლეებში ცოდნის ან ჩვევის ფორმირება განსაზღვრული პრაქტიკული ქმედებების შესრულებით.

კეთებით სწავლების პროცესში მოსწავლეებმა, შეიძლება, შექმნან რუკა, სხვადასხვა თვალსაჩინოება, მოდელი და ა. შ. პედაგოგმა მოსწავლეებს უნდა მისცეს შესაქმნელი პროდუქტის შესახებ მკაფიო ინსტრუქცია, შესთავაზოს კონკრეტული მაგალითები, განუმარტოს შესაქმნელი პროდუქტის მიზნობრიობა და მისი კავშირი შესასწავლ თემასთან, ასევე მიიღოს უკუკავშირი.

კეთებით სწავლება ხელს უწყობს მოსწავლეებში პრაქტიკული, ექსპერიმენტული უნარების განვითარებას.

თვალსაჩინოებებზე მუშაობა – ისტორიის გაკვეთილზე მრავალფეროვანი თვალსაჩინოებების გამოყენებაა შესაძლებელი: რუკა, ფოტო, ილუსტრაცია და ა. შ. მნიშვნელოვანია, მისი შერჩევისას გავითვალისწინოთ, რა დახმარებას გაგვიწევს ის საგაკვეთილო პროცესის შედეგის მიღწევაში, რამდენად შეუწყობს ხელს მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას და აქვთ თუ არა მოსწავლეებს საჭირო უნარები, რომ რესურსი მიზნობრივად გამოიყენონ.

თვალსაჩინოებებზე მუშაობისას პედაგოგმა ნათელი ინსტრუქცია უნდა მისცეს მოსწავლეებს. მეთოდი დახმარებას გაუწევს მოსწავლეებს ანალიზის უნარის განვითარებაში. ისინი შეძლებენ ინფორმაციის მრავალფეროვანი წყაროებიდან მიღებას.

Don't copy

ტექსტზე მუშაობა – ისტორიული ტექსტის დამუშავება აუცილებელი და მნიშვნელოვანი მეთოდია. ამისთვის რამდენიმე განსხვავებული მიდგომა შეიძლება იქნეს გამოყენებული:

1. მოსწავლეებს, შეიძლება, დავავალოთ დასამუშავებელი ტექსტის ზედაპირული დათვალიერება. ისინი ტექსტში მათთვის უცხო სიტყვას იპოვიან, შემდეგ კი შესაბამის განმარტებას მოძებნიან. ამის შემდეგ ტექსტი რთულად აღარ მოეჩვენებათ.
2. მოსწავლეები კითხულობენ წინასწარ განსაზღვრული ტექსტის პირველ და ბოლო აბზაცებს, რაც დაეხმარებათ დანიშნულების გააზრებაში, შემდეგ კითხულობენ პირველ და ბოლო წინადადებებს ყველა აბზაცში ავტორის ძირითადი მტკიცებულებების გასააზრებლად; ხოლო ბოლოს ყურადღებით ეცნობიან აბზაცებში გადმოცემულ ინფორმაციას.
3. ყოველი გვერდიდან ამოიწერენ ხუთ სიტყვას ან იდეას, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ეჩვენებათ. ეს დაეხმარება მოსწავლეებს, დაფიქრდნენ ტექსტში გადმოცემულ პრიორიტეტულ საკითხებზე.

დაუსრულებელი წინადადება – მეთოდის გამოყენება ეფექტიანია გაკვეთილის დასკვნით ეტაპზე მოსაზრებების შესაჯამებლად და შესაჯერებლად, თუმცა მისი გამოყენება ნებისმიერ დროს შეიძლება.

1. პედაგოგი დაფაზე წერს დაუსრულებელ წინადადებას (მაგ., „მისი საქციელის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ...“ ან „ეს შედეგი იმან მოიტანა, რომ...“). მოსწავლეებს განსაზღვრული დრო ეძლევათ წინადადების დასასრულებლად, შემდეგ კი კლასის წინაშე წარადგენენ თავის მოსაზრებას.
2. მეთოდი ხელს უწყობს მოსწავლეების შემოქმედებითი უნარების განვითარებას, ეხმარება მათ აზრის თავისუფლად ჩამოყალიბებაში ამა თუ იმ საკითხზე, ეფექტიანი გზაა მოსწავლეთა დამოკიდებულებების გასარკვევად.

ვენის დიაგრამა – წარმოდგენილია ორი წრით, რომლებიც ნაწილობრივ ფარავს ერთმანეთს. გვეხმარება ორი საკითხის ერთმანეთთან შედარებაში, რომლებსაც საერთო და განმასხვავებელი ნიშნები აქვთ. იმ ნაწილში, რომელშიც წრეები ერთმანეთს კვეთს, ჩაიწერება ცნებებისა და მოვლენების საერთო მახასიათებლები, დამოუკიდებელ ნაწილებში კი – განსხვავებული. მეთოდი ხელს უწყობს მოსწავლეების ანალიზის უნარის განვითარებას.



ვიცი – მინდა, ვიცოდე – გავიგე – სტრატეგია გვეხმარება ტექსტის დამუშავებასა და სიღრმისეულ გაგებაში. ხელს უწყობს ანალიზის უნარის განვითარებას.

ვიცი	მინდა, ვიცოდე	გავიგე

Don't copy

- პედაგოგი დაფაზე ხაზავს სამსვეტიან ცხრილს;
- მოსწავლეებს აცნობს საკითხს და სვამს შეკითხვას, რა იციან მასთან დაკავშირებით. პასუხებს ჩამოწერს პირველ სვეტში („ვიცი“);
- შემდეგ პედაგოგი ეკითხება მოსწავლეებს, რა აინტერესებთ შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით და მათი შეკითხვების საფუძველზე ავსებს მეორე სვეტს („მინდა, ვიცოდე“);
- მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს და მის საფუძველზე ავსებენ მესამე სვეტს („გავიგე“);
- პედაგოგის დავალებით, მოსწავლეები თავიანთ დამუშავებულ ტექსტს ადარებენ პირველ და მეორე სვეტს (იყო თუ არა მათი წინარე ცოდნა რეალურად საკითხთან დაკავშირებული ან დაკმაყოფილდა თუ არა მათი ინტერესი).

ორმხრივ ჩანაწერთა დღიური – ორსვეტიანი ცხრილია, რომლის ერთ სვეტშიც მოსწავლე წერს მომხდარ ამბებს, ფაქტებს, ხოლო მეორე სვეტში გამოხატავს თავის დამოკიდებულებას.

ორმხრივ ჩანაწერთა დღიური რეფლექსიის ინსტრუმენტია, რომელიც ხელს უწყობს ანალიზის უნარის განვითარებას, მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას.

ფაქტი, ტერმინი, ციტატა ამბების მოკლე რეზიუმე	**ჩემი დამოკიდებულება, მოსაზრება, კომენტარი**

დაფიქრდი – დაწყვილდი – გაუზიარე – მეთოდი საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლეებმა ინდივიდუალურად და მეწყვილესთან ერთად ჩამოაყალიბონ თავისი მოსაზრება, გაუზიარონ ერთმანეთს. მეთოდი რამდენიმე ეტაპს მოიცავს:

დაფიქრდი *– პირველ ეტაპზე პედაგოგი მოსწავლეების უსვამს შეკითხვას და ავალებს მათ, ინდივიდუალურად იფიქრონ ამ საკითხზე.*

დაწყვილდი *– მოსწავლეები წყვილდებიან, ერთად განიხილავენ შეკითხვას, შეაჯერებენ თავიანთ მოსაზრებებს.*

გაუზიარე *– მოსწავლეები შეჯერებულ მოსაზრებას უზიარებენ კლასს და უპასუხებენ შეკითხვებს.*

მეთოდი ხელს უწყობს ანალიზის უნარის განვითარებას, ასევე ვითარდება თანამშრომლობითი, არგუმენტირებული მსჯელობის, კომუნიკაციის უნარები.

Don't copy

გაჩერებებით სწავლა – საინტერესო მეთოდია, რომელიც გულისხმობს დაგეგმილი აქტივობების ერთობლიობას კონკრეტული მიზნების მიღწევად. მეთოდის გამოყენებამდე მნიშვნელოვანია საკლასო გარემოს ორგანიზება საჭიროებების შესაბამისად. მოეწყობა გაჩერებები (მერხები, მაგიდები), რომლებიც შესაბამისი მასალებითა და ბანერით (გაჩერების სახელწოდება) იქნება აღჭურვილი.

მოსწავლეები დაიყოფიან წყვილებად ან ჯგუფებად და მოძრაობენ ერთი „გაჩერებიდან" მეორემდე.

პირობითად ერთ გაჩერებაზე შეიძლება დასამუშავებელი იყოს ნარატიული ისტორიული წყაროები, განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ, რაც ამ აქტივობისთვისაა გათვალისწინებული, მოსწავლები შემდეგ გაჩერებაზე გადაინაცვლებენ, სადაც შესაძლოა ფილმის, ვიდეომასალის ყურება იყოს გამიზნული, მომდევნო მაგიდაზე, შეიძლება, თვალსაჩინოებაზე მუშაობა მოუხდეთ და ა. შ. მნიშვნელოვანია რესურსებისა და დაგეგმილი აქტივობების მრავალფეროვნება.

დასკვნით ეტაპზე პედაგოგი მოსწავლეთა წყვილებს/ჯგუფებს გააკეთებინებს შეჯამებას. ამისათვის ისინი წარმოადგენენ წინასწარ შეთანხმებულ პროდუქტს (მაგ., PPT-პრეზენტაცია და სხვ.). უშუალოდ მიმდინარეობის პროცესში, ასევე მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს დავავალოთ, თითოეულ გაჩერებასთან წინასწარ მომზადებულ ფორმაში ასახონ მუშაობის შედეგები.

მეთოდის გამოყენება სასურველია როგორც ახალი მასალის ახსნის პროცესში, ისე არსებული ცოდნის გასაღრმავებლად.

ჯიგსოუს მეთოდი (jigsow) ხელს უწყობს მოსწავლეების კრიტიკული აზროვნების, კომუნიკაციის, თანამშრომლობის უნარების განვითარებას. ის შემდეგ ეტაპებს მოიცავს:

- პედაგოგი მოსწავლეებს აცნობს თემას, შემდეგ ანაწილებს მათ ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფში 6 ბავშვზე მეტი არ უნდა იყოს. ყველა ჯგუფი ერთსა და იმავე თემაზე მუშაობს. ჯგუფში თემა ნაწილდება: თითოეული წევრი ცალკეულ ნაწილზე მუშაობს.
- მოსწავლეები სხვადასხვა ჯგუფიდან, რომლებსაც თემის ერთი და იგივე ნაწილი შეხვდათ, ქმნიან ექსპერტთა ჯგუფებს, სადაც სიღრმისეულად განიხილავენ საკითხს.
- მოსწავლეები კვლავ უბრუნდებიან თავიანთ ჯგუფებს და ექსპერტთა ჯგუფებში გაფართოებულ ცოდნას უზიარებენ.
- დასკვნით ეტაპზე თითოეული მოსწავლე წარმოაჩენს, რამდენად არის გარკვეული სამიზნე საკითხში.

არსებობს ჯიგსოუს მეთოდის განსხვავებული ინტერპრეტაციები.

სტრატეგია 3-2-1 – ეფექტიანია ახალი მასალის ახსნის პროცესში. ხელს უწყობს მოსწავლის ჩართულობის ზრდას საგაკვეთილო პროცესში, აძლიერებს კრიტიკულ აზროვნებას, ეხმარება წაკითხულის შეჯამებაში.

პედაგოგი მოსწავლეებს თავიდან სთხოვს ტექსტის წაკითხვას, შემდეგ კი ისინი პასუხს სცემენ შემდეგ მოთხოვნებს:

Don't copy

- 3 რამ, რაც მნიშვნელოვანი იყო;
- 2 რამ, რაზეც მეტი მინდა, გავიგო;
- 1 რამ, რაზეც თანაკლასელებთან ერთად ვიმსჯელებდი.

SWOT-ანალიზი – უნივერსალური ინსტრუმენტია, რომელიც მრავალ სფეროში გამოიყენება. მისი გამოყენება შესაძლებელია ისტორიული მასალების ანალიზის პროცესში.

ძლიერი მხარეები	**სუსტი მხარეები**
_____ _____ _____ _____	_____ _____ _____ _____
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
_____ _____ _____ _____	_____ _____ _____ _____

სქემა გამოდგება, როგორც ინფორმაციის ორგანიზების, ანალიზის ინსტრუმენტი. პირობითად ისტორიაში, შეიძლება, შევაფასოთ რომელიმე სახელმწიფოს მდგომარეობა განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე, მისი ძლიერი მხარები, სისუსტეები, მოსალოდნელი საფრთხეები და შესაძლებლობები. სქემა, შეიძლება, სახლში სამუშაოდ მივცეთ. ასევე ეფექტიანი იქნება, თუ ოთხ ჯგუფს გამოვყოფთ (კლასის რაოდენობის გათვალისწინებით), რომლებიც თითოეულ ეტაპზე იმუშავებენ, ბოლოს კი გაკეთდება პრეზენტაცია.

PACED – გადაწყვეტილებების მიღების მოდელია, რომელიც შესაძლოა გამოვიყენოთ სასწავლო მიზნებით. ის რამდენიმე ეტაპს მოიცავს:

- **ნაბიჯი 1. პრობლემის განსაზღვრა.** პედაგოგი მოსწავლეებთან ერთად მოახდენს პრობლემის იდენტიფიცირებას.
- **ნაბიჯი 2. ალტერნატივების წარმოდგენა.** ჩამოთვლილი იქნება ალტერნატივები, რომლებიც პრობლემასთან მიმართებით არსებობს.
- **ნაბიჯი 3. კრიტერიუმების განსაზღვრა**. შემუშავდება თითოეული ალტერნატივის კრიტერიუმები.
- **ნაბიჯი 4. ალტერნატივების შეფასება.** ალტერნატივები შეფასდება წარმოდგენილი კრიტერიუმების მიხედვით.
- **ნაბიჯი 5. გადაწყვეტილების მიღება**. განისაზღვრება, რომელი ალტერნატივაა პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზა.

მეთოდი, შეიძლება, გამოვიყენოთ, როგორც საშუალება მნიშვნელოვანი პრობლემების შეფასებისათვის, რომლის წინაშეც სახელმწიფოები, მმართველები იდგნენ, სხვა მიზნობრივი დანიშნულებით.

Don't copy

შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები – გულისხმობს საკითხთან დაკავშირებით მასწავლებლის მიერ შემუშავებულ მოკლე კითხვას ან დავალებას, რომლის შესრულებასაც დაახლოებით 5-10 წუთი სჭირდება.

შესასვლელი ბილეთების საშუალებით მოწმდება შესასწავლ საკითხთან მიმართებაში არსებული წინარე ცოდნა და დამოკიდებულებები, ხოლო გასასვლელი ბილეთების გამოყენებით – მოსწავლეების მიერ უკვე შეძენილი ცოდნა და საკითხის გაგება– გააზრება.

მოსამზადებელი სამუშაო რამდენიმე ეტაპს მოიცავს:

- პედაგოგმა უნდა შეიმუშაოს ბილეთების ფორმატი, რომელიც მისი მოსწავლეებისთვის საუკეთესო ვარიანტი იქნება, განსაზღვროს დრო;
- მოამზადოს კითხვები ბილეთებისათვის;
- მოსწავლეებს მისცეს მკაფიო და მიზნობრივი ინსტრუქციები;
- გააანალიზოს პასუხები.

მეთოდი ხელს უწყობს მოსწავლეებისაგან მოკლე დროში მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღებას. არ არის აუცილებელი, ერთ გაკვეთილზე შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები ერთდროულად იქნეს გამოყენებული.

„უხმო დისკუსია“ – მისი მთავარი ინსტრუმენტებია წერითი უნარები და სიჩუმე, რომლებიც მოსწავლეებს საკითხის სიღრმისეულად შესწავლასა და გააზრებაში დაეხმარება. სტრატეგიის გამოყენებისას მოსწავლეები წერილობით აყალიბებენ თავიანთ პასუხებს, ე. წ. „სტიმულზე“. სტიმული შეიძლება იყოს ციტატა, ისტორიული დოკუმენტი, ფოტო და ა. შ.

ის რამდენიმე ეტაპს მოიცავს:

- **„სტიმულის“ შერჩევა.** საწყის ეტაპზე აუცილებელია ისეთი „სტიმულის“ შერჩევა, რომელზეც მოსწავლეები მოახდენენ რეაგირებას. სტიმული შეიძლება იყოს შეკითხვა, პრობლემა, ციტატა და სხვ. სტრატეგია ეფექტიანად მუშაობს წყვილებსა და ჯგუფებში.
- **მოსწავლეები თავიანთი ჯგუფის წევრებთან ერთად აკეთებენ ფლიპჩარტზე კომენტარს.** ჯგუფის წევრები წერილობით აკეთებენ კომენტარებს „სტიმულზე“ და ერთმანეთს შეკითხვებს უსვამენ. ისინი სხვადასხვა ფერის მარკერებით მუშაობენ, რათა დისკუსიის მიმდინარეობა უფრო თვალსაჩინო გახდეს (დრო – დაახლოებით 15 წუთი).
- **მოსწავლეები სხვა ჯგუფის ქაღალდზე აკეთებენ კომენტარებს.** მასწავლებლის მითითების შემდეგ მოსწავლეები, სიჩუმის დაურღვევლად, ტოვებენ თავიანთ ადგილებს და სხვა ჯგუფის ფლიპჩარტებთან ინაცვლებენ. მათ თან მიაქვთ თავიანთი მარკერები, ეცნობიან სხვა მოსწავლეთა მოსაზრებებს, წერენ კომენტარებსა და შეკითხვებს.
- **მოსწავლეები ბრუნდებიან თავიანთ ჯგუფებში და არღვევენ სიჩუმეს.** ჯგუფის წევრები ისევ თავიანთ ფლიპჩარტთან ბრუნდებიან, მათ კვლავ შეუძლიათ წერილობითი კომენტარის გაკეთება. ამის შემდეგ კი თავიანთ ჯგუფში თავისუფალი ვერბალური კომუნიკაციის საშუალება ეძლევათ.
- **დისკუსია კლასთან.** დასკვნით ეტაპზე იმართება საერთო საკლასო მსჯელობა.

მეთოდი ხელს უწყობს წერითი უნარების, არგუმენტირებული მსჯელობის უნარის განვითარებას, ასევე გაუბედავი მოსწავლეების პროცესში ჩართულობას.

Don't copy

სტრატეგია „ბარომეტრი“ – მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს, გამოხატონ პრობლემასთან თავიანთი დამოკიდებულება არა მარტო ვერბალურად, არამედ ფიზიკური განლაგებით. ისინი პრობლემასთან საკუთარი დამოკიდებულების მიხედვით დაიკავებენ პოზიციებს და შემდეგ არგუმენტირებულად დაიცავენ მას.

სტრატეგია შემდეგ ეტაპებს მოიცავს:

- **საკითხის შერჩევა** – სტრატეგიის ეფექტიანად განხორციელებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საკითხის სწორად შერჩევას. განსახილველი პრობლემა გულმოდგინედ უნდა იყოს შერჩეული და განსხვავებული, ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციების გამოხატვის შესაძლებლობას იძლეოდეს.
- **სივრცის ორგანიზება** – საკლასო ოთახში წინასწარ უნდა განისაზღვროს ადგილი, სადაც მოსწავლეებს U-ს მსგავსად განლაგების საშუალება ექნებათ. U-ს დაბოლოებები ორ დაპირისპირებულ პოზიციას გამოხატავს: ერთი ბოლო ნიშნავს „სრულად ვეთანხმები“, მეორე კი – „კატეგორიულად ვეწინააღმდეგები“. გარდა ამისა, საჭიროების შესაბამისად, ერთ ბოლოში შეიძლება განვათავსოთ ნებისმიერი განაცხადი, რომელიც თანხვდება პრობლემას, მეორეში კი – მისი საპირისპირო.
- **წესების შემუშავება** – პედაგოგი წინასწარ უთანხმებს მოსწავლეებს ქცევის ისეთ წესებს, რომლებიც განამტკიცებს ურთიერთპატივისცემას, უზრუნველყოფს განსხვავებული აზრის მოსმენასა და კონსტრუქციულ თანამშრომლობას.
- **აზრების ფორმულირება** – მოსწავლეებს უნდა მივცეთ რამდენიმე წუთი, რომ ჩამოაყალიბონ თავიანთი მოსაზრება საკითხზე და დააფიქსირონ თავიანთ პოზიცია (ეთანხმებიან თუ არა წინასწარ მომზადებულ განაცხადს).
- **პოზიციების დაკავება** – პედაგოგი მოსწავლეებს სთხოვს, დაიკავონ თავიანთი პოზიცია წინასწარ მომზადებული ხაზის (U) გასწვრივ. ისინი ხაზზე დგებიან საკითხთან მათი დამოკიდებულების გათვალისწინებით. რაც უფრო უკიდურეს პოზიციებს იკავებენ საპირისპირო მხარეებზე, მით უფრო მკვეთრად ეთანხმებიან ან ეწინააღმდეგებიან მტკიცებას.
- **პოზიციების დასაბუთება** – მას შემდეგ, რაც ხაზის გასწვრივ ადგილებს დაიკავებენ, პედაგოგი სთხოვს მოსწავლეებს, დაასაბუთონ, რატომ დაიკავეს ესა თუ ის პოზიცია, მოუწოდებს მოიყვანონ მაგალითები და სხვა სახის მტკიცებულებები.
- **შედეგების შეჯამება** – შედეგების შეჯამების მრავალი გზა არსებობს. პედაგოგს შეუძლია, „მომხრეთა“ და „მოწინააღმდეგეთა“ არგუმენტები დაფაზე ჩამოწეროს და მთელ კლასთან ერთად განიხილოს.

სტრატეგია ხელს უწყობს შეფასების, არგუმენტირებული მსჯელობის, კომუნიკაციის უნარების განვითარებას.

Don't copy

მასწავლებლის წიგნის მიმოხილვა
და მისი გამოყენების წესი

მასწავლებლის წიგნი შეიცავს მოსწავლის სახელმძღვანელოს მიზნებს, სტანდარტის შედეგებთან თითოეული ქვეთავის/პარაგრაფის შესაბამისობას, იმ მეთოდოლოგიას, რომელიც გამოყენებულია სახელმძღვანელოს ავტორების მიერ, ასევე, ზოგიერთი მეთოდის განმარტებას. წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა სახე და ტიპი, მათი რუბრიკები. ჩვენი სახელმძღვანელო გაძლევთ საშუალებას, რომ სხვადასხვა მეთოდი გამოიყენოთ გაკვეთილის დაგეგმვისა და ჩატარების დროს. მასწავლებლის წიგნში ასევე მოცემულია იმ სარეკომენდაციო რესურსებისა და ლიტერატურის სია, რომელიც შეიძლება გამოიყენოთ.

მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომების
სპეციფიკა საგნის სწავლების პროცესში

კონკრეტული ქვეთავები/გაკვეთილები წარმოდგენილია ზემოთ, მიზნების, შედეგების, ინდიკატორებისა და მკვიდრი წარმოდგენების მატრიცაში, რომელიც ეფუძნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №1248-ში (09. 10. 2019) წარმოდგენილ შინაარსობრივ კრიტერიუმებს. შემდგომ ქვეთავებში მხოლოდ თეორიული საკითხებია გადმოცემული. ჩვენ ჩავთვალეთ, რომ ამ საკითხების მასწავლებლის წიგნში შეტანა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ დამწყები მასწავლებლისთვის, არამედ გამოცდილისთვისაც. არ გვაქვს პრეტენზია, რომ ამ საკითხებს სრულყოფილად განვიხილავთ. ამიტომ წიგნის ბოლოს მითითებულია სპეციალური ლიტერატურა, სადაც შეგიძლიათ დაწვრილებით გაეცნოთ ბევრ საკითხს. რაც შეეხება კონკრეტულ მაგალითებს, უფრო ქვემოთ ზოგიერთ თეორიულ მასალასთან ერთად განვიხილავთ.

ზოგადი განათლების სწავლა-სწავლების მიზნებია, მოსწავლეს განუვითაროს/ჩამოუყალიბოს: კულტურული მემკვიდრეობის დაფასებისა და მასზე ზრუნვის უნარი; თანამედროვე რეალობის სივრცულ-დროით ჭრილში გააზრებისა და ინტერპრეტირების უნარი; ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნების გააზრებისა და დაფასების უნარი; საკუთარი და განსხვავებული კულტურის წარმომადგენლებთან/ჯგუფებთან წარმატებული კომუნიკაციის უნარი; ინფორმაციის სხვადასხვა სიმბოლური ნიშნით გამოხატვის უნარი; კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და კვლევის უნარები; ლოგიკური აზროვნებისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი; სამყაროს ესთეტიკური აღქმის უნარი; საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების საფუძველზე არჩევანის გაკეთების უნარი; დამოუკიდებელ გადაწყვეტილებათა მიღებისა და იდეების ქმედებაში განხორციელების უნარი; პროფესიული არჩევანის გაკეთებისა და

Don't copy

კარიერის დაგეგმვის უნარი; გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრის უნარი რისკების გაცნობიერებით; ახალ სიტუაციებთან, ცვლად მოთხოვნებთან ადაპტირების უნარი; საზოგადოებაში თვითდამკვიდრების უნარი; საკუთარ სოციალურ აქტივობაზე პასუხისმგებლობის გააზრების, ასევე, სხვათა ქმედების გაგებისა და გათვალისწინების უნარი; ეთიკური ნორმების დაცვის უნარი; კონფლიქტების არაძალადობრივი მეთოდებით მართვის უნარი; სწავლის სტრატეგიების ადეკვატურად შერჩევისა და მათი ეფექტიანად გამოყენების უნარი; თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ინფორმაციის მოძიების, დამუშავების, შენახვის, გაზიარებისა და გაანალიზების უნარი. თუმცა ეს უნარები მოსწავლეს უვითარდება სწავლების ყველა საფეხურის გავლის შემდეგ, მაგ., საკუთარი კარიერის დაგეგმვის უნარი უფრო საშუალო საფეხურზე უვითარდება და არამც და არამც დაწყებით კლასებში. ამასთანავე გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ამ ასაკის მოსწავლე ახალი გადმოსულია დაწყებითი საფეხურიდან. ვიცით, რომ დაწყებითი საფეხურის მისიაა: ა) საგანთა თანამიმდევრული სწავლა-სწავლების გზით მოსწავლის გონებრივი, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა; ბ) საბაზისო უნარების – წიგნიერებისა და რაოდენობრივი წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა; გ) სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, ცნობისმოყვარეობის ცოდნისმოყვარეობაში გადაზრდა და მოსწავლის მომზადება საშუალო საფეხურისთვის. ამიტომ ჩვენს სახელმძღვანელოში გათვალისწინებულია XI კლასის მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებები. საშუალო საფეხურის მისიაა საგანთა სწავლა-სწავლების საფუძველზე მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირება, მოსწავლის ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენა, მოსწავლის დამოუკიდებელი სწავლის უნარისა და შრომისუნარიანობის განვითარება, აქტიური მოქალაქის ფორმირების ხელშეწყობა და საფუძვლების შექმნა განათლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელებისთვის ან შრომითი საქმიანობისთვის. საგნის სწავლა-სწავლებისას მოსწავლე ჩართული იქნება აქტივობებში, რომლებიც მას შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას მისცემს და შემდგომში მომზადებული იქნება გამოწვევებისათვის. ეს გამოწვევები კი შემდეგში მდგომარეობს: მოსწავლემ უნდა შეძლოს ა) საგანთა გაღრმავებული სწავლების გზით სისტემური ცოდნის კონსტრუირება; ბ) მოაზროვნე, მაძიებელი, ახლის შემოქმედი, წიგნიერი, ინფორმირებული და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბება, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება, საკუთარი მიღწევების გამოყენება ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად.

Don't copy

მეთოდიკური ორიენტირები

ჩვენი სახელმძღვანელო ეფუძნება ესგ-ის მიერ გაცხადებულ შემდეგ ცნებებს: 1. ყველა მოსწავლე უნიკალური და განსხვავებულია თავისი ინდივიდუალური ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით, ნიჭით, ემოციებით, ინტერესებით, პირადი გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებებითა და სწავლის სტილით, რაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს სწავლა-სწავლების დროს. 2. სწავლა უნდა მიმდინარეობდეს პოზიტიურ და მოწესრიგებულ გარემოში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას, სადაც მოსწავლე დაფასებულია, აღიარებულია და პასუხისმგებელია საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე. 3. სწავლა ცოდნის აგების პროცესია, რომელშიც მოსწავლე აქტიურად არის ჩართული და რომელიც ეფუძნება მოსწავლის ცოდნას, გამოცდილებასა და შეხედულებებს. ამ სახელმძღვანელოს მეთოდიკური ორიენტირები ასეთია: ა) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა მოტივირებასა და შინაგანი ძალების გააქტიურებას; ბ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; გ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებას; დ) სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლას); ე) სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს. დეკლარატიული ცოდნა გულისხმობს თეორიების, წესების, ფაქტების, კანონებისა და პრინციპების თეორიულ ცოდნას. ის პასუხობს კითხვას: რა ვიცი? პროცედურული გულისხმობს ქმედებათა თანამიმდევრობის ცოდნას და იძლევა ცოდნის რეალიზების საშუალებას ოპერაციების/პროცედურების დონეზე. ის პასუხობს კითხვებს: როგორ გავაკეთო/როგორ შევასრულო? პირობისეული ცოდნა დეკლარატიული და პროცედურული ცოდნის გამოყენების პირობების გააზრებაა. ის გულისხმობს მოვლენების ან სიტუაციის არსებითი ასპექტების გააზრების, კატეგორიზაციის უნარს, რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში მოსწავლეს დაეხმარება ჩვენი საგნის, ისტორიის ცოდნის სხვა ასპექტში გადატანაში, ანუ ტრანსფერში. ის პასუხობს კითხვებს: რატომ? რა შემთხვევაში? დისციპლინის წვდომისათვის სასწავლო პროცესში აქცენტი, პირველ რიგში, უნდა კეთდებოდეს ისტორიული მოვლენის ანალიზზე, წარსულში მომხდარი ფაქტის დღევანდელობასთან დაკავშირებასა და თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკური პროცესების განვითარების პერსპექტივების განსაზღვრაზე. საგნობრივი შედეგების გარდა, ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებიდან სწავლა-სწავლებისა და შეფასების სამიზნედ ასევე უნდა იქცეს შემდეგი გამჭოლი უნარები და ღირებულებები:

Don't copy

პრობლემების გადაჭრა	პრობლემის ამოცნობა, აღწერა და გაანალიზება; პრობლემის გადაჭრის გზების ძებნა, მათგან ყველაზე ეფექტიანის შერჩევა.
შემოქმედებითი აზროვნება	ჩანაფიქრის შემოქმედებითად განხორციელება; ორიგინალური იდეების გამოვლენა და ხორცშესხმა; ახლის შექმნა; წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად არასტანდარტული გზების მოძიება; სწრაფვა გარემოს გარდაქმნა-გაუმჯობესებისკენ; გამოწვევების მიღება, სასკოლო საქმიანობაში გაბედული ნაბიჯების გადადგმა.
თანამშრომლობა	სამუშაოს თანასწორად განაწილება და შესრულება ჯგუფური/გუნდური მუშაობის დროს; მზაობა ჯგუფში/გუნდში სხვადასხვა ფუნქციის შესასრულებლად (მაგ., ლიდერის); განსხვავებული იდეების, შეხედულებების კონსტრუქციულად განხილვა; რესურსების, მოსაზრებების, ცოდნის გაზიარება პრობლემათა ერთობლივად გადაჭრის, გადაწყვეტილებათა ერთობლივად მიღების მიზნით.
კომუნიკაცია	განცდილის, ნააზრევის მიტანა მსმენელამდე/მკითხველამდე, მათზე შთაბეჭდილების მოხდენა; ინფორმაციის გაზიარება საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი ვერბალური და არავერბალური საშუალებების გამოყენებით; სხვისი მოსმენისა და გაგების უნარი; პიროვნული ღირსების გააზრებისა და დაფასების უნარი.
ეთიკა	ეთიკური და ქცევითი ნორმების დაცვა; სოლიდარობის განცდა; სხვებისადმი ემპათია; პიროვნული ღირსების გააზრებისა და დაფასების უნარი; განსხვავებულობის მიმღებლობა; საკუთარ სოციალურ აქტივობაზე პასუხისმგებლობის გააზრება.
მეწარმეობა, ინიციატივების გამოვლენა და საქმედ ქცევა	სწავლა-სწავლების პროცესში ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის გამოვლენა; ახალი იდეების, მიდგომების, შესაძლებლობების ძიება და მათი განხორციელება სწავლის გაუმჯობესების მიზნით; მზაობა გამოწვევების მისაღებად, გაბედული ნაბიჯების გადასადგმელად.
სწავლის სწავლა, დამოუკიდებლად საქმიანობა	**აქტივობის/დავალების ღირებულების განსაზღვრა** – მოსწავლემ უნდა დაინახოს, რას შესძენს აქტივობის შესრულება, რა პიროვნულ თუ სოციალურ სარგებელს მოუტანს მას; **აქტივობის/დავალების დაგეგმვა** – (მოთხოვნათა გააზრება და მის შესასრულებლად საჭირო ცოდნის განსაზღვრა; დავალების/აქტივობის მთავარი მიზნის განსაზღვრა; სამუშაოს წარმატებით შესრულების კრიტერიუმების დადგენა; განსახორციელებელი სამუშაოს ეტაპების გამოკვეთა; იმის განჭვრეტა, თუ რა გაუადვილდება, რა გაუძნელდება, რაში დასჭირდება დახმარება; სტრატეგიების მიზანშეწონილად შერჩევა სამუშაოს თითოეული ეტაპისათვის; **სწავლის პროცესის მონიტორინგი** – დაფიქრება სწავლის პროცესზე, იმ პირობებისა და ფაქტორების ამოცნობა, რომლებიც ხელს უწყობს ან აფერხებს წინსვლას, სათანადო ზომების მიღება წინსვლის ხელშესაწყობად; თვითშეფასება ძლიერი და სუსტი მხარების დასადგენად, სუსტი მხარეების გასაძლიერებლად გზების დასახვა; **სოციოემოციური მართვა** – ნერვიულობის მინიმუმამდე დაყვანა, საჭიროებისამებრ, დახმარების თხოვნა, საკუთარ თავში სიძნელეთა გადალახვის რესურსების პოვნა; შეცდომების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება და წინსვლის წყაროდ გამოყენება; ცალკეული საქმიანობისთვის გამოყოფილი დროის ეფექტიანად გამოყენება.

Demo copy

პასუხისმგებლობა	სასკოლო საქმიანობებში (სასკოლო ცხოვრებაში) ნაკისრი ვალდებულების შესრულება; სამუშაოს დადგენილ ვადებში დასრულება და ჩაბარება; საკუთარი ქცევის მართვა, საკუთარ ქცევებზე, სოციალურ აქტივობებზე პასუხისმგებლობის აღება.
ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება	საძიებო სისტემაში (მაგ.: ებსკო, ელსევიარი) პერიოდიკის მოძიება; Google Map-ში ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებული ონლაინრუკების შექმნა და მათი ინტერნეტის საშუალებით გავრცელება. საძიებო სისტემაში (მაგ., გუგლი) სხვადასხვა ტიპის (მაგ., ინტერაქტიული და ა. შ.) თემატური ელექტრონული რუკების მოძიება; ისტორიული შინაარსის ელექტრონული ტექსტების (მაგ., ვიკიტექსტების) შექმნა და ატვირთვა; სპეციფიკური შინაარსის დიაგრამებთან და გრაფიკებთან მუშაობა (მაგ.: ტერიტორიული, დემოგრაფიული, საზოგადოებრივი განწყობების ზრდა-კლების და ა. შ.) ექსელის საშუალებით. ვებგვერდის/ბლოგის შექმნა და სასწავლო პროცესის განმავლობაში განხორციელებული სხვადასხვა პროექტის ვებგვერდზე/ბლოგზე განთავსება; ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება (მაგ., Word, Power Point) სასწავლო მასალისა და სხვადასხვა ტიპის ელექტრონული ტექსტების დასამუშავებლად.
წიგნიერება	ზეპირი და წერითი მეტყველების გზით ინფორმაციის მიღების, დამუშავების, გააზრების, სისტემაში მოყვანისა და წარდგენა-გაზიარების უნარი.

ამავე დროს, გათვალისწინებულია, რომ ყველა მოსწავლე უნიკალურია თავისი ინდივიდუალური ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით, შესაძლებლობებით, ემოციებით, ინტერესებით, პირადი გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებებითა და სწავლის სტილით, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს სწავლა-სწავლების დროს. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეა მოსწავლე (შემდგომში – სსსმ მოსწავლე), რომელსაც, თანატოლებთან შედარებით, აქვს სიძნელე სწავლაში და რომლისთვისაც საჭიროა ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირება ან/და სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია ან/და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა და განხორციელება. ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირება ნიშნავს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების რაოდენობრივ და/ან თვისებრივ ცვლილებებს, რომლებიც შესაძლებელია, გულისხმობდეს სასწავლო მიზნების შემცირებას ან გაზრდას, გამარტივებას ან გართულებას. ჩვენს სახელმძღვანელოში გათვალისწინებულია ეს საკითხი. სახელმძღვანელოს დავალებები ამის საშუალებას იძლევა. მასწავლებლის წიგნში დაგეგმილ რამდენიმე გაკვეთილში გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლეთა საჭიროებები და მოცემულია შესაბამისი დავალებები.

Don't copy

მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ძირითადი სტრატეგიები

სწავლის უნარების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია ზრუნვა მეტაკოგნიციის უნარების განვითარებაზე, რისთვისაც მასწავლებელმა პერიოდულად სამი ტიპის აქტივობა უნდა ჩაატაროს. ეს აქტივობებია:

სტრატეგიების მოდელირება: მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ასრულებს დავალებას და მისი შესრულებისას „ხმამაღლა ფიქრობს" იმაზე, თუ როგორ შეასრულოს ეს აქტივობა (მაგ., კარგად გავეცნოთ პირობას და დავაკვირდეთ, რას მოითხოვს იგი; აქვს თუ არა პირობას თანმხლები მასალა და მისთ). წინმსწრები მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულებამდე დაფიქრება და მსჯელობა გადასადგმელ ნაბიჯებზე – მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაეცნობიან დავალების პირობას, შევასრულებინებთ მეტაკოგნიტური ხასიათის ამგვარ აქტივობას: მათ ჯგუფურად უნდა განსაზღვრონ ის გზა, რომლითაც დავალებას შეასრულებენ, სახელდობრ: დეტალურად აღწერონ დავალების შესრულების ეტაპები (რას შეასრულებენ რის შემდეგ და სხვ.), ასევე სტრატეგიები, რომლებსაც თითოეულ ეტაპზე გამოიყენებენ. ჯგუფებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები და იმსჯელონ შერჩეული გზებისა თუ სტრატეგიების მიზანშეწონილობაზე. შემდგომი მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულების შემდეგ დაფიქრება და მსჯელობა გადადგმულ ნაბიჯებზე – მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეასრულებენ კონკრეტულ დავალებას, მათ უნდა გაიხსენონ და აღწერონ განვლილი გზა: რა გააკეთეს რის შემდეგ? რა ხერხები გამოიყენეს მუშაობისას? რა გაუჭირდათ ან რა გაუადვილდათ? შესრულებული მოქმედებების აღწერის შედეგად, მოსწავლეები გააცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ მიზნის მისაღწევად სხვადასხვა გზა და ხერხი არსებობს, რომლებზეც დავალების შესრულებამდე უნდა დაფიქრდნენ (ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად). მეტაკოგნიტური პაუზა მოსწავლეებს განუვითარებს სწავლის უნარებს და აუმაღლებს სწავლის ქმედუნარიანობას.

ნებისმიერი ინტერაქტიული გაკვეთილის ჩატარებისას, მნიშვნელოვანია, რა კითხვით სტრატეგიებს იყენებს მასწავლებელი. მოსწავლის სახელმძღვანელოში, რა თქმა უნდა, მრავალფეროვანი დავალებები და კითხვებია მოცემული; თუმცა მასწავლებელმა, კლასის საჭიროებებიდან გამომდინარე, სხვადასხვა სტრატეგია უნდა გამოიყენოს. აუცილებელია მრავალფეროვანი დავალებების მიცემა, რაც ბავშვს ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენის საშუალებას მისცემს. ახალი სტრატეგიები მოითხოვს ისეთ აქტივობებს, რომელთა დროსაც მოსწავლე აქტიურია, რაც კითხვებითა და დავალებებით მიიღწევა. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ მასწავლებელს, რომელიც ახალი მოთხოვნების შესაბამისად ასწავლის, უნდა ჰქონდეს რწმენა, რომ ყველა მოსწავლეს აქვს სწავლის უნარი; უნდა უზრუნველყოფდეს ცოდნის ხელმისაწვდომობას ყველა მოსწავლისთვის; ის უნდა აცნობიერებდეს და ითვალისწინებდეს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურობას, ნიჭს, შესაძლებლობებს და ამის მიხედვით უნდა წარმართოს საგაკვეთილო პროცესი. მასწავლებელი შემოქმედებითად უნდა მიუდგეს სწავლების პროცესს, აქტივობები ისე ააგოს, რომ მოსწავლეს მიეცეს შესაძლებლობა, გააკეთოს არჩევანი, იაზროვნოს და გააანალიზოს საკითხი, გამოთქვას საკუთარი შეხედულებები. ეს

Don't copy

ყველაფერი კი, როგორც აღვნიშნეთ, შეუძლებელია მრავალფეროვანი კითხვითი სტრატეგიების გამოყენების გარეშე. კითხვების დასმა საგაკვეთილო პროცესის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. მასწავლებელი კითხვების საშუალებით არკვევს, როგორ გაიგეს მოსწავლეებმა კონკრეტული გაკვეთილი? ხელმეორედაა საჭირო მისი ახსნა თუ არა? გაიაზრეს მათ ეს საკითხი თუ მხოლოდ მასალის გადმოცემა შეუძლიათ? რამდენად არიან მზად მოსწავლეები, გააანალიზონ, შეაფასონ კონკრეტული საკითხი, მოვლენა? კითხვები განსხვავდება შინაარსობრივი თვალსაზრისით – ის შეიძლება იყოს ინფორმაციული ან სააზროვნო. მაგალითად, ინფორმაციულია ასეთი ტიპის შეკითხვა: ***რას მოითხოვდნენ ყუთლუ-არსლანის დასელები?*** ამ შემთხვევაში შემოწმდება მოსწავლის ცოდნა. თუმცა თუ ამ კითხვას მოვაყოლებთ შემდეგ კითხვას: ***რამდენად პროგრესული იყო ყუთლუ-არსლანის დასის მოთხოვნები?*** – ამ კითხვით ხელს შევუწყობთ მოსწავლის მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. ამ კითხვას პასუხი რომ გასცეს, მოსწავლემ საკითხი კარგად, საფუძვლიანად იცოდეს და საკუთარი მოსაზრების გამოთქმის დროს უნდა წარმოადგინოს შესაბამისი არგუმენტები.

მრავალფეროვანი კითხვების დასმა აუცილებელია დიფერენცირებული სწავლების პროცესის დროსაც. ცნობილია, რომ დიფერენცირებული სწავლება გულისხმობს თითოეული დავალებისა და სავარჯიშოს შესატყვისობას მოსწავლეთა მოთხოვნილებებთან, მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით. გაკვეთილის დაგეგმვის პროცესში დიფერენცირების სტრატეგიები შეიძლება სხვადასხვა გზით გამოვლინდეს. მაგალითად, შესაძლებელია როგორც დავალების, ისე შედეგის მიხედვით დიფერენციაცია. თუ მასწავლებელი დავალების მიხედვით ახდენს დიფერენცირებას, ეს ნიშნავს, რომ სხვადასხვა ჯგუფს, მოსწავლეებს განსხვავებული სავარჯიშოები, დავალებები, კითხვები მიეცემათ, ანუ ეს დავალებები შესაძლებლობების მიხედვით განაწილდება; ამავე დროს, ყველა ერთი მიზნის, შედეგის მიღწევისკენ მიდის. ამ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია დავალებების მიცემის დროს კითხვების მრავალფეროვნება, რაც დიფერენცირებას შეუწყობს ხელს. თუ მასწავლებელი შედეგის მიხედვით ახდენს დიფერენცირებას, მაშინ მან, შესაძლოა, ყველა მოსწავლეს იდენტური დავალება, სავარჯიშო მისცეს, ხოლო გაკვეთილის მიზანი/მიზნები თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებიდან გამომდინარე უნდა განსაზღვროს. მისაღწევი შედეგები შეიძლება ასე განისაზღვროს: ყველა მოსწავლემ უნდა იცოდეს... ზოგიერთმა მოსწავლემ უნდა გააანალიზოს, იმსჯელოს... და ა. შ. ამ შემთხვევაშიც უმნიშვნელოვანესია ის კითხვები, რომლებსაც ყველა მოსწავლეს დავუსვამთ, შემდეგ კი მხოლოდ ზოგიერთს. ქვემოთ კიდევ უფრო დაწვრილებით შევეხებით სხვადასხვა კითხვით სტრატეგიას, რაც საშუალებას მოგცემთ, ისინი გაკვეთილებზე გამოიყენოთ.

Don't copy

რეკომენდაციები სასწავლო-საგანმანათლებლო რესურსების შესახებ სწავლების მიზნის მიღწევის ეფექტიანობისათვის

მრავალფეროვანი რესურსების მოძიება-გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენს სახელმძღვანელოში გამოყენებულია სხვადასხვა ტიპის რესურსები: პირველადი და მეორეული წერილობითი წყაროები, რუკები, ფოტოები, მითითებულია ელრესურსები. ძალიან მნიშვნელოვანია, თქვენ რა ტიპის სასწავლო რესურსს იცნობთ ან იყენებთ პრაქტიკაში: ელექტრონულ რესურსებს, მატერიალურ თვალსაჩინოებებსა და პროფესიულ დამხმარე ლიტერატურას?! ამაზე იმიტომ ვაკეთებთ აქცენტს, რომ სახელმძღვანელოში გამოყენებული ან მასწავლებლის წიგნში მითითებული რესურსები (თვალსაჩინოებები, პროფესიული ლიტერატურა, ელრესურსები), რა თქმა უნდა, სრულყოფილი და ყოვლისმომცველი არ არის და არც შეიძლება ამის პრეტენზია გვქონდეს. აუცილებელია, თქვენც მოიძიოთ/შექმნათ თქვენთვის, თქვენი მოსწავლეთა საჭიროებებისთვის მნიშვნელოვანი რესურსები. ამასთანავე, არ დაგავიწყდეთ, რომ ყველა ტიპის რესურსს უნდა ახლდეს გამოყენების მკაფიო ინსტრუქცია, რომელშიც ახსნილი იქნება, რა მიზნით შექმენით რესურსი, როგორ გამოიყენება ის სასწავლო პროცესში, რათა თქვენმა სხვა კოლეგებმა, გარკვეული მოდიფიცირების შემდეგ, შეძლონ მისი გამოყენება.

შეგახსენებთ, რომ აუცილებელია კოლეგებთან თანამშრომლობა როგორც კათედრის შიგნით, ისე მის გარეთაც. ასევე, რესურსის რეფლექსიაში მიუთითეთ, რა შედეგს მიაღწიეთ მოსწავლეებთან ამ რესურსის გამოყენებით. კიდევ ერთხელ გავუსვამთ ხაზს, რომ, გარდა ელექტრონული რესურსებისა, მასწავლებლები ძალიან ხშირად იყენებენ მატერიალურ თვალსაჩინოებებს (სქემებს, პლაკატებს, რუკებს, დანადგარებს, მაკეტებს, კოლექციებსა და ა. შ.). ხშირად ტარდება მასწავლებლების მიერ საკუთარი ხელით (შესაძლოა, მეორადი ნივთებითაც) შექმნილი რესურსების გამოფენა, კონფერენციებზე წარდგენა. ასეთი რესურსები (სქემები, დიაგრამები, ისტორიული კროსვორდები ან ლოტოები, პლაკატები და ა. შ.) თქვენც შეიძლება შექმნათ. ფაქტია, რომ სასწავლო რესურსი იწვევს მოსწავლეების დაინტერესებას, ვინაიდან რესურსი ინტერაქტიულია, ანუ მოითხოვს მოცემული თვალსაჩინოებების გაანალიზებას, შეკითხვებზე პასუხის გაცემას, საკუთარი მოსაზრებების გამოთქმას, პრაქტიკულ სამუშაოს. ამიტომ გაკვეთილზე მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული სწავლების პროცესში. რესურსი ორიენტირებულია მოსწავლეთა უნარ-ჩვევების განვითარებაზე, ეს არის გაანალიზების, შედარებისა და დასკვნების გაკეთების უნარი; ისინი რესურსის დახმარებით შეძლებენ დაინახონ, რამდენად მნიშვნელოვანია ყოველდღიურ ცხოვრებაში ორიენტირება, ასევე, მოცემული დავალებების მიხედვით შეძლებენ, იმუშაონ ჯგუფებში და რესურსიდან მიღებულ ინფორმაციას გამოიყენებენ პრაქტიკული მუშაობის დროს; გახსოვდეთ, რომ სასწავლო რესურსში გამოყენებული მასალა დაფუძნებული უნდა იყოს სანდო წყაროებზე, უსაფრთხო უნდა იყოს და არ ავნოს მოსწავლეებს, მაგალითად, მათ მხედველობას. თქვენ მიერ შექმნილი რესურსის შემთხვევაში, გაკვეთილზე მუშაობის პროცესში აუცილებელია, წინასწარ მომზადებული გქონდეთ ცალკე დაბეჭდილი დავალებებიცა და კითხვებიც. თუ რესურსი Power Point-შია შექმნილი, აუცილებელია, ვაჩვენოთ მოსწავლეებს სლაიდრეჟიმში და, კითხვების გამოჩენის შემდეგ, ჯერ დაველოდოთ მოსწავლეების პასუხს, შემდეგ კი შევთავაზოთ სწორი ვარიანტები,

Draft copy

რომლებიც კითხვის შემდეგ ჩნდება სლაიდზე. რესურსში არის თვალსაჩინოებები, რომელთა განხილვა მოსწავლეებთან ერთად აუცილებელია და არის პრაქტიკული სამუშაოც, რომელსაც მოსწავლეები ჯგუფური მუშაობის დროს ასრულებენ; ეს სასწავლო რესურსი იწვევს მოსწავლეების დაინტერესებასა და მთელი კლასის აქტიურ ჩართვას სწავლების პროცესში. გაკვეთილის ჩატარებამდე აუცილებელია, მას კარგად გაეცნოთ, რათა შემდეგ კითხვა-პასუხის რეჟიმი არ დაირღვეს. ასევე, შესაძლებელია, პარალელურად გამოიყენოთ დაფა, ცარცი, ქაღალდები და პასუხები წერილობითაც გააცემინოთ, გაკვეთილის შემდეგ კი ამ ნამუშევრების საშუალებით გააკეთოთ შეფასება თქვენ მიერ შემნილი შეფასების რუბრიკის დახმარებით. რესურსებთან დაკავშირებით რეკომენდაციები მოცემული იქნება ქვემოთ კონკრეტულ დაგეგმილ გაკვეთილებთან, ასევე, მიგითითებთ ელექტრონული რესურსების სარეკომენდაციო მისამართებს.

მოსწავლის შეფასების პრინციპები

სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში. განმსაზღვრელ შეფასებაში იწერება ქულა. განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორებიცაა: სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცელი, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემა და სხვ.

განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების აღწერილობა

	განმავითარებელი	**განმსაზღვრელი**
მიზანი	სწავლის ხარისხის გაუმჯობესება; მოსწავლის განვითარების ხელშეწყობა.	სწავლის ხარისხის გაკონტროლება; მოსწავლის მიღწევის დონის დადგენა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში; აკადემიური მოსწრების დონის განსაზღვრა.
შეფასების საგანი	სწავლის პროცესი	სწავლის შედეგი

Don't copy

შეფასების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება	წინსვლის ხელშესაწყობად განსხვავებული აქტივობის შერჩევა, სწავლების სტრატეგიის შეცვლა, რჩევა-დარიგების მიცემა და სხვ.	მომდევნო ეტაპზე (კლასში/ საფეხურზე) დაშვება/არდაშვება.
წარმატების კრიტერიუმების განსაზღვრა	კონკრეტული მოსწავლის წინსვლის საფუძველზე (საკუთარ მიღწევებთან მიმართებით – რა დონეს ფლობდა, რა დონეს ფლობს).	იმის საფუძველზე, თუ რამდენად მიაღწია სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს (ყველასათვის საერთო, სტანდარტით დადგენილ ნორმასთან მიმართებაში).
შეფასების საშუალებები	თვით/ურთიერთშეფასების რუბრიკა; კითხვარი; სიტყვიერი (ზეპირი/წერილობითი) კომენტარი; უნარის განვითარების დონის აღწერა.	ქულა

სემესტრის მანძილზე მოსწავლეები ფასდებიან შემდეგი სამი კომპონენტის მიხედვით:

ა) დამოუკიდებელი სამუშაო;

ბ) საკლასო დავალება;

გ) შემაჯამებელი დავალება.

დამოუკიდებელ სამუშაოსა და საკლასო დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება.

შემაჯამებელი დავალების კომპონენტში აუცილებელია კომპლექსური დავალების შესრულება, რომელიც ფასდება ქულით და აუცილებლად განმავითარებელი კომენტარით.

სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების დროს მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ, რომ საჭიროა ესგ-ის მიხედვით კომპლექსური დავალების ადაპტირება. მნიშვნელოვანია, ადაპტირდეს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები და აქვე გასათვალისწინებელია, რომ გარკვეულწილად შესაძლებელია, მოდიფიცირებულმა კომპლექსურმა დავალებამ ყველა მკვიდრი წარმოდგენა არ მოიცვას.

აქტივობების, ღონისძიებების, პროექტების, პრაქტიკული სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები

სასწავლო პროცესის სწორად დაგეგმვა მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის წარმატების ერთ-ერთი უმთავრესი განმსაზღვრელი პირობაა. გეგმა საკმაოდ მოქნილი და შემოქმედებითი უნდა იყოს, რათა მასწავლებელმა სასწავლო პროცესის მუდმივი განვითარება შეძლოს. სწორად დაგეგმვისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მრავალფერო-

Don't copy

ვანი აქტივობები გაკვეთილს ინტერაქტიულს გახდის, მოსწავლის მოტივაცია და ინტერესი გაიზრდება. ამის მიღწევა სხვადასხვა სტრატეგიით შეიძლება. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ მრავალფეროვანი კითხვითი აქტივობების გამოყენება ერთ-ერთი საშუალებაა იმისათვის, რომ გაკვეთილი უფრო საინტერესო გავხადოთ. მაგალითად, ისტორიის გაკვეთილზე მასწავლებლის მიზანი ძალიან კონკრეტულია: მოსწავლემ უნდა შეძლოს გარკვეულ მოვლენებს შორის მიზეზშედეგობრიობის გარკვევა. როგორ უნდა გააკეთოს ეს მასწავლებელმა? დავუშვათ, კონკრეტული ისტორიული წყაროების ტექსტის ანალიზის საშუალებით. რა საშუალებებით მოახერხებს ამას? პირველ რიგში, რელევანტური კითხვების დასმით, რომლებზეც პასუხის გაცემის შემდეგ მოსწავლე შეძლებს, დაინახოს გარკვეულ მოვლენებს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირი. როგორ მიხვდება მასწავლებელი, მიაღწია თუ არა გაკვეთილის მიზანს? აქაც ერთ-ერთი მეთოდია სხვადასხვა ტიპის კითხვების საშუალებით გარკვევა, დაინახა თუ არა მოსწავლემ მიზეზშედეგობრივი კავშირი. ეს კარგად ჩანს გაკვეთილის ბოლოს, როდესაც გარკვეულ რეფლექსიას ვაკეთებთ და ვსვამთ კითხვებს: რა იყო მოსწავლეებისთვის მარტივი და რა – რთული? რა ისწავლეს მათ? შევძელი ყველა მოსწავლის ჩართვა საგაკვეთილო პროცესში? იყო თუ არა ჩემ მიერ დასმული კითხვები, მიცემული დავალებები და ინსტრუქციები გასაგები? იძლეოდა კი ეს კითხვები და დავალებები ინტერესის შენარჩუნების საშუალებას? და, რა უნდა გავითვალისწინო მომავალში, რათა გაკვეთილი კიდევ უფრო ინტერაქტიული და საინტერესო გავხადო? ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გვინდა, კიდევ აღვნიშნოთ: გაკვეთილის დაგეგმვის დროს აუცილებელია ისეთი აქტივობების დაგეგმვა, რომლებიც მიგვიყვანს იმ მიზნამდე, შედეგებამდე, რაც წინასწარ დავისახეთ მიზნად. ამ პროცესის დროს, აქტივობებში მრავალფეროვანი კითხვების გამოყენება ხელს შეუწყობს ყველა ემოციური მოსწავლის ჩართვას საგაკვეთილო პროცესში; ეს კი თავისთავად გამოიწვევს ყველა მოსწავლის მიერ იმ სასწავლო შედეგზე (თუნდაც სხვადასხვა დოზით) გასვლას, რაც თავიდანვე დავისახეთ მიზნად. რელევანტური შეკითხვების დასმა აზროვნების ამოქმედების ერთ-ერთი გზაა, რითაც მოსწავლეები საკითხს ღრმად, საფუძვლიანად შეისწავლიან. ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ ეს მხოლოდ მრავალფეროვანი კითხვითი სტრატეგიებითაა შესაძლებელი – ამას სხვა მეთოდებით თუ სტრატეგიებითაც მივაღწევთ; მაგრამ მრავალფეროვანი კითხვითი სტრატეგიების გამოყენება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, პროდუქტიული და რელევანტური საშუალებაა, რომ გაკვეთილის/გაკვეთილების მიზანი მიღწეულ იქნას.

პირველ რიგში, კიდევ ერთხელ გაგახსენებთ **ღია და დახურული ტიპის კითხვებს.** დახურული ტიპის კითხვაა ის, რომელიც პირდაპირ პასუხს მოითხოვს. მაგალითად, საქართველოს ვინ დაესხა 1225 წელს? მოსწავლე პირდაპირ პასუხს გასცემს – ჯალალედინი. ასეთი ტიპის კითხვები კარგია მოსწავლეთა ცოდნის შესამოწმებლად. ღია კითხვა მოსწავლეებისგან, ცოდნის გარდა, ფიქრს, აზროვნებას მოითხოვს და ხელს უწყობს ზოგადი და საგნებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური უნარ-ჩვევების განვითარებაში. მაგ., რატომ დაესხა ჯალალედინი საქართველოს? პასუხი დაასაბუთე. ამ მეთოდთან კავშირშია **„მსხვილი“ და „წვრილი“ შეკითხვების** სტრატეგიაც. ამ სტრატეგიას ასე იყენებენ: თემის შესწავლის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს ამ თემაზე სამი „მსხვილი“ და „წვრილი“ შეკითხვის ჩამოყალიბებას. ამის შემდეგ მოსწავლეები ცხრილში ჩაწერილ კითხვებს ერთმანეთს უსვამენ.

Don't copy

„მსხვილი“ შეკითხვები	„წვრილი“ შეკითხვები
ამ გრაფაში მოსწავლეებმა უნდა ჩაწერონ იმ ტიპის ღია შეკითხვები, რომლებიც ღრმა, „გაშლილ“ პასუხებს მოითხოვს. მაგ., რატომ დაესხა თავს რუქნადინი საქართველოს?	ამ გრაფაში მოსწავლეებმა უნდა ჩაწერონ იმ ტიპის შეკითხვები, რომლებიც ერთმნიშვნელოვან, (შესაძლებელია „ფაქტობრივ“) პასუხს მოითხოვს. მაგ., ვინ დაესხა თავს 1202 წელს საქართველოს?

ძალიან საინტერესო სტრატეგიაა **შეკითხვების დონეები**. ამ სტრატეგიის გამოყენებისას საჭიროა, მასწავლებელმა კონკრეტული ტექსტის მიხედვით სამი დონის შეკითხვა მოამზადოს. თითოეულ დონეს 2 ან 3 შეკითხვა უნდა შეესაბამებოდეს (შეკითხვების რაოდენობა დამოკიდებულია მოსწავლეთა მომზადების დონესა და შეკითხვების სირთულეზე). ეს სტრატეგია შეიძლება გამოვიყენოთ ისტორიული დოკუმენტების, ლიტერატურული ნაწარმოებების, საგაზეთო სტატიების, ფილმების, ხელოვნების ნიმუშებისა და ფოტომასალის შესასწავლად:

I დონე – ფაქტობრივი შეკითხვები. ამ შემთხვევაში მასწავლებელმა ისეთი შეკითხვები უნდა დასვას, რომლებიც მოსწავლეებს ტექსტში მოცემული ფაქტების დადგენისა და გაგების შესაძლებლობას მისცემს.

II დონე – ლოგიკური შეკითხვები. ამ შემთხვევაში მასწავლებელმა უნდა დასვას ანალიტიკური (პრობლემური) შეკითხვები, რომლებიც მოსწავლეებს ტექსტის რომელიმე მონაკვეთის (შეიძლება, ეს იყოს წინადადება, აბზაცი ან ტექსტის საინტერესო ნაწილი) ანალიზისა და ინტერპრეტაციის საშუალებას მისცემს.

III დონე – უნივერსალური შეკითხვები. ამ შემთხვევაში მასწავლებელმა უნდა დასვას ღია, ზოგადი ხასიათის შეკითხვები, რომლებსაც ტექსტში გადმოცემული იდეები აღძრავს. ეს შეკითხვები, რომლებიც აბსტრაქტულ იდეებსა და პრობლემებს ეხება, მოსწავლეთა შორის დისკუსიის პროვოცირებისკენაა მიმართული.

შემდეგი სტრატეგიაა **„კითხვითი სიტყვები“**. ეს სტრატეგია გამოიყენება იმ დროს, როდესაც მოსწავლეებს წინასწარ გარკვეული წარმოდგენა აქვთ საკვლევი თემის შესახებ და მეტ-ნაკლებად ერკვევიან შესასწავლი მასალის საბაზო ცნებებში. „კითხვითი სიტყვები“ ეხმარება მათ, შექმნან ე. წ. „ინტერესთა ველი“. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ სხვადასხვა ძირითადი ცნება, რომლებიც თემასთანაა დაკავშირებული ან ტექსტშია მოცემული და ჩაწერონ ისინი ორგანყოფილებიანი ცხრილის მარჯვენა ნაწილში. მარცხენა ნაწილში კი მოსწავლეებმა უნდა ჩაწერონ სხვადასხვა კითხვითი სიტყვა (არანაკლებ 8-10). ამის შემდეგ 5-7 წუთის განმავლობაში ჩამოაყალიბონ რაც შეიძლება მეტი შეკითხვა, რომლებშიც შეაზავებენ ცხრილის ორივე ნაწილის ელემენტებს. ეს სამუშაო შეიძლება შესრულდეს როგორც ინდივიდუალურად, ისე წყვილებში. ერთი პირობა! მოსწავლეებმა არ უნდა იცოდნენ პასუხები საკუთარ შეკითხვებზე (რა საჭიროა შეკითხვა, თუ მასზე პასუხი ცნობილია?!). ასე რომ, შეიქმნება რამდენიმე სია სრულიად განსხვავებული შეკითხვებით.

Don't copy

სწავლების დროს მნიშვნელოვანია **დისკუსიის** მეთოდის გამოყენება. როგორც იცით, დისკუსია ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიას რამდენიმე ძირითადი მიზანი აქვს: მოსწავლეები ჩავრთოთ საგაკვეთილო პროცესში და მივცეთ საკუთარი აზრის გამოთქმის შესაძლებლობა; გავარკვიოთ, რამდენად კარგად გაიგეს საგაკვეთილო მასალა; განუვითაროთ საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები; განვუმტკიცოთ საკუთარი თავის რწმენა. იმისათვის, რომ დისკუსია შედეგიანი იყოს, აუცილებელია, მსჯელობა მხოლოდ შერჩეული თემის ირგვლივ მიმდინარეობდეს. ხშირია შემთხვევები, როცა ხდება თემიდან გადახვევა: მოსწავლეები თემიდან გადაუხვევენ, ახალ აზრს განავითარებენ და მასზე იწყებენ მსჯელობას. მასწავლებელი უნდა ფლობდეს სიტუაციას. კარგი დისკუსია მხოლოდ ის არის, რომელიც ერთ კონკრეტულ მიზანს ემსახურება. მასწავლებელი კი ეხმარება მოსწავლეებს, რომ თემები საინტერესოდ გაიშალოს, რომ მოსწავლეებმა სადისკუსიო თემებზე იმსჯელონ და არა მეორეხარისხოვან იდეებზე. მასწავლებელმა ისეთი შეკითხვები უნდა დასვას, რომლებიც ხელს შეუწყობს დისკუსიის წარმართვას, თემის გაშლას, დაიცავს რეგლამენტს, რათა ყველა მოსწავლეს მიეცეს თანაბარი საშუალება, გამოთქვას თავისი აზრი და გამოხატოს საკუთარი პოზიცია. ამ დროს საჭიროა სოკრატეს მეთოდის გამოყენება: „მე არავის არაფერს ვასწავლი, რადგან თავად არაფერი ვიცი, უბრალოდ, კითხვებს ვუსვამ“. სოკრატეს მეთოდი გულისხმობს დისკუსიის წარმართვისას პრობლემური შეკითხვების დასმას. მაგ.: რას ფიქრობთ ამის შესახებ? რა განმარტებები გჭირდებათ ამისთვის? ამ ეტაპზე მასწავლებელი არ აძლევს მოსწავლეებს ინფორმაციას, არამედ ცდილობს, მოსწავლეები დამოუკიდებლად მივიდნენ პრობლემის გადაწყვეტამდე. გაკვეთილზე დისკუსიის დროს მასწავლებელს ყველა ტიპის შეკითხვის გამოყენება სჭირდება. დახურული შეკითხვები (კონკრეტული პასუხები) ემსახურება მიზანს – გავიგოთ, რამდენად ისწავლა მოსწავლემ ესა თუ ის საკითხი, შევამოწმოთ ცოდნა. ღია შეკითხვები აუცილებელია დისკუსიის წარმართვის დროს და აზროვნების ზედა საფეხურს განეკუთვნება. ეს ნიშნავს, რომ მოსწავლეს აქვს ცოდნა, აქვს მისი გაგებისა და გამოყენების უნარი და ღია შეკითხვებზე პასუხის გაცემით გადადის აზროვნების მაღალ საფეხურზე: შეაფასოს, დასკვნები გააკეთოს, დაასაბუთოს, შექმნას. სასურველია, დისკუსია დასრულდეს შეჯამებით, დასკვნების გამოტანით, კლასში გაცემული პასუხების ანალიზით.

რა განსხვავება/მიმართებაა კომპლექსურ დავალებასა და შემაჯამებელ დავალებას შორის?

კომპლექსური დავალება დავალების ტიპია, ტერმინით „შემაჯამებელი“ კი განისაზღვრება სტატუსი/ფუნქცია, რომელიც სწავლა-სწავლების პროცესში ზოგიერთ დავალებას ენიჭება. მაგალითად, სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებელმა შეიძლება საკუთარ მოსწავლეებთან 10 კომპლექსური დავალება განახორციელოს, აქედან სამს კი შემაჯამებელი დავალების სტატუსი მიანიჭოს (იმის მიხედვით, რამდენი შემაჯამებელია

Don't copy

სავალდებულო მის საგანში ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით). ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით, ყველა შემაჯამებელი დავალება კომპლექსური ტიპის უნდა იყოს (არ შეიძლება შემაჯამებლის სტატუსი მიენიჭოს მხოლოდ პროცედურულ და დეკლარატიულ ცოდნაზე ორიენტირებულ სავარჯიშოებს).

რატომ შეუწყობს სწავლა-სწავლებისა და შეფასების დაფუძნება კომპლექსურ დავალებებზე ხელს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიღწევას?

ეროვნული სასწავლო გეგმა საქართველოს სკოლების პედაგოგებს ორი ტიპის მოთხოვნებს უყენებს:

1. სწავლა-სწავლების ორიენტირება გრძელვადიან მიზნებზე (საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები);
2. სწავლა-სწავლების დაფუძნება კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე[1].

პირველი მოთხოვნის (გრძელვადიან მიზანზე ორიენტირება) პრაქტიკაში რეალიზება ხდება სამიზნე ცნებების საშუალებით. საამისოდ საკმარისია, რომ პედაგოგმა სამიზნე ცნებებზე ორიენტირებულად დაგეგმოს სასწავლო საკითხებისა და თემების სწავლა-სწავლება.

მეორე შემთხვევაში კი, მთავარი როლი კომპლექსურ დავალებებს ენიჭება. მისი საშუალებით ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის ხუთივე პრინციპის პრაქტიკაში რეალიზება. კერძოდ, კომპლექსური დავალებების საშუალებით მოსწავლე:

---

1 **სწავლა-სწავლების 5 პრინციპი** – ეროვნულ სასწავლო გეგმაში კონსტრუქტივისტული მიდგომები აღიწერება 5 საგანმანათლებლო პრინციპის სახით. სკოლა და მასწავლებლები ვალდებული არიან, სწავლა-სწავლება და შეფასება მათზე დაფუძნებით წარმართონ.

1. მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურება: აქტიური სწავლა – სწავლა-სწავლების პროცესი ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლის აქტიურ, შემოქმედებით საქმიანობას (კვლევა, შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა და ა.შ.) და არა პასიური მსმენელის მდგომარეობაში ყოფნას;

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით – სწავლა-სწავლების პროცესში თანდათანობით უნდა ხდებოდეს მოსწავლის მიყვანა ახალ ცოდნამდე (და არა ახალი მასალის ერთბაშად და მოუმზადებლად მიცემა);

3. ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება – სწავლა-სწავლების პროცესი ხელს უნდა უწყობდეს სამიზნე ცნების გარშემო ურთიერთდაკავშირებულ ცოდნათა აგებას (და არა გაფანტულ დანაწევრებული ინფორმაციის მიწოდებას);

4. სწავლის სწავლა – სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტი უნდა კეთდებოდეს არა მხოლოდ იმაზე, რას სწავლობს მოსწავლე, არამედ იმაზეც, როგორ სწავლობს;

5. ცოდნის სამი კატეგორია (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) – სწავლა-სწავლების პროცესში მხოლოდ თეორიული მასალის დამახსოვრებაზე კი არ უნდა კეთდებოდეს აქცენტი, არამედ ყურადღება უნდა მიექცეს პროცედურებსაც და თეორიული მასალის ცხოვრებაში პრაქტიკულ გამოყენებას.

Don't copy

1) აქტიურია და ჩართულია აქტიურ შემოქმედებით პროცესებში (**პრინციპი 1**);
2) ახალ ცოდნამდე მიდის წინარე ცოდნის საშუალებით (**პრინციპი 2**);
3) ახალ ცოდნას უკავშირებს რეალურ ცხოვრებასა და სხვა საგნობრივ საკითხებს (**პრინციპი 3**);
4) მასწავლებელს საშუალება აქვს, განსაზღვროს არა მხოლოდ ის, თუ რას სწავლობს, არამედ როგორ სწავლობს მოსწავლე (**პრინციპი 4**);
5) ორიენტირებულია არა მხოლოდ დამახსოვრებასა და პროცედურების გააზრებაზე, არამედ მათ ცხოვრებასთან დაკავშირებაზე (**პრინციპი 5**).

კომპლექსური დავალებები სასწავლო პროცესში შუალედური მიზნების როლს ასრულებს.

სამიზნე ცნება წარმოადგენს გრძელვადიან მიზანს, რომელი მიმართულებით ცოდნის გაღრმავებაც მოსწავლეს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების (შედეგები, მიზნები) დაძლევამდე მიიყვანს.		**საგნობრივი საკითხი** – არის ერთეული, რის საფუძველზეც ამა თუ იმ საგნის შინაარსი იყოფა. ეროვნულ სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტში საკითხები სავალდებულო სახით არ არის განსაზღვრული. მასწავლებელს თავად შეუძლია სწავლა-სწავლების პროცესში მიზნის (სამიზნე ცნება, შედეგი) შესაბამისი საკითხის შერჩევა.		**კომპლექსური დავალება** არის შემოქმედებითი პროდუქტი, რომლის შექმნა-პრეზენტაციითაც მოსწავლე საკუთარ ცოდნას ადასტურებს საგნობრივ საკითხთან და იმ სამიზნე ცნებებთან მიმართებით, რომლებსაც საგნობრივი საკითხი უკავშირდება.

ინფორმაცია მოსწავლის წიგნის/რვეულის შესახებ

მოსწავლის წიგნი შედგება 3 თემისა და 54 (I თემა – §1-22, II თემა – §23-37, III თემა – §38-54) პარაგრაფისგან. სახელმძღვანელოს პარაგრაფებს დართული აქვს მდიდარი ვიზუალური მასალა (რუკები, ფოტოები). მოსწავლეს ეძლევა დავალებები, სადაც მან უნდა გააანალიზოს რუკები თუ სხვა ვიზუალური მასალა. ასევე, პარაგრაფებში მოცემულია პირველადი და მეორეული წყაროები. მოსწავლემ უნდა წაიკითხოს და გააანალიზოს ისინი. თითოეულ ქვეთავს დართული აქვს შემაჯამებელი კომპლექსური სამუშაოები, რომელთა შესასრულებლად გათვალისწინებულია რამდენიმე დღე. ჩვენ მიერ გამოყენებული პირობითი ნიშნები განმარტებულია მოსწავლის წიგნში, ამიტომ აქ მათი ხელმეორედ განმარტება ზედმეტად მიგვაჩნია. მოსწავლის რვეულში განთავსებულია სხვადასხვა ტიპის დავალება: აქ არის კონტურული რუკები, რომლებიც მოსწავლეებმა უნდა შეავსონ; შესავსები ცხრილები, სადაც სხვადასხვა ტიპის წყაროდან (რუკა ან წერილობითი წყარო) მოპოვებული ინფორმაცია უნდა გადაიტანონ ან დააჯგუფონ.

Don't copy

გამოყენებული ლიტერატურა

ა) მეთოდური ლიტერატურა:

1. **ლ. ახვლედიანი.** ვიზუალური წყაროს ანალიზი. mastsavlebeli.ge, 23 იანვარი, 2017 წ.
2. **ლ. ახვლედიანი.** სასწავლო სტრატეგიების გამოყენება ისტორიის სწავლებაში. mastsavlebeli.ge, 11. სექტემბერი, 2017
3. **ლ. ახვლედიანი.** სასწავლო სტრატეგიების გამოყენება ისტორიის სწავლებაში. (მეორე ნაწილი). mastsavlebeli.ge, 19 მაისი, 2017 წ.
4. **მ. ბოჭორიშვილი, ნ. ნამიჭეიშვილი, ნ. ნაბულიშვილი.** ინტერაქტიული მეთოდები, 2014 წ.
5. **ჯ. დიუი.** როგორ ვაზროვნებთ. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2013 წ.
6. **ჯ. დიუი.** სკოლა და საზოგადოება. ბავშვი და ცოდნის სტანდარტი. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი 2013.
7. **მ. ს. დონოვანი, კ. დ. ბრენსფორდი.** როგორ ვსწავლობთ: ისტორია, მათემატიკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები. განათლება გონიერებისთვის. სტატიები განათლების საკითხებზე. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2010 წ.
8. **ისტორიის შესახებ.** ილიას ახელმწიფო უნივერსიტეტი. 2010
9. **ს. ლობჟანიძე.** როგორ დავგეგმოთ მოქნილი და შემოქმედებითი გაკვეთილი? მასწავლებლის წიგნი. ინტერაქტიული მეთოდები პრაქტიკაში. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2016 წ.
10. **მ. მაისურაძე.** თანამშრომლობითი სწავლების ზოგიერთი საკითხი. mastsavlebeli.ge, 16 იანვარი, 2019 წ.
11. **რ. ჯ. მარზანო, ი. ს. მარზანო, დ. ჯ. ფიქერინგი.** კლასის მართვა. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2016 წ.
12. **მ. მელიქიშვილი.** კონსტრუქტივიზმი. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2012 წ.
13. **მ. მელიქიშვილი.** ჟან პიაჟეს კოგნიტური განვითარების თეორია. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2012 წ.
14. **რობერტ სტრადლინგი.** ისტორიის სწავლება. შხვადასხვაგვარი ხედვის გამოყენებით: სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის,. 2003
15. **დ. უზნაძე.** ბავშვის ფსიქოლოგია. 1947 წ.
16. **ლ. ფხოველიშვილი.** დისკუსია – სწავლების ეფექტური მეთოდი. mastsavlebeli.ge, 5 ივნისი, 2019 წ.
17. **ჯ. ქარფიზი.** კოგნიტური პროცესები კრიტიკულ აზროვნებაში. განათლება გონიერებისთვის. სტატიები განათლების საკითხებზე. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2010 წ.
18. **დ. ჩივაძე.** საკლასო ოთახის ეკრანი ყველა პედაგოგისათვის. mastsavlebeli.ge, 4 ოქტომბერი, 2019 წ.
19. **დ. ჩივაძე.** როგორ დავწეროთ ხუთაბზაციანი ესე. mastsavlebeli.ge, 1 მაისი, 2019 წ.
20. **თ. ჭანტურია.** მრავალმხრივი ინტელექტის თეორია. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2012.
21. **თ. ჭყოიძე.** აზროვნება საკუთარი აზროვნების შესახებ. mastsavlebeli.ge, 11 ოქტომბერი, 2013 წ.
22. **ს. ჯანაშია.** როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება. მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, 2007 წ.
23. **ე. ჰარგრივსი.** სწავლება ცოდნის საზოგადოებაში: განათლება გონიერებისთვის. სტატიები განათლების საკითხებზე. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2010 წ.

Don't copy

24. http://www.learner.org/re sources /discipline-social-science.html ამ გვერდზე ისტორიის სწავლების თანამედროვე მეთოდებით დაინტერესებული მასწავლებელი საინტერესო რესურსებს, მულტიმედიამასალებს და სადისკუსიო თემებს იხილავს.
25. shorturl.at/clrt8 – ამ გვერდზე ისტორიის სწავლების თანამედროვე მეთოდებით დაინტერესებული მასწავლებელი საინტერესო რესურსებს, მულტიმედიამასალებს და სადისკუსიო თემებს იხილავს.
26. PACED Decision Making | MyMnCareers | CAREERwise Education (minnstate.edu)
27. თანამშრომლობითი სწავლების მეთოდები – ჯიგსოუს ტექნიკა – mastsavlebeli.ge
28. გაჩერებებით სწავლა – mastsavlebeli.ge
29. http://mastsavlebeli.ge/?p=4093
30. https://www.how-to-study.com/study-skills-articles/strategies-for-reading-history-textbooks.asp
31. კეთებით სწავლება – Google Zebna
32. http://mastsavlebeli.ge/?p=17988
33. https://blog.hubspot.com/blog/tabid/6307/bid/1056/steve-jobs-guy-kawasaki-powerpoint-best-practices.aspx
34. http://mastsavlebeli.ge/?p=17988
35. http://ncp.ge/ge/activities/aqtivoba-1-diskusia?resid=166
36. „ბარომეტრი“ – მსჯელობის მარტივი, საინტერესო ხერხი – mastsavlebeli.ge
37. განმავითარებელი-შეფასება-და-დიფერენცირებული-სწავლება.პდფ (ganatldi.ge)
38. ორი სტრატეგია სამოდელო გაკვეთილებისათვის – mastsavlebeli.ge

ბ) სამეცნიერო და დამატებითი ლიტერატურა:

1. **ზ. ავალიშვილი,** ჯვაროსანთა დროიდან, 1989
2. **თ. ბერაძე.** ზღვაოსნობა საქართველოში. 2022
3. **ნ. ბერძენიშვილი,** საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. IV, 1967
4. **ნ. ბერძენიშვილი,** საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI, 1973
5. **ნ. ბერძენიშვილი,** საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VII, 1974
6. **ნ. ბერძენიშვილი,** საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII,1975
7. **ე. გაბიძაშვილი.** ღუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა, 1978
8. **გერმანული დასახლებები და არქიტექტურული მემკვიდრეობა საქართველოში,** 2018
9. **ი. გოგებაშვილი,** თხზ. 4 ტომად, ტ. 4., 1990
10. **დავით ბატონიშვილი. ახალი ისტორია.** ბაგრატ ბატონიშვილი. ახალი მოთხრობა. 1941
11. **ვაჟა-ფშაველა,** თხზ. 2 ტომად, ტ. 2, 1979
12. **რ. თოფჩიშვილი.** ქართლი. 2021
13. **პ. იოსელიანი.** ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, 1978
14. **დ. კაციტაძე.** ირანის ისტორია III-XVIII საუკუნეებში. თბილისი. 2009
15. **ლაპიდარული წარწერები, II.** დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I, 1980
16. **ე. მამისთვალიშვილი.** საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, I (XV-XVI სს.), თბილისი, 2009
17. **შ. მესხია, ძლევაი საკვირველი, 1972**
18. **პ. ორბელიანი.** ამბავნი ქართლისანი. 1981
19. **მ. პაპაშვილი, თ. ქარჩავა, თ. წითლანაძე, ა. გოგოლაძე, ნ. სილაგაძე.** საქართველო XVI საუკუნის ევროპულ წყაროებში, თბილისი, 2021
20. **მ. პატარიძე.** დავით აღმაშენებელი. ნუმიზმატიკური მემკვიდრეობა. 2022
21. **ჟურნ. „ისტორიანი“**
22. **საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან.** ნაწილი I. 1975
23. **ჯ. სამუშია.** დიდგორის ბრძოლა, 2021
24. **ჯ. სამუშია.** ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, 2022

Do not copy

25. საქართველო და ჯვაროსნული აღმოსავლეთი ჟაკ დე ვიტრის ცნობების მიხედვით, 2015
26. საქართველოს ისტორია, 4-ტომად, ტ. III, 2012
27. საქართველოს ისტორია, 4-ტომად, ტ. IV, 2012
28. საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები, წიგნი I, 1976

29. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, 1975
30. საქთველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, 1973
31. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, 1970
32. გ. სოსიაშვილი. პატარა ლიახვის ხეობის ისტორია (შიდა ქართლის ოკუპირებული ტერიტორიის ისტორიული რეპრეზენტაცია. 2022
33. ილ. ტაბაღუა. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში(XIII-XVI სს.). თბილისი, 1984
34. ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955
35. ქართლის ცხოვრება, ტ. II, 1959
36. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, 1973
37. ქართული დიპლომატიის ისტორია. ქრესტომათია. თბილისი. 2004
38. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I ქართული ისტორიული საბუთები. IX-XIII სს. 1984
39. ილ. ჭავჭავაძე, თხზ.5 ტომად, ტ. 4, 1987
40. ილ. ჭავჭავაძე, თხზ. 5 ტომად, ტ. 5, 1987
41. ომან ხერხეულიძე. მეფობა ირაკლი მეორისა. 1989
42. ივ. ჯავახიშვილი, თხზ. 12 ტომად, ტ. III, 1982
43. ივ. ჯავახიშვილი, თხზ. 12 ტომად, ტ. XII, 1998

გ) მხატვრული ლიტერატურა

1. გრიგოლ აბაშიძე. „დიდი ღამე“

2. გრიგოლ აბაშიძე „ლაშარელა“

3. ჭაბუა ამირეჯიბი „გიორგი ბრწყინვალე“

4. ჭაბუა ამირეჯიბი. „დათა თუთაშხია“

5. ანა ანტონოვსკაია. „დიდი მოურავი“

6. კონსტანტინე გამსახურდია. „დავით აღმაშენებელი“

7. კონსტანტინე გამსახურდია. „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“

8. ლევან გოთუა. „გმირთა ვარამი“

9. ნოდარ მაჭარაშვილი. „ავი მუსაიფი“

10. უიარაღო. „მამელუკი“

11. აკაკი წერეთელი. „ჩემი თავგადასავალი“

12. მიხეილ ჯავახიშვილი. „არსენა მარაბდელი“

Don't copy